

ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი

ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი
Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences

ISSN 1987-7323

E- ISSN 2720-7900



<https://doi.org/10.52340/lac>

<https://journals.4science.ge/index.php/enadakultura>

სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ენა და კულტურა

№32

Language and Culture
Scientific Peer Reviewed Journal

<https://enadakultura.com>

www.enadakultura.blogspot.com

ქუთაისი 2024 Kutaisi



TOGETHER WE REACH THE GOAL

ISSN: 1987-7232

E-ISSN: 2720-7900



ჟურნალი ინდექსირებულია:

1. Google scholar-ის მონაცემთა ბაზებში;
2. იმფაქტუაქტორის ბაზაში: SJIF 2024: 8.268; 2023:8.029; 2022: 7.838; 2021: 6.505; 2020: 6.029; 2019: 6.406; 2018: 6.096; 2017: 6.336;
3. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკის „ივერიელის“ კოლექციაში;
4. ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ) www.techinformi.ge.
5. Scilit –ის მონაცემთა ბაზებში;
6. ასოციაცია მეცნიერებისათვის მონაცემთა ბაზებში
7. გააჩნია დოის ინდექსი: <https://doi.org/10.52340/lac>

მთავარი რედაქტორი: მანანა მიქაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პასუხისმგებელი რედაქტორი: თამარ ლომთაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

სარედაქციო კოლეგია: ა. არაბული, ე. არუტუნიანი, ვ. ასათიანი ც. ახვლედიანი, მ. ახმადი, მ. ბახტაძე, ა. ბერდიჩევსკი, ლ. ბრანიშტე, ნ. გელდიაშვილი, ა. იუსუფ, ნ. კაკაურიძე, თ. მახარობლიძე, ნ. ჟანპეისოვა, ა. ჟდანოვიჩი, გ. სანიკიძე, პ. სურგულაძე, მ. უგრეხელიძე, ბ. ხაბეიშვილი, ტ. ხოლუმენკო, მ. ჰიროკატე

მთარგმნელთა საბჭოს ხელმძღვანელი: ნ. კვირიკაძე
ჟურნალის სამუშაო ენები: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური
 ავტორის პოზიცია შეიძლება არ დაემთხვეს სარედაქციო კოლეგიის მეცნიერულ აზრს.

Chief Editor: **Manana Mikadze**, Doctor of pedagogical sciences, full professor
 Responsible Editor: **Tamar Lomtadze**, Doctor of Philology, full professor

Editorial board:

Arabuli A., Arutuniani E., Asatiani V., Akhvediani Ts., Akhmadi M., Bakhtadze M., Berdichevski A., L.Branishte, Geldiashvili N., Kakauridze N., Maeda H., Makharoblidze T., Janpeisova N., Jdanovich A., Sanikidze G., Surguladze P., Ugrehelidze M., Shabeishvili B., Skolumenko T., Youseif A.

Head of the Board of Translators: Kvirikadze N.

Languages of scientific journal: Georgian, Russian, English, German, French, Spanish.
 Possition of authors may be out of the possition of Editorial Board.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:

- არაბული ავთანდილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- არუტუნიანი ედუარდ** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- ასათიანი ვალერი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ახვლედიანი ციური** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ახმადი მამედი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტ. მორადესის სახელობის თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი.
- ზახტაძე მიხეილი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბერდიჩევსკი ალენ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბურგენლანდის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი, ავსტრია.
- ბრანიშტე ლუდმილა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იასის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუმინეთი.
- გელდიაშვილი ნუნუ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ატია იუსუფ** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აშშ, კოლუმბიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- კაკაურიძე ნანული** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ლომთაძე თამარ** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
- მაედა ჰიროკატე** - ისტორიისა და არქეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი, ტოკიო, იაპონია
- მარგველაშვილი ვლადიმერ** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი საქართველო.
- მახარობლიძე თამარ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

- მიქაძე მანანა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჟანპეისოვა ნაზია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ს. ბაიშვილის სახელობის აკტიუბინსკის უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- ჟდანოვიჩი ანასტასია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- სანიკიძე გუბაზ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- სურგულაძე პაატა** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- უგრეხელიძე მინდია** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტრასბურგი, ევროპის უნივერსიტეტი, საფრანგეთი.
- ხაბეიშვილი ზელა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ხოლუმენკო ტიმოთე** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო პედაგოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა.

Editorial Board :

- Arabuli Avtandil** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Arutunian Eduard** - Doctor of Philisophy sciences. Professor. Yerevan State University. Armenia.
- Akhvlediani Tsiuri** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Akhmadi Mamed** - Doctor of Linguistics. Professor. Teiran T. Moradesi State University. Iran.
- Asatiani Valeri** - Doctor of Art. Professor. Tbilisi I.Jfvfkhishvili State University.
- Bakhtadze Mikhail** - Doctor of Historical sciences. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Berdichevsky Alen** - Doctor of Linguistics. Professor. Burgeland International Economic Institute. Austria.
- Branishte Ludmila** - Doctor of Linguistics. Professor. Iasi State University, Rumania.
- Geldiashvili Nunu** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Janpeisova Nazia** - Doctor of Art. Professor. S. Baishevi Actiubin National university. Kazakstan.
- Jdanovich Anastasia** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Attia Youseif** - Doctor of Linguistics. Accos.- Professor.USA, Kolumbis University
- Kakauridze Nanuli** -Doctor of Art. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Khabeishvili Bela** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi Javakhishvili State University. Georgia.
- Kholumenko T.** - Doctor of Psychological sciences. Professor. Kharkov National Pedagogical University. Ukrain.
- Lomtadze Tamar** - Doctor of Linguistics. Accot.- Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Maeda Hirokate** - Professor History and Archeology, Tokyo Metropolitan University, Japan, Tokio
- Makharoblidze Tamar** - Doctor of Linguistics. Professor. Iliia State University. Georgia.
- Margvelashvili Vladimer** - Doctor of medicine. Professor. Javakhishvili State University. Tbilisi. Georgia.
- Mikadze Manana** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Sanikidze Gubaz** - Doctor of Historical sciences. Professor. Tbilisi. Georgia.
- Surguladze Paata** - Doctor of Historical sciences. Professor. Tbilisi. Georgia.
- Ugrekhelidze Mindia** - Doctor of Law. Professor. Tbilisii. Georgia.

ჟურნალის ექსპერტ-რეცენზენტთა საბჭო:

- ავანესიანი გრანტ** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ერევანი, სომხეთი.
- აიდუკოვიჩი იან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბელგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სერბია.
- ანისიმოვა დარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მოსკოვის სლავისტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რუსეთი.
- არსლან ხ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტამბულის ოკანის უნივერსიტეტი, სტამბული, თურქეთი.

- აფანასიადი მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფრაკის დემოკრიტეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. კომოტინი, საბერძნეთი.
- ბალანჩივაძე რეზო** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბარხალოვი გ.** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბაქოს სლავისტიკის უნივერსიტეტი, ბაქო, აზერბაიჯანი.
- ბახტაძე დალი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ბუნიაკოვა ე.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ალბის სალენტოს უნივერსიტეტი, ალბა, იტალია.
- გავრილინა მარია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საერო უნივერსიტეტი, ლატვია
- განკევიჩი ვიქტორ** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვ. ვერნადსკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- გერსამია რუსუდან** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ილიაუნი, თბილისი, საქართველო
- გოგოლაშვილი გიორგი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- გომბეთელიანი ირინა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- გუსევა ოლგა** – პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სტამბულის ფატიხის უნივერსიტეტი, თურქეთი.
- დიომიდოვა ანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- დროზდოვა-დიესი ტ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მადრიდი, ესპანეთი.
- დუმილოვი ევგენი** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, როსტოვი, რუსეთი.
- ევმებეევა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალ ჰარაბის სახელობის საერო უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.
- ვასილევა ნელი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვარნის ნ. ვანცაროვის სახელობის სამხედრო-საზღვაო ინსტიტუტი, ვარნა, ბულგარეთი.
- ზვიადაძე ნათია** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- თავდგირიძე ლელა** – პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო
- თუმანიშვილი ხათუნა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- იზბულე ვ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რიგის პრაქტიკული ფსიქოლოგიის უმაღლესი სკოლა, რიგა, ლატვია.
- კაიცუნი რობერტ** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ერევნის ვ. ბრიუსოვის სახელობის სახელმწიფო ენათმეცნიერების უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- კარტაზია ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კვირიკაძე ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- კირვალიძე ნინო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- კიროვა ლ.** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. ტირნის წმინდა კირილისა და მეთოდეს სახელობის უნივერსიტეტი, ტირნა, ბულგარეთი.
- კობეშავიძე მარინე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

- კოვტუნი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვილნიუსის ვიტაუტას დიდის სახელობის უნივერსიტეტი, ვილნიუსი, ლიტვა.
- კორენოვსკა ლ.** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კრაკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი.
- კოროტკაია სვეტლანა** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- კოჭლოშვილი ნინო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- ლევინიკი ალექსანდრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ლემბაკი ოლეგ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ი. კონოვსკის სახელობის ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ქ. კელცე, პოლონეთი.
- მამადოვი აზად** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აზერბაიჯანის ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აზერბაიჯანი.
- მალაქელიძე ნათელა** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- მახმუდოვა გ.** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ბაქოს სამუსიკო აკადემია, ბაქო, აზერბაიჯანი.
- მუჯირი სოფიო** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
- ნადარეიშვილი აკაკი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ნიკოლეიშვილი სოფიო** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მისური კოლუმბიის უნივერსიტეტი, აშშ; მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ესპანეთი.
- პეტროსიანი ემმა** – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ერევანი, სომხეთი.
- პილიშვილი ს.** – ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ხმელნიცკის სახელობის საერო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა.
- ჟოლნეროვიჩი პეტრე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- როვენკო ალექსანდრე** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ოდესის სახელმწიფო კონსერვატორია, ოდესა, უკრაინა.
- სვანიძე რამაზ** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სიგუა სოსო** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- სიმიანი ტიგრან** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი.
- სირბილაძე მარინა** – ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სიჭინავა ნელი** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- სტარიჩენოვი ვასილ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მ. ტანკას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, მინსკი, ბელორუსია.
- ტოკარევი გრიგოლ** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლ. ტოლსტოის სახელობის ტულის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ტულა, უკრაინა.
- ფაზიევი შოხრუდ** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ტაშკენტი, უზბეკეთი.
- ფაღავა მამია** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
- ღარიბაშვილი მანანა** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო.
- შაიკენოვა ს.** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ალმა-ატის კასპისპირეთის საზოგადოებრივი უნივერსიტეტი, ალმა-ატა, ყაზახეთი.

- შენგელია ვაჟა** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
- ჩერნოვატი ლ.** - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხარკოვის საერო უნივერსიტეტი, უკრაინა.
- ჩიხლაძე ნინო** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.
- ჭუმბურიძე იოსებ** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო
- ხეჩინაშვილი გიორგი** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ხეჩინაშვილი თამარ** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისი, საქართველო.
- ხუდანაიან ჰარუტინ** - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ერევნის ისტორიის ინსტიტუტი, ერევანი, სომხეთი.

Expert Review Board of the Journal:

- Avanesian Grant** - Doctor of pshiqology. Professor. Yerevan. Armenia .
- Aidukovich Ian** - Doctor of Linguistics. Professor. Belgradi State University. Serbia.
- Anisimova Daria** - Doctor of Linguistics. Dosit. Moscow Academy of Sciences, Institute of Slavistic. Russia.
- Arslan Kh.** - Doctor of Art. Professor. Stambuli State University. Turkey.
- Aphanasiadi Maria** - Doctor of Art. Professor. Frakia Democrite State University. Greece.
- Balanchivadze Rezo** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Tbilisi State University of Art. Georgia.
- Barkhalovi G.** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Baku State University of Slavistics. Azerbaidjan.
- Bakhtadze Dali** - Doctor of Linguistics. Professor. I.Chavchavadze State University. Tbilisi. Georgia
- Buniakova E.** - Doctor of Linguistics. Professor. Alba, Salento State University. Italy.
- Chernovati L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Kharkovi National University. Ukrain.
- Chikhladze Nino** - Doctor of Law. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Chumburidze Josef** - Doctor of Art. Professor. Tbilisi. Georgia.
- Garibashvili Manana** - Doctor of Linguistics. Professor. Telavi State University. Georgia.
- Gavrulina Maria** - Doctor of Art. Professor. State University. Latvia.
- Gankevish Victor** - Doctor of Historical sciences. Vernadsky National University. Ukrain.
- Gersamia Rusudan** - Doctor of Linguistics. Assoc.- Professor. Tbilisi. Georgia.
- Gogolasvili George** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Goshkheteliani Iran** - Doctor of Linguistics. Professor. Batumi State University. Georgia.
- Guseva Olga** - Kandidat of Pedagogical sciences. Doctent. Stambuli Fatikh University. Turkey.
- Diomidova Ann** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius State University. Litvua.
- Drozdova-Dies T.** - Doctor of Art. Professor. Madridi State University, Spain.
- Dumilovi Evgeni** - Doctor of Law. Professor. Russia.
- Ekshembeeva L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Al Harabi National University. Kazakhstan.
- Vasileva Neli** - Doctor of Linguistic sciences. Professor. Varna Vantsarova State Army and Flot Institute. Bulgaria.
- Izbule V.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Riga Psicological Institute. Latvia.
- Jolnerovich Petr** - Doctor of Art. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Kaitsuni Robert** - Doctor of Philosophy sciences. Professor. Yerevan Briusov State Linguistic University. Armenia.
- Kartozia Aleksandre** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Ivane Javakhishvili State University. Georgia.
- Kvirikadze Nino** - Doctor of Art. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Kirvalidze Nino** - Doctor of Linguistics. Professor. Tbilisi. Illia State University. Georgia.
- Kirova L.** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tirna St. Kiril and Mefodi State University. Bulgaria.
- Khechinashvili George** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Khechinashvili Tamar** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Kobeshavidze Marine** - Doctor of Linguistics. Assist. Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.

- Kochloshvili Nino** - Doctor of Art. Professor. Telavi State University. Georgia.
- Kovtuni Aleksandr** - Doctor of Linguistics. Professor. Vilnius Vitautas Grait National University. Litva.
- Korenovska L.** - Doctor of Art. Professor. Krakov State Pedagogical University. Poland.
- Korotkaia Svetlana** - Doctor of Linguistics. Professor. Minsk State University. Belorussia.
- Khudanyan Harutyun** - Doctor of Historical sciences. Professor. Erevan. Armenia–
- Levitsky Aleksandr** - Doctor of Art. Professor. Kievi T. Shevchenko National University. Ukrain.
- Leshak O.** - Doctor of Linguistics. Professor. Konovsky Humanitarian University. Keltse. Poland.
- Maglakelidze Natela** - Doctor of Pedagogical sciences. Professor. Tbilisi Chavchavadze State University. Georgia.
- Makhmudova G.** - Doctor of Art. Baku musical academy. Azerbaidjan.
- Mudjiri Sophia** - Doctor of Linguistics. Assist.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Nadareishvili Akaki** - Doctor of medicine. Professor. Tbilisi. Georgia.
- Nikoleishvili Sophia** - Doctor of Philosophy. Misuri-Columbia University. USA.
- Fayziev Shohrud** - Doctor of Science in Law. Associate Professor. Chief editor at Tadqiqot.uz., Tashkent, Uzbekistan
- Pagava Mamia** - Doctor of Linguistics. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
- Petrosiani Emma** - Doctor of Historical sciences. Professor. Armenia.
- Pilishek S.** - Doctor of Psychology. Docent. Khmelnsky National University. Ukrain.
- Rovenko Aleksandr** - Doctor of Art. Odessa State Conservatory. Ukrain.
- Sigua Soso** - Doctor of Art. Professor. Tbilisi Shota Rustaveli Institute of Literature. Georgia.
- Simiani Tigran** - Doctor of Art. Docent. Yerevan State University. Armenia.
- Sirbiladze Marina** - Doctor of Psychological sciences. Assos.- Professor. Akaki Tseretely State University. Georgia.
- Sitchinava Neli** - Doctor of Linguistics. Accoc. Professor. Kutaisi Akaki Tsereteli State University. Georgia.
- Shaikenova S.** - Doctor of Law. Docent. Alma-ata University. Kazakstan.
- Shengelia Vaja** - Doctor of Linguistics. Professor. Arn. Chikobava Institute of Linguistics. Georgia.
- Starichenko Vasil** - Doctor of Art. Professor. Tanka State Pedagogical University. Minsk. Belorussia.
- Tavdgiridze Lela** - Doctor of Pedagogical Sciences. Professor. Shota Rustaveli State University. Batumi. Georgia.
- Tumanishvili Khatuna** - Doctor of Linguistics. Accos.- Professor. Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Georgia.
- Zviadadze Natia** - Doctor of Linguistic. Assist.- Professor. Akaki Tseretely State University. Georgia.

ენათმეცნიერება Linguistic

თურქულ-აზერბაიჯანული შუამავლობისათვის სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებში

ფატმან ანთაძე-კაჭარავა

ნანა კაჭარავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

e-mail: fati.antdze@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.01>

SJIF 2024: 8.268

ქართულში დადასტურებულ საშუალო სპარსულ და პართულ ნასესხობათაგან განსხვავებით, რომელთა ნაწილი ქართულში პირდაპირ, ნაწილი კი სომხურის მეშვეობით შემოდიოდა (ანდრონიკაშვილი, 1966: 9, 161), ახალი სპარსული ბოლო პერიოდამდე ქართულისთვის მხოლოდ უშუალო გამსესხებელ ენად მიიჩნეოდა.

ჩვენი კვლევით დადასტურდა, რომ რიგ შემთხვევებში ქართული სპარსიზმებს თურქული ჯგუფის ორი ენის – ანატოლიური თურქულისა და აზერბაიჯანულის შუამავლობითაც შესხულობდა.

გვიანდელ შუა საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქულ-ოსმალური პოლიტიკური გავლენის სფეროში მოქცევამ ბუნებრივად განაპირობა რიგ ქართულ ტერიტორიათა მჭიდრო ენობრივ-კულტურული კავშირი თურქეთთან. ამ კავშირის კვალი ჩანს დასავლეთ საქართველოს იმ მხარეებშიც, რომლებიც უშუალოდ არ ექვემდებარებოდნენ ოსმალურ იმპერიას.

ამავდროულად თურქულთან დასტურდება აღმოსავლურ ქართულ დიალექტთა კავშირიც. ამ დიალექტებში ნასესხობები და კერძოდ, სპარსიზმები შემოდიოდა როგორც ანატოლიური თურქულიდან, ასევე აზერბაიჯანულიდან.

ჩვენ მიერ გამოკვლეულია თურქულისა და აზერბაიჯანულის მეშვეობით ქართულში შემოსული სპარსული წარმომავლობის 35 ნასესხობა. ხსენებულ ენათა შუამავლობა გამოკვლეულ ნასესხობებში დასტურდება ფონეტიკურ და სემანტიკურ კრიტერიუმთა გათვალისწინებით. ცალკეულ შემთხვევებში გათვალისწინებულია ქართული დიალექტური მონაცემებიც.

ანატოლიური თურქულისა და აზერბაიჯანულის დიდი მსგავსების გამო, რიგ შემთხვევებში ძნელდება იმის დადგენა, თუ ამ ორ ენათაგან რომელია ქართულისთვის სპარსიზმის სესხების წყარო. ჩვენს მასალაში წარმოდგენილია ამგვარი 8 მაგალითი. ანატოლიური თურქულიდან ქართულში შემოსულია სპარსული წარმომავლობის 16 ნასესხობა. აზერბაიჯანულიდან მომდინარეობა ჩანს ქართულის მიერ ნასესხებ 11 სპარსიზმში.

საკვანძო სიტყვები: სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობა, ანატოლიური თურქული და აზერბაიჯანული ნასესხობანი.

ისტორიულმა და გეოპოლიტიკურმა ფაქტორებმა მახლობელი აღმოსავლეთის რიგ ენებთან (ირანულ ენათა ჯგუფი, სომხური, არაბული და თურქული) ქართული ენისა და ზოგადად ქართველურ ენათა მჭიდრო და ხანგრძლივი ურთიერთობები განაპირობა. ამ ურთიერთობათა შედეგად, ქართველურ ენებსა და კერძოდ, ქართულში ხსენებულ ენათაგან შემოვიდა არაერთი ნასესხობა, რომელთა ნაწილი ლექსიკურ არქივს ჩაბარდა, ნაწილი კი დამკვიდრდა და დღემდე ფუნქციონირებს ქართველურ ენებში.

ამგვარი ვითარების ფონზე ნათლად იკვეთება ქართველურ ენებში შემოსულ ორიენტალიზმთა კვლევის აქტუალობა. შესაბამისად, აღმოსავლური ნასესხობები რიგ ქართველ და ასევე უცხოელ მეცნიერთა ინტერესის სფეროში მოექცა და დაიწერა ძალზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები (აბულაძე, 1944; აბულაძე, 1962, 1969; ანდრონიკაშვილი, 1965, 1966, 1996; ბართაია, 2011; იმედაძე, 2014; გიპერტი, 1993; იმედაძე, 2014; ლეკიაშვილი, 1992; რუხაძე, 2013; ჯიქია, 1960, 1987; ჯიქია, 2008).¹

ისტორიული რეალიების გათვალისწინებითა და ხელთ არსებულ წერილობით ძეგლთა მიხედვით, ქართულს ზემოხსენებულ აღმოსავლურ ენათაგან ყველაზე უფრო ხანგრძლივი ურთიერთობები ირანულ ენობრივ ჯგუფთან აკავშირდება. ირანულ და ქართველურ ენათა ინტენსიური ურთიერთობები მოიცავს ირანულ ენათა ისტორიის სამივე პერიოდს (ძველი – ძვ. წ. VI-III სს., საშუალო – ძვ. წ. IV- ახ. წ. IX სს., და ახალი – ახ. წ. X-იდან – ანდრონიკაშვილი, 1966; ანდრონიკაშვილი, 1996).

წინამდებარე სტატიის კვლევის საგანი ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსული ნასესხობებათა დღემდე ნაკლებად გამოკვლეული შრე, კერძოდ, თურქულ-აზერბაიჯანულიდან ნასესხები სპარსიზმებია.

ქართულში დადასტურებულ საშუალო სპარსულ და პართულ ნასესხობათაგან განსხვავებით, რომელთა ნაწილი ქართულში უშუალოდ, ნაწილი კი სომხურის მეშვეობით შემოდიოდა (ანდრონიკაშვილი, 1966:9,161), ქართულისთვის ახალი სპარსული მხოლოდ უშუალო გამსესხებელ ენად მიიჩნეოდა. ამავდროულად საქართველოში არაბთა ბატონობის დასრულების შემდეგ (XI საუკუნის II მეოთხედიდან) ახალი სპარსული თავად გვევლინებოდა შუამავალ ენად ქართულში შემოსულ არაბიზმთათვის, არაბული ნასესხობები ნაწილობრივ თურქული გზითაც შემოდიოდა (ანდრონიკაშვილი, 1965: 297). ცხადია, საკუთრივ თურქიზმების პარალელურად თურქული შუამავლობით არაბიზმთა და ასევე სპარსიზმთა შესხება შედარებით გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს, როცა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო თურქულ-ოსმალური პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცა. ამან ბუნებრივად განაპირობა სამხრეთ-დასავლურ ქართულ ტერიტორიათა მჭიდრო ენობრივ-კულტურული კავშირი თურქეთთან. ამგვარი კავშირის კვალი ჩანს დასავლეთ საქართველოს იმ მხარეებშიც, რომლებიც უშუალოდ არ ექვემდებარებოდნენ ოსმალურ იმპერიას.

ამავდროულად რიგი თურქიზმებისა შემოვიდა აღმოსავლურ ქართულ დიალექტებშიც, რამდენადაც აღმოსავლეთი საქართველოც, გვიანდელი შუა საუ-

¹ ანბანური რიგის მიხედვით წარმოდგენილ ამ ჩამონათვალში ქართულში შემოსულ აღმოსავლურ ნასესხობათა საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომთა მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი. ამ თემატიკის შესახებ წინამდებარე სტატიის ერთ-ერთ ავტორსაც აქვს გამოქვეყნებული რიგი სტატიები და მონოგრაფია (ანთაძე-მალაშხია, 2018).

კუნეების ირანისა და ოსმალეთის მუდმივი ქიშპობის ასპარეზი, არ იყო თავისუფალი ოსმალური გავლენისგან. აღმოსავლურ ქართულ დიალექტებში, მეტწილად კი თბილისურ მეტყველებაში თურქული ნასესხობები შემოდიოდა როგორც ანატოლიური თურქულიდან, ასევე აზერბაიჯანულიდან. ამის მიზეზი აზერბაიჯანული თემის მჭიდრო დასახლებათა არსებობაა ქვემო ქართლსა (თავად თბილისის ჩათვლით) და კახეთის ზოგიერთ სოფელში. თურქულ-აზერბაიჯანულ ნასესხობათა ნაწილი, სხვა ენათაგან შემოსულ ნასესხობათა მსგავსად, სტანდარტული/სალიტერატურო ქართულის სხვადასხვა სტილისტურ შრეებში დაილექა.

აღმოსავლურ ქართულ დიალექტთა ურთიერთობა თურქულ-ოღუზურ ენათა ჯგუფის როგორც ანატოლიურ, ასევე აზერბაიჯანულ განშტოებასთან აისახა სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილ ლექსიკონშიც, სადაც ქართულ ლექსემათა „თურქულ შესატყვისებში წარმოდგენილია როგორც აზერბაიჯანული ენისათვის ნიშანდობლივი ლექსიკური ერთეულები და ფორმები, ასევე ანატოლიური ქართულისა“ (აბულაძე, 1968: 69). ამავდროულად ც. აბულაძე აღნიშნავს, რომ „მაინც ლექსიკონის თურქულენოვან შესატყვისებში სჭარბობს აზერბაიჯანული ლექსიკური ერთეულები“ (აბულაძე, 1968: 69).

არაბიზმებითა და სპარსიზმებით გაჯერებული ანატოლიური თურქულიდან და აზერბაიჯანულიდან ქართულმა ისესხა არა მხოლოდ საკუთრივ თურქული, არამედ არაბული და სპარსული წარმომავლობის სიტყვებიც. ქართულში თურქულ-აზერბაიჯანული გზით შემოსულ სპარსული წარმომავლობის ნასესხობათა შესწავლა ბოლო პერიოდამდე არ წარმოადგენდა სამეცნიერო კვლევის საგანს. იგივე შეიძლება ითქვას ქართულის მიერ თურქულ-აზერბაიჯანული შუამავლობით ნასესხებ არაბიზმებზეც. ეს საკითხიც უსათუოდ საჭიროებს სამომავლო კვლევას არა მხოლოდ თურქოლოგებისა და არაბისტების, არამედ ირანისტების ჩართულობითაც, რადგან სავარაუდოდ, არაბულ ნასესხობათა მნიშვნელოვანი ნაწილი თურქულში სპარსული გზითაა შესული. ამგვარი მოსაზრების საფუძველს სპარსულისა და თურქულის მჭიდრო ენობრივი ურთიერთობები და ოსმალურ იმპერიაში სპარსული ენისა და ლიტერატურის მაღალი პრესტიჟი იძლევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „თურქულ ლიტერატურაზე დასაბამიდან XX საუკუნის ადრეულ პერიოდამდე დიდ გავლენას ახდენდა კლასიკური სპარსული მწერლობა. სპარსული ენისა და ლიტერატურის ცოდნა ოტომანური განათლების აუცილებელი პირობა იყო“ (თითვე, 1967: 125).

აქვე დავსძენთ, რომ განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევა სპარსულ-აზერბაიჯანული ენობრივი ურთიერთობები, რაც ისტორიულად განაპირობა მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანული თემის სახლობამ ირანის ტერიტორიაზე.

სპარსიზმთა თურქულ-აზერბაიჯანული გზით ქართულში შემოსვლის საკითხი პირველად განხილულ იქნა ორ კონფერენციაზე (ანთაძე-მალაშხია, კაზიმოვი, 2021; ანთაძე-მალაშხია, კაჭარავა, 2023) და ნაწილობრივ ერთ-ერთ სტატიაში (ანთაძე-მალაშხია, 2024). წინამდებარე სტატიის ქართული საკვლევი მასალა, მისი თურქულ-აზერბაიჯანული პარალელები და სპარსული ეტიმონები ჩვენ მიერ მოძიებულია განმარტებითა და ზოგიერთ დიალექტურ ლექსიკონში (აივერდი, 2005; ანვარი, 1381/2002; გრიშაშვილი, 1997; დეჰხოდა, 1931; თურქული ენის ლექსიკონი, 1998; ორუჯოვი, 2006; როსტიაშვილი, 1978; ქეგლ, 1950-1964). მასალის მოძიების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ასევე ლ. რუხაძისა და ნ. კაჭარავას მიერ შედგენილი და გამოსაცემად მომზადებული თურქულისა და ქართულისათვის საერთო სიტყვათა ლექსიკონი, რომელიც მოიცავს როგორც საკუთრივ თურქული წარმომავლობის ერთეულებს, ასევე თურქულსა და ქართულში

წარმოდგენილ სპარსულიდან და არაბულიდან ნასესხებ ლექსიკურ პარალელებს. მნიშვნე-ლოვნად დაგვეხმარა ასევე აზერბაიჯანის ელვირა ასლანოვას რჩევები.

ქართულში დადასტურებულ სპარსულ ნასესხობათა გარკვეული ნაწილის ანატოლიური თურქულიდან თუ აზერბაიჯანულიდან მომდინარეობას ადასტურებს ამ ნასესხობათა ფონეტიკური ფორმა ან სემანტიკური შინაარსი.

ანატოლიურ თურქულში სპარსულ ფონემათა შეთვისებისა და ასევე მათი სემანტიკური ადაპტაციის საკითხი განხილულია გამოჩენილ ფრანგ ირანისტ ლაზართან თანამშრომლობით მომზადებულ სტატიაში (თითცე, 1967). რაც შეეხება სპარსულ-აზერბაიჯანული ენობრივ ურთიერთობებს, ამ თვალსაზრისით, ყველა-ზე უფრო სრული ნაშრომი წარმოდგენილია მოჰამადრაჰიმის მიერ (მოჰამადრაჰიმი, 2021). ამის მიუხედავად, ხსენებულ კვლევაში არ განხილება ფონეტიკური შესატყვისობების საკითხი, თუმცა ცალკეული მაგალითები ადასტურებს, რომ აზერბაიჯანულში ნასესხები სპარსიზმები აშკარად მეტ ფონეტიკურ მსგავსებას ავლენენ ეტიმონებთან ვიდრე ანატოლიურ თურქულში წარმოდგენილი იმავე წარმომავლობის ნასესხობები. ცხადია, ამ გარემოების მიზეზი სპარსულ აზერბაიჯანულ ენობრივ კონტაქტთა მეტი სიმჭიდროვეა.¹

სპარსულ-თურქულ-აზერბაიჯანულ-ქართული პარალელების განხილვისას ჩვენ მიერ მინიმალურად იქნება ასახული სპარსულ ეტიმონთა და თურქულსა და აზერბაიჯანულში გადასულ მათ შესაბამის ნასესხობათა პოლისემია. წარმოვადგენთ მხოლოდ ქართულ პარალელთათვის რელევანტურ მნიშვნელობებს.

რიგ შემთხვევებში, ანატოლიური თურქულისა და აზერბაიჯანულის დიდი მსგავსების მიზეზით, ძნელი დასადგენია ესა თუ ის სპარსიზმი ქართულში ანატოლიური თურქულიდანაა შემოსული თუ აზერბაიჯანულიდან. ეს შემთხვევები ეხება იმ ნასესხობებს, რომელთა ფონეტიკური სახე და შინაარსობრივი მნიშვნელობა იდენტურია ანატოლიურ თურქულსა და აზერბაიჯანულში. ამგვარი მაგალითებია:

1. ქართ. **ბეზირგან**-ი „დიდვაჭარი“ (ზართაია, 2011: 26, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით) <თურქ. **bezirgân**[bezirgän] „ვაჭარი“/აზერ. **bezirgan**[bezirgan] „ვაჭარი“ <კლას. სპარს. **بازارگان** [bāzārgān] „ვაჭარი“.

ქართულში **ბეზირგანის** ზემოთ მოტანილი მნიშვნელობა მცირედაა შეცვლილი. ამ სიტყვას მიუღია სხვა შინაარსიც: „ოჯახის ბურჯი, არა მხოლოდ გამრჯელი, - მბრძანებელი, ზედამხედველი“ (გრიშაშვილი, 1997).

2. ქართ. **გიაურ**-ი *მოდვ.* „უღვთო, ურჯულო(მუსლიმანთა სალანძღავი სიტყვა არამუსლიმანთა მიმართ)“ <თურქ. **gâvur**[gävur] 1. „ურწმუნო“; 2. „არა მუსლიმი“/აზერ. **gavur**[gavur] 1. „ურწმუნო“; 2. „არა მუსლიმი“ <კლას. სპარს.² **گابر** [gabr] 1. „მაზდეანი; ცეცხლთაყვანისმცემელი“; 2. „ურჯულო; ურწმუნო; არამუსლიმი“

ამ შემთხვევაში სპარსული **b**-ს **v**-დ გადმოსვლა თურქულში და შესაბამისად, აზერბაიჯანულში ანომალიური შემთხვევაა, სპარსული **b** ჩვეულებისა-მებრ, თურქულში აისახება **b**-დ ან **p**-დ (თითცე, 1967:128, 135-136). რაც შეეხება თანხმომავანთკომპლექსში ხმოვნის ეპენტეზას(სპარს. **br**>თურქ./აზერბ. **vr**), ეს საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა თურქულსა და აზერბაიჯანულში (თითცე, 1967:127). ქართული **გიაურის** თურქულ-

¹ თავად თურქულ ენათა ჯგუფისა და კერძოდ, ანატოლიური თურქულისა და აზერბაიჯანულის ფონეტიკურ შესატყვისობათა შესახებ იხ.(შჩერბაკი, 1970).

² ეტიმონებად მითითებულია კლასიკური და არა პოსტკლასიკური პერიოდის ახალი სპარსულის ვარიანტები, რადგან წინამდებარე სტატიაში განხილული თურქულ-აზერბაიჯანული და ქართული ლექსიკური პარალელები სწორედ კლასიკური სპარსულიდანაა(X-XV საუკუნეები) ნასესხები.

აზერბაიჯანულიდან მომდინარეობა სრულიად ნათელია. რაც შეეხება თურქ. **â[ä]**-ს და აზერბ. **a**-ს ქართულში ია-დ გადმოსვლა განპირობებული უნდა იყოს **â[ä]** თურქ.-აზერბ. **g**-ს სირბილით (მომდევნო არბილებს **â[ä]** ამ თანხმოვანს), რის გამოც თურქ.-აზერბ. **g** ქართულშია **gy**-დ აღიქვა.

3.ქართ. **ზარხომ**-ი „ღვინის სმისგან გამხიარულებული; შექეიფიანებული, შემთვრალი, შეზარხომებული“ <თურქ. **sarhoş[sarhoş]** 1., მთვრალი, გაბრუებული, შექეიფიანებული, შემთვრალი, შეზარხომებული“; 2. გადატ. „რადაცით ბედნიერი, გაბრუებული“ /აზერ. **sərxoş[særxoş]** 1., მთვრალი, გაბრუებული, შექეიფიანებული, შემთვრალი, შეზარხომებული“; 2. გადატ. „რადაცით ბედნიერი, გაბრუებული“ <კლას. სპარს. **سرخوش [sarxoš]** 1., მხიარული; ბედნიერი“; 2., შექეიფიანებული, შემთვრალი, შეზარხომებული“.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოტანილ მაგალითებში ქართულის გარდა, ყველგან თავკიდური **s**-თია წარმოდგენილი, შესაძლოა, თავკიდური ქართული **ზ** მაინც რომელიმე თურქული, კერძოდ, კასტამუნის დიალექტიდან იყოს მომდინარე. შენიშნულია, რომ „არაბული და სპარსული წარმომავლობის ნასესხებ სიტყვებში თავკიდური და აგრეთვე სხვა პოზიციის ყრუ სპირანტი **ს** მქლერდება“ (ჯიქია, 1960:1).

4.ქართ. **ზურნა** „აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი“ <თურქ. **zurna[zurna]** „ზურნა“ /აზერ. **zurna[zurna]** „ზურნა“ <კლას. სპარს. **زرنه/سرنه [zurnā/surnā]** „ზურნა“.

რამდენადაც სპარსულშიც არის **zurnā** ვარიანტი ძნელი გასარკვევია ქართულში **ზურნა** უშუალოდ სპარსულიდანაა ნასესხები, თუ თურქულ-აზერბაიჯანული შუამავლობითაა შემოსული. არაა გამორიცხული თავად სპარსულში **surnā**-ს პარალელურად **zurnā**-ს გაჩენა აზერბაიჯანულის გავლენის შედეგი ყოფილიყო.

5.ქართ. **თიფტიკ**-ი „ზოგიერთი ცხოველის (თხის, ცხვრის, სიასამურის, კვერნის...) წვრილი და ნაზი ბალანი“ <თურქ. **tiftik[tiftik]** „ანგორა – თხის რბილი, თხელი და მზინავი მატყლი“ /აზერ. **tiftik[tiftik]** „ანგორა – თხის რბილი, თხელი და მზინავი მატყლი“ <კლას. სპარს. **تفتک/تفتیک [taftak/taftik]** იმე. „თხის მატყლი“.

6.ქართ. **ყუმბარა** 1., საარტილერიო ფეთქებადი ჭურვი მტრის ცოცხალი ძალის თავდაცვითი ნაგებობის გასანადგურებლად“; 2., იგივეა, რაც ხელყუმბარა“ <თურქ. **kumbara/humbara[kumbara/humbara]** „ყუმბარა“ /აზერ. **qumbara[gumbara]** „ყუმბარა“ <კლას. სპარს. **خمبارہ/قبارہ [xumpāra/qumbāra]** მოძე. „ნახევარჩექმის სახეობა“.

თურქული თავკიდური **k** და ზოგჯერ აზერბაიჯანული **q**, რომლებიც არქიფონემა **K**-ს წარმოადგენენ **უ**-ს წინ ქართულში უპირატესად **ყ**-დ გადმოდის (ჯიქია, 2008:22).

ზურნას მსგავსად, შესაძლოა, **ყუმბარაც** არა თურქულ-აზერბაიჯანულიდან, არამედ სპარსულიდან იყოს ნასესხები. თურქულ-აზერბაიჯანულ პარალელთა სპარსულ პროტოტიპ **qumbāra**-ს დეჰხოდა **xompāra**-ს თურქიზებულ ფორმად მიიჩნევს (დეჰხოდა, 1931). სპარსული ამოსავალი ფორმის სპარსულშივე თურქულ ყაიდაზე გადასხვაფერება, სავარაუდოდ, აზერბაიჯანულის გავლენამ განაპირობა.

7.ქართ. **ჯუჯა** „ძალიან პატარა ჩია ტანის ადამიანი; ქონდრისკაცი, ლილიპუტი“ <თურქ. **cüce[jüje]** „ჯუჯა, ქონდრისკაცი“ /აზერ. **cüca[jyjæ]** „ჯუჯა, ქონდრისკაცი“ <კლას. სპარს. სპარს. **جوجہ [juja]** 1., ბარტყი; წიწილა“; 2., სუსტი, უძალდონო“.

სპარსულ ეტიმონს არა აქვს ქონდრისკაცის მნიშვნელობა, რომელიც წარმოდგენილია თურქულსა და აზერბაიჯანულში, რაც ადასტურებს, რომ ქართულში ეს სიტყვა ამ უკანასკნელთაგანაა ნასესხები.

8.ქართ. ჰაი-ჰუი „იტყვიან ხმამაღალი ლაპარაკის შესახებ, კაკანის, ქოთქოთის შესახებ“ <თურქ. **hayhuy** [hayhuy] „ხმაური; ყაყანი, ქოთქოთი“/აზერ. **hay-huy/hay-küy** [hayhuy/hayküy] „ხმაური; ყაყანი, ქოთქოთი“ <კლას. სპარს. **هائو هائو/هيا هو** [hāyohuy/hayāhu] „ხმაური; ყაყანი, ქოთქოთი“.

წარმოდგენილ პარალელთა ლექსიკური მნიშვნელობები იგივეობრივია, მაგრამ ქართული ვარიანტის მომდინარეობას თურქულ-აზერბაიჯანულიდან ადასტურებს ფონეტიკური სახე, სადაც ამოვარდნილია სპარსული ეტიმონის ერთ-ერთ ფორმაში არსებული **h**, რომელიც ამ კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა კავშირად წარმოგვიდგება.

ანატოლიური თურქულიდან მომდინარედ მივიჩნევთ ქართულში შემოსულ სპარსული წარმომავლობის შემდეგ ნასესხობებს:

1.ქართ. **აზატ-ი/აზად-ი** 1.ისტ. „თავისუფალი“ (ქეგლ, 19950-1964); 2.„თავისუფალი გლეხი შუა საუკუნეების საქართველოში“ (უელ, 2006) <თურქ. **azat** [azat] „გათავისუფლებული, თავისუფალი, გადარჩენილი“/აზერ. **azad** [azad] „თავისუფალ, გათავისუფლებული“ <კლას. სპარს. **آزاد** [āzād] 1.„თავისუფალი“; 2.„განთავისუფლებული (ვთქვათ, ციხიდან, ტყვეობიდან)“; 3.„მიწათმოქმედებისგან თავისუფალი; მიშვებული“.

სემანტიკური თვალსაზრისით, ქართული **აზატ/აზადის** ორივე მნიშვნელობა ეფუძნება სპარსული ეტიმონის მნიშვნელობებს. განსახილველი სიტყვის ორი ქართული ფონეტიკური ვარიანტი კი გვაფიქრებინებს, რომ ადგილი ჰქონდა ციკლურ სესხებას. როგორც ჩანს, თავდაპირველად უშუალოდ სპარსულიდან შემოვიდა **აზად** ფორმა, მოგვიანებით კი ანატოლიური თურქულის გავლენით დამკვიდრდა **აზატ**, სადაც სპარსულ-თურქულ ბგერათმესატყვისობათა შესაბამისად, დაყრუბულია ეტიმონის ბოლოკიდური **d** (თითვე, 1967:128). თურქულისგან განსხვავებით, ხსენებული შენარჩუნებულია **d** აზერბაიჯანულში.

2.ქართ. **აფერუმ** „ყოჩაღ! ბარაქალა!“ <თურქ. **aferin/aferim** [aferin/aferim] „აფერუმ! ყოჩაღ!“/აზერ. **afərin** [afərin] „აფერუმ! ყოჩაღ!“ <კლას. სპარს. **آفرین** [āfarin] „აფერუმ! ყოჩაღ!“.

ქართული **აფერუმის** ამოსავალია **m**-ზე დაბოლოებული თურქული **aferim** ფორმა. **i**-ს ბაგისმიერ უ-ში გადასვლა განაპირობა მომდევნო წყვილბაგისმიერმა **m>მ**-მ.

3.ქართ. **ბეჯით-ი** 1.„დაუზარელი, გულმოდგინე, მუყაითი, მეცადინე“; 2.„ერთგული, თავგამოდებული“ <თურქ. **becit** [bejit] „სერიოზული, მნიშვნელოვანი; საჭირო“/აზერ. **becid** [bejid] „სწრაფად, ჩქარა!“ <კლას. სპარს. **بج** [bejed(d)] 1. *ზედ. სახ.* „დაუზარელი, გულმოდგინე, ბეჯითი“; 2. *ზმზდ. მოძვ.* „სერიოზულად; გულმოდგინედ, დაბეჯითებით“.

ქართული ფორმის თურქულიდან მომდინარეობას ადასტურებს მისი ფონეტიკური მსგავსება თურქულ პარალელთან (თურქ. **t**>ქართ. **თ**).

ქართული **ბეჯითი** გარდა ფონეტიკურისა, მორფოლოგიური თვალსაზრისითაც ეფუძნება თურქულ ზედსართავ **becit**-ს. ამ უკანასკნელში შეცვლილია სპარსული **بج** [bejed(d)]-ის მორფოლოგიური კატეგორია. ზმნიზედად რჩება ეტიმონთან ფონეტიკურადაც უფრო ახლო მდგარი აზერბაიჯანული **becid**. ქართულ ვარიანტში შინა-არსობლივად გადააზრებულია თურქული პარალელის მნიშვნელობა „სერიოზული“.

4.ქართ. **გუდურა** „ერთი შეკვრა(ერთი წამოკიდება) წვრილი შეშა, ფიხი“/გუდა 1.„ოთხში ამოღებული ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის პარკი (ჩვეუ-ლებისამებრ, ზურგზე ან მხარზე გადასაკიდებელი)“; 2.„იგივეა, რაც ტიკი“ <თურქ. **güderi** [güderi] 1.„თხის, ცხვრის, ბატკნის, ირმის ტყავისგან გამოყვანილი რბილი, ჩვილი ტყავი“; 2.„ამ ტყავისგან

დამზადებული გასაწმენდი ჩვარი“ <კლას. სპარს. **بجهد** [bejed(d)] იმგ. „სერიოზულად; გულმოდგინედ, დაბეჯითებით“.

აზერბაიჯანულში ამ ლექსემის პარალელი არ დასტურდება.

ორივე ქართული ვარიანტი ფონეტიკურად ახლოა თურქულ ფორმასთან: თურქ. **k**>ქართ. **გ** და არა სპარს. **k**>ქართ. **ქ** ან **კ**. ამგვარი გადასვლა ასახავს **k** ბგერის სპარსულ-ქართულ შესატყვისობას (ანდრონიკაშვილი, 1996: 39). **გუდურა**>**გუდა** ცვლილებას ადგილი ექნებოდა უკვე თავად ქართულში. ერთი და იმავე ამოსავალი ფორმიდან წარმოიქმნა ფონოსემანტიკურად განსხვავებული ვარიანტები. თურქული პარალელის მნიშვნელობები **გუდურასა** და **გუდაში** შინაარსობლივად მეტონიმის საფუძველზეა შეცვლილი. **გუდას** შემთვევაში ეს ცვლილება თვალსაჩინოა, **გუდურას** მნიშვნელობა კი უკავშირდება **გუდას**, როგორც ოთხში ამოღებული ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის პარკში ჩაწყობილი მასალა.

ქართ. **გუდურა** „ერთი შეკვრა(ერთი წამოკიდება) წვრილი შეშა, ფიჩხი“/**გუდა** 1.„ოთხში ამოღებული ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის პარკი(ჩვეულებისამებრ, ზურგზე ან მხარზე გადასაკიდებელი)“; 2.„იგივეა, რაც ტიკი“

5.ქართ. **თერძ**-ი „მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი“<თურქ. **terzi**[terzi] „მკერავი“/აზერ. **darzi**[dærzi] „მკერავი!“<კლას. სპარს. **داز** [darzi] „მკერავი“.

სემანტიკურად დავიწროებული ქართული ფორმა მომდინარეა თურქულიდან და არა აზერბაიჯანულიდან, რაზეც მიუთითებს მისი ფონეტიკური მსგავსება თურქულ პარალელთან(თურქ. **t**>ქართ. **თ**).

6.ქართ. **ლაფჩინი** *კუთხ. და იმერ.* „ერთგვარი წაღა“<თურქ. **lâpçin**[la:pçin] „თასმებით ამოსაკრავი ტყავისპირიანი წულა“/აზერ. **lapçin**[lapçin] „თასმებით ამოსაკრავი ტყავისპირიანი წულა“<კლას. სპარს. **لابچين** [labçin] *მოძვ.* „ნახევარჩექმის სახეობა“.

ამ ლექსემის დასავლურ ქართულ, კერძოდ, იმერულ კილოში დამკვიდრება **ლაფჩინის** თურქული წრიდან მომდინარეობაზე მიუთითებს. ამასვე ადასტურებს თურქ.-აზერ. **p**>ქართ. **ფ**, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს სიტყვა უშუალოდ სპარსულიდან იყოს ნასესხები და სპარს. **b** ქართულში დაყრუებულიყოს(ზ>ფ) მომდევნო **ჩ**-ს გავლენით.

7.ქართ. **ნიშადურ**-ი „თეთრი კრისტალური ნივთიერება, ქლორიანი ამონიუმი“<თურქ. **nişadır**[nişadır] „ნიშადური“/აზერ. **naşatır**[naşatır] „ნიშადური“ <კლას. სპარს. **ناشادر** [naşādor/noşāder/noşādor] „ნიშადური“.

აქ ქართულ ვარიანტში კონტამინირებულია სპარსული **naşādor/noşāder/noşādor**-ისა და თურქული **nişadır**-ის ფონეტიკური ფორმები.

8.ქართ. **სეფა** „გრძელი კარავი (ჩვეულებრივ, ფოთლიანი ტოტებით გადახურული) მართავენ სახელდახელოდ ცის ქვეშ ლხინის, ქორწილის ან ქელე-ხის დროს“; 2.„იხ. სუფრა“<თურქ. **sehpa**[sehpa] 1.„სამფეხა მაგიდა ან სკამი“; 2.„ოთხფეხა, დაბალი, პატარა მაგიდა“; 3.„ზედ რაიმეს დასაწყობად მოწყობილი სამფეხა საყრდენი“; <კლას. სპარს. **سپاه** [sepāye] „სამფეხა მოწყობილობა, ზედადგარი; ქვესადგამი, საყრდენი“.

აზერბაიჯანული კორელატი არ დასტურდება.

ქართული პარალელის მომდინარეობას თურქულიდან ცხადყოფს ფონეტიკური ფორმა (**h**, როგორც სუსტი ბგერა მეტწილად ამოვარდნილია ქართულში ნასესხებ სიტყვებში). **სეფა** სემანტიკურად ცვლილია. მისი ამოსავალი თურქული მნიშვნელობაა „ოთხფეხა, დაბალი, პატარა მაგიდა“.

9.ქართ. **სინჯაფ**-ი „ციყვი“ <თურქ. **sincap[sinjap]** „ნიშადური“/აზერ. **sincab [sinjab]** „ციყვი“ <კლას. სპარს. **سنجاب [sanjāb]** 1.„ციყვი“; 2.„ციყვის ბეწვი“; 3.მოძვ. გადატ. „ციყვის ბეწვის სამოსი“.

თურქულსა და აზერბაიჯანულში სპარსული **a** გადმოიცა **o**-თი ქართული ვარიანტისთვის ამოსავალი თურქული ფორმაა.

10.ქართ. **ფაბუჩ**-ი იხ. **ფაჩუჩ**-ი 1.„საშინაო თბილი, უქუსლო ფეხსაცმელი“; 2.„ბავშვის ფეხსაცმელი“; 3.კუთხ. ქიზ. „შინაური ფრინველის ფეხზე შებმული ნიშანი“ <თურქ. **pabuç[pabuç]** „ფეხსაცმელი“ <კლას. სპარს. **پاپوش [pāpuš]** 1.„საშინაო ფეხსაცმელი“; 2.„ფეხსაცმელი“.

აზერბაიჯანული კორელატი არ დასტურდება.

სადღეისოდ ხმარებიდან გამოსული **ფაბუჩი** მომდინარეა თურქული **pabuç**-იდან, რომელიც მოგვიანებით ბოლო მარცვლის **ჩ**-სთან დისტანტური რეგრესული ასიმილაციით **ფაჩუჩად** გარდაიქმნა. აქაც კონტამინირებულია თურქული და სპარსული პარალელები, რადგან **ფაბუჩი/ფაჩუჩი** სემანტიკური თვალსაზრისით, ეფუძნება სპარსული ეტიმონის პირველ მნიშვნელობას „საშინაო ფეხსაცმელი“.

11.ქართ. **ფარა** - 1.მოძვ. „უმცირესი ფულის ერთეული“; 2.კუთხ. იმერ. გურ. მეგრ. „საერთოდ, ფული“ <თურქ. **para[para]** 1.„ფული“; 2.გადატ. „სიმდიდრე, ქონება“/აზერ. **para[para]** „ნახევარი; სხვა ნაწილი; წილი“ <კლას. სპარს. **پاره [pāra]** 1.„ნაკუწი; ნაჭერი; ქსოვილის ნაკუწი“; 2.„წილი“; 3.„ნამსხვრევი(ჭურვის)“; 4.„საკერებელი“; 5.მოძვ. „წვრილი ფული“; 6.მოძვ. „ფულადი გასაკითხი; ქრთამი“; 7.მოძვ. „წვრილი მონეტა“; 8.„საჩუქარი; ძღვენი“.

ქართ. **ფარას** ფონეტიკური სახისთვის ამოსავალი შეიძლება ყოფილიყო როგორც კლასიკური სპარსული, ასევე თურქულ-აზერბაიჯანული ფორმა, მაგრამ **ფარას** დამკვიდრება დასავლურ ქართულ დიალექტებში ცხადყოფს მის მომდინარეობას ანატოლიური თურქულიდან.

12.ქართ. **ქეძაფ-ი/თეზაფ-ი** - „აზოტმჟავასა და მარილმჟავას ნარევი“ <თურქ. **kezzap[kezzap]** „აზოტმჟავა“/აზერ. **tizab[tizab]** „აზოტმჟავა“ <კლას. სპარს. **تیزاب [tizāb]** „აზოტმჟავა“.

ზემოთ მოტანილი ქართულ პარალელურ ფორმათაგან **თეზაფი**, როგორც ჩანს, შემოსულია უშუალოდ სპარსულიდან ან აზერბაიჯანულიდან, ხოლო დასავლურ დიალექტებში დამკვიდრებული **ქეძაფი** ანატოლიური თურქულიდანაა ნასესხები.

13.ქართ. **ყარფუზ**-ი „იგივეა, რაც საზამთრო“ <თურქ. **karpuz[karpuz]** „საზამთრო“/აზერ. **qarpiz[garpiž]** „საზამთრო“ <კლას. სპარს. **خربز/خرپز [xarboz/xarboze]** „ნესვი“.

თურქულსა და აზერბაიჯანულში სახეცვლილია სპარსული ეტიმონის ფონეტიკური სახე და სემანტიკური მნიშვნელობა. ქართული პარალელისთვის ამოსავალი ფორმაა თურქული ვარიანტი. ეს სიტყვა ამჟამად დასავლურ ქართულ დიალექტებშია გავრცელებული **ხაზურზაკის** პარალელურად, თუმცა როგორც ჩანს, **ყარფუზი** გამოიყენებოდა აღმოსავლეთ საქართველოშიც, რადგან ის ასახული ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ (გრიშაშვილი, 1997). ასევე გვხვდება ქიზ.იყურში **ყარფუზა** „ერთგვარი ლეღვი“. რაც შეეხება თურქ. **k**>ქართ. **ყ**-ს, „თურქული ანლაუტისეული /k/ ქართულში უპირატესად /y/ თანხმოვნადაა ფიქსირებული“ (ჯიქია, 2008:22).

14.ქართ. **შადრევან**-ი „წნევის ძალით ამოტყორცნილი სითხის(ჩვეულებრივ, წყლის) ნაკადი“ <თურქ. **şadırvan[şadırvan]** „შადრევანი; ძირითადად მეჩეთის ეზოებში მდებარე

მრავალონკანიანი, შუაში მოჩუხჩუხე წყლით და თავზე გუმბათით ან ღია აუზი“ <კლას. სპარს. شادروان [šādorvān] 1., „კაშხალი“; 2., „სადირკველი“; 3., „მადრევანი“.

აზერბაიჯანული ფორმა ვერ მოვიძიეთ.

ფონეტიკური ფორმის მიხედვით, ქართულში ეს სიტყვა თურქულიდანაა ნასესხები, თუმცა მეტათეზით (თურქ. **ir**>ქართ. ***ირ**>***რი**>**რე**) თურქული წარმოთქმა ქართულში გადასხვაფერებულა.

15. ქართ. **ხონთქარ**-ი მოძვ. „ოსმალეთის მეფე, სულთანი“ <თურქ. **hünkâr**[hünkâr] „ოსმალეთში მხოლოდ ფადიშაჰების წოდება, მბრძანებელი“ <კლას. სპარს. خادوانگار [xodāvandgār] 1., „ღმერთი, უფალი“; 2. *მწიგნ.* „ბატონი, მბრძანებელი“.

აზერბაიჯანული პარალელი არ დასტურდება.

ქართულისთვის ამოსავალია თურქული ფორმა: თურქ. **hünkâr**>ქართ. ***ჰუნქარი**>***ჰონქარი**>***ხონქარი**>**ხონთქარი** - ქართულში -სა და -ს შორის განვითარდა თ).

16. ქართ. **ჯანყ**-ი 1., „იგივეა, რაც აჯანყება“; 2., „შფოთი, უკმაყოფილება“ <თურქ. **cenk**[jenk] 1., „შეიარაღებული შეტაკება, ომი, ბრძოლა“; 2., „ჯანყი, დავა, ჩხუბი“/აზერ. **cəng** 1., „შეიარაღებული შეტაკება, ომი, ბრძოლა“; 2., „ჯანყი, დავა, ჩხუბი“ <კლას. სპარს. جنگ [jang] 1., „ომი“; 2., „შეხლა-შემოხლა; დაპირისპირება“; 3., „ჩხუბი“.

ბუნდოვანია, ქართულში **ჯანყი** უშუალოდ სპარსულიდანაა შემოსული, თუ თურქულიდან ან აზერბაიჯანულიდან, რადგან ძალზე იშვიათად სპარსული **g** ქართულში **ყ**-დ გადმოდის. ამის მაგალითად მოტანილი **რიყე** და **ჯანყი** (ანდრონიკაშვილი, 1996:37). ვფიქრობთ, **ყ** ქართულ **ჯანყში** თურქული **k**-დან უნდა მომდინარეობდეს, რადგან რიგ შემთხვევებში თურქ. **k**>ქართ. **ყ** გადასვლა ბუნებრივია.

აზერბაიჯანულიდან ქართულში შემოსულია შემდეგი სპარსიზმები:

1. ქართ. **დაზგა** „დიდი მაგიდა, რომელზეც ოსტატები მუშაობენ“ <აზერ. **dəzğah**[dəzğah] „დაზგა“/თურქ. **tezgâh**[] „დაზგა“ <კლას. სპარს. دستگاه [dastgâh] „დაზგა“.

ქართულში ამ სიტყვის აზერბაიჯანულიდან შემოსვლას ადასტურებს აზერბაიჯანულ და ქართულ ვარიანტთა ფონეტიკური მსგავსება. კერძოდ, სპარსული **st** ბგერათკომპლექსის **ზ** ფორმით შეთვისება ქართულისთვის უჩვეულოა. წესისამებრ, ეს ბგერათკომპლექსი ქართულში ყოველთვის **სტ**-დ გადმოდის (ანდრონიკაშვილი, 1996: 16), ხოლო თურქულსა და აზერბაიჯანულში **st** ბგერათკომპლექსი ადაპტირებულია **z**-დ. თურქულისთვის ბუნებრივია სპარსული **d**-ს **t**-დ შეთვისება (თითცე, 1967: 128), აზერბაიჯანულში კი სპარსული **d** შენარჩუნებულია. ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს ქართულში **დაზგა** ლექსემის აზერბაიჯანულიდან მომდინარეობას.

2. ქართ. **დახლიდარ**-ი „დახლში მდგომი, დახლში მოვაჭრე“ <აზერ. **daxıldar**[daxıldar] „დახლიდარი“/თურქ. **dahildâr**[dahildâr], „დახლიდარი“ <კლას. სპარს. دخلدار [daxıldâr] „დახლიდარი“.

ქართულ პარალელში წარმოდგენილი **ლ**-ს შემდგომი **ი** ცხადყოფს, რომ **დახლიდარი** უშუალოდ სპარსულიდან არაა შემოსული. ის უნდა მომდინარეობდეს აზერბაიჯანულიდან, რასაც ადასტურებს სპარსული **x** ბგერის შენარჩუნება აზერბაიჯანულში. ეს ბგერა თურქულს, აზერბაიჯანულისგან განსხვავებით, არ გააჩნია.

ქართულში მოხდა **il**>**ლი** მეტათეზისი: **daxıldar**>***დახილდარი**>**დახლიდა**-რი.

3. ქართ. **დინგ**-ი „საცეხველი ბრინჯისა, სანაყი ნიგვზისა და სხვ. (ოსტიაშვილი, 1978)“ <აზერ. **ding**[ding] „ბრინჯის საცეხველი“/თურქ. **dink**[dink] „ბრინჯის საცეხველი“ <კლას. სპარს. دنگ [dang/deng] „ბრინჯის საცეხველი“.

ქართულ დინგში როგორც სპარსული ბოლოკიდური სპარსული **g**-ს გადმოტანა, რომელიც შენარჩუნებულია აზერბაიჯანულში (თურქულში ის გადმოცემულია **k**-თი) და ამ ლექსემის არსებობა აზერბაიჯანულთან მჭიდროდ კონტაქტირებად ინგილოურ დიალექტში ადასტურებს დინგის აზერბაიჯანულიდან სესხებას.

4. ქართ. **თოხუმი** „ჩამომავლობა, ჯიში“ < აზერ. **toxum**[**toxum**] „ჩამომავლობა, ჯიში“/თურქ. **tohum**[**tohum**] „ჩამომავლობა, ჯიში“ < კლას. სპარს. **تخم** [**toxm**] „ჩამომავლობა, ჯიში“.

ქართულ პარალელში ასახულია თურქულ-აზერბაიჯანულ ვარიანტებში **xm** ბგერათკომპლექსში ეპენტეზური ხმოვნის **u**-ს ჩართულობა, რაც გამორიცხავს უშუალოდ სპარსულიდან სესხებას. **x**-ს არსებობა კი მიუთითებს სესხების აზერბაიჯანულ წყაროზე, რადგან ბგერა **x** წარმოდგენილია მხოლოდ აზერბაიჯანულში, ანატოლიურ თურქულში ამგვარი ბგერა არ არსებობს. შესაბამისად, თურქულში გვაქვს **tohum**.

5. ქართ. **ზირნიხ**-ი „ყვითელი დარიშხანა“ < აზერ. **zirnix**[**zirnix**] „დარიშხანი“/თურქ. **zirnük**[**zirnük**] „დარიშხანი“ < კლას. სპარს. **زرنج** [**zarnix**] „გოგირდოვანი დარიშხანი“.

ქართული, თურქული და აზერბაიჯანული ვარიანტები ფონეტიკურად მსგავსია. სპარსული ეტიმონის პირველი მარცვლის **a** თურქულსა და აზერბაიჯანულში გადავიდა **i**-დ, ხოლო ბოლოკიდური **x** აზერბაიჯანულში შენარჩუნდა, რაც ადასტურებს ქართულში **ზირნიხის** აზერბაიჯანულიდან მომდინარეობაზე.

6. ქართ. **ზორბა** „წარმოსადეგი, დიდი, მოსული“ < აზერ. **zorba**[**zorba**] „წარმოსადეგი, დიდი, მოსული“/თურქ. **zorba**[**zorba**] „მოდალადე, დესპოტი, თავაწყვე-ტილი, აულაგმავი“ < კლას. სპარს. **زورباز** [**zurbāz**] „ძლიერი, ღონიერი“ (დეჰხოდა1931).

თურქული და აზერბაიჯანული პარალელები ფონეტიკურად ერთმანეთს ემთხვევა. ორივეგან დაკარგულია სპარსული ეტიმონის ბოლოკიდური **z**, მაგრამ სემანტიკურად ეს პარალელები განსხვავდება როგორც ეტიმონისგან, ასევე ერთ-მანეთისაგან. აზერბაიჯანული და ქართული ვარიანტების სრული სემანტიკური დამთხვევა მიუთითებს, რომ **ზორბა** აზერბაიჯანულიდანაა ნასესხები.

7. ქართ. **ნარ**-ი „მამალი აქლემი“ < აზერ. **nar**[**nær**] 1. „ძლიერი, უშიშარი, მამაცი“; 2. „ხვადი აქლემი“/თურქ. **ner**[**ner**] „კაცი; ხვადი, მამრი“ < კლას. სპარს. **نر** [**nar**] 1. „მამრი, ხვადი“; 2. „უშიშარი, მამაცი“.

აზერბაიჯანულში გადმოტანილია სპარსული ეტიმონის ერთ-ერთ ზედსართავული მნიშვნელობა „მამაცი“. რაც შეეხება სუბსტანტივურ მნიშვნელობას „ხვადი,“ ის აზერბაიჯანულში სემანტიკურად დავიწროებულია და შემდგომ უცვლელადაა გადმოტანილი მონოსემიზებულ ქართულ პარალელში – „მამალი, ხვადი აქლემი“. თურქული ფორმა ფაქტობრივად იმეორებს სპარსული ეტიმონის პირველ მნიშვნელობას.

8. ქართ. **სერ**-ი „მოგრძოდ წამოზიდული გორა“ < აზერ. **sær**[**sær**] „გორაკი“/თურქ. **ser**[**ser**] „მწვერვალი“ < კლას. სპარს. **سر** [**sar**] „წვერო, სიმაღლე“.

ქართ. **სერი** ფონეტიკურად მსგავსია თურქულ-აზერბაიჯანული პარალელებისა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც **ზორბას** მსგავსად, აზერბაიჯანული და ქართული ვარიანტების სემანტიკური დამთხვევა მიუთითებს **სერის** აზერბაიჯანულიდან სესხებაზე.

9. ქართ. **სილა** 1. „გაშლილი ხელის შემოკვრა ყბაში“; 2. *მეტაფ.* „ზიანი“ < აზერ. **silla**[**sillæ**] „სილა, გაშლილი ხელის შემოკვრა ყბაში“/თურქ. **sille**[**sille**] 1. „სილა,

შემორტყმა“; 2.გადატ. „უბედურება; კატასტროფა“<კლას. სპარს. سيلي [sili] „გამლილი ხელის შემოკვრა ყბაში“.

ქართულში ამ სიტყვის აზერბაიჯანულიდან მომდინარეობას ადასტურებს ფონეტიკური გარემოება. სპარსული ეტიმონის ბოლოკიდური თურქულში გადმოსულია e-დ, აზერბაიჯანულში კი ə-დ. ქართულში აზერბაიჯანული ə გადმოდის ა-დ, იხ. დაზგა > **dazgah**, ნარი > **nar** ან ქვემოთ მოტანილი შუშა > **šüšə**. გამონაკლისია სერი > **sar**, სადაც ə გადმოსულის ე-დ.

10.ქართ. შუშა 1.,იგივეა, რაც მინა“; 2.,ამ ნივთიერებისაგან დამზადებული მცირე ზომის ჭურჭელი ან სხვა რამე საგანი“<აზერ. **šüšə**[šyšæ] 1.,შუშა, მინა“; 2.,ამ ნივთიერებისაგან დამზადებული რამე საგანი“; 3.,ბოთლი“/თურქ. **şişe**[šiše] 1.,ბოთლი“; 2.,ლამპის მინა, შუშა“; 3.,მინა, შუშა“<კლას. სპარს. شیشه [šiša] 1.,მინა, შუშა; 2.,ბოთლი“.

თურქული ფორმა სპარსული ეტიმონის მსგავსია, ხოლო აზერბაიჯანულში სპარს. i გადმოსულია ü[y]-დ. ქართულ და აზერბაიჯანულ პარალელთა ფონეტიკური მსგავსება ადასტურებს განსახილველი ქართული ფორმის აზერბაიჯანულიდან შესხებას.

11.ქართ. ჯომარდი „გულადი, ყოჩაღი, ქველი“<აზერ. **comərd** [jomərd] „გულუხვი, კეთილშობილი; დიდსულოვანი, მამაცი“<თურქ. **cömert**[jömert] „გულუხვი, ხელგამლილი, დიდსულოვანი, კეთილშობილი“<კლას. სპარს. جوانمرد [javānmard] „კეთილშობილი, დიდსულოვანი; მამაცი“.

თურქულსა და აზერბაიჯანულში ეს სპარსული ნასესხობა ფონეტიკურად სახეცვლილია. ქართული ვარიანტიც თურქულ-აზერბაიჯანული ფორმის მსგავსია. აქვე ცხადად ჩანს ქართულში ამ სპარსიზმის შესხების აზერბაიჯანული წყარო, სადაც თურქულისგან განსხვავებით, შენარჩუნებულია სპარსული ბოლოკი-დური **d**, რომელიც გადმოსულია ქართულში.

წინამდებარე სტატიაში განხილული მასალა ცხადყოფს, რომ კლასიკური სპარსულიდან ქართულში ნასესხობები, მხოლოდ პირდაპირი გზით არ შემოდი-ოდა და სპარსიზმთა გარკვეულ ნაწილს ქართული თურქულიდან და აზერბაიჯანულიდან შესხულობდა. ამას ადასტურებს ფონეტიკური და სემანტიკური მაჩვენებლები. რიგ შემთხვევებში თურქულ და აზერბაიჯანულ პარალელთა ფაქტობრივი იდენტობის გამო, ძნელი დასადგენია სპარსული წარმომავლობის ესა თუ ის ლექსემა ქართულში თურქულიდანაა შემოსული თუ აზერბაიჯანულიდან. ამავდროულად საკვლევი მასალის ნაწილში მკაფიოდ იკვეთება შესხების თურქული ან აზერბაიჯანული წყარო. ზოგჯერ ამის გარკვევას ხელს უწყობს ქართულ დიალექტთა მონაცემები.

ლიტერატურა:

აბულაძე, ი.(1944). ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობები IX-X საუკუნეებში, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. [Abuladze, I, (1944). Georgian-Armenian Literary Contacts in the IX-X Centuries, Tbilisi: Metsniereba (Publishing House of the Georgian Academy of Sciences)].

აბულაძე, ც.(1962). თურქული ლექსიკური მასალის შესახებ ს.-ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე IV, გვ. 57-78, თბილისი [Abuladze, Ts. On the Turkish Lexical Material in S.S. Orbeliani's Georgian Dictionary, Herald of the Institute of Manuscripts of the Georgian Academy of Sciences IV, pp. 57-78], Tbilisi.

აბულაძე, ც.(1968). სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“ [Abuladze, Ts. Turkish Translations of the Words from S. S. Orbeliani's Georgian Dictionary, Herald of the Institute of Manuscripts of the Georgian Academy of Sciences IV, pp. 57-78, Tbilisi: Metsniereba]

აივერდი, ი.(2005). – Misalli Büyük Türkçe Sözlük, Kubbealtı Lugatı, 3 cilt, Kubbealtı, İstanbul: Yayın evi [Ayverdi, I. Big Turkish Dictionary with Examples. Kubbealtı Dictionary, 3 vol.]

ანდრონიკაშვილი, მ.(1965). არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 105, გვ. 298-330, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. [Andronikashvili, M. On the penetration of Arabic Words into Georgian via Persian], Works of Tbilisi State University, 105, pp. 298-330, Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.

ანდრონიკაშვილი, მ.(1966). ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა [Andronikashvili, M. Studies in Iranian-Georgian Linguistic Contacts I], Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.

ანდრონიკაშვილი, მ.(1996). ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან II, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან II, თბილისი: გამომცემლობა „ირმისა“ [Studies in Iranian-Georgian Linguistic Contacts II], Tbilisi. “Irmisa” Publishing House.

ანვარი, ჰ.(1381/2002-). – فرهنگ بزرگ سخن، تهران: سخن، ح. I-VIII [Anvari, H. Farhang-e bozorg-e soxan: j. I- VIII [The Big Dictionary of Words, vol. I-VIII], Tehran: Soxan.

ანთაძე-მალაშხია, ფ.(2018). სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების საკითხები, თბილისი: გამომცემლობა „აკადემიური წიგნი“ [Antadze-Malashkhia, P. Issue of Persian-Georgian Language Contacts], Tbilisi. “Academic Book” Publishing House.

ანთაძე-მალაშხია, ფ., კაზიმოვი, ს.(2021). აზერბაიჯანულის შუამავლობისათვის სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებში, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, <https://dspace.tsu.ge/items/cff4a653-9867-45db-ba44-3bec2e0a91c8> [Antadze-Malashkhia, P. Kazimov, S. (2021). On the Mediation of Azerbaijani in Persian-Georgian Language Contacts]. International Conference dedicated to the 100th anniversary of Academician Konstantine Tsereteli. Tbilisi <https://dspace.tsu.ge/items/cff4a653-9867-45db-ba44-3bec2e0a91c8> .

ანთაძე-მალაშხია, ფ., კაჭარავა, ნ.(2023) თურქულისა და აზერბაიჯანულის შუამავლობისათვის სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებში, გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“. წელი, თბილისი. თეზისები. გვ. 3-5 [Antadze-malashkhia, P. Kacharava, N. (2023). On the Mediation of Turkish and Azerbaijani in Persian-Georgian Language Contacts]. International conference dedicated to the 85th anniversary of Guram Lortkipanidze “Cultural-Historical Papers“. 2023, Tbilisi, Abstracts. pp. 3-5.

ანთაძე-მალაშხია, ფ. ენათა შუამავლობისათვის ირანულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებში(2024), [Antadze-Malashkhia, P. On Language Mediation in Iranian-Georgian Language Contacts], Actas del Congreso de la Sociedad Española de Iranología (SEI) (celebrado en Tbilisi los días 20 y 21 de octubre de 2022), pp. 58-76.

ბართაია ნ.(2011). ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა(იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით), თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“ [Bartaia N. Borrowings from Persian Vocabulary according to the Ioseb Grishashvili „Kalakuri Leqsikoni“ (Urban Dictionary)], Tbilisi, “Universali” Publishing House.

გიპერტი(1993). – Gippert, J. Iranica Armeno-Iberica, Wien: Verlag der Österreichischen der Wissenschaften.

გრიშაშვილი, ი.(1997). „ქალაქური ლექსიკონი“, თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“ [Grishashvili, I. „Kalakuri Leqsikoni“ (Urban Dictionary)], Tbilisi. “Samshoblo” Publishing House.

დეჰხოდა(1931). – لغتنامه دهخدا، تهران: دانشگاه تهران، ع. [Dictionary oj Dehkoda, Tehran: Tehran University Press].

თიეტცე(1967). – Tietze, A. Lazard G., Persian Loanwords in Anatolian Turkish, Oriens, Vol. 20, pp. 125-16

თურქული ენის ლექსიკონი(1998). – Türkçe Sözlük, 2 cilt [The Turkish Dictionary, vol. I-II], TDK, Ankara: Türk Tarih Kurumu Basım Evi.

იმედაძე, ს.(2014). არაბული წარმოშობის ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“, [ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი], [Imedadze, S. Arabic Words in S.S. Orbeliani's "Georgian Dictiobary"], [Dissertation thesis for awarding the scientific degree of Doctor of Philology. Kutaisi. Akaki Tsereteli State University].

ლეკიაშვილი, ვ.(1992). ორიენტალიზმები ქართულში(არაბული ლექსიკა), [ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი] [Lekiasvili, V. Orientalisms in Georgian(Arabic Loanwords)], [Dissertation thesis for awarding the scientific degree of Doctor of Philology, Tbilisi. G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Georgian Academy of Sciences].

მოჰამადრაჰიმი(2021). – Mohammadrahimi, F. Influence of Persian Language on Azerbaijani: A Case Study of Contact-Induced Changes in Iranian Azerbaijani, (MA Thesis), University of Eastern Finland, 2021, 70 p. https://www.academia.edu/68382944/Influence_of_Persian_Language_on_Azerbaijani_A_Case_Study_of_Contact_Induced_Changes_in_Iranian_Azerbaijani

ორუჯოვი, ა.(2006). – Orucov, Ə. Azərbaycan dilinin izahlı lüğəti [The Explanatory Dictionary of the Azerbaijani Language, 4 volumes], Baku: Sherq-Qerb.

როსტიაშვილი, ნ. (1978). ინგილოური ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“ [Rostiashvili, N. Ingiloy Dictionary] Tbilisi: Publishing House "Metsniereba"

რუხაძე, ლ.(2013) თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში, თბილისი, გამომცემლობა „მწიგნობარი“ [Turkish Borrowings in the Georgian Literary Language], Tbilisi. "Mtsignobari" Publishing House.

უელ – უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი(2006).(შემდგ. ალ. ელერდაშვილი), თბილისი: გამომცემლობა – [Universal Encyclopedic Dictionary (2006) compiled by A. Elerdashvili], Tbilisi. "Pantazia" Publishing House.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი(1950-1964) , თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. [The Explanatory Dictionary of the Georgian Language], Tbilisi. Publishing House of the Georgian Academy of Sciences.

შჩერბაკი Щербак(1970). –А. Сравнительная фонетика тюркских языков, , Ленинград, издательство «Наука», 1970 [Shcherbak. (1970) Comparative Phonetics of Turkic Languages], Leningrad. "Nauka" Publishing House, 1970.

ჯიქია, მ.(2008). თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმებში, თბილისი, გამომცემლობა „სიტყვა“ [Jikia, M. Turkisms in the Kartvelian Anthroponimics], Tbilisi. "Sitkva" Publishing House.

ჯიქია, ს.(1960) „აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან I“, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები.აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. III. გვ. 1-13(სურამი; ზურაბი; დიამბეგი; ბეგუმი; ათაბაგი; ყაზბეგი) [Jikia, S. "The History of Words of oriental origin I], Works of the Institute of Linguistics. Series of oriental languages, v. III. pp. 1-13 (Surami, Zurab, Diambegi, Begumi, Atabagi, Kazbegi.).

ჯიქია, ს.(1987). „აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან II“ (მაგრამ; ბარემ; ქილიფთარი; ყირქესალი), თბილისის უნივერსიტეტის შრომები. 273. გვ. 5-9(მაგრამ; ბარემ; ქილიფთარი; ყირქესალი) [Jikia, S. The Hsitory of Words of Oriental Origin II (Magram, Barem, Kiliptari, Kirkesali), Works of Tboilisi State University 273. pp. 5-9.

Fatman Antadze-Kacharava

Nana Kacharava

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: fati.antadze@yahoo.com<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.01>

SJIF 2024: 8.268

For Turkish-Azerbaijani Mediation in Persian-Georgian language Relations

Abstract

Middle Persian and Parthian loans penetrated into Georgian either directly or via Armenian (Andronikashvili, 1966: 9, 161). However, until recently, it was considered that New Persian loans penetrated into Georgian only directly.

Our research has proved that in some cases Persian words penetrated into Georgian via two Turkic languages – Anatolian Turkish and Azerbaijani.

In the late Middle Ages, South-West Georgia fell under the Turkish-Ottoman political influence. This, naturally, led to close language contacts of certain Georgian territories with Turkey. Traces of these contacts are found even in those regions of Western Georgia which were not directly subject to the Ottoman Empire.

At the same time, there are proofs of the contacts of Eastern Georgian dialects with the Turkish language. Loans, in particular, Persian loan words penetrated into these dialects from Anatolian Turkish as well as Azerbaijani.

The paper analyzes 35 loan-words that have penetrated into Georgian via Turkish and Azerbaijani. Mediation of these languages is proved based on the phonetic and semantic criteria. In certain cases, Georgian dialectal data are also taken into account.

Due to great similarity between Anatolian Turkish and Azerbaijani, in some cases, it is hard to identify which of the two languages was the source of borrowing of Persian words in Georgian. The paper presents 8 examples of this kind (for instance, Georgian **გიაურ-ი** [**giaur-i**]¹ *arch.* „heathen” (an abusive word of Moslems referring to non-Moslems) <Turkish **gâvur** 1. „faithless“; 2. „non-Moslem“/Azerbaijani **gavur** 1. „faithless“; non-Moslem <classical Persian **گبر** [**gabr**] 1. „Zoroastrian, fire-worshipper“; 2. „heathen, faithless, non-Moslem“).

Georgian has borrowed 16 loan-words from Persian via Anatolian Turkish (e.g. Georgian **ბეჯით-ი** [**bejit-i**] 1. „hard-working, diligent, industrious, studious“; 2. „faithful, devoted“ <Turk. **becit** „serious, important, necessary“; /Azer. **becid** „quickly, fast“ <classical Persian **بجد** [**bejed(d)**] 1. *adj.* „hard-working, diligent, studious“; 2. *adv. archaic* „seriously, diligently, assuredly“).

We have analyzed 11 Persian loans that have penetrated into Georgian via Azerbaijani (e.g. Georgian **დაზგა** [**dazga**] „a large table on which artesans work“ <Azer. **dəzğah** „lathe“/Turk. **tezgâh** „lathe“ <classical Persian **دستگاه** [**dastgâh**] „lathe“).

Key words: Persian-Georgian language Relations, Borrowed words from Anatolian Turkish and Azerbaijani.

რეცენზენტები: პროფესორი ატია იუსუფი

¹ -i is a nominative case marker in Georgian.

ენათმეცნიერება Linguistic

ემოჯების როლი ციფრულ კომუნიკაციაში

ანა ახვლედიანი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

e-mail: Ana.akhvlediani@bsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.02>

SJIF 2024: 8.268

თანამედროვე სამყაროში, სადაც ტექნოლოგიებმა და ინტერნეტმა განსაზღვრა ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო, კომუნიკაციის ტრადიციული მოდელები შეიცვალა და განვითარდა. ინტერნეტისა და სოციალური მედიის მზარდმა პოპულარობამ წარმოშვა ახალი, უნიკალური ფორმები, რომლებიც ხშირად განსხვავდება ჩვეულებრივი ყოველდღიური კომუნიკაციისაგან. ელექტრონული დისკურსი - ახალი საკომუნიკაციო ფორმაა, რომელიც არა მხოლოდ საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მარტივად და სწრაფად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, არამედ ქმნის და ავითარებს ახალ ლინგვისტურ ნორმებს.

ონლაინ კომუნიკაცია მოიცავს მრავალფეროვან პლატფორმას თითოეული მათგანი კი თავისებურ ინტერნეტ ენას ქმნის, სადაც მომხმარებლები აქტიურად იყენებენ ახალ ლინგვისტურ ერთეულებს. სწორედ ამ ახალ რეალობაში სხვა ელემენტებთან ერთად, იკვეთება ემოჯების, როგორც ვიზუალური ელემენტების, მნიშვნელოვანი როლი. ეს პატარა სიმბოლოები გვეხმარება ემოციების, განწყობისა და კონტექსტის გადმოცემაში. ემოჯები ავსებენ იმ ემოციურ ვაკუუმს, რომელიც ხშირად თან ახლავს წერილობით კომუნიკაციას.

წინამდებარე სტატია შეისწავლის ემოჯების ფენომენს და მათ გავლენას თანამედროვე ციფრულ კომუნიკაციაზე, ნაშრომი მიმოიხილავს ემოჯების წარმოშობის ისტორიას, მათ უნივერსალურ თავისებურებებსა და მათი გამოყენების სხვადასხვა ასპექტებს. ნაშრომში განხილულია, როგორც ემოჯის გამოყენების უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები.

კვლევის ცენტრალური ნაწილი ეძღვნება ემოჯების დეტალურ კლასიფიკაციას YouTube ვიდეო კომენტარებში. წარმოდგენილი ქართული და ინგლისურენოვანი მაგალითების ანალიზი, ხაზს უსვამს ემოჯების მნიშვნელოვან როლს ონლაინ ინტერაქციებში და მათ უნარს, გაამდიდრონ ონლაინ ტექსტური კომუნიკაცია ემოციური ნიუანსებით.

დასკვნით ნაწილში, ხაზგასმულია ემოჯების მზარდ მნიშვნელობაზე ციფრულ ეპოქაში და მათ როლზე კომუნიკაციის გამარტივებასა და გამრავალფეროვნებაში. მიუხედავად ემოჯების

გაგების სირთულეებისა და მისი გამოყენებით გამოწვეული თანმდევი საფრთხეებისა, ემოჯები რჩება მძლავრ ინსტრუმენტად თანამედროვე ონლაინ კომუნიკაციაში, განსაკუთრებით სოციალურ მედია პლატფორმებზე.

საკვანძო სიტყვები: ემოჯი, ონლაინ კომუნიკაცია, ვიზუალური კომუნიკაცია, ინტერნეტ ენა.

ემოჯი იგივე ხატულა, პოპულარული გრაფიკული სიმბოლოა, რომელიც გამოიყენება ციფრულ კომუნიკაციაში ემოციების გამოსახატავად. ემოჯები განიხილება, როგორც ემოტიკონების ევოლუცია. „პატარა ციფრული გამოსახულებები ან ხატულები, რომლებიც იდეასა და ემოციას გადმოსცემენ“ (Schneebeli, 2017:2). ემოჯები მნიშვნელოვნად ამდიდრებენ ტექსტურ შეტყობინებებს, სოციალური მედიის პოსტებს და სხვა ონლაინ ინტერაქციებს. მათ უამრავი თავისებურება გააჩნიათ, თუმცა ძირითადი მახასიათებლები შემდეგია:

- **უნივერსალურობა.** ისინი გასაგებია მრავალი კულტურისა და ენის წარმომადგენლებისთვის;
- **მრავალფეროვნება.** არსებობს ასობით ემოჯი, დაწყებული სახის გამომეტყველებით, დამთავრებული ცხოველებით, საგნებით და აქტივობებით;
- **ევოლუცია** ჩნდება ახალი ემოჯები, ძველს ახალი ემატება ისინი ასახავენ და გადმოსცემენ თანამედროვე კულტურულ ტენდენციებს;
- **პლატფორმებს შორის განსხვავება.** ემოჯის დიზაინი შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა პლატფორმაზე (მაგ. Apple, Google, Microsoft).

ემოჯის ისტორიის სათავეები იაპონიას უკავშირდება, სიტყვა „ემოჯი“ იაპონური წარმოშობისაა და ნიშნავს "სურათ-სიმბოლოს" (絵文字). პირველი ემოჯი 1999 წელს შეიქმნა იაპონელი მხატვრის შიგეტაკა კურიტას მიერ, NTT DoCoMo-ს მობილური ინტერნეტ პლატფორმისთვის, რომელმაც მიზნად დაისახა შეექმნა მარტივი, მაგრამ ექსპრესიული სიმბოლოები, რომლებიც დაეხმარებოდა მომხმარებლებს ემოციების გადმოცემაში შეზღუდული ტექნოლოგიური შესაძლებლობების პირობებში.¹

თავდაპირველად ემოჯების რაოდენობა შეადგენდა 176 ელემენტს, 12x12 პიქსელის ზომით, თუმცა მათი რიცხვი მალევე საგრძნობლად გაიზარდა. ემოჯი, სწრაფად გავრცელდა ჯერ იაპონიაში, შემდგომ კი მთელ მსოფლიოში. დღეს ის გამოიყენება პრაქტიკულად ყველა ციფრულ პლატფორმაზე: მობილურ აპლიკაციებში (WhatsApp, Telegram, და ა.შ.), სოციალურ მედიაში (Facebook, Instagram, Twitter), ელექტრონულ ფოსტაში, ვებ-გვერდებზე და ბლოგებში. 2024 წლის

¹ [Emoji: The Complete History | WIRED](#)

10 სექტემბრის მდგომარეობით, Unicode სტანდარტში 3,790 ემოჯია და დღითიდღე მათი რიცხვი საგრძნობლად იზრდება.¹

ჩვენი საკვლევი ობიექტი YouTube-ის ვიდეო კომენტარებია, (კერძოდ ქართული და ინგლისურენოვანი მუსიკალური ვიდეო კომენტარები) ემოჯის თავისებურებებსა და ფუნქციონალურობას, სწორედ აღნიშნულ პლატფორმაზე დავაკვირდებით, უპირველეს ყოვლისა დავიწყებთ ემოჯების გამოყენების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების განხილვას:

1. კომუნიკაციის გაუმჯობესება:

ტექსტურ კომუნიკაციაში ხშირად რთულია ემოციების ზუსტად გადმოცემა. ემოჯი საშუალებას გვაძლევს დავამატოთ ემოციური ნიუანსი და ტონი, წერილობით შეტყობინებებს.

ის დანაკლისი, რაც ტექსტურ შეტყობინებებს გააჩნდათ ემოციების გამოხატვის თვალსაზრისით, ემოჯებმა შეავსეს და სრულად მოახდინეს კომპენსირება. შესაბამისად შემცირდა გაუგებრობებიც და მარტივი გახდა სხვათა ემოციური გამონათქვამების გაგება.

2. დროის დაზოგვა:

ემოჯების დახმარებით შესაძლებელი გახდა რთული იდეების ან ემოციების სწრაფად გამოხატვა ერთი სიმბოლოთი, რამაც საგრძნობლად შეამცირა მომხმარებლის დროის ხარჯვის მაჩვენებელი.

3. კულტურათაშორისი კომუნიკაციის გაადვილება:

ემოჯებმა შექმნეს უნივერსალური ვიზუალური ენა, რომელიც სცდება ლინგვისტურ ბარიერებს და მარტივად, წვდება გლობალურ აუდიტორიას.

4. ვიზუალური მიმზიდველობა:

ემოჯები ვიზუალურად აფერადებს კომუნიკაციას, კრეატიულობასა და ბუნებრივობას ანიჭებს.

5. სტრესის /კონფლიქტის/ დამაბულობის შემცირება, :

მსუბუქი და სახალისო ელემენტის შეტანა კომუნიკაციაში, ხელს უწყობს დამაბული სიტუაციის განმუხტვას. ემოჯის გამოყენება ზრდის პოზიტიურ განწყობას და ემპათიას ონლაინ ინტერაქციებში. ის ეხმარება ადამიანებს უკეთ გამოხატონ თავიანთი პიროვნება ციფრულ სივრცეში.

6. ინფორმაციის სწრაფი მიწოდება:

¹ [New Emojis In 2024-2025 \(emojipedia.org\)](https://emojipedia.org)

ემოჯების საშუალებით შესაძლებელი გახდა ტექსტის გარეშე, სიტუაციის ან განწყობის სწრაფად გადმოცემა;

7. ტრენდულობა და სოციალური მიმდებლობა:

ემოჯის გამოყენება ხშირად მოდურად მიიჩნევა იგი პოპულარულია განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

მიუხედავად ემოჯის მრავალი უპირატესობისა, მას გარკვეული ნაკლოვანებებიც აქვს:

1. ინტერპრეტაციის სიმრავლე:

ერთი და იგივე ემოჯი შეიძლება სხვადასხვანაირად იქნას გაგებული სხვადასხვა ადამიანის მიერ, კულტურული განსხვავებები შეიძლება იწვევდეს გაუგებრობებს;

2. პროფესიონალიზმის ნაკლებობა:

ზოგიერთ ფორმალურ ან პროფესიულ კონტექსტში ემოჯის გამოყენება შეიძლება არაადეკვატურად ჩაითვალოს,

3. ზედმეტად გამარტივება:

რთული იდეების ან ემოციების ემოჯით გამოხატვამ შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის დაკარგვა.

4. ტექნოლოგიური შეზღუდვები:

სხვადასხვა პლატფორმაზე ემოჯი შეიძლება განსხვავებულად გამოიყურებოდეს, ძველ მოწყობილობებზე შეიძლება არ გამოჩნდეს ან არასწორად გამოისახოს;

5. ენობრივი უნარების შესუსტება:

ზედმეტმა დამოკიდებულებამ ემოჯიზე შეიძლება შეამციროს წერილობითი კომუნიკაციის უნარები, შეიძლება შეზღუდოს ლექსიკის გამდიდრება;









6. ასაკობრივი განსხვავებები:


უფროსი თაობის წარმომადგენლებს შეიძლება გაუჭირდეთ ემოჯის გაგება ან გამოყენება. აქედან გამომდინარე, შეიძლება წარმოიშვას თაობებს შორის კომუნიკაციის ბარიერები.




მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, ემოჯი განაგრძობს ევოლუციას და ადაპტაციას ციფრული კომუნიკაციის ცვალებად საჭიროებებთან, ამასთანავე რჩება პოპულარულ და სასარგებლო ინსტრუმენტად თანამედროვე კომუნიკაციაში. ამაზე ცალსახად მოწმობს ემოჯების ხშირი გამოყენება YouTube პლატფორმაზე.


ვიდეო კომენტარებში ემოჯები სხვადასხვა მიზნით გამოიყენება, რაც დამოკიდებულია კონტექსტზე, თემატიკაზე და მომხმარებელთა კომუნიკაციის სტილზე. დავაკვირდით რა პრაქტიკულ მასალაში გამოყენებულ ემოჯებს, შევიმუშავებთ შემდეგი კლასიფიკაცია:





ემოციური ემოჯები გამოიყენება გრძნობების, ემოციების და განწყობის გამოსახატავად:

ემოჯი	განმარტება
	სიცილი
	აღტაცება, გაოცება
	სიყვარული, მოწონება, დადებითი შეფასება
	მოწონება, კეთილგანწყობა, სიმპათია
	გაბრაზება, უკმაყოფილება
	ზიზღი, გაბრაზება, ინდიფერენტული დამოკიდებულება
	ტირილი, სევდა, მოწყენილობა, სინანული
	უკმაყოფილება, სარკაზმი, დაბნეულობა

ემოჯის  (სიცილი) გამოიყენება ვიდეო კომენტარებში რამდენიმე მიზანს ემსახურება: ერთი მხრივ, კომენტარის ავტორს სურს გამოხატოს კმაყოფილება და სიამოვნება ან აღნიშნოს, რომ რაღაც ძალიან სასაცილოა. მეორე მხრივ, კი შესაძლოა ის სარკაზმსა და ირონიას გამოხატავდეს.

- სიმღერის ნიჭი მაინც გქონდეს, რასაც გავხარ კი ვიცი  
- hahahaha it got me rolling on the floor 

ემოჯი  (აღტაცება, გაოცება) YouTube -ის ვიდეო კომენტარებში, როგორც წესი გამოხატავს აღფრთოვანებას, გაოცებას ან აღტაცებას ვიდეოს, მუსიკოსის, შემსრულებლის და სხვათა მიმართ.

- ეს უბრალოდ შედეგიაა  ვამაყოფ რომ ქართველი ვარ <33
- Pure talent... obsessed with him   

ემოჯი ❤️ (სიყვარული, მოწონება, დადებითი შეფასება) გამოიყენება მაშინ, როდესაც ადამიანებს სურთ გამოხატონ სიბოლო, სიყვარული ან დადებითი დამოკიდებულება ნანახის, წაკითხულის ან მოსმენილის მიმართ

- საუკეთესო მომღერალი ხარ და ყოველთვის თვალს გადევნებ წარმატებები!!! ❤️ ❤️
- Yes I still love this song from 1979 until 2024 ❤️ ❤️ ❤️

ემოჯი 😍 😍 (მოწონება, კეთილგანწყობა, სიმპათია) გამოიყენება სათუთი ემოციების, მოწონების, სიყვარულის, სიმპათიისა და კეთილგანწყობის გამოსახატავად. ჩვენი ვარაუდით აღნიშნული ემოჯები უფრო ძლიერ, დადებით და სუბიექტურ გრძნობასა და ემოციას გამოხატავს, ვიდრე ჩვეულებრივ ❤️ .

- ძალიან მიყვარს ქართული ენააა 😍 რა ლამაზიაააააა დედააა 😍 😍 😍
- Absolutely perfect in every way. What a great artist. Love her!!! 😍





ემოჯი 😡 (ბრაზი) გამოხატავს მომხმარებლის სიბრაზეს, განრისხებასა და უკმაყოფილებას, ერთგვარ პროტესტს კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებით.


- რატომ შეცვალეს სოლისტი ან ეს რატომ ჩათვალეს რომ რამეს წარმოადგენს 😡 😡
- Stooooooooooooop putting ads in the middle of music!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!! 😡





ემოჯი 🤢 (ზიზღი, გაბრაზება) გამოიყენება, როდესაც ადამიანი რაიმეს სრულიად არასასურველად ან მიუღებლად თვლის. ეს ემოჯი ყველაზე კარგად წარმოაჩენს კომენტარის ავტორის სასტიკ წინააღმდეგობას და სიძულვილს.

- გაიტანეთ ეს ქალიიიი სცენიდან, ან ვინმე პატრონი არ ყავს ამ უბედურს 🤢
- Can't stand this trashy music 🤢 who thought this waaas a good idea.....





ემოჯები 😞 😭 (სევდა, მოწყენილობა, ტირილი, სინანული) YouTube- ის ვიდეო კომენტარებში გამოიყენება, როდესაც ადამიანი ამჟღავნებს მწუხარებას, სევდას, წყენას, სინანულს ან დარდს რაღაც ინფორმაციის ან მოვლენის გამო.


- ამ მუსიკამ მოგონებები გამიცოცხლა ვერ ვჩერდებიიიიიიიიიიიი 
- I saw the video maybe 5 times and each time I cried   



ემოჯი  (დაბნეულობა,სარკაზმი, უკმაყოფილება) გამოხატავს სიღრმისეულ სკეპტიციზმს ან კრიტიკულ დამოკიდებულებას. ვიდეო კომენტარებში მომხმარებელი მიმართავს მას, როდესაც მისთვის რაღაც გაურკვეველი , არადამაჯერებელი და უინტერესოა. იგი უნდობლობისა და უკმაყოფილების გამოხატვის ერთ-ერთი გზაა.


- ვაააიჰ.... რა ორიგინალურია 
- Cant believeeeeeeeeeeeeeeeeeee this is trending   

ქვემოთ ცხრილის სახით წარმოდგენილი ჩამონათვალი მოსაზრებებისა და შეფასებების გამოხატვას ემსახურება :

ემოჯი	განმარტება
	თანხმობა, მოწონება, ლოიალურობა
	უარყოფა, უკმაყოფილება
	შესანიშნავი, მაგარი
	სრულყოფილება, ზედმიწევნით შესრულება

ემოჯი  (თანხმობა, მოწონება, ლოიალურობა) YouTube-ის ვიდეო კომენტარებში გამოიყენება, მაშინ როცა ადამიანს მოსწონს, ეთანხმება ან კმაყოფილია რაღაცით:

- ძალიან კარგი შესრულება   საუკეთესო
- Their performance of this piece is my favorite of all time 

ემოჯი  (უარყოფა, უკმაყოფილება) გამოიყენება, მაშინ როდესაც ადამიანს არ მოსწონს,უკმაყოფილოა რაღაცით.

- არ ვარგა    ვიზუალურად შემაწუხებელია დამეთანხმებით?!

- This song is absolutely disgusting 🙄

ემოჯი 🔥 (შესანიშნავი,მაგარი) გამოიყენება მაშინ, როდესაც რაღაც ძალიან კარგი, ძლიერი, დინამიური ან არაჩვეულებრივია. აღნიშნულ ემოჯის მრავალი განმარტება აქვს, ზოგჯერ კომენტარის ავტორი აღფრთოვანებას, მოწონებასა და სიამოვნებას სწორედ მისი საშუალებით გამოხატავს.

- დაანთო ცეცხლი სცენაზე... 🔥🔥.ბრავო ბრავო და კიდევ ერთხელ ბრავოოო!!!
- WTF!!! SUCH BEAUTY!! 🔥 SUCH TALENT!! ...

ემოჯი 100 (სრულყოფილება) გამოიყენება, როგორც ხარისხის ან წარმატების მაჩვენებელი. ზოგადად იგი გულისხმობს, რომ რაღაც საუკეთესო, სრულყოფილი და განსაკუთრებულია.

- როცა ფიზიკური სილამაზე, ნიჭი და გემოვნება ერთადაა თავმოყრილი 100100100 გაფასებთ
- Lola is absolute perfection 100 This music just makes my soul float

აღნიშნული ემოჯები გამოიყენება მხარდაჭერის ,მიღწევების, აღფრთოვანების ან მაღლიერების გამოსახატავად:

ემოჯი	განმარტება
👏	აღფრთოვანება, მოწონება, მხარდაჭერა
🙏	მაღლიერება
👏👏	თანაგრძნობა, მხარდაჭერა

ემოჯი 👏 (აღფრთოვანება, მოწონება, მხარდაჭერა) YouTube-ის ვიდეო კომენტარებში გამოხატავს აღფრთოვანებას,მოწონებას და შთაბეჭდილებას, რომ რაღაც ძალიან კარგად ან შთამბეჭდავად განხორციელდა , ასევე კმაყოფილებასა და სიამაყეს რაიმე მიღწევის ან გამარჯვების გამო.

- ბრავო 👏 ძალიან კარგები და საყვარლები ხართ.გაიხარეთ 👏👏
- Beautifully played. Such passion 👏👏👏👏👏

ემოჯი 🙏 (მადლიერება,) გამოიყენება მადლიერების, დაფასების ან თხოვნის გამოხატვის მიზნით. ის ასევე შეიძლება აღნიშნავდეს ლოცვას ან სიმბოლურად გამოხატავდეს მხარდაჭერას ან თანაგრძნობას.

- მადლობა ამ საოცარი შეგრძნებისთვის 🙏 მინდა სულ გისმინოო 🙏
- I love all the music you play. you are the master of all masters. may god always stand by you 🙏🙏

ემოჯი 🙌 (თანაგრძნობა, მხარდაჭერა) კონტექსტის მიხედვით მისი მნიშვნელობა შეიძლება განსხვავდებოდეს, YouTube-ის ვიდეო კომენტარებში იგი ხშირად გამოიყენება მხარდაჭერის, მოწონების, მადლიერების, ჰარმონიისა და პატივისცემის მიზნით.

- ეს ბიჭი ჩემი აღმოჩენაა, ასე გააგრძელე 🙌🙌
- Bravo !!!! Wonderful so powerful 🙌

ხუმრობა და იუმორი ეს ემოჯები გამოიყენება ხუმრობისა იუმორის და კარგი განწყობის გადასაცემად:

ემოჯი	განმარტება
😄	გასულელება, მოტყუება, ხუმრობა
😎	თვითდაჯერებულობა, თავმომწონებობა, ირონია
😁	გაურკვევლობა, სიგიჟე, უაზრობა, სიცილი, დაბნეულობა

ემოჯი 😄 (ხუმრობა, მოტყუება, გასულელება) გამოხატავს მხიარულ განწყობას. ზოგჯერ გამოიყენება მსუბუქი გაღიზიანების ან დაცინვის მიზნით, მაგრამ არა ბოროტი განზრახვით, როგორც სხვა ემოჯების შემთხვევაში ზუსტი მნიშვნელობა დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტზე და კომენტარის ავტორის განზრახვაზე

- როგორც ჩანს აწი მხიარულება არ მოგვაკლდებაა 😄
- Those legs. The Piano smoked a cigarette after. 😄

ემოჯი 🤔 (თვითდაჯერებულობა, თავმომწონეობა, ირონია) ვიდეო კომენტარებში შეიძლება მიანიშნებდეს თავდაჯერებულობაზე ან საკუთარი თავის რწმენაზე, თუმცა ყველაზე ხშირად გამოიყენება „მაგარის“ მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში სიტყვაში „მაგარი“ ვიგულისხმეთ სლენგური ტერმინი „რომელიც აღნიშნავს რაიმეს, რაც შთამბეჭდავია, განსაკუთრებულია ან მიმზიდველია. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად აღნიშნულ ემოჯის ირონიულ-სარკასტული დატვირთვა აქვს.

- ტიპმა დაგვაფარა მარა გაგვისწორდა 🤔
- That's really cool 😎 loved every moment <3

ემოჯი 😄 (გაურკვეველობა, სიგიჟე, უაზრობა, სიცილი, დაბნეულობა) ჩვეულებრივ გამოიყენება „რათა გამოხატოს ხალისიანი, არაორდინალური და ქაოტური განწყობა. ეს ემოჯი კომენტარს არაფორმალურ ტონს სძენს.

- კი არ ვუსმენ რომ ვუყურებ ასე მემართებაა 😄
- Crazy fun, cant stop dancing 😄😄😄

დასკვნა. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ემოჯები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე ციფრულ კომუნიკაციაში. ისინი აუმჯობესებენ ონლაინ ურთიერთობების ემოციურ და კონტექსტუალურ მხარეს, რაც ხშირად რთულია მხოლოდ ტექსტებით გადმოცემისას. მიუხედავად გარკვეული გამოწვევებისა, რაც თან ახლავს ემოჯების გამოყენებას (კულტურული განსხვავებები, ინტერპრეტაციის სირთულეები), ემოჯები რჩება ერთ-ერთ მზარდ და განვითარებად საკომუნიკაციო საშუალებად.

Ana Akhvlediani

Shota Rustaveli state University, Batumi

e-mail: Ana.akhvlediani@bsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.02>

SJIF 2024: 8.268

The Role of Emoji in Digital Communication

Abstract

In the modern world, where technology and the internet have defined every sphere of our life, traditional communication models have changed and evolved. The growing popularity of the internet and social media has created new, unique forms that often differ from ordinary

everyday communication. Electronic discourse is a new form of communication that not only allows users to connect easily and quickly but also creates and develops new linguistic norms. Online communication encompasses diverse platforms, each creating its own unique internet language where users actively employ new linguistic units. In this new reality, among other elements, the significant role of emoji as visual elements becomes apparent. These small symbols help us convey emotions, moods, and context. Emoji fill the emotional vacuum that often accompanies written communication. This article examines the phenomenon of emoji and their impact on modern digital communication. The paper reviews the history of emoji origins, their universal characteristics, and various aspects of their usage. The work discusses both the advantages and disadvantages of using emoji. The central part of the research is dedicated to detailed classification of emoji in YouTube video comments. The analysis of presented Georgian and English examples emphasizes the important role of emoji in online interactions and their ability to enrich online textual communication with emotional nuances. In conclusion, the growing importance of emoji in the digital age and their role in simplifying and diversifying communication is emphasized. Despite the difficulties in understanding emoji and the associated risks of their use, emoji remain a powerful tool in modern online communication, especially on social media platforms.

Keywords: emoji, online communication, visual communication, internet language.

რეცენზენტი: პროფესორი შოკრუდ ფაზიევი

ენათმეცნიერება Linguistic

ბერძნულ-ქართული უძველესი ენობრივ-კულტურული ურთიერთობის რამდენიმე ასპექტისათვის

(აია-კოლხეთი, კუტაია/ქუთაისი და დიდი დედის კულტი ქართულ
და მედიტერანულ სამყაროში)

ნარგიზ ახვლედიანი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
E-mail: nargiz.akhvediani@bsu.edu.ge

ლელა ჩოთალიშვილი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: lela.chotalishvili@tsu.ge

ნინო ჯორბენაძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
E-mail: ninoaka55@yahoo.com

იამზე გაგუა

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: iamze.gagua@tsu.ge
<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.03>

SJIF 2024: 8.268

ბერძნულ-ქართული უძველესი ენობრივ-კულტურული ურთიერთობის რამდენიმე ასპექტისათვის (აია-კოლხეთი, კუტაია/ქუთაისი და დიდი დედის კულტი ქართულ და მედიტერანულ სამყაროში).

საყოველთაოდ ცნობილია თუ რა დიდი მეცნიერული მნიშვნელობა გააჩნია ბერძენ მწერალთა ცნობებს საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლისათვის. მათ შემოგვინახეს არაერთი პირველხარისხოვანი, ზოგჯერ კი, უნიკალური ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ. წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე რამდენადმე თანმიმდევრულად იხაზება კოლხეთის ტერიტორიაზე ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების, საქალაქო ცხოვრების განვითარებისა და ანტიკურ სამყაროსთან, თუ სხვა შორეულ ქვეყნებთან კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის ამსახველი ისტორიის სურათები. მედიტერანულ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული ნაყოფიერებისა და სიცოცხლის

მფარველი ქალღმერთის, „ღმერთების დედის“, „დიდი დედის“ თაყვანისცემის კულტი (შდრ.: ისიდა// იზიდა - ეგ ვიპტეში, ინანა - შუამდინარეთში, კიბელე - მცირე აზიაში). ისტორიულ-კულტურული მონაცემების საფუძველზე მიიჩნევა, რომ ძველ ქართულ სამყაროშიც (და ზოგადად, კავკასიაში) უსათუოდ არსებობდა ქალღვთაების კულტი, რომელსაც პირდაპირი მიმართება სწორედ სხვა კულტურებში დადასტურებულ დიდი დედის კულტის ღვთაებასთან აქვს. ნაშრომში განვიხილავთ ორ სინონიმურ ტოპონიმს: „აია“-სა და „კოლხეთს“, რომლებიც ორ განსხვავებულ არქეოლოგიურ დონეს უნდა ასახავდეს, რომელთაგანაც „აია“ ქრონოლოგიურად უფრო ძველია, კოლხეთი - გვიანდელი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებული უძველესი ტოპონიმები და სახელწოდებები ქართველურ ენობრივ სამყაროსთან კონტაქტებზე მიგვითითებს. საკვანძო სიტყვები: აია, კოლხეთი, დიდი დედა, ეტიმოლოგია.

საკვანძო სიტყვები: ბერძნულ-ქართული ურთიერთობა, ენობრივ-კულტურული ურთიერთობა

გეოგრაფიული არეალის სახელწოდება „აია“ (Aía) არგონავტების თქმულების უკვე უძველეს ვარიანტებში ფიგურირებს.

ჰომეროსი არ იცნობს სახელწოდებას **კოლხიდა**. იგი ლაპარაკობს მხოლოდ აიეტის სამფლობელოზე, რომელსაც Aía უნდა რქმეოდა.

ლეგენდარული აია გარკვეული პერიოდიდან უკვე **კოლხეთის** (Κολχίς) სინონიმს წარმოადგენს (აია კოლხეთთან პირველად ჰეროდოტემ გააიგივა). საყურადღებოა, რომ ბერძნულ წყაროებში კოლხეთის პირველმოხსენიება ზუსტად ემთხვევა კოლხეთის სახელმწიფოს მოხსენიებას სახელწოდებით **კულხა//კოლხა (Qulcha//Qolcha)** ძვ.წ. VIII ს-ის ურარტულ წარწერებში. ორი სინონიმური ტოპონიმი (აია და **კოლხეთი**), მკვლევართა ვარაუდით, ორ განსხვავებულ არქეოლოგიურ დონეს უნდა ასახავდეს, რომელთაგანაც აია ქრონოლოგიურად უფრო ძველია, **კოლხეთი** კი - უფრო გვიანდელი.

სავარაუდოდ, არგონავტების აიაში ლაშქრობის ამბავი ბერძნულ მითო-პოეტურ ტრადიციაში ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც სახელი **კოლხიდა** ჯერ კიდევ არ არსებობდა და ამ მხარეს აია ერქვა. ზოგადად, სახელწოდებებს **კოლხიდა**, **კოლხეთი** ქართული წყაროები არც იცნობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებული სხვა უძველესი ტოპონიმები და სახელწოდებები ქართველურ ენობრივ სამყაროსთან გვიჩვენებს მიმართებას, რაც უნდა ეხმიანებოდეს რეალურად განხორციელებული კონკრეტული მიკენური ექსპედიციის შედეგებს; იმ კონტაქტებს, რომლებიც მიკენურ სამყაროს უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქართველურ სამყაროსთან; და იმ რეალობებს, რომლებიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო არგონავტების ლაშქრობის სავარაუდო მიზანთან.

Αἶα, სავარაუდოდ, სახელწოდება **Κύτεια**-ს შემადგენელ მეორე კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს. ანტიკურ წყაროთა ნაწილი **Κύτεια**-ს აიას ქალაქად მიიჩნევს, ნაწილი კი ორივეს **კოლხეთის** ქალაქად მოიხსენიებს.

თავად სახელწოდება **Κύτεια** წყაროებში რამდენიმე ვარიანტით გვხვდება: **Κύτα**, **Κύτη**, **Κυταίς**, **Κυταίς**, **Κύτης** და სხვა; და იგი კავშირში უნდა იყოს **ქუთაის**-თან, რომელიც სამსავე ქართველურ ენაში კანონზომიერი შესატყვისობებით დასტურდება: ქართ. **ქუთაისი**, მეგრ. **ქუთეში**, სვან. **ქუთაში**; რაც საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ეს დასახლება ან რეზიდენცია საერთოქართველურის ცირკულირების ხანაში უკვე არსებობდა.

***ქურთ-/*ქუთ-** ფუძე საერთოქართველურ დონეზე აღადგინა ჰ. ფენრიხმა: ქართ. **ქურდ-/*ქუთ**, მაგ. **ქუთ-ნ-ა/გა-მო-ქუთ-ნ-ა**, **ქურდ-ი**; მეგრ. **ქვირთ-ი ქურდი**; სვან. **ქვით-**, **ქვთ- ქურდი**. მეცნიერთა ვარაუდით, ფუძე უნდა ასახავდეს წინაბერძნულ **κυτ-** და ქართველურ ***ქუთ-** ფუძეებს. წინაბერძნული **κυτ-** ფუძის მნიშვნელობა უნდა იყოს **ცარიელი სათავსო**.

მ. ჩუხუას აზრით კი, ძირში მომხდარია შემდეგი სახის **ფონეტიკურ/სემანტიკური** გადასვლები:

ფონეტიკური: ს. ქართველურ-***ქართ-(ა)** - ზან. **ქურთა /ქუთა**

სემანტიკური: **ღობე>შემოღობვა>შემოღობილი,შემოსაზღვრული ადგილი>ქალაქი** (საზოგადო სახელი)>**კონკრეტული ქალაქის სახელწოდება**

ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია ზემოდასახელებული ჰიპოთეზებისა და, შესაბამისად, სემანტიკური მნიშვნელობების გაერთიანება და ამოსავლად საერთო შინაარსის გამოყოფა შემდეგი სემანტიკური გადასვლებით: **ღობე > შემოღობვა > შემოღობილი > ნებისმიერი მოცულობის შემოსაზღვრული ადგილი** (კოვზი / ბუტკო / ჩენჩო / ფიჭა / ბუდე / ყუთი/გემი) > **ქალაქი** (საზოგადო სახელი) > **კონკრეტული ქალაქის სახელწოდება**.

Αἶα-ს ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, იგი საერთოქართველურ დონეზე არ არის აღდგენილი, თუმცა აია გვხვდება ქართველურ ენებში შემონახულ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ ზოგიერთ კომპოზიტში: მეგრ. **აია-ჟაშხა** - *სადიდმარხვო კვირადღის სახელი, რიგით მეხუთესი*; სვან. **აია-მიჟლადელ** - *ბზობის წინა კვირადღის დღესასწაული*.

ჩვენი აზრით, ასევე ძალიან საინტერესოა მიმართებები **აია** ძირსა და **იავ-ნანა** ფორმაში დადასტურებულ იდენტური შემადგენლობის კომპონენტს (**იავ**) შორისაც. რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, **იავ-ნანა** ფორმა, თავის მხრივ, საქართველოსა და მედიტარიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული **ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ქალღმერთის, ღმერთების დედის, დიდი დედის** - ქართველურ სამყაროში **ნანას** სახელით ცნობილი - კულტის სახელწოდებასთანაა კავშირში.

როგორც ცნობილია, მთელს მედიტერანულ სამყაროში უპირატესობა ქალურ საწყისს ენიჭებოდა; ფართოდ იყო გავრცელებული ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ქალღმერთის, "ღმერთების დედის", "დიდი დედის" თაყვანისცემის კულტი. ასეთები იყვნენ, მაგალითად: ისიდა/იზიდა - ეგვიპტეში, ინანა - შუამდინარეთში, კიბელე - მცირე აზიაში...

შუმერულ სამყაროში დედა-ღვთაების გამოხატვის სხვადასხვა ფორმა გვხვდება. ეს არის, როგორც ქალი ბავშვით ხელში, რომელსაც რამდენიმე სახელი ერქვა: დამგალუნა, ნინხურსაგი, ნინმახი, ნინტუ... შუმერული ქალღმერთებია აგრეთვე ვაუ და გატუმდუგი, რომელთა ეპითეტებია: „დედა“, „ყველა ქალაქის დედა“. დედა-ღვთაების აქადური ვარიანტია ბელეტილი, მამი (მშობიარეთა შემწე), არურუ (ადამიანთა შემქმნელი დედა).

მინოსურ-მიკენურ რელიგიურ წარმოდგენებში „დიდი დედა“ არის არა მარტო ყველა ღმერთის და ადამიანის დედაა (Hom. Hymn. 14), არამედ ცხოველებისა და - ზოგადად, ყველა ცოცხალი არსების.

დედა ქალბატონი ბერძნებთან ინდივიდუალიზირებული და დანაწევრებულია - წარმოდგენილია, როგორც ჰერა, არტემისი/არტემიდა, აფროდიტე, დემეტრე, ათენა. თუმცა, მიუხედავად ამისა, „დიდი დედის“ კულტი ბერძნული მითოლოგიის გენეალოგიურ სქემაში არ ჯდება, იგი წინაბერძნული წარმოშობის უნდა იყოს, რასაც არქეოლოგიური მონაპოვარიც ადასტურებს: მინოსურ საკულტო სცენებში ხშირად არის წარმოდგენილი ტახტზე მჯდომი „ქალღმერთი“, როგორც პატივისცემის ობიექტი.¹ ქალღმერთის გამოხატვის ფორმები არ არის ერთგვაროვანი: აღმოჩენილია გამოსახულებები თუ კერპები, რომლებიც თავის სამკაულად ატარებენ ყაყაჩოს ან ორმაგ ცულს, როგორც რქების სიმბოლოს; ბეჭდებზე შემორჩენილია ქალის გამოსახულება შუბით ან ხმლით ხელში; საყურადღებოა მიკენში ნაპოვნი „ფარის ღვთაება“, რომელიც გამოსახულია როგორც დიდი ფარი, რომლის უკან ამოზრდილია ფეხები, ხელები და თავი.

დიდი დედის კულტი არც ძველი ქართული სამყაროსთვის არის „უცხო“. ისტორიულ-კულტურული მონაცემების საფუძველზე მიიჩნევა, რომ აქ (და ზოგადად, კავკასიაში) უსათუოდ არსებობდა ქალღვთაების კულტი, რომელსაც პირდაპირი მიმართება სწორედ სხვა კულტურებში დადასტურებულ დიდი დედის კულტის ღვთაებასთან აქვს.

ქართული ნანას კულტი ჯერ კიდევ ენეოლოთის ხანაში ივარაუდება. სწორედ ამ პერიოდში წარმოდგენილ კავკასიურ ადრე სამიწათმოქმედო კულტურად უკავშირდება ქალის მცირე ზომის ქანდაკებები, რომლებიც ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი

¹Vermeule E. T., Götterkult, Archaeologia Homerica vol. 3, ch. V, Göttingen 1974, 16-18, მაგ. ოქროს რგოლი მიკენიდან, Nilsson M. P., The Minoan-Mycenaean Religion and its survival in Greek Religion, Lund 1950 (MMR), Abb. 85, ვერცხლის რგოლი მიკენიდან, MMR 181; Marinatos S., Hirmer M., Kreta, Thera und das mykenische Hellas, München 1973, T.115.

ღვთაების იკონოგრაფიადაა მიჩნეული. საკულტო და მითოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ნანა გაზაფხულზე აღორძინებული ბუნების, სიცოცხლის, შვილიერების, სინათლისა და ნაყოფიერების ქალღვთაებაა და ის სიყვარულის მფარველადაც ითვლება.

არ არის გამორიცხული ქალღვთაება ნანა ძირის კავშირი იდენტური გაფორმების მქონე ფუძეებთან (მთელი კავკასიის მასშტაბით რომ დასტურდება), და რომელთა მნიშვნელობაც ვარირებს („დედა“, „ბავშვი“, „ბებია“, „დიდედა“, „დედულეთი“...) მაგრამ საერთო, დამაკავშირებელი ძირი უცვლელია - ეს არის ქალური საწყისი.

ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კუნძულ სამოსზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ერთი რიგი (ცხენზე მჯდომი ბავშვიანი ქალ-ღვთაების ქანდაკება, ზანზალაკები, აბზინდები და სხვა...), რომელთა კავკასიურობის თეორია ფაქტობრივად დადასტურებულად ითვლებოდა, ახლა უკვე კონკრეტულად კოლხურ გარემოს დაუკავშირეს (თ. მიქელაძე).

რაც შეეხება „იავნანას“ - ეს ძველი ქართული ხალხური ლექს-სიმღერაა, წარმოშობით - წარმართული საკულტო რიტუალის უძველესი საგალობელი. „ნანინას“ ციკლის სიმღერების მსგავსად „იავნანაც“ მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას სახელთან არის დაკავშირებული.

როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს, მნიშვნელოვანი ცნობები ნანას შესახებ მოცემულია ქართულ ზღაპრებსა და ლეგენდებში, მისი კულტი კი ვლინდება ჩვენში „ბატონების“ სახელით ცნობილი ინფექციური ავადმყოფობებით (წითელა, ყვავილი...) დაავადებულთა მოვლა-მკურნალობის რიტუალში. ამ ცნობილი ქართული სიმღერების რეფრენს: „იავ ნანა, ვარდოვ ნანა, იავ ნანინაო“ მეცნიერი ქალღვთაება ნანას კულტს უკავშირებს. ბატონების „გასტუმრების“ რიტუალში დიდი დედა ნანას ასტრალური ბუნება, მისი მზესთან კავშირი ავადმყოფის გარშემო წრიული მოძრაობით დასტურდება (იგივე ვითარება გვაქვს ფერხულის ცეკვისასაც); გამოდის, „იავნანამ“ დაკარგა თავისი პირვანდელი ხასიათი და დანიშნულება, დღეს ის ხომ ძილისპირულია; თუმცა მანამდე, რაღაც პერიოდში, მას ბატონების დაავადებების დროს უმღეროდნენ ბავშვებს. სავარაუდოდ, უკვე ამ პერიოდიდან ფიგურირებს სიმღერაში „ია“ (ყვავილის მნიშვნელობით) და „ვარდი“ - ხსენებული დაავადებებისთვის დამახასიათებელ მუწუკებთან ასოციაციური კავშირით და ბატონების გულის მოსაგებად, ამ გამონაყარის ყვავილებთან შედარებით.

მეტიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს სიმღერა ადრე ასე შეზღუდული გამოყენებისა არ იყო და მას უფრო ფართო, ოდისა და ზოგადი საგალობლის სახე უნდა ჰქონოდა... აქედან გამომდინარე, თავდაპირველად აქ „ია“ ძირი, სავარაუდოდ, არც აღნიშნავდა ყვავილს... „ვარდი“ ფორმა ტექსტში, შესაძლოა, „ია“ (*აია) ძირის ყვავილის სახელად გადააზრიანების შემდგომ და მასთან, უკვე როგორც მცენარის სახელწოდებასთან ასოციაციით, მოგვიანებით გაჩნდა...

აი, ამ შემთხვევაში კი უკვე შესაძლებელია „იავ-ნანა“-ს „იავ“ კომპონენტის „აია“ ძირთან დაკავშირება, რასაც შემდგომი ღრმა ინტერდისციპლინარული კვლევა-ძიება სჭირდება.

ლიტერატურა:

1. Vermeule E. T., Götterkult, *Archaeologia Homerica* vol. 3, ch. V, Göttingen 1974, 16-18;
2. Marinatos S., Hirmer M., *Kreta, Thera und das mykenische Hellas*, München 1973, T.115;
3. Beekes R.S.P., 2003, *Pre-Greek, A Language Reconstructed* (second version), file:///C:/Users/admin/Downloads/pre-greek.pdf.
4. Beekes R.S.P., 2010, *Etymological Dictionary of Greek*, Brill . Leiden . Boston.
5. Brown R., 1985, *Evidence For Pre-Greek Speech on Crete from Greek Alphabetic Sources*, Amsterdam.
6. Chotalishvili L., 2014, "On Cretan-South Caucasian Toponymic Parallels", *PHASIS, Greek and Roman Studies* 17, 64-72.
7. Dräger, P., 1993, *Argo Pasimelousa. Der Argonautenmythos in der griechischen und römischen Literatur, Teil I, Theos Aitios*, Stuttgart.
8. Fähnrich H., 2007, *Kartwelisches Etymologisches Wörterbuch*, Brill. Leiden. Boston.
9. Fähnrich H., 2005, *Beiträge zur Kartwelologie*, Jena, FSU.
10. Frisk H., 1960, *Griechische etymologisches Wörterbuch I*, Heidelberg, Winter.
11. Furnée, E.J., 1972, *Die wichtigsten konsonantischen Erscheinungen des Vorgriechischen*, The Hague: Mouton.
12. Furnée E.J., 1979, *Vorgriechisch-Kartvelisches. Studien zum ostmediterranen Substrat nebst einem Versuch zu einer neuen pelasgischen Theorie*, Leuven: Peeters.
13. Furnée E.J., 1986, *Paläokartvelisch-Pelasgische Einflüsse in den indogermanischen Sprache, Nachgewiesen Anhand der spätindogermanisch-griechischen Reflexe urkartvelischer Sibilanten und Affrikaten*, Leiden: The Hakuchi Press.
14. Gamkrelidze Th., 1983, *Sonantensystem und Ablaut in der Kartwelsprachen*, Tübingen: Günter Narr-verlag.
15. Hiller S., 1991, "The Mycenaeans and the Black Sea", *Thalassa: L'Égée préhistorique et la mer*: 207-16.
16. Lesky A., 1948, *Aia*, *Wiener Studien* 63, 22-68.

17. Гамкრелидзе Т. и Иванов В., 1984, Индоевропейский язык и индоевропейцы, I, II. Тбилиси.
18. Гордезიანი Р., 2000, „Αἶα в древнейших греческих источниках“, Λεκτά, რჩეული ნაშრომები, 125-143. თბილისი.
19. Ониани А. и Санджевеладзе З., 1971, „Против извращения вопросов грузинской топонимики“, Вестник отделения общественных наук АН СССР (Мацне), Сер. языкознания и литературоведения 3: 169-182.
20. გორდეზიანი რისმაგ., 985, წინაბერძნული და ქართველური, თბილისი.
21. გორდეზიანი რ., 2007, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები II, III. თბილისი.
22. მიქელაძე თ., 1974, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი.
23. ჩუხუა მ., 2018, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი;
24. ვ. ბარდაველიძე, ქართველ ტომთა უძველესი რელიგიური წარმოდგენები და ტრადიციული გრაფიკული ხელოვნება (რუსულ ენაზე), თბილისი, 1957;
25. მიქელაძე, თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. მეცნიერება, თბ. 1974.

Nargiz Akhvlediani

Shota Rustaveli state University, Batumi

E-mail: nargiz.akhvlediani@bsu.edu.ge**Lela Chotalishvili**

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

E-mail: lela.chotalishvili@tsu.ge**Nino Jorbenadze**

Iv.Javakhishvili Tbilisi State University, Arn.Chikobava Linguistic Institute

E-mail: ninoaka55@yahoo.com**Iamze Gagua**

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

E-mail: iamze.gagua@tsu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.03>**SJIF 2024: 8.268****Towards several aspects of the ancient Greek-Georgian linguistic-cultural relationship**

(Aya-Kolkheti, Kutaia/Kutaisi and the Cult of the Great Mother in the Georgian and Mediterranean World)

Abstract

The ancient toponyms and names related to the story of the Argonauts (including Aia-Kolkheti and Kutaia) show a relationship with the Georgian linguistic world, which should echo the results of a specific Mycenaean expedition that was actually carried out; the contacts that the Mycenaean world had with the Georgian world of the eastern Black Sea coast; and the realities that had to be connected with the supposed purpose of the Argonauts' expedition.

The cult of Georgian Nana is assumed in the Eneolothic period. Small statues of women, which are considered the iconography of fertility and life-protecting deities, are connected to the Caucasian earlier culture. Based on mythological data, Nana is the goddess of nature, life, fertility, light, and she is also considered the patroness of love.

It is not excluded that the name of the goddess Nana is related to stems with identical form (which is confirmed throughout the Caucasus), and whose meaning varies ("mother", "child", "grandmother"...), but common, the connecting root is unchanged - it is a meaningful feminine one.

The fact that a series of bronze objects found on the island of Samos (a statue of a female deity with a child sitting on a horse etc.), whose Caucasian origin theory was considered to be confirmed, has now been specifically linked to the Kolkhi environment (T. Mikeladze) is very noteworthy.

რეცენზენტი: პროფესორი ალენ ბერდიჩევსკი

ენათმეცნიერება Linguistic

ფერთა შემცველი ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურული ტიპები (ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების მასალაზე)

ციური ახვლედიანი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: tsiuri.akhvlediani@tsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.04>

SJIF 2024: 8.268

ნაშრომში განიხილება სამი რომანული ენის ფრაზეოლოგიური სისტემები ფერთა შემცველი კომპონენტის საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გრამატიკულ და სინტაქსურ სტრუქტურებს. რომანულ ენათა შედარებითი ანალიზი ხორციელდება მოცემული კრიტერიუმის მიხედვით. ნაშრომში მოცემულია დასავლეთ რომანული ენების ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურული ტიპების შედარებით - შეპირისპირებითი კლასიფიკაცია.

საკვანძო სიტყვები: რომანული ენები, ფრაზეოლოგია, ფერთა აღმნიშვნელები, გრამატიკული სტრუქტურა.

ფერთა აღნიშვნას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რომანულ ენათა ფრაზეოლოგიურ სისტემაში, წარმოადგენს რა სიმბოლურ მნიშვნელობათა, ასოციაციათა და კულტურულ კონოტაციათა ფართო სპექტრს. გარდა ფერთა სახელწოდებების ნაციონალური მსოფლმხედველობისა, აღქმისა, ინტერპრეტაციისა და ფუნქციონირებისა, რომანულ ენათა სისტემებში ასევე აისახება გრამატიკული და სინტაქსური თავისებურებანი და უპირატესობები ამა თუ იმ ენისა. ეს მოვლენა განსაკუთრებით შეინიშნება ზმნურ ფრაზეოლოგიებში. ასე მაგალითად, ეს ჩანს ესპანურ ენაში **ser / estar** ოპოზიციის ნიშნით, რაც წარმოადგენს ეკზისტენციალურ და სტატიკურ მოდელს, რომელიც არ არსებობს ფრანგულ ენაში და ამგვარად არ არის გამოხატული იტალიურ ენაში; ამავდროულად, ფრანგული და იტალიური ენები ხასიათდებიან დიდი რაოდენობის იმ ფრაზეოლოგიზმთა კაუზატიური მოდელებით, რომლებიც წარმოდგენილი არიან მოქმედების შემცველი ზმნებით. ესპანურ სასაუბრო ენაში, გამოიყოფა ფართო სემანტიკის მქონე ზმნათა ჯგუფი, რომელთაც გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, შეუძლიათ ჰქონდეთ სხვადასხვა დამატებითი მნიშვნელობა. ასეთი ზმნებია: **dar** – მიცემა, **hacer** – კეთება, **poner** – დადება, დადგმა და სხვ. ეს ასევე

არანაკლებადაა დამახასიათებელი იმ ფრაზეოლოგიური ერთეულებისადმი, რომელთა პრედიკატიული ელემენტი გამოიხატება სტატიკური, ეკზისტენციალური და პოსესიური ზმნებით, ასევე გრძნობითი აღქმის ზმნებით. წარმოგიდგინო ყველაზე მეტად გავრცელებულ მოდელებს, რომლებიც მონაწილეობენ თითოეული ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შექმნაში:

ზმნური ელიპსური მოდელები. ასეთ ერთეულებში, იმ ზედსართავის მნიშვნელობა, რომელიც აღნიშნავს ფერის ნომინანტს, დამოკიდებულია საზღვრულ არსებით სახელთან, უთანხმდება მას აზრით, თუმცა გამოტოვებულია თვით ფრაზეოლოგიურ ერთეულში. მაგალითად, ესპან. **liarla parda** – ჩარევა რაიმეში, იტალ. **vederla nera** – ყველაფრის მუქად, შავბნელად დანახვა.

სინტაქსური ელიპსის ყველა ძირითადი შემთხვევა, ანუ რომლებიც განსაზღვრულია სრული კორელატების არსებობის კრიტერიუმებით თანამედროვე ენაში და რომლებშიც ადვილად აღდგება ნაკლოვანი ელემენტები როგორც კონტექსტის გარეშე, ასევე უახლოესი კონტექსტით და მიეკუთვნება მეტყველების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, ამ შემთხვევაში წარმოადგენს არსებითი სახელის ელიპსის. მრავალი ლინგვისტი ამბობს, რომ აუცილებელია აღდგეს დაკარგული ანტიცედენტები და ცდილობენ მათ პოვნას. ზოგჯერ ეს შესაძლებელია. ნაცვალსახელები «la», «las», ესპანურ და იტალიურ ენებში, შესაძლებელია გულისხმობდნენ ისეთ არსებით სახელებს, როგორებიცაა «**situación, situazione**».

ფრანგული მაგალითი: **les avoir (toutes) petits et (toutes) bleues** – ეშინიათ, რომ არ იგრძნონ სიცივე. აქ შეინიშნება ურთიერთკავშირი ფერის, როგორც ორგანიზმის რეაქციისა გარეგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზე (სიცივე, შიში – მიზეზები, ფერის ცვლა - შედეგი).

ზმნურ ერთეულებს შორის, ასევე შეიძლება გამოვყოთ **გრძნობითი აღქმის ზმნათა მოდელები**: ესპან. **verlo todo negro** – ყველაფრის შავბნელად დანახვა, იტალ. **vedere tutto bianco / rosso / nero / rosa** - ყველაფრის დანახვა თეთრად / წითლად / შავად / ლურჯად / ვარდისფრად, ფრანგ. **voir tout en blanc / rouge / noir / bleu / rose** – ყველაფრის დანახვა თეთრად / წითლად / შავად / ლურჯად / ვარდისფრად - ყოფნა ოპტიმისტად, მძვინვარედ, ხედვა შავბნელად, ღრუბლებში ფრენა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორ ენაში, ფერთა პალიტრა წარმოდგენილია გაცილებით ფართოდ, ვიდრე ესპანურ ენაში. ასევე აღსანიშნავია ზმნათა მოდელები მდგომარეობის ცვლილებათა მიხედვით: ესპან. **ponerle rojo a uno** – ვისიმე გაწითლება, სირცხვილში ჩაგდება, შერცხვენა, **volverse negro** – რუდუნებით, გულმოდგინედ მუშაობა რთულ საკითხზე, ფრანგ. **rendre bien noir** – ჩირქის მოცხება, პირშავად გამოყვანა, თავის მოჭრა, ცილის დაწამება, იტალ. **diventare giallo e verde** – გამწვანება, ბრაზისაგან, წყენისაგან გაფითრება. კაუზატური მოდელი: ესპან. **hacer ver lo blanco negro** – შავის თეთრად წარმოდგენა, ფრანგ. **en faire voir de bleues à qn** – მე მას ვუჩვენებ სეირს, იტალ. **fare qn. cacare verde** – ვინმეს გაბრაზება, გაცოფება.

ეკზისტენციალური მოდელი: იტალ. **essere nero** – პირქუშად, დაღვრემილად ყოფნა, ფრანგ. **être noir** – მთვრალად ყოფნა. ასევე, აქ შეიძლება შევნიშნოთ ენათაშორისი ომონიმის მოვლენა. ერთი და იგივე ერთეული, ერთსახოვანი, ერთგვარი თავისი სტრუქტურითა და შინაარსით, ორ ახლომონათესავე ენაში განსხვავებული მნიშვნელობითაა.

სტატიკური მოდელი: ესპან. **estar negro** – დაღვრემილად, პირქუშად, დათრგუნვილად ყოფნა, **estar en blanco** – საქმის კურსში არ ყოფნა.

ანალიტიკური მოდელი აქტიური და პოსესიური ზმნებით: იტალ. **fare / avere il viso rosso** – შეცბუნება, შეცბუნებული ყოფნა.

სახელდებითი ფრაზეოლოგიზმები: კომპარატიული მოდელი ესპანურ ენაში **como la ictericia que todo lo deja amarillo** – ბილწი, საძაგელი (ადამიანის შესახებ). შეუთანხმებელი განსაზღვრება წინდებული «de» - თი - ესპან. **de punta en blanco, de oro y azul** – მთლიანად მორთულ-მოკაზმული.

ამგვარად, გამოვლინდნენ ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ელიფსური მოდელები, სტრუქტურული ტიპები გრძნობითი აღქმის ზმნებით, მოდელები მდგომარეობის ცვლის ზმნებით, კაუზატიური მოდელი, ეკზისტენციალური მოდელი, სტატიკური სტრუქტურა, მოდელები აქტიური და პოსესიური ზმნებით, სახელობითი, ადიექტიური და ზმნიზედური ფრაზეოლოგიური ერთეულები. მოცემულ მიღებულებათა თანახმად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზმნურ ფრაზეოლოგიურ სტრუქტურათა ტიპების მრავალსახეობაში, ასევე ზმნის ფუნქციის დომინირებაში, ფერის აღმნიშვნელთა პრედიკატიული სტრუქტურები საკმაოდ ჭარბადაა წარმოდგენილი რომანულ ენებში. ეს აიხსნება იმით, რომ ზმნური ფრაზეოლოგიზმები მეტადაა დაკავშირებული ადამიანთან, მის მოღვაწეობასთან, ქმედებებთან და მდგომარეობასთან, ანუ ძირითადად, არიან ანთროპოცენტრულნი და ნაკლებად ეხებიან გარემომცველი სამყაროს რაიმე სხვა ობიექტს.

ლიტერატურა:

Manuel Seco, Olimpia Andrés, Gabino Ramos, Diccionario fraseológico documentado del español actual. Locuciones y modismos españoles. Madrid, 2004.

Новый Большой французско-русский фразеологический словарь / Под ред. В. Г. Гака. Москва, 2005.

Итальянско-русский фразеологический словарь / Под ред. Я. И. Рецкера, Москва, 1982.

Tsiuri Akhvlediani

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: tsiuri.akhvlediani@tsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.04>**SJIF 2024: 8.268****Structural Types of Phraseology Containing Colors**

(on material in French, Spanish and Italian Languages)

Abstract

The paper discusses the phraseological systems of three Romance Languages based on the color component. Special attention is paid to the grammatical and syntactic structures of phraseological units.

Comparative analysis of Romance Languages is carried out according to the given criteria. The paper provides a comparative – contrasting classification on the structural types of phraseological units of the Western Romance Languages.

Key words: Romance Languages, phraseological units, grammatical structure.

რეცენზენტი: პროფესორი მარია აფანასიადი

ენათმეცნიერება Linguistic

FLEx-ის პროგრამაში მეგრული ტექსტების ანალიზის შედეგები¹

რუსუდან გერსამია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ORCID: 0000-0001-7490-0851

ირინა ლობჯანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ORCID:0000-0002-3040-1847

rgersamia@iliauni.edu.ge, irina_lobzhanidze@iliauni.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.05>

SJIF 2024: 8.268

სამეცნიერო პროექტი „მეგრული ენის ანოტირებული კორპუსი ფორმალური გრამატიკითა და ელექტრონული ლექსიკონით“ გულისხმობს სამეგრელოში 2022-2023 წლებში ველზე მოპოვებული მასალის დამუშავებას *FieldWorks Language Explorer (FLEx, SIL International 2024)* პროგრამის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა მართვას, ონლაინ გრამატიკის, ლექსიკონისა და მონაცემის ბაზის შექმნას, რის საფუძველზეც საბოლოოდ მიიღება პროგრამიდან ავტომატურად გენერირებული მეგრულ-ინგლისური ლექსიკონი და მოკლე ფორმალური გრამატიკა.

მონაცემების ანოტირების შემდეგ ანოტირებული ტექსტები მონაცემთა ბაზის სახით განთავსდა ინტერნეტში. აღნიშნულ ბაზაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეგრული ენის ანოტირებულ კორპუსში, განთავსდა შემდეგი ინფორმაცია: წინადადებად დაშლილი ტექსტების ქართულ და ინგლისურენოვანი თარგმანები, ტრანსკრიფცია IPA - საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის გამოყენებით, მორფემებად დაშლილი სიტყვების ანოტაცია ლაიფციგის გლოსირების წესებსა და ევროტიპის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, POS - მეტყველების ნაწილთა ანოტაცია.

ამ ეტაპისათვის FLEx-ის კორპუსში წარმოდგენილია 2022-2024 წლის სავსე სამუშაოებისას მოპოვებული ტექსტებიდან გადარჩეული სხვადასხვა მოცულობის 149 ტექსტი, რაც შეადგენს 9 235 წინადადებას, 97 329 ტოკენს, 30 479 უნიკალური ფორმას. მონაცემებზე მუშაობის დროს შედგენილი ლექსიკონი და მოკლე ფორმალური გრამატიკა.

მეგრულ-ინგლისური ლექსიკონი ეფუძნება FLEx-ის გარემოში შეტანილი ტექსტების მორფოსინტაქსურად ანოტირებულ მონაცემებს. FLEx-დან შესაძლებელია შეიქმნას სტრუქტურულად ლექსიკონი და მორფემაზე (ძირი, აფიქსები), ან ორივეზე დაფუძნებული ლექსიკონები. მოკლე ფორმალური გრამატიკა ეფუძნება FLEx-ში სიტყვების მორფოლოგიურ სეგმენტირებას და მორფემათა კლასიფიკაციებს.

¹ კვლევა ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტი FR-21-993. პროექტი „მეგრული ენის ანოტირებული კორპუსი ფორმალური გრამატიკითა და ელექტრონული ლექსიკონით“).

საკვანძო სიტყვები: მეგრული ტექსტების, მონაცემის ბაზის შექმნას, ანოტირებული ტექსტები

სამეცნიერო პროექტი „მეგრული ენის ანოტირებული კორპუსი ფორმალური გრამატიკითა და ელექტრონული ლექსიკონით“ გულისხმობს სამეგრელოში 2022-2023 წლებში ველზე მოპოვებული მასალის დამუშავებას FieldWorks Language Explorer (FLEX, SIL International 2024) გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა მართვას, ონლაინ გრამატიკის, ლექსიკონისა და მონაცემის ბაზის შექმნას. რის საფუძველზეც საბოლოოდ მიიღება პროგრამიდან ავტომატურად გენერირებული მეგრულ-ინგლისური ლექსიკონი და მოკლე ფორმალური გრამატიკა.

მონაცემების ანოტირების შემდეგ ანოტირებული ტექსტები მონაცემთა ბაზის სახით განთავსდა ინტერნეტში. აღნიშნულ ბაზაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეგრული ენის ანოტირებულ კორპუსში, განთავსდა შემდეგი ინფორმაცია: წინადადებად დაშლილი ტექსტების ქართულ და ინგლისურენოვანი თარგმანები, ტრანსკრიფცია IPA - საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის გამოყენებით, მორფემებად დაშლილი სიტყვების ანოტაცია ლაიფციგის გლოსირების წესებსა (Lehman 2004; Comrie et al. 2008) და ევროტიპის სახელმძღვანელო პრინციპებზე (Bakker et al. 1993) დაყრდნობით, POS - მეტყველების ნაწილთა ანოტაცია (ცხრილი 1).

8.1	Word base	-	თაქ	ვგხოვრენქ				დაბადებაშ
	Word ipa		tak	vtʰxɑvrɛnk				dɑbɑdɛbɑʃɛ
	Morphemes		თაქ	ვ-	გხოვრ	-ენ	-ქ	დაბადება
	Lex. Entries		თაქ	ვ-1	გხოვრ	-ენ2	-ქ2	-შე2
	Lex. Gloss		here.PROX	SUBJ1	live	TS	SUBJ1SG	birth
	Lex. Gram. Info.		loc	v:(Subject&Object agreement)	L2	v:(Thematic Suffix, Potentialis)	v:(Subject&Object Agreement)	L2
	Word Cat.		loc	m				ger

Free en I have lived here since my birth.
 kat აქ ვგხოვრობ დაბადებიდან.

ცხრილი 1. შიდახაზოვანი ლექსიკური და გრამატიკული ინფორმაცია FLEX-ში

ამ ეტაპისათვის FLEX-ის კორპუსში წარმოდგენილია 2022-2024 წლის საველე სამუშაოებისას მოპოვებული ტექსტებიდან გადარჩეული სხვადასხვა მოცულობის 149 ტექსტი, რაც შეადგენს 9 235 წინადადებას, 97 329 ტოკენს, 30 479 უნიკალური ფორმას. მონაცემებზე მუშაობის დროს შედგენილი ლექსიკონი და მოკლე ფორმალური გრამატიკა.

1. ელექტრონული ლექსიკონი

მეგრულ-ინგლისური ლექსიკონი ეფუძნება FLEX-ის გარემოში შეტანილი ტექსტების მორფოსინტაქსურად ანოტირებულ მონაცემებს. FLEX-დან შესაძლებელია შეიქმნას სტრუქტურულად ლექსემასა და მორფემაზე (ძირი, აფიქსები), ან ორივეზე დაფუძნებული ლექსიკონები.

ა) ლექსემაზე დაფუძნებულ კონფიგურაციაში მთავარ ჩანაწერებად გამოიყენება კომპლექსური ფორმები, რომლებიც წარმოადგენენ ერთ ლექსემას, ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეულს. ამგვარი კონფიგურაცია ძირითადი მნიშვნელობების საფუძველზე ჩანაწერების ორგანიზებით ამარტივებს ნავიგაციას ლექსიკონში. სახელური პარადიგმისთვის ლემა წარმოდგენილია მხოლოდითი რიცხვის სახელობითი

ბრუნვის ფორმით, ხოლო ზმნის პარადიგმისთვის - შეიძლება წარმოდგენილი იყოს მასდარის ფორმით.

ბ) ძირეულ და აფიქსურ მორფემებზე დაფუძნებულ კონფიგურაციაში, ძირითადი ჩანაწერების სახით გამოიყენება: ძირეული ფორმები, რომლებიც მეგრულის შემთხვევაში შეიძლება იყოს მონოფონემურიც, და ფლექსიური აფიქსები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას გრამატიკული მნიშვნელობების შესახებ. მორფემის ყველა დასაშვები ფონეტიკური ვარიანტი ან ალომორფი უკავშირდება ამოსავალ მორფემას, გაბმულ ტექსტს და მორფემათა სიებს.

2. მოკლე ფორმალური გრამატიკა

მოკლე ფორმალური გრამატიკა ეფუძნება FLEx-ში სიტყვების მორფოლოგიურ სეგმენტირებას და მორფემათა კლასიფიკაციებს. ცნობილია, რომ ქართველურ ენებს შორის მეგრული აგლუტინაციის ყველაზე მაღალი ინდექსის მქონეა (მელიქიშვილი 2010): სახელების შემთხვევაში მორფემები ავტონომიური და ავტომატურია, ცალსახა მიმართებაა გრამატიკულ ფორმასა და მნიშვნელობას შორის. FLEx-ში სიტყვათა მორფოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ ზმნა, განსაკუთრებით მისი პრეფიქსული ნაწილი, მორფემათა მძლავრი ფუზიურობით ხასიათდება, რაც მორფემათა სეგმენტირებას ართულებს. არცთუ იშვიათად მორფემები რეპრეზენტირებულია არასრული ან გარდაქმნილი ფონემატური სტრუქტურით; ზოგჯერ, საერთოდ გამოტოვებულია, დაყვანილია ნულამდე, ან მოკვეცილია (მაგალითად, ზმნის ფინიტურ ნაწილში ერთი ან რამდენიმე მორფემის მოკვეცა ქმნის ე.წ. კვეცილ სტილს); ამგვარი მოდელების ანალიზისათვის FLEx-ში ხდება მათი აღდგენა ამოსავალი და/ან სრული ფორმით, რათა დაზუსტდეს გრამატიკული მნიშვნელობები და გაირჩეს ომორფემები.

სახელებისა და ზმნის მორფოსინტაქსური ელემენტების ჯაჭვი შეიძლება დაიყოს გრამატიკული მნიშვნელობის მქონე მორფემებად, კლიტიკებად (ნაწილაკები და კავშირები) და ფონოტაქტიკურად ღირებულ ჩანართებად, რომლებიც მორფემათა საზღვარზე არსებული არაკანონიკური ფონემათმომდევრობების დასაძლევად არის გამოყენებული.

სახელს მხოლოდ ორი გრამატიკული კატეგორია აქვს: ბრუნვა და რიცხვი. მორფემათა მიმდევრობა სახელების სტრუქტურაში კი გაცილებით მეტი ელემენტია: *ძირი* -> *ეპენტეზური თანხმოვანი* -> *რიცხვი* -> *ეპენტეზური ხმოვანი* -> *ბრუნვის ნიშანი* -> *ემფატიკური ხმოვანი* -> *თანდებული* -> *ფოკუსის ნაწილაკი* -> *ემფატიკური ხმოვანი* -> *ნაწილაკები* [1, 2, 3] -> *კავშირი*.

FLEx-ის ბაზა აჩვენებს, რომ მორფემათა მიმდევრობა იდენტური რჩება სხვა სახელებთან, საწყისთან და მიმდებარასთანაც. ყველაზე მეტ თავისებურებას კი ავლენენ ნაცვალსახელები; მატრიცებში განაწილებულია ალომორფები, თავისუფლად მონაცვლე ან ფონეტიკური პოზიციით შეპირობებული ვარიანტები; შეზღუდულია თანხმოვნური ეპენტეზის, რიცხვის მარკერის გამოვლენა; თანდებულთა რაოდენობა მწირია; ბრუნვის ნიშნები მრავალგვარი ფონეტიკური ვარიანტითაა წარმოდგენილი და სავსე მასალა ახალ მონაცემებსაც ავლენს. გარდა ამისა, FLE-x-ის მონაცემთა ბაზა ცალსახად ავლენს ნაცვალსახელთა მნიშვნელობების მიხედვით კლასიფიცირებისა და მათ შინაარსობრივ ჯგუფებში გადანაწილების საკითხს.

მორფემათა მიმდევრობა ზმნის პრეფიქსული ნაწილისათვის ასე გამოიყურება: *უარყოფის ნაწილაკი* -> *დადასტურებითი ნაწილაკი / სრული ასპექტი* -> *ზმნისწინი* ->

უსრული ასპექტი -> თურმეობითობა -> პირის მარკერები -> ქცევა / გვარი / კაუზატივი პოტენციალისი -> ძირი.

FLEX-ში დიდი რაოდენობის მონაცემების ანალიზის შედეგად დადასტურდა აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდები, რომ ნაწილაკთა დიდი ნაწილი მოდალური ელემენტებია, შემთხვევათა ნაწილში გრამატიკალიზებულია მხოლოდ *ქო*-ნაწილაკი და მას მასპექტირებელი ფუნქცია აქვს. ცალსახად მასპექტირებელი ფუნქცია ენიჭება *გუ* (> *გ-*) პრეფიქსსაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის რთულ ზმნისწინს უსწრებს. *თმ/მ*-ნაწილაკი უსრული ასპექტისა, კერძოდ, პროგრესივის, გამომხატველია და იგი სისტემურად ვლინდება ზმნური სტრუქტურის ერთსა და იმავე პოზიციაზე სენაკურ-მარტვილურის ფორმებში. პირის ნიშნისა და ქცევის ნიშნის ადგილი არასტაბილურია, პირის ნიშანი მოძრაობს ხმოვანპრეფიქსული მორფემის (განსაკუთრებით, ქცევის ნიშნის) ან ზმნის ძირისკენ, შემდგომ კი კანონიკური ფონოტაქტიკის მიხედვით ასიმილირდება და ალომორფად იქცევა.

მორფემათა მიმდევრობა ზმნის ფინიტური ნაწილისათვის ანალიზის ამ ეტაპზე ასე გამოიყურება: ძირი -> აუგმენტი -> გვარი / კაუზატივი -> თემატური სუფიქსი -> პოტენციალისის / პასივის, თურმეობის ნიშანი -> სავრცობი (დრო, ასპექტი) -> პარადიგმის ნიშანი / კავშირებითის ნიშანი -> პირისა და რიცხვის ნიშნები -> ემფატიკური ხმოვანი -> პირობითი კილოს მარკერები -> კლიტიკები [მოდალური ნაწილაკები, კავშირები].

ზმნის ფინიტური ნაწილი მდიდარია უღლების კატეგორიებით, ზოგჯერ მიმდევრობაში რამდენიმე თემის ნიშანია, რაც მეგრული ზმნის ფუძის შენების პრინციპებს აჩვენებს. ზმნის ფინიტური ნაწილი მოდალური ნაწილაკებისა და კავშირების ენკლიტიკებად ქცევის პარალელურად მიდრეკილია ბოლოკიდური მორფემების ჩამოკვეცისკენ ისე, რომ ზმნის გრამატიკული მნიშვნელობის გაგებას ხელი არ ეშლება. FLEX-ის სისტემაში, ზოგადად, კარგად არის რეპრეზენტირებული გრამატიკული მნიშვნელობის გადმოსაცემად აუცილებელი და საკმარისი, ასევე ჭარბი მორფემების რაოდენობა. პროგრამა კარგად ასახავს ენის ეკონომიურობის პრინციპს მორფოლოგიის დონეზე.

FLEX-ში მეგრული ტექსტების ანალიზი საინტერესო სურათს იძლევა არაერთი თვალსაზრისით, მათ შორისაა ნასესხობების მორფოლოგიური მოდელირების და მორფომოდელში კოდების ცვლის საკითხი; მეტყველების ნაწილთა (POS) ანოტირებისას ფორმისა და ფუნქციის შეთანადების საკითხები; რე > ე „არის“, რდუ > დუ „იყო“ ზმნის ენკლიტიკით მიღებული შედგენილი შემასმენლის მესამე პირის ფორმათა სეგმენტირებისა და ანოტირების საკითხები და სხვ.

ლიტერატურა:

1. კარტოზია, გ., გერსამია, რ., ლომია, მ., ცხადაია, თ., - მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“. 2010. 699 გვ.
2. მელიქიშვილი, ი., - ფლექსიურობის (ფუზიურობის) შესახებ ქართველურ ენებში. სამეცნიერო კრებული „ენათმეცნიერების საკითხები“, # I-II, გვ. 84-106. თბილისი. 2010.
3. ქირია,ჭ., ეზუგბაია, ლ., მემიშიძე, თ., ჩუხუა, მ., - ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“. 2015. 900 გვ.
4. ქობალავა, ი., - გე- ზმნისწინის მნიშვნელობისათვის მეგრულში: სამეცნიერო კრებული „ენათმეცნიერების საკითხები“, 4, გვ. 166-174. თბილისი. 2002.
5. ქობალავა, ი., - აწმყოს ფუძის ერთი თავისებურებისათვის მეგრულში (გრამატიკული და სემანტიკური ასპექტები): სამეცნიერო კრებული „ენათმეცნიერების საკითხები“, #I-II, გვ. 234-251. თბილისი. 2010.

6. Comrie, B., Haspelmath, M., and Bickel, B. (2008). *The Leipzig Glossing Rules: Conventions for Interlinear Morpheme-by-morpheme Glosses*. Leipzig: Max Planck Institute for Evolutionary Anthropology.
7. International, SIL. 2024. *SIL Fieldworks Language Explorer (FLeX)*, Version 9.1. January 01. <https://software.sil.org/fieldworks/>.
8. Lehmann, Ch., 2004, "Interlinear morphemic glossing." In Booij, G., Mugdan, J., & Skopeteas, St., (eds.), *Morphologie. Ein internationales Handbuch zur Flexion und Wortbildung*. 2. Halbband. Berlin & New York: W. de Gruyter (Handbücher zur Sprach- und Kommunikationswissenschaft, 17.2). pp.1834-1857.
9. Lobzhanidze I., Gersamia R., Tsulaia N., Compiling a bilingual Megrelian-English online dictionary – Preserving endangered Kartvelian languages. In K. Š. Despot, A. Ostroški Anić, & I. Brač (Eds.), *Lexicography and semantics: Proceedings of the XXI EURALEX International Congress Cavtat, Croatia*. pp. 614-627.

Rusudan Gersamia

Ilia State University
ORCID: 0000-0001-7490-0851

Irina Lobzhanidze

Ilia State University
ORCID:0000-0002-3040-1847

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.05>

SJIF 2024: 8.268

Results of the analysis of Megrelian texts in the FLeX program

Abstract

The scientific project "Annotated Corpus of the Megrelian Language with Formal Grammar and Electronic Dictionary" involves the processing of materials collected in Samegrelo during 2022-2023 using the FieldWorks Language Explorer (FLeX, SIL International 2024) program. This program provides data management and facilitates the creation of an online grammar, dictionary, and database, ultimately resulting in an automatically generated Megrelian-English dictionary and a brief formal grammar.

After the data annotation, the annotated texts have been made available online in the form of a database. In this database, or, in other words, in the annotated corpus of the Megrelian language, the following information is included: translations of texts split into sentences in Georgian and English, transcription using IPA (International Phonetic Alphabet), morpheme-based annotation of words based on the Leipzig Glossing Rules and Eurotyp's guiding principles, and POS (part-of-speech) annotation.

At this stage, the FLeX corpus contains 149 texts of various lengths selected from the texts obtained during fieldwork in 2022-2024, comprising 9,235 sentences, 97,329 tokens, and 30,479 unique forms. A dictionary and a brief formal grammar have been compiled during the work on the data.

The Megrelian-English dictionary is based on morphosyntactically annotated data entered into the FLeX environment. It is possible to create lexicons structured around either lexemes or morphemes (roots, affixes), or both. The brief formal grammar is based on the morphological segmentation of words and the classification of morphemes within FLeX.

Key words: Megrelian texts, database, data annotation

რეცენზენტი: პროფესორი თამარ ლომთაძე

ენათმეცნიერება Linguistic

ორიენტაციული მეტაფორის რეალიზაციის თავისებურებები

თამარ გრიგალაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: Tamar.Grigalashvili@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.06>

SJIF 2024: 8.268

კოგნიტური მეტაფორის თეორიის ავტორები, სემანტიკურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, განასხვავებენ ცნებითი მეტაფორის სხვადასხვა სახეს. სწორედ ცნებითი მეტაფორის ერთერთ ასეთ ტიპად სახელდება ორიენტაციული მეტაფორები. სტატია ეხება ორიენტაციული მეტაფორის რეალიზაციის თავისებურებებს.

ეროვნულ ცნობიერებაში ხშირად ემოციები-აბსტრაქტული მოვლენები, ყველაფერი ის რაც ჩვენს შინაგან სამყაროს უკავშირდება უხილავი და უფრო ნაკლებად აღქმადი პროცესების სახით, ასოცირდება ფიზიკურ სიდიდეებთან, ფიზიკურ მდგომარეობასთან, სივრცით განზომილებასთან. ენაში დიდი რაოდენობით მოიპოვება მეტაფორული ფრაზები, რომლებიც ადამიანთა ემოციებს და სხვა აბსტრაქტულ მოვლენებს უკავშირებს სივრცეში ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ მდებარეობას. აღნიშნული ტიპის მეტაფორები წარმოიქმნებიან არა იზოლირებულად, არამედ კონკრეტულ კულტურულ გარემოში.

ჩვენს ცნებით სისტემაში სხვადასხვა მოვლენები, უკავშირდება სივრცეში ორიენტაციას და შედეგად იქმნება ორიენტაციული მეტაფორები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ენაში.

საკვანძო სიტყვები: კოგნიტური მეტაფორა, ორიენტაციული მეტაფორა.

კოგნიტური მეტაფორა არსებობს ამა თუ იმ ენის მატარებელი კოლექტივის ცნობიერებაში, რაც გამოვლინდება თვით ენაში ცალკეული მეტაფორული გამოთქმების, ფრაზეოლოგიზმების სახითაც. კოგნიტივისტი ლეიკოფი მიიჩნევს, რომ ენაში არსებული

ცალკეული გამოთქმები ხშირად ერთი მეტაფორის გამოვლინებას წარმოადგენენ. ეს ძირითადი მეტაფორა შეიძლება არც იყოს ნახსენები ენაში, მაგრამ იგი არსებობს ენობრივ ცნობიერებაში და ამას დასტურებს ფრაზები, რომლებიც მის გამოსხივებას წარმოადგენენ. ცნებითი მეტაფორის საინტერესო შემთხვევებს წარმოადგენენ მეტაფორები, რომლებიც სხვადასხვა ცნებებს და მოვლენებს სივრცით ორიენტაციას უკავშირებენ. ლეიკოფი მათ პირობითად ორიენტაციულს უწოდებს. მისი აზრით, რაც ძალიან საინტერესოდ მიგვაჩნია, ეროვნულ ცნობიერებაში ხშირად ემოციები-აბსტრაქტული მოვლენები, ყველაფერი ის რაც ჩვენს შინაგან სამყაროს უკავშირდება უხილავი და უფრო ნაკლებად აღქმადი პროცესების სახით, ასოცირდება ფიზიკურ სიდიდეებთან, ფიზიკურ მდგომარეობასთან, სივრცით განზომილებასთან. ენაში დიდი რაოდენობით მოიპოვება მეტაფორული ფრაზები, რომლებიც ადამიანთა ემოციებს და სხვა აბსტრაქტულ მოვლენებს უკავშირებს სივრცეში ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ მდებარეობას. აღნიშნული ტიპის მეტაფორები წარმოიქმნებიან არა იზოლირებულად, არამედ კონკრეტულ კულტურულ გარემოში.

ინგლისურენოვანი მოსახლეობის შემეცნებაში არსებობს მეტაფორა Happy is up და Sad is down. რაც გამოხატულებას პოულობს ენაში. ამ შემთხვევაში ვერტიკალური მდგომარეობა სივრცით განფენილობაში წარმოადგენს წყაროს (რისი საშუალებითაც ხდება აღქმა), ხოლო დადებითი ემოციური განწყობა (ბედნიერება), ისევე როგორც უარყოფითი, (უბედურება)-მიზანს, რისი აღქმაც ხდება. ცნობიერებაში მათ არსებობას ადასტურებს შემდეგი მეტაფორული გამოთქმები:

Happy is up ; Sad is down .

I am feeling up. That boosted my spirits.

My spirits rose. You are in high spirits.

I am feeling down. I'm depressed

He's really low these days. I fell into a depression [გრიგალაშვილი, 2005:90].

ქართულშიც არსებობს კოგნიტური მეტაფორის ის ტიპები რომლებსაც ჯ. ლეიკოფი და მ. ჯონსონი ორიენტაციულს უწოდებენ. მაგ.: უბედურება (წარუმატებლობა, მარცხი) ორიენტირებულია ქვემოთ:

ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი დაღმასვლის პერიოდი დაიწყო.

ამ საქციელის შედეგად მისი რეპუტაცია საბოლოოდ დაეცა .

ჩამოქვეითების შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცი თავს დამცირებულად გრძნობდა. უკანასკნელი იმედი გაქრა და ბელადის წარმატების მზეც საბოლოოდ ჩაესვენა. შესაბამისად, სიკეთე (ბედნიერება, წარმატება, წინსვლა) ზემოთ არის ორიენტირებული: იგი ამაღლებული განწყობით შეუდგა საქმეს . ქალი სიხარულით ცაში დაფრინავდა. უამრავი ადამიანი ოცნებობს კარიერულ აღმასვლაზე. ამაღლება ეწოდება ქრისტიანულ დღესასწაულს, რომელიც იდღესასწაულება აღდგომიდან მეორმეცე დღეს. ასე ეწოდება იმის აღსანიშნავად, რომ ამ დღეს ქრისტე მოწაფეთა თვალწინ ამაღლდა ზეცად.

„ქრისტე გაშლილი, მაკურთხეველი ხელებით ამაღლდა ზეცად. ელეონის მთასთან მდგარი მოწაფეები პირველ ქრისტიანულ ეკლესიას წარმოადგენდნენ. სიყვარულითა და იმედის აღსავსე ეს ეპიზოდი არის ნიშანი და აღთქმა იმისა, რომ კურთხევა ღვთისა მუდამ ჰგებებს ეკლესიაში.“

[ხარება, ინტერნეტ-ჟურნალი, 2024:1]

ამგვარად, ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ორიენტაციული მეტაფორები. ჩვენ ვარსებობთ სივრცესა და დროში. ყოფიერება კი გარკვეულწილად განსაზღვრავს ცნობიერებას. ჩვენს ცნებით სისტემაში სხვადასხვა მოვლენები, უკავშირდება სივრცეში ორიენტაციას და შედეგად იქმნება ორიენტაციული მეტაფორები, რომლებსაც მნიშვნელოვნი ადგილი უჭირავთ ენაში.

ლიტერატურა:

1. გრიგალაშვილი თ.,-კოგნიტური მეტაფორა ინგლისურ და ქართულ ენებში. დისერტაცია. გვ. 50-93. თბილისი. 2005.
2. ხარება , მართლმადიდებლური ინტერნეტ-ჟურნალი-<https://xareba.net>
3. Lakoff G.,-Linguistics and Natural Logic. P 25-26. London, 1978.
4. Lakoff G & Johnson M., -Metaphors We live by. P. 54-56. Chicago, 1980.
5. Leech G.,-Semantics P. 57. London, 1985.

Tamar GrigalashviliAkaki Tsereteli State University
e-mail: Tamar.Grigalashvili@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.06>

SJIF 2024: 8.268

Peculiarities of realization of orientational metaphor

Abstract

The authors of the theory of cognitive metaphor, identify different types of cognitive metaphor according to the semantic criteria. Thus another kind of metaphorical concept is identified as an orientational metaphor. The article deals with the peculiarities of realization of orientational metaphors.

In the conceptual system of nation emotions and abstract concepts, everything that is connected with our inner world in terms of invisible and less perceivable processes is associated with physical quantities, physical condition, spatial dimensions. There is an abundance of metaphorical expressions in the language, which relate human emotions and other abstract notions with vertical or horizontal location in space. These types of metaphors do not exist in isolation but against specific cultural background.

In English lingual perception there exist metaphors **Happy is up** and **Sad is down** which are reflected in the language.

Happy is up ; Sad is down .

I am feeling up. That boosted my spirits.

My spirits rose. You are in high spirits.

I am feeling down. I'm depressed

He's really low these days. I fell into a depression.

[Grigalashvili, 2005:90]

Types of cognitive metaphor defined as orientational metaphors by G. Lakoff and M. Johnson exist in Georgian language, for instance, misfortune(failure, defeat) is oriented down . Correspondingly fortune (happiness, success, promotion) is oriented up.

The longest ever period of downfall in the history of a country has started.

As a result of this behavior his reputation was severely tarnished .

Being downgraded young man felt very humiliated .

He set to work in high spirits.

In our conceptual system different phenomena are connected with spatial orientation and condition the existence of orientational metaphors, which occupy very important place in language.

Key words: orientational metaphor, cognitive metaphor

რეცენზენტი: პროფესორი ირინა გომხეთელიანი

ენათმეცნიერება Linguistic

ტყუილის გამოხატვის ლინგვისტური და პროსოდიკული თავისებურებები

ზეინაბ კონცელიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

e-mail: zeko.kontselidze96@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.07>

SJIF 2024: 8.268

სტატია ეხება მატყუარა მეტყველების ენობრივი და პროსოდიკული თავისებურებების შესწავლას. ტყუილი საკმაოდ რთული ფენომენია და მნელია, მატყუარის დაფიქსირება-აღმოჩენა. მხოლოდ სპაციალური ცოდნის მქონე გაწვრთნილ ადამიანებს შეუძლიათ მოტყუების პროგნოზირება იმისათვის, რომ არ გახდეს ვინმეს მსხვერპლი. ბევრი რამ უნდა იცოდეს მატყუარას თავისებურებების შესახებ. ტყუილის ფენომენი კვარგად არის გამოკვლეული ფსიქოლოგიასა და ლინგვისტიკაში. ბევრი სამეცნიერო ნაშრომი არის გამოქვეყნებული ტყუილის ვერბალური, პროსოდიკული და აკუსტიკური ნიშნების შესახებ. წინამდებარე სტატია წარმოადგენს ტყუილის შესახებ არსებული თეორიული მასალის ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: ტყუილის გამოხატვა, ლინგვისტური და პროსოდიკული თავისებურებები

კომუნიკაცია ადამიანის ფუნდამენტური უნარია. საუბედუროდ, ეს უნარი საკმაოდ ძვირად უჯდებათ ადამიანებს. კომუნიკაციის დროს შესაძლებელია, ისინი „ტყუილის მსხვერპლი“ გახდნენ. როგორია ტყუილის ვერბალური გამოვლინება, როგორ ამოვიცნოთ ლინგვისტურ და პროსოდიკულ მახასიათებლებზე დაკვირვებით, რომ გვატყუებენ?

ადამიანებს ოდითგანვე ჰქონდათ შემუშავებული ტყუილის ამოცნობის მეთოდები: დაკვირვება მატყუარას სხეულის ენაზე ან ტყუილის ვერბალურ მხარეზე.

მაშინაც კი, როცა ტყუილი იმპლიციტურ დონეზეა ნათქვამი, ტყუილის ამოცნობა შესაძლებელია მონათხრობის შინაარსზე დაკვირვებით. მატყუარა ადამიანების მონათხრობი ფანტასტიკის ელემენტებს შეიცავს. მათ მიერ მოგონილი ამბები ხშირად

ილუზორულია, ბუნდოვანია და გამოცნობას და დაფიქრებას მოითხოვს. ჰენქოქი (2005) თვლის, რომ არამოტივირებული მატყუარები მარტივ ტყუილებს ქმნიან მაშინ, როცა მოტივირებულები საკმაოდ დახვეწილ ტყუილებს თხზავენ.

ადამიანები, რომლებიც ნამდვილ ამბავს ყვებიან, ემოციურად საუბრობენ, მათი ნარატივის სტრუქტურა დარღვეულია. მაგრამ მატყუარა ადამიანების ნარატივი ემოციურობას მოკლებულია. შესაბამისად თხრობა ქრონოლოგიური სიზუსტით მიმდინარეობს. მატყუარა სიტუაციას აღწერს ისე, რომ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებზე საუბრობს. მაგრამ თუკი ერთი და იგივე კითხვით რამდენიმეჯერ ზედიზედ მიმართეს, მეორეჯერ იგივე პასუხის გაცემა გაუჭირდება.

კვლევებში მითითებულია, რომ მატყუარის ამოცნობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს მათ მიერ გამოყენებული სიტყვების რაოდენობას. კვლევებმა დაადასტურა, რომ მატყუარები ცოტას ლაპარაკობენ. ისინი ცდილობენ ვრცლად არ ისაუბრონ და რაც შეიძლება მცირე ინფორმაცია გასცენ იმაზე, რაც რეალობასთან არავითარ კავშირში არაა. მატყუარა ადამიანების მონათხრობს დეტალები აკლია. დეტალებზე ყურადღების შეგნებულად არ გამახვილება იმაზე მიუთითებს, რომ არ სურთ მსმენელებმა ტყუილში გამოიჭირონ.

მკვლევარ კოზლოვას (2014:44) თანახმად, მატყუარების მეტყველებაში შეინიშნება შემდეგი: 1) მატყუარებს უჭირთ წინასწარ განჭვრიტონ ან დაგეგმონ რა საკითხზე უნდა მოიტყუონ. ამიტომ, ისინი ჯერ ისტორიას გონებით გადაურბენენ, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს აარჩევენ და ტყუილსაც მასზე დააშენებენ; 2) მატყუარების მეტყველებას აკლია ინფორმაციის სიზუსტე. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც მატყუარას ეს ყველაფერი რეალურად არ განუცდია; 3) ისეთი მატყუარებიც არსებობს, რომელთაც მთელი სიზუსტით შეუძლიათ ამბის მოყოლა, ამბისა, რომელიც შორეულ წარსულში მოხდა. მატყუარები ყვებიან ამბებს ზუსტი ქრონოლოგიით; 4) მატყუარებს სჩვევიათ ერთი და იგივე ამბის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით მიწოდება მსმენელისათვის; 5) მატყუარა საკუთარი თავის შესახებ დადებით ინფორმაციას გასცემს, რათა მსმენელს მათ მონათხრობში ეჭვი არ შეეპაროს; 6) მატყუარებს სჩვევიათ ერთი და იგივეს ხშირი გამეორება;

7) მატყუარები იმ შეკითხვებსაც იმეორებენ, რა შეკითხვაც მათ მიმართ იქნა დასმული. ასე მაგალითად: Hey Lily, did you send the email to Rose? Did I send the email to Rose? შეკითხვის გამეორება მატყუარას მიერ ერთგვარი ტაქტიკაა, რომლის დროსაც მატყუარა დროს იგებს და სათანადო პასუხს ამზადებს.

8) ყოყმანი პასუხის გაცემის დროს და ენის დაბმა ასევე თვალშისაცემია: - Can you imagine someone stole my wallet? Oh really, um, may be... maybe you lost it? Or...or left somewhere ...?

9) ემოციებისგან დაცლილი ნარატივი;

10) კითხვაზე პასუხის გაცემის აცილების მცდელობა, რომელიც ისეთ ეფექტს ქმნის, თითქოსდა მატყუარამ ვერ გაიგო შეკითხვის არსი ან პასუხი დაავიწყდა;

11) ზოგიერთმა მატყუარას სჩვევია იმის თქმა, რომ მის მიმართ დასმული შეკითხვა მოეწონა, სწორედ რომ ამ კითხვას მოელოდნენ. ასე მაგალითად: "Good question..."; "I'm glad you asked me ..."; "Interesting (funny)." By the way, where is our ...", "I don't know", "I don't remember" "I don't understand the essence of the questions, your actions."

12) როცა მატყუარას მის მიმართ დასმულ შეკითხვაზე პასუხი არ მოეპოვება და არ სურთ ტყუილში გამოიჭირონ, თავდაცვის მიზნით ამბობენ: "I don't remember something ...", "As far as I remember, no", "Let me think, remember ...", "It was so long ago..."

13) იმისათვის, რომ მსმენელმა მათ მიერ მოთხოვილ ამბავში ეჭვი არ შეიტანოს, მატყუარები მიმართავენ ფრაზებს მსგავსად: "To be honest", "Let me be They clear", "To tell you the truth", "The fact is", "Believe me."

14) მატყუარები შეკითხვების დასმისას ახსნა-განმარტებებს ითხოვენ "What's the meaning of this?" ან "What do you mean?"

15) თუკი მატყუარა ხვდება, რომ მძიმე მდგომარეობაშია, თავის დაძვრენას შემდეგი ფრაზებით ცდილობს: "As far as I recall", "If you really think about it", "What I remember is," "The way I see it";

16) მატყუარები მაქსიმალურად არიდებენ თავს პირველი პირის ნაცვალსახელების (I, my, myself) გამოყენებას; "The glass broke," ნაცვლად "I broke the glass."

ნაცვალსახელების გამოყენებაზე დაკვირვებით შესაძლოა ბევრი რამ გავიგოთ ენობრივ სუბიექტზე. თუკი ენობრივი სუბიექტი კომუნიკაციის დროს ხშირად იყენებს პირველი პირის ნაცვალსახელებს: *I, me, my, mine, myself, we, us, our, ours, ourselves.*, გამოდის, რომ ისინი პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებენ ამა თუ იმ განცხადების გაკეთებისას. თუკი ადამიანი ნაცვალსახელებს შეგნებულად გამოტოვებს, გამოდის, რომ ინფორმაცია არაა სარწმუნო.

17) შესაძლებელია ნაცვალსახელების არტიკლებით ჩანაცვლება, ასე მაგალითად: "I played the piano" ნაცვლად "I played my piano."

18) მატყუარებს სჩვევიათ ბრალდების შემთხვევაში ბრალმდებელის „ნამუსზე აგდება“ შემდეგი ფრაზებით: "Would I do something like that? "I wouldn't do such a thing," "How can you doubt me?" "Don't you have something better to do than to waste my time with this stuff?"

19) მატყუარებს ახასიათებთ ე.წ. პარაზიტი სიტყვების: Um" "see," "you know," "means," "here," "well," "maybe" ხშირი გამოყენება;

20) მატყუარების ემოციური სტრესის მაჩვენებელია: "really praise", "wow! "very strong", "terribly bad", etc.

21) მატყუარებს უყვართ საუბრის თემის შეცვლა, რომელიც ვლინდება თხოვნაში: "Why do you want to know that?", "Don't you have something better to do?"

22) მატყუარებს ახასიათებს კითხვის შემობრუნება, მაგ: - "Did you do it?" "Did I do it? Of course not!"

მატყუარა ადამიანის მიერ წარმოთქმულ წინადადებებში შეიმჩნევა პროსოდიკული მახასიათებლები, კერძოდ: ყოყმანი, მეტყველების დროს დაშვებული შეცდომები, ბგერათგადაცდომები, მაღალი ტემბრის ხმა, პაუზების სიხშირე და ხანგრძლივობა. თუმცა როცა საქმე გამოცდილ მატყუარას ეხება, შეცდომები იკლებს.

ტყუილის პროსოდიკის კვლევას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. ერთ-ერთი მკვლევართაგანი გახლავთ ლევიტანი (2018), რომლის კვლევის თანახმად, რაც უფრო მაღალი ხმის ტემბრით ხდება ინფორმაციის გაცემა, მით უფრო მეტი ვარაუდია, იმისა, რომ ადამიანი იტყუება.

მეორე მკვლევრის, ჩენის (2020) თანახმად, ტყუილის ინდიკატორებია: ხშირი პაუზები, პასუხის გაცემის დროს ყოყმანი, წინადადებების თუ სიტყვების გამეორებები, საუბრის სწრაფი ტემპი, ხმის მაღალი ტემბრი.

მკვლევარი ლ. გლასი, ავტორი წიგნისა “Body language of Liars” მართალია, მატყუარების სხეულის ენის შესწავლით იყო დაინტერესებული, მაგრამ მას წიგნში აქვს საუბარი მატყუარა ადამიანის საუბრის გაძნელებაზე, რომელიც განაპირობებს ინტერვალების არსებობას მეტყველებაში, ყოყმანს, ენის ბორძიკს და ა.შ. როგორც მკვლევარი ამბობს, ტყუილის თქმა ორგანიზმისთვის სტრესის მომგვრელია. წნეხის ქვეშ მყოფი ნერვიული სისტემა მკვეთრად ამცირებს ნერწყვის წარმოქმნას, რაც იწვევს პირის ღრუს სიმშრალეს და იწვევს საუბრის გაძნელებას.

რუსი მკვლევარი ო. ლიკოვა სტატიაში „Просодические и акустические индикаторы лжи в голосе“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტყუილის დროს პაუზების ხშირ გამოყენებას. იგი წერს, რომ პაუზები მოტყუების დროს ყველაზე ხშირად გამოიყენება. ხშირი და ხანგრძლივი პაუზები, ისევე როგორც პაუზები, რომლებიც უშუალოდ კითხვაზე პასუხის გაცემამდე ჩნდება ადამიანის მეტყველებაში, ყოველთვის საეჭვოა. საუბრის დროს ხშირი პაუზების გამოყენებას ორი მიზეზი შეიძლება ქონდეს: მატყუარას არ აქვს გააზრებული თავისი ქცევის ხაზი, ან ტყუილის თქმა აშინებს. პაუზებს შესაძლებელია თან ახლდეს ჩახველება, რომელიც ასევე არაგულწრფელობის მაჩვენებელია. (Лыкова, 2012:183)

ო. ლიკოვა ასევე მიუთითებს, რომ ტყუილის გამოაშკარავებაში არანაკლებ გვეხმარება სამეტყველო ტონსა და ინტონაციაზე დაკვირვება, კერძოდ: საუბრის დროს ტონის ამაღლება და აღმავალი ინტონაცია ხშირად მოტყუების ნიშანია. ადამიანი, რომელიც იტყუება, შეიძლება განიცდიდეს დაუცველობას ან სინდისის ქენჯნას, რაც აიძულებს მას არაცნობიერად გამოხატოს ეს მეტყველებაში. ემოციური სტრესი შეიძლება აისახოს ხმის იოგების დამაბულობაში, რაც თავის მხრივ ამაღლებს საერთო ტონს. (Лыкова, 2012: 184)

ცნობილი მკვლევრის პ. ეკმანის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ტყუილის ყველაზე ხშირი მანიშნებლები საუბრისას ხმის ტემბრის ცვალებადობა და საუბრის დროს არსებული პაუზებია. ტყუილის თქმის დროს ხშირი პაუზების

გამოყენება აძლევს საშუალებას მატყუარას სწრაფად მოახდინოს ტყუილის ფორმულირება. პაუზების დაფარვა ხშირად პაუზების შემავსებლებითაა შესაძლებელი.

მკვლევარი ასევე ასახელებს საუბრის არასწორად წამოწყების მცდელობებს მატყუარა ადამიანებთან. ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა ენობრივი სუბიექტი წამოიწყებს საუბარს, იტყვის კონკრეტულ წინადადებას ან ფრაზას და თვითონვე ცდილობს მის შესწორებას.

პ. ეკმანის დაკვირვებით ტყუილის თქმის დროს ხშირია შეყოვნება, სანამ ენობრივი სუბიექტი პასუხს გასცემდეს მის მიმართ დასმულ შეკითხვას. ამ პროცესის მიღმა ცხადია არის კოგნიტური პროცესი. ყოყმანის დროს ადამიანი მეტყველებაში უშვებს შეცდომებს (მაგალითად „ეეე“, „ჰჰჰჰ“ um, uh), ადგილი აქვს ბგერათგადაცდომებს, ერთი სიტყვის მეორეთი ჩანაცვლებას და ა.შ.

მეტყველების ხარვეზების გარდა ტყუილი შეიძლება გამოვლინდეს ადამიანის ხმის ტემბრსა და მის ჟღერადობაში, მეტყველების სიჩქარეში. ამათგან ყველაზე საყურადღებო სწორედ ხმის ტემბრია. მატყუარა ადამიანის ხმის ტემბრი მაღალია მაშინაც კი, როცა წინადადება სრულდება.

როგორც ვხედავთ, ტყუილი უნივერსალური ფსიქოლოგიური ფენომენია. ტყუილის თქმა საკმაოდ ადვილია, მაგრამ მისი გამოაშკარავებაა ძნელი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მთელი რიგი ინდიკატორები (ლინგვისტური და პარალინგვისტური - ჟესტი, მიმიკა, სხეულის მოძრაობა, ინტონაცია, პაუზირება, ხმის ტემბრი), მაინც რთულია ადამიანის მეტყველებაში სიცრუის აღმოჩენა. თუკი არ ვიცით, როგორ მეტყველებს ესა თუ ის ადამიანი ყოველდღიურ, მშვიდ გარემოში, ძნელი იქნება მისი ტყუილში დადანაშაულება.

არ აქვს მნიშვნელობა რომელ სოციალურ ფენას, რომელ სქესს, რომელ ასაკობრივ ჯგუფს ან კულტურას მივკუთვნებით, ყველანი ვიტყუებით. საზოგადოება ვერ იარსებებს ტყუილის გარეშე, რადგანაც ტყუილი ადამიანის ბუნებაა.

ლიტერატურა:

1. Chen, X. L., Levitan, S. I., Levine, M., Mandic, M., and Hirschberg, J. (2020). Acoustic-prosodic and lexical cues to deception and trust: Deciphering how people detect lies. *TACL* 2020.
2. Glass. L. (2013) *The Body Language of Liars: From Little White Lies to Pathological Deception—How to See through the Fibs, Frauds, and Falsehoods People Tell You Every Day.*
3. Hancock, J.T., Curry, L.E., Goorha, S. & Woodworth, M.T. (2005) Automated linguistic analysis of deceptive and truthful synchronous computer-mediated communication, *HICCS*.
4. Kozlova V. A., (2014) *Psychology of Manipulation*, Moscow.
5. Levitan, S. I., Maredia, A., and Hirschberg, J. (2018). Linguistic cues to deception and perceived deception in interview dialogues. In *Proceedings of the 2018 Conference of the North American*

Chapter of the Association for Computational Linguistics: Human Language Technologies, Volume 1 (Long Papers), p. 1941–1950.

6. ეკმანი პ. (2023) „სიცრუის ფენომენი“ (როგორ ამოვიცნოთ ტყუილი ბიზნესში, პოლიტიკასა და ოჯახში).
7. Лыкова О.В. (2012) „Просодические и акустические индикаторы лжи в голосе“.

Zeinab Kontselidze

Batumi Shota Rustaveli State University

e-mail: zeko.kontselidze96@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.07>

SJIF 2024: 8.268

Linguistic and Prosodic Features of Lying

Abstract

The article is devoted to the study of linguistic and prosodic features of deceptive speech. Lying is a complex phenomenon and it is difficult to detect deception. Only trained people with special knowledge can predict deception. In order to avoid being victims of somebody's lies, one should know much about its peculiarities. The phenomenon of lying is well investigated in psychology and linguistics. Many scientific papers study verbal, prosodic or acoustic signs of lying. The present article is based on the analysis of the theoretical material.

Key words: Expression of lying, Linguistic and Prosodic Features of Lying

რეცენზენტი: პროფესორი ახმად მამელი

ენათმეცნიერება Linguistic

Об эвфемизмах в русскоязычном медиапространстве

Виктория Милько, Виктория Макарова

Вильнюсский университет

Viktorija.milko@flf.vu.lt

viktorija.makarova@flf.vu.lt

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.11>

SJIF 2024: 8.268

В статье представлены особенности функционирования эвфемизмов в современном русскоязычном медиапространстве. Материалом для анализа послужили статьи 2021 г. на тему штурма Капитолия. Выборку для анализа составили 58 эвфемизмов, которые соответствовали пяти признакам эвфемизма: наличие отрицательного денотата; нейтральное слово, которое заменяет эвфемизм; наличие семантической рассеянности; признак улучшения денотата; информативность. Авторы приводят примеры наиболее распространенных способов образования эвфемизмов и рассуждают о судьбе эвфемизмов с различной степенью эвфемизации.

Ключевые слова: функционирования эвфемизмов, медиапространства

Эвфемизмы являются одним из наиболее часто используемых и в то же время наименее заметных получателями информации языковых механизмов для воздействия на сознание получателей текстов. Как один из видов «референциальной манипуляции» [3:203], эвфемизация позволяет, например, как снизить значимость каких-либо социальных проблем, так и закамуфлировать различные нелицеприятные с точки зрения субъекта дискурса поступки.

С целью установления особенностей функционирования эвфемизмов в русскоязычном медиапространстве мы проанализировали статьи на тему штурма Капитолия, опубликованные 1.01.2021–31.01.2021 на порталах «Медуза», «Российская газета» и «Лента.ру», и составили выборку для анализа из 58 эвфемистических единиц, которые соответствовали таким признакам эвфемизма (по [1:6]; [2:77]), как наличие отрицательного денотата; существование нейтрального слова для замены его эвфемизмом; наличие семантической рассеянности; признак улучшения денотата; информативность.

Сферы наибольшей эвфемизации. Анализ микроконтекстов из нашей выборки позволил нам прийти к выводу том, что информационные издания пытаются избежать прямого наименования *правоохранительных органов* и производимых ими действий, заменяя прямую номинацию на более приемлемые и эмоционально положительные эвфемистические выражения. То же самое происходит и с освещением темы *протестов*, так как прямая номинация любых насильственных или осуждаемых обществом действий способствует слишком чуткому восприятию информации аудиторией и требует применения автором текстов эвфемизмов.

Наиболее популярные способы **образования эвфемизмов** – это *использование заимствованной лексики, общих номинаций с широкой семантикой и метафорических выражений*. Все эти три способа в большой степени могут влиять на осознание денотата носителями языка.

Например, использование *заимствованной лексики* (в нашей выборке это 9 эвфемистических единиц из 58) вместо исконно русской часто позволяет придать тексту большую наукообразность, такие выражения звучат представительно и их сложнее ставить под сомнение. Более того, не всем носителям языка понятны заимствованные слова, и если получатель текста, владеющий хотя бы одним иностранным языком, способен найти минимальные семантические отголоски в другом языке и осознать внутреннюю форму слова, связав его со схожим словом в другом языке, то владеющему только русским языком человеку это сделать, причем одновременно читая статью, практически невозможно.

Например: *К публикации Илларионов прикрепил несколько роликов, посвященных беспорядкам в Вашингтоне, включая видео, в котором якобы содержатся доказательства об инфильтрации представителей движения «Антифа» в ряды протестующих.*

В данном примере эвфемизм *инфилтрация* используется для определения денотата «внедрение». Вместо использования эвфемизма в этом случае могло быть применено прямое название процесса, то есть использовано слово *внедрение*. Термин «инфилтрация» используется в достаточно специфических языковых отраслях, то есть носитель языка не нуждается в этом слове в быту, что способствует затемнению сущностных характеристик денотата. Стоит также заметить, что корень эвфемизма *фильтр*, который является достаточно знакомым русскому человеку, способствует соотнесению слова *инфилтрация* с понятием очищения. Таким образом, эвфемизм приукрашивает денотат, придает ему положительную эмоциональную окраску.

В группу *способ образования эвфемизма через метафоризацию* вошли такие эвфемизмы, слова которых называют денотат не через прямую номинацию, а, в большинстве случаев, употреблены в переносном значении, что может указывать на один из признаков денотата, но никак не на саму суть денотата. Подобные эвфемизмы отличаются общеупотребительностью, что достаточно часто мешает осознать получателю текста саму сущность денотата. В нашей выборке таких примеров – 13.

Например: *За непрозрачными президентскими выборами наблюдал весь мир.* Здесь слово *непрозрачный* использовано в переносном смысле, речь идет об эвфемизме *непрозрачный*, он заменяет прямую номинацию *незаконный* для обозначения денотата «беззаконность». Прилагательное *непрозрачный* не подразумевает факт отсутствия законности, но вместе с тем препятствует возможности осознать, в чем же заключается суть описываемых событий. Использование эвфемизма вместо прямой номинации также обусловлено этико-политическими факторами, ведь делать громкое заявление о том, что в демократической стране выборы сфальсифицированы, когда весомых доказательств этому нет, – это неэтично. Поэтому, по-видимому, автор делает выбор в пользу эвфемизма, чтобы проинформировать аудиторию о том, что процесс выборов вызвал вопросы с точки зрения соблюдения закона. Но за отсутствием прямой номинации таким образом теряется прямой смысл денотата.

Общие номинации с широкой семантикой. К данной группе мы отнесли те примеры эвфемизмов, в которых для обозначения денотата используется так называемая широкая лексика (вместо прямого и конкретного слова применяется такое слово, которое не называет действие или предмет, указывая лишь на незначительный его признак). Такие эвфемистические единицы зачастую бывают достаточно знакомы носителям языка и в большинстве случаев читатель не заостряет свое внимание на подобных выражениях, так как не подозревает (вернее, не должен заподозрить), что за ними скрывается более глубокий смысл. В нашей выборке таких примеров – 14.

Например: *Американские онлайн-сервисы и соцсети начали блокировать аккаунты президента США Дональда Трампа и его сторонников, а также ограничивать контент, связанный с беспорядками в Вашингтоне 6 января 2021 года.*

Тут субъект дискурса использует хорошо известное всем современникам выражение *ограничивать контент*, однако не каждый читатель способен осознать эвфемистическую природу данного словосочетания. Под звучным выражением скрывается т.н. негативный денотат – «удаление или запрет информации» (к слову, что можно считать цензурой XXI века). Слово *ограничивать* не подразумевает факт удаления чего-либо, а указывает на установление допустимых границ для передачи информации. Стоит также отметить, что слово *контент* относится к иностранной лексике, что также влияет на семантическую неопределенность выражения. Вместо использования эвфемизма автором могло быть использовано прямое название процесса *удаление содержания публикации*, однако в связи с тем, что это противоречит принципу свободы слова (особенно в такой стране, как США), прямая номинация такого действия означала бы посягательство на ценности современного общества.

Степень эвфемизации. В ходе исследования нам также удалось установить, что эвфемизмы с максимальной степенью эвфемизации (например, *в городе введены повышенные меры безопасности*) достаточно часто обречены существовать в рамках

типичных высказываний об определенных ситуациях. Эвфемизмы с минимальной степенью эвфемизации (например, *этот французский программист якобы покончил с собой именно в тот день*) используются значительно реже, так как они более не способны утаивать правду или существенно приукрашивать денотат, но все еще обладают признаком более приятного звучания по сравнению с прямой номинацией. Наиболее востребованными в современном медиадискурсе являются эвфемизмы средней степени эвфемизации (например, *он должен быть немедленно отстранен от должности; здание Капитолия в Вашингтоне было очищено от протестующих; секретная служба возглавляет операции по обеспечению безопасности на мероприятиях).*

В заключение отметим, что несмотря на то, что эвфемизация помогает избежать конфликтных ситуаций, цена такого результата слишком высока. Злоупотребление эвфемизмами дезинформирует общество и не позволяет получателям информации осознать серьезность ситуаций, освещаемых в СМИ.

Литература

1. Сеничкина, Е. П., 2008. *Словарь эвфемизмов русского языка*. Москва: Флинта.
2. Солодилова, А. П., Соколова, Т. Ю., 2017. Критерии идентификации эвфемизмов. *Вестник Оренбургского государственного университета*, № 11, 73–78.
3. Шейгал, И. Е., 2000. *Семиотика политического дискурса*. Москва-Волгоград: Перемена.

V. Milko, V. Makarova

Viktorija.milko@flf.vu.lt

viktorija.makarova@flf.vu.lt

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.11>

SJIF 2024: 8.268

The Euphemisms in the Russian Mass Media

Abstract

The article describes the features of the use of euphemisms in modern Russian media. The authors analyzed 58 euphemisms (based on the articles about the storming the Capitol in 2021). All euphemisms have such characteristics as: the presence of a negative denotation; the presence of a neutral word that replaces an euphemism; presence of semantic absent-mindedness; sign of improvement in denotation; information content. The authors give examples of the most common ways of forming euphemisms and discuss the fate of euphemisms with varying degrees of euphemism.

Рецензент: профессор Мамаи Пагава

გამეორება ტექსტის აგების ერთი საინტერესო შესაძლებლობა

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ORCID:0000-0001-8490-4813

ლეილა აბზიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: mananamikadze123@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.08>

SJIF 2024: 8.268

ტექსტი ენისა და მეტყველების უმაღლესი საკომუნიკაციო ერთეულია, კომპლექსური სამეტყველო ქმედებაა, სწორედ ამიტომ მისი კვლევა დღეისათვის ძალზე აქტუალურია - აქ მოიაზრება ტექსტის, როგორც სტრუქტურის, ისე ფუნქციური ასპექტების შესწავლა, რადგან ნებისმიერი ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში.

ამ მიმართებით არსებულ შესაძლებლობებს შორის, როგორცაა ზმნა-შემასმენელთა დრო-კილოს ფორმები, ჩართული სიტყვები და გამოთქმები, სინონიმები თუ ანტონიმური, ნაცვალსახელური ჩანაცვლებები, განიხილავენ ასევე ლექსიკურ თუ სემანტიკურ (სიტყვათა და შესიტყვებათა) გამეორებებს, რაც ჩვენი კვლევის ობიექტს წამოადგენს ოტია იოსელიანის მოთხრობებში.

ჩვენთვის საინტერესოა გამეორება არა როგორც სტილისტიკური შესაძლებლობა, არამედ როგორც ქართული მხატვრული ტექსტის აგების ერთ-ერთი ენობრივი შესაძლებლობა. საილუსტრაციო მასალა მომზადდა ოტია იოსელიანის პროზის მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: ტექსტი, გამეორება, ო.იოსელიანის პროზა.

ტექსტი ენისა და მეტყველების უმაღლესი საკომუნიკაციო ერთეულია, კომპლექსური სამეტყველო ქმედებაა, სწორედ ამიტომ მისი კვლევა დღეისათვის ძალზე აქტუალურია - აქ მოიაზრება ტექსტის, როგორც სტრუქტურის, ისე ფუნქციური ასპექტების შესწავლა, რადგან ნებისმიერი ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში. ენის დონეებრივ მოდელს (1. ფონოლოგიური დონე - ენობრივი ერთეული ფონემა; 2. მორფოლოგიური დონე - ენობრივი ერთეული მორფემა; 3. ლექსიკური დონე - ძირითადი ერთეული სიტყვა; 4. სინტაქსური დონე - ერთეული წინადადება; 5. ტექსტობრივი დონე, როგორც უმნიშვნელოვანესი. იგი ჩამოყალიბდა ცალკე დისციპლინად ტექსტის ლინგვისტიკის სახით, სწორედ ამ სივრცეში, ტექსტის

მოდელირებაში ერთ-ერთ ძირითად საკითხად განიხილება ტექსტის კომპონენტთა ურთიერთდაკავშირების საშუალებები.

ამ მიმართებით არსებულ შესაძლებლობებს შორის, როგორცაა ზმნა-შემასმენელთა დრო-კილოს ფორმები, ჩართული სიტყვები და გამოთქმები, სინონიმები თუ ანტონიმები, ნაცვალსახელური ჩანაცვლებები, განიხილავენ ასევე ლექსიკურ თუ სემანტიკურ (სიტყვათა და შესიტყვებათა) გამეორებებს, რაც ჩვენი კვლევის ობიექტს წამოადგენს ოტია იოსელიანის მოთხრობებში.

ჩვენთვის საინტერესოა გამეორება არა როგორც სტილისტიკური შესაძლებლობა, არამედ როგორც ქართული მხატვრული ტექსტის აგების ერთ-ერთი ენობრივი შესაძლებლობა.

არსებობს გამეორების სხვადასხვა სახე: ბგერითი, მორფოლოგიური, ლექსიკური, სინტაქსური [კოშორიძე, 2005:116]. ამათგან „დამოუკიდებელ წინადადებათა ურთიერთდაკავშირების ერთ-ერთ გავრცელებულ და ტიპურ საშუალებას წარმოადგენს ლექსიკური განმეორება“ [სერგია, 1989:164]. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ოტია იოსელიანის პროზისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი სწორედ ლექსიკური გამეორებაა.

პირველ რიგში, განვიხილოთ, თუ რა ტიპის ლექსიკური ერთეულები (რომელი მეტყველების ნაწილები) მეორდება ყველაზე ხშირად ტექსტის აზრობრივად შეკავშირებისათვის.

კვლევის მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გამეორებული ლექსიკური ერთეულებიდან სჭარბობს ზმნა (39%), არაერთგვარი რაოდენობრივი მაჩვენებელი მივიღეთ მეტყველების სხვა ნაწილებთან დაკავშირებით, გარდა ნაწილაკისა, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება.

საანალიზო მოთხრობების საფუძველზე გამოვყავით ტექსტის, მისი ნაწილების, აზრობრივად შეკავშირებისათვის გამოყენებული 1. ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულების გამეორებები და 2. სიტყვათშეთანხმების გამეორებები, „აღნიშნავენ, რომ ტექსტის ყოველი ელემენტის აზრი გამოსახება ტექსტის რომელიმე სხვა ელემენტის მთლიანი ან ნაწილობრივი განმეორებით“ [სერგია, 1989:165]. „გამოყოფენ კონტაქტურ და დისტანციურ განმეორებებს. კონტაქტურად მიიჩნევენ განმეორებას, როცა ლექსიკური ერთეული მეორდება მეზობელ წინადადებაში, ხოლო, როცა სიტყვა მეორდება ერთი ან რამდენიმე წინადადების შემდეგ მას დისტანციურ განმეორებას უწოდებენ [სერგია, 1989: 165]. საანალიზო მოთხრობებში დასტურდება, როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური გამეორებების შემთხვევები, იშვიათად, მაგრამ მაინც, ორმაგი - მიჯრით გამეორებული სიტყვები სხვა წინადადებაში ან აზრში გამეორების ნიმუშები, თუმცა, კონტაქტური გამეორება ყველაზე მეტადაა დამახასიათებელი; გამეორებული სიტყვები ერთმანეთთან უშუალო კავშირში, გვერდიგვერდ, ზოგჯერ „და: კავშირით შეერთებული გვხვდება:

სინათლე აანთეთ...კაბინაში აანთეთ სინათლე! (აკაციის ყვავილობა, 135,4); ბაია: აანთეთ! ყველამ აანთეთ, ყველაფერი აანთეთ! (გამოქვაბული, 364, 38); ბაია: (არავინ ანთებს) აანთეთ, ყველამ აანთეთ! (გამოქვაბული, 354, 24); ავანთე და ჩავაქრე, ავანთე და

ჩავაქრე, აჩრდილები გაქრნენ (უთაური ბიჭის თავგადასავალი, 539,17); -მაგ დოვლათიან ყურებს ხომ **აგახევენ** და **აგახევენ** (აღათი, 489, 31); ამ ათიოდე ფირფიტას (უმრავლესობა ერთხელ მოსასმენადაც მნელია) **აბრუნებს** და **აბრუნებს** (მდინარე ნამდინარეში, 359, 6); ზაფხულს აქეთაა **აგდია** და **ეგდოს** (ხუმრობა, 373, 10); თვითმფრინავი **აგუგუნდა**, **აგუგუნდა** და მინდორზე გაგორდა (მიწისძვრა, 123,5); კახა: **ადე, ადე!** საქმეს მიხედე, ფიცრები შემოიტანე და მალლა გაჰყარე! (ყრუ ღმერთები, 514, 1); - **ადე, ადე!** - გააწყვეტინა „კრეტინმა“ (უმეკობრესი მეკობრის ამბავი, 207,36); **ადექი, ადექი** და ნახე! (ხუმრობა, 108,21); - **ადექი, ადექი**, შე არგასაჩენო და არგადასარჩენო! (უნივერსიტეტობანა, 350,3); -**ადექით, ადექით!** გეყოფათ ძილი და უსაქმურობა! - გაწყრა ერთ დილით დედამიწა (თაგვი და კატა, 371,23); ია: რას არ **ათბობო**, ვის არ **ათბობო**, როგორ ბედავ?! (ანგელოზი, 253,14); მთელი სოფელი... უფრო ადრეც არ მოგვიხერხდა, **ვარჩიეთ, ვარჩიეთ, ვარჩიეთ...** (ჩემი ასავალ-დასავალი, გვ. 16); არც წინ წასავალია, უკან დასახევი ხომ **არაა** და **არაა** (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, გვ.19); **აყრიდა** და **აყრიდა** ცოლი კოხივით ქოქოლას, ერთს არ აიცილებდა, მაგრამ არც შუბლს გაიხეთქავდა (დედა, გვ.24); თქვენ ვინ ყოფილხართ, რა ხალხი ყოფილხართ! (ჩემი „ვეფხისტყაოსანი“, გვ.46); **კინაღამ** ჰკუა **მელრძო**, ისე გამიჭირდა და, **კინაღამ** კი არა, **მელრძო** (ჩემი „ვეფხისტყაოსანი“, გვ.50); **მივდივარ და მივდივარ**, მაგრამ ღმერთმა არ იცის, სად (მატარებელი და შავი მდინარე, გვ. 60); **მძულს** ყველაფერი ეს: გაუტანელი და უნდო-უსიყვარულო და ორგული, **მძულს** ეს სისხლისმსმელები და სისხლისმღვრელები... (მატარებელი და შავი მდინარე, გვ. 61); **გავრბივარ, გავრბივარ, გავრბივარ!**... (მატარებელი და შავი მდინარე, გვ. 61); ახლაც **აგაშენა ღმერთმა**, კიდო **აგაშენა ღმერთმა!** ... (კარიერა, 81, 19); -**აგაშენათ ღმერთმა!**.. **აგაშენათ...** **აგაშენათ ღმერთმა!** (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 42, 5).

გამეორებულ სიტყვებს შორის ზოგჯერ დგება ზმნიზედა, რაც აძლიერებს გამეორებული სიტყვით გამოხატული ცნების აზრს:

ახლა რომ გავჩერდე, **ახლა** რომ დავჯდე, **ახლა** რომ დავეცე და დავწვე, იქვე გამისკდება ისედაც გახეთქილი გული და სისხლად დავიღვრები (მატარებელი და შავი მდინარე, გვ. 61); მისი ნანა და სიმღერა, ხალხური ლექსი და ზღაპარი, გამოცანა და იგავი, ლოცვები, რჩევა-დარიგებები ისეთი შთამაგონებელი და გულშიჩამწვდომი იყო, **ახლაც** ჩამესმის და **ახლაც**, როგორც მაშინ, მიმქრალი კერიისა და მიბჟუტული ჭრაქის სინათლეზე, სევდითა და იმედით, ტკივილითა და რწმენით ამავეს ხოლმე (ჩემი ასავალ-დასავალი, გვ.7).

ანაფორული გამეორება (ლიტერატურული ფიგურა, რომელიც შედგება სიტყვის ან სიტყვების ნაკრების გამეორებისაგან ლექსის ან ფრაზის დასწყისში) ზოგჯერ არა ორ-სამ, არამედ რამდენიმე წინადადებას, აზრს აკავშირებს:

ასე რომ, **იმდენს** იზამდა, **იმდენს** იდავიდარაბებდა, შარშანდელს, პეპლად გამოსულს, გვან შემოდგომამდე იხარჯებდა (დედა, გვ.25); **თეთრი...** **თეთრი** ვერსად მიწაზე რომ ვერ ვხედავდი, ისეთი ქუნქულა, ქათქათა, უბიწო, დედის ცრემლივით

წმინდა და ტკბილი ღრუბლებით მოჩითული, მოხატული, მოჩუქურთმებული (შავი და თეთრი ძროხა, გვ.41).

ანადიპლოზისი (წინადადების ბოლო სიტყვის ან გამოთქმის გამეორება, მომდევნო წინადადების თავში) ამ ფორმით შეკავშირებული ტექსტი, ჩვენი აზრით, საკმოდ მრავლისმთქმელია აზრობრივად:

და **გავრზივარ**, მივზლუქუნებ და **გავრზივარ**, და ბონდს **მივადექი**. **მივადექი** რკინის ბაწრებზე გაკიდებულ საცალფეხო მდინარეზე გადებულ ბეწვის ხიდს და შევჩერდი (მატარებელი და შავი მდინარე, გვ. 61)

სარკისებური გამეორება, როდესაც მოსაუბრისათვის მნიშვნელოვანი სიტყვები ან ფრაზები მეორდება და თან ახლავს მკვეთრად გამოხატული ემოციები, იშვიათია საანალიზო ტექსტებში:

აბა აქეთ, **აბა** იქით და ... საფლავის ქვა (ეპიტაფია, 45, 32); - **აბა**, გათხოვება გიხსენონ, **აბა**, ერთი კარგი საქმრო გამოჩნდეს? (თეთრი ქალიშვილი, 115, 12); **აბა** - დღეს, **აბა** - ხვალ... გაგიგონია, ჩემკენ ვინმე იხედება? (აკაციის ყვავილობა, 139, 20); **აბა** დღეს, **აბა** ხვალ, ღამე ძილი არა მაქვს, დღე - მოსვენება (აკაციის ყვავილობა, 139, 28); - **აბა**, **აბა!** - დაუმატა ასტრონომმა (ხელმოცარული, 193, 21);- რამ მოგიყვანა ახლა, **აბოია**, პირდაპირ ჩემი გულისთვის მოდი ახლა შენ, **აბოია!** (ლახტი, 242, 28); **ადამ**, რად არ შეგვიბრაღე, / **ადამ**, რატომ არ ინანე, / ხელი რად არ ჩაიქნიე, / ხელი რად არ დაიბანე ქალზე! (მვირად დაგიჯდა ღმერთის შეცდომა, 221, 30);- კი, **ადამი** და ევა, ევა და **ადამი** (მონატრება, 256, 2); - ჰოო, „**ისეთი ცხენი**“ ... „**ისეთი ცხენი**“ , ეტყობა, არ იყო ჩვენი ცხენი (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, გვ. 18); შეშას მოვჭრიდით, ვინ იყო მომტანი - **ჭიჭიკო**, დასახნავი იყო და - **ჭიჭიკო**, დამთესი - **ჭიჭიკო** (დედა, გვ. 24); **დევები** ბუმბერაზები რომ იყვნენ, იმიტომ იყვნენ **დევები**, თორემ რამე სიავისა არაფერი იცოდნენ (შავი და თეთრი ძროხა, გვ. 41); არიდონი: კი მისწავლებია, რომ უბედური **ადამიანი** მოწყალე, სათნო და მოსიყვარულე მაინც უნდა იყოს, მაგრამ უბედურთა შორის უბედური და ბედკრული მეფე ხომ **ადამიანი** აღარაა (აგორებული ქვა, 577, 28); მატარებელი... თქვენ რომ **ორთქლმავალი** **ორთქლმავალი** გეგგონათ და **ელმავალი** - **ელმავალი**, ჩვენთვის ასე კი არ იყო (მოდის მატარებელი, გვ. 44). მოდის დილით ამ **საათზე** და მიდის იმ **საათზე** (მოდის მატარებელი, გვ. 44); კი, **ოცნება** რატომაა **ოცნება**, მაგრამ მთლად უსაფუძვლო, მუდამ აუხდენელი და ცაზე გამოდებული **ოცნებაც** არ გიშველის (მოდის მატარებელი, გვ. 45).

ტექსტის ნაწილების შესაკავშირებლად „წმინდა მორფოლოგიურ გამეორებასთან ერთად, ყურადღებას იქცევს ლექსიკურ-მორფოლოგიური გამეორება, კერძოდ, იდენტურ ან მსგავსფუძიან სიტყვათა გამეორება ერთმანეთის გვერდით“ [კოშორიძე, 2005:110].

„პროტექციას“, ქრთამს, მლიქვნელობას, **გამრომას**, **გამოდრომას**, თუ გნებავთ – **დასმენა-დაბეზღებას**... ყველაფერს ვკისრულობდით, ოღონდ ამ საჩოთირო „შავი“ საქმით ხელი არ დაგვესვარა (კარიერა, 75, 15).

ერთ-ერთი განსაკუთრებული თავისებურება ტექსტის დასასრული და იქ არსებული გამეორებებია. გამეორება ნოველების დასასრულის ნიშანდობლიობადაც შეიძლება ჩაითვალოს - ავტორი აჯამებს, ხაზს უსვამს მთავარ სათქმელს და ამას ხშირად რიტორიკული ხერხით აღწევს:

ვიღაცა იპარავს, **ვიღაცა** ქრთამს იღებს, **ვიღაცა** გაღორდა, **ვიღაცა** გამლიქვნილდა, **ვიღაცა** გაჯიბგირდა, **ვიღაცა** გამორფინისტდა, **ვიღაცა** **ვიღაცას** გაეყარა, **ვიღაცამ** **ვიღაცას** უმტრო და... მეტი არა ვართ ჩვენ! (მგზავრები, 131, 23-24).

დასტურდება არა მარტო ცალკეული სიტყვის, არამედ ფრაზის, სიტყვათშეთანხმების გამეორების შემთხვევები. ამ მოვლენას პარალელიზმს უწოდებენ, „წინადადებათა მეზობლობაში იმავე სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენება და ხაზგასმა“ [სანიკიძე, 2009;101].

...**გინდა ფა-ფა... გინდა ფა-ფა... ფა-ფა-ფა-ფა! გინდა ფა-ფა!** (მოდის მატარებელი, გვ.43); მე და ჩემი ძმა აქედან შევძახებდით: - **გვინდა, გვინდა! გვინდა ფაფა, გვინდა ფაფა!** (მოდის მატარებელი, გვ.43).

საანალიზო მოთხრობებში ნიშანდობლივი აღმოჩნდა არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე ლექსიკური ერთეულის, სიტყვისა თუ ფრაზის გამეორება:

და **გავრბივარ**, მივზლუქუნებ და **გავრბივარ**, და ბონდს მივადექი. მივადექი რკინის ბაწრებზე გაკიდებულ საცალფეხო მდინარეზე გადებულ ბეწვის ხიდს და შევჩერდი (მატარებელი და შავი მდინარე, გვ. 61): ჩვენებური, **ბარზე** და **თოხზე** გულაყრილი, გაცულლუტებული გლეხობა, რაკი დედა, მარჩენალ, მშობელ მიწას მოსწყდა, სხვაგან ისევ **ბარს**, **თოხსა** და ნიჩაბს დაიჭერდა? (კარიერა, 75, 12).

კვლევამ გვიჩვენა, რომ გამეორება ტექსტის ნაწილების აზრობრივი სრულყოფისა და შეკავშირების ნიშანდობლივი ხერხია. გვხვდება როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური გამეორება, ანაფორა და ანადიპოზისი. მათ შორის, კონტაქტურ და ანაფორულ გამეორებას უფრო სისტემური ხასიათი აქვს. დადასტურდა არა მარტო სიტყვების, არამედ ფრაზებისა და წინადადებების გამეორება, ყველაზე ხშირი კი ზმნის გამეორება აღმოჩნდა. უფრო მეტი ცალკეული სიტყვების გამეორებაა, ვიდრე ფრაზების.

ლიტერატურა:

კოშორიძე, ე. მწერლის ენისა და და სტილის საკითხები, თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი, 2005.

სერგია, ვ. ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი, გამომცემლობა:განათლება, 1989.

სანიკიძე, თ., სანიკიძე ი., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი: გამომცემლობა ინტელექტი, 2009;

ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, პროფესორ მ. მიქაძის საერთო რედაქციით, ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა, 2006;

Manana MikadzeAkaki Tsereteli State University
ORCID:0000-0001-8490-4813**Leila Abzianidze**Akaki Tsereteli State University
e-mail: mananamikadze123@gmail.com
<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.08>**SJIF 2024: 8.268****Repetition as a one interesting possibility of text Construction**

Abstract

The text is the highest communication unit of language and speech, a complex speech act, that's why its research is very relevant today. – This includes the study of both structural and functional aspects of the text, because any text functions in a specific speech act.

Among the possibilities in this relation, such as verb-predicate, tense-mood forms, included words and expressions, synonyms and antonyms, pronominal substitutions, lexical or semantic repetitions are also discussed, which is the object of our research in the novels of Otia Ioseliani

Repetition is interesting to us not as a stylistic possibility, but as one of the linguistic possibilities of constructing a Georgian artistic text.

Key words: text, repetitio, prose of Otia Ioseliani.

რეცენზენტი: პროფესორი მამია ფალავა

ენათმეცნიერება Linguistic

ЭТИМОЛОГИЧЕСКИЕ ЗАМЕТКИ

Симонян Нектар Мамиконовна

Институт языка им. Р.Ачаряна НАН, РА (Ереван)

inslcouncil@sci.am

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.12>

SJIF 2024: 8.268

*В статье рассматриваются армянские слова *ałanj* (жареная пшеница), *ałanjel* (жарить) и *hasanel, hasnel* (достичь, достигать), которые восходят соответственно к и.-е. праформам **lÚdh-*, **enek'-*, **nek'-*, **enk'-*, **Úk'-*. Эти праформы имеют соответствия и в других индоевропейских языках. А в германских языках эти слова по значению различаются от армянских. Статья посвящена изучению этих семантических отличий армянского и германских языков.*

Ключевые слова: *этимология, индоевропейские языки, праформа, корень, семантика.*

Alanj

Р. Ачарян армянское слово *ałanj* (աղանջ) "жареная пшеница", *ałanjil* (աղանջ(ի)լ) "жарить" считает исконно армянским, т.е. индоевропейского происхождения и возводит к и.-е. праформе **lÚdh-*, которую считает низшую ступенью аблаута и.-е. корня **lendh-* "готовить обед, жарить". Далее он приводит соответствующие формы других и.-е. языков: др.-инд. *gandh* "варить, готовить обед", *gandhi* "варка", *gandhana* "приготовление пищи", греч. *λάσωνον* "кухонная тренога, подставка для кастрюли", др. -ирл. *lann* "сковорода" [1, I:120-121].

Г.Джаукян этимологию слова *ałanj*, предложенную Р. Ачаряном, считает недостоверной, мотивируя тем, что в словаре Ю. Покорного не приводится праформа **lendh-*. [2:34]. Индоевропейский корень **lendh-* есть в словаре С. А. Старостина со

значениями "приготовление еды, посуда для приготовления еды" и приводятся формы др.-индийского *randh*, *randhana*, *randhi*, др.-греч. *Λάσωνα* "кухонная тренога для подставки кастрюли", ирл. и др.-корн. *lann* "кастрюля, сковорода" [3, <https://www.proto-indo-european.ru/dicstarostin>].

Г. Джаукян для слова *ałanj*, с некоторой долей сомнения, предлагает и.-е. праформу **rolntio-* от **rel-* "мука, пыль, каша", др.-инд. *rālala-* "потертый кунжут", и добавляет, что Ачарян "сходство считает случайным" [4:34].

В словаре Ю. Покорного к праформе **rel-* относятся также греч. *πάλη* "пыль", *παι* - *πάλη* "мука тончайшего помола", *πᾶλύνω* "сыпать, насыпать, посыпать", лат. *ralea* "мякина, высевки", солома", с формантом *t* - греч. *πόλτος* "полбенная каша", лат. *puls*, - *tis* "полбяная каша", с формантом *n* - лат. *pollen*, -*inis* "мука самого мелкого помола, пыль, порошок", *rolenta* "ячменная крупа" [5:802]. По-видимому, прав Г. Джаукян, что и сам с некоторым скепсисом относится к этой своей версии этимологии (он пишет, что "возможно, может быть"). Очевидно, что армянское *ałanj* нельзя соотнести выше приведенным греческим и латинским словам и по семантическим, и по фонетическим соображениям.

Г. Джаукян в труде "История армянского языка. Дописьменный период" опять возвращается к этимологии слова *ałanj*. Он, опять с некоторым сомнением, на этот раз постулирует и.-е. праформу **al-* "жечь, гореть" [6: 53, 111]. В словаре Ю. Покорного к этой праформе относятся др.-инд. *alātam* "пожар, уголь", лат. *adoleō* "сжигать, обжигать", *adolēscō* "возгораться", *alacer* "пылкий, бодрый", н.-швед. *ala* "пылать, гореть", гот. *aljan* "пыл, горячиться, рвение" [7:28].

Очевидно, что и к этой праформе тоже не относится армянское *ałanj*, имея ввиду и семантические, и фонетически несоответствия.

В этимологическом словаре греческого языка Я. Фриска [8,II:87] приводится *Λάσωνα*, в единственном числе - *λάσωνον* "тренога как подставка для кастрюли". В словарях Р. Бекеса и П. Шантрена тоже приводится греческое *Λάσωνα* со значением "кухонная тренога, подставка для кастрюли", но они не приводят и.-е. праформу. Только Э. Бойсак приводит праформу **lúdh-* и добавляет греческое **λάσωνα* <*λαε*- от и.-е. **lúdh-*. Он приводит также скр. *randh* – "варить, готовить обед", *randhi-h*

"готовить еду, варить", gandhana-m "выпечка, варка, жарение", др.-прусс. landan "блюдо, кушанье", др.-корн. lann "кастрюля, сковорода". Для всех этих слов он постулирует и.-е. праформу *landhā- [9:558].

Г. Джаукян в труде "Очерки по истории армянского языка" приводит примеры палатализации переднеязычных армянского языка, в числе которых и *IÚdhj- или *IÚdh.s- (от *lendh- "готовить обед, варить") > ałanj "жареная пшеница", ałanjel "жарить", и сравнивает с др.-инд. gandh "варить, готовить обед", гр. "кухонная тренога", др.-прусс. *landan "обед"[10:173].

И еще одно замечание; Г. Джаукян в "Истории армянского языка. Дописьменный период" во главе, посвященной лексическому составу древнеармянского языка, приводит синонимические ряды слов, где для ałanjem приводит хоровел и тапакел, этим косвенно принимая связь слов ałanjem с тапакел [11:390]. И еще одно обстоятельство; говоря об армянских заимствованиях грузинского языка, он считает, что источником грузинского alanjwa "жечь, палить" является армянское ałanj (աղանձ)[12:590].

Обобщая вышеприведенный этимологический материал, следует по всей вероятности считать правильным предложенную Р. Ачаряном этимологию слова ałanj. И то, что и.-е. корню, означающего "жарить, варить", в и.-е. языках соответствуют слова со значением кухонные предметы, предназначенные для варки и жарки, тоже логично и закономерно.

Интересен тот факт, что в армянском языке глаголы, означающие жарить (աղանձել), варить (եփել), парить, сварить (խառչել, խաշել) исконно армянские, т.е. индоевропейского происхождения, а наименования кухонных предметов для жарки и тушения - заимствования; сковорода (սալի) - иранское, кастрюля (կաթուի) - ассирийское. Надо отметить также, что наименования тех кухонных предметов и сельскохозяйственных орудий, (древнеармянское targal- trgal- gdal "ложка", aror (araur) "орало", t'i "мотыга"), которые приготовлены из дерева, восходят к и.-е. праформам, а те слова, которые означают предметы, изготовленные из металлов, заимствования, как нож (դաշակ) - иранское, серп (սիպակ) - ассирийское.

Has/hasanel/hasnel

В "Этимологическом коренном словаре армянского языка" Р. Ачаряна [13, III: 46-47] и в "Этимологическом словаре армянского языка" Г. Джаукяна [14:448] корень has (hshi) считается исконно армянским, т.е. индоевропейского происхождения и возводится к и.-е. праформе *Úk'-, которая, по мнению Р. Ачаряна, низшая или нулевая ступень и.-е. *enek'-, nek'-, enk'-.

В словаре Ю. Покорного приводится корень *enek'-, nek'- enk'- *Úk'- со значениями "достигать, получать, приобретать" и также "носить, нести". К этому корню относятся др. инд. asnoti "достичь, достигать", арм. hshi-, греч. δι-ηνεκής "длинный", под-ηνεκής "спускающийся до ног", гот. ganaþ "довольно, достаточно", др.-в.-нем. ginaþ, англ.-сакс. geneaþ, а с огласовкой о - англ. -сакс. genōþ, genōg со значением "довольно, достаточно" [15:316-318].

Р. Ачарян приводит также английское enough, которое не упоминается у Ю. Покорного и С. Старостина.

От корня hshi- в армянском языке образовано большое количество слов разными значениями. hshishnēl, hshinēl – достигать, hshishl – и возраст, и рост, hshinl – совершеннолетний, взрослый (для людей), спелый, зрелый (для плодов, растений). Слово достигать, достигь (hshishnēl, hshinēl) как в армянском языке, так и в русском и в других языках имеет разные значения, а в русском языке оно имеет несколько десятков синонимов, означающих как дойти, доходить, зреть, созревать, обрести, хватить и др.

В толковых словарях армянского языка также зафиксированы разные значения слова hshinēl "доходить, дойти, достигать, добраться, догнать, взростеть, зреть, созревать" и т.д. Значение "довольно, достаточно" тоже засвидетельствовано в словарях армянского языка. В "Толковом словаре армянского языка" С. С. Малхасянца оно 15-ое [16, III:59], а в "Толковом словаре современного армянского языка" Э.Б.Агаяна - 21-ое значение [17:829]. Надо отметить также, что в словаре синонимов армянского языка для слова hshinēl тоже приводятся слова rshlēl, rshlshlshinshgnēl со значением "хватить, быть достаточным, удовлетворять" [18:597].

В германских языках для выражения семантемы "достичь, достигать" (reichen, erreichen) в словаре Ю. Покорного приводится праформа (reig') rēig'-, которой в германских языках соответствуют др.-в.-нем. reichen "доставать, достигать", ср.-н.-нем. rēken "протягивать", англ.-скс. ræc(e)an "протягивать" и т.-д., значения, которые почти полностью совпадают значениям армянского hšišinł/hšišinł [19:862]. Примечательно, что в немецком языке слово reichen наряду со значениями "доставать, достигать, доходить, протягивать", имеет также значение "быть достаточным, хватать" [20:682].

В словаре Вебстера для слова enough приводится и.-е. IE *enek, *nek [21:483], а для слова reach - IE *rēig' "достичь, достигать" [22:1966].

Как при слове шիւնձ, так и hšišinł/hšišinł армянские слова и по значению, и по форме отличаются от германских соответствий и.-е. праформ.

Литература

1. Р.А. Ачарян, Этимологический коренной словарь армянского языка, Ереван.1926, т.1, 120-121 (на армянском языке) (далее ЭКС).
2. Г.Б. Джаукян, Этимологический словарь армянского языка, Ереван, 2010, стр. 34 (на армянском языке) (далее АЭС).
3. С. А. Старостин, <https://www.proto-indo-european.ru/dic-starostin>
4. Г. Б. Джаукян, АЭС, стр.34.
5. J. Pokorny, *Indogermanisches Etymologisches Wörterbuch*, Bern-München, 1959, p. 802(далее IEW).
6. Г. Б. Джаукян, История армянского языка. Дописьменный период, Ереван, 1987, стр.173(на армянском языке) (далее ИАЯ).
7. J. Pokorny, IEW, p. 28.
8. Н. Frisk, *Griechisches etymologisches Wörterbuch*, Heidelberg, 1970, band II, p. 87.
9. Boisacq, E. Dictionnaire étymologique de la langue grecque, étudiée dans les rapports avec les autres langues indo-européennes, 1916, Heidelberg, p. 558.

10. Г.Б. Джаукян, Очерки по истории дописьменного периода армянского языка, Ереван, 1967, стр. 173.
11. Г. Б. Джаукян, ИАЯ, стр.390.
12. Г. Б. Джаукян, ИАЯ, стр.590.
13. Р.А. Ачарян, ЭКС, стр.46-47.
14. Г. Б. Джаукян, АЭС, стр.448.
15. . Pokorny, IEW, p. 316-318.
16. С.С. Малхасянц, Толковый словарь армянского языка, Е., 1944(на армянском языке).
17. Э. Б. Агаян, Толковый словарь современного армянского языка, Е., 1976(на армянском языке).
18. А.М. Сукиасян, Толковый словарь синонимов современного армянского языка, Е., 2009, Изд.-во ЕГУ, стр.597.
19. . Pokorny, IEW, p. 862.
20. Немецко-русский словарь, под редакцией А.А. Лепина и Н. П. Страховой, Изд.-во «Советская энциклопедия, М., 1968, стр. 682.
21. Webster's, New World Dictionary of the American Language, Cleveland and New York, 1966, p.483.
22. Webster's, New World Dictionary of the American Language, Cleveland and New York, 1966, p.1209.

Simonian Nektar

Language Institute named after H. Acharyan NAS RA

inslcouncil@sci.am<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.12>**SJIF 2024: 8.268****Etymological Notes**

Abstract

The article discusses the words of Armenian language aghandz (fried wheat), aghandzel (to fry), hasanel/hasnel (to achieve, to reach), which go back respectively to Indo-European archetype *ÍÚdh and *enek’-, *nek’-, *enk’-, *Úk’-. These archetypes are also reflected in other I.-E. languages in similar meanings, but roots, attested in the Germanic languages, have meanings, that differ from the Armenian once. The article is devoted to the study of these semantic differences between the Armenian and Germanic languages.

Key words: Etymology, Indo- European languages, archetype, root, semanteme.

Рецензент: профессор Тамари Ломтадзе

ენათმეცნიერება Linguistic

ბინარული ოპოზიციის რაობა ლინგვისტიკაში

ლელა ჭარელაშვილი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: L.Tcharelashvili@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.09>

SJIF 2024: 8.268

წინამდებარე სტატიის კვლევის საგანს წარმოადგენს ბინარული ოპოზიციების ცნების განმარტება; ბინარული სისტემის კვლევა ლინგვისტიკაში; მისი როლის განსაზღვრა ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ სხვადასხვა დისციპლინაში. კვლევაში განხილულია „ბინარული ოპოზიციების“ კონცეპტუალური ველი; ოპოზიციების სემანტიკურ ჭრილში განხილვისას კი გამოიკვეთება ბინარული ოპოზიციების სამი ძირითადი მახასიათებელი - პოლარულობა, (რომელიც თავისთავად გულისხმობს ორი პოლუსის არსებობას ერთმანეთთან მჭიდროდ ადაკავშირებული მნიშვნელოვანი ღერძით); სიწმინდე და სიმეტრიულობა.

სტატია ბინარულ ოპოზიციებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი იდეების გადმოსაცემად ეყრდნობა ლინგვისტიკის - იაკობსონის, კრუზის, ლაიონზის, სტროსისა და სხვადასხვა თეორიებს. ვინაიდან ბინარული ოპოზიცია არის ძლიერი კავშირი ენის, ალქმისა და გაგებისა - მნიშვნელოვანია, ვიპოვოთ კავშირი ავტორის ნათქვამსა და იმას შორის, თუ როგორ აღიქმება და გაიგება ესა თუ ის ნათქვამი ან მონათხრობი. ამიტომაც ენობრივი ნიშნის ბუნების გარკვევა სემიოტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ხდება.

ბინარული ოპოზიციები ყველა სხვა კავშირებსა და მიმართებებისგან ის იმით განსხვავდება, რომ ამ შემთხვევაში აუცილებლად მხედველობაში მიიღება მისი შემადგენელი ორივე წევრი, და ისინი ედარება ერთმანეთს. ასე, მაგალითად, შეუძლებელია სიცოცხლეზე ვიმსჯელოთ იმის გარეშე, რომ ამასთანავე სიკვდილის იდეას არ შევხებით.

მწერლები ენას კრეატიულობის, სილამაზის, ღირებულებებისა და კონკრეტული მესიჯების გადმოსაცემად იყენებენ. მკითხველი კი კოდირების მეშვეობით ახდენს ძირითადი სათქმელის იდენტიფიკაციას, უფრო ზუსტად, ისიც ენას იყენებს ნაწარმოების

ინტერპრეტირებისთვის. ლინგვისტური ანალიზი კი ყოველთვის ამარტივებს ტექსტის არსის გაგებას.

უამრავ მაგალითზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ სწორედ ოპოზიციათა არსებობა იწვევს მოვლენათა მრავალფეროვნებას სამყაროში. მოვლენებში იგულისხმება არა მხოლოდ ჩვენი ყოველდღიურობა, ყოფა-ცხოვრება, ბუნებაში არსებული მოვლენები, არამედ კონტრასტული მიმართებები ენის ლექსიკის სტრუქტურაშიც.

ბინარული ოპოზიციები ენის სისტემაში ერთგვარ ღერძს ქმნიან, რომელიც ენის მორფოლოგიურ, სემანტიკურ და სინტაქსურ დონეებზე ორგანიზებას უწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: ბინარული ოპოზიციები, ანტონიმები, კონტრასტული ელემენტები, ორობითი სისტემები, სემანტიკა.

ბინარული ოპოზიციები ეხება კონტრასტული ან დაპირისპირებული ელემენტების, კონცეფციების ან იდეების წყვილს, რომლებიც გამოიყენება ლიტერატურაში და ენაში მნიშვნელობისა და სტრუქტურის შესაქმნელად. ეს ოპოზიციები ხაზს უსვამს განსხვავებებს ორ კონტრასტულ ერთეულს შორის, რაც ქმნის დინამიურ და მიმზიდველ ნარატივს. ბინარული ოპოზიციები ხშირად ხასიათდება მათი ურთიერთგამომრიცხავი ბუნებით, რაც ხაზს უსვამს კონტრასტს ორ ელემენტს შორის.

1. რა არის ბინარულობა?

განმარტების თანახმად, ბინარული მოიცავს ორ ნაწილს. თუ გულისხმობთ ბინარულობას გარკვეული აზრით „სიცოცხლე არსებობს“ და „სიცოცხლე არ არსებობს“, ამ კონტექსტში ვიტყვით, რომ სიცოცხლე ბინარულია, რადგან სიცოცხლის არსებობა/არ არსებობის აღქმა შესაძლებელია.

სალექსიკონო მასალის შესწავლის საფუძველზე კონცეპტუალური ველი სიტყვისა „ბინარული“ ინგლისურსა და ქართულში შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

- Binary – /'bair.nər.i/ - using a system of numbers that uses only 0 and 1.

ბინარული; ორმაგი; ორნაწილიანი; ორობითი; ორწევრა.

- Biform – /bɪfɔrm/ - having or combining two forms, as a centaurs or mermaid.

ორი ფორმის მქონე.

- Double – /'dʌb.əl/ - twice size, amount, price, etc. or consisting of two similar things together.

ორმაგი; წყვილი; გაორმაგებული; ორაზროვანი.

- Dual – /'dzu:.əl/ - with two parts, or combining two things.
ორმაგი; ორობითი რიცხვი.
- Duple – /doo-puhl/ - having two parts; double; twofold.
ორმაგი; ორთვლიანი (ტაქტი, ზომა, რითმი).
- Duplex – /'dzu:.pleks/ - a house that is divided into two separate homes.
ორმაგი; შეწყვილებული; ორმხრივი.
- Duplicate – /'dzu:.pli.kett/ - something that is an exact copy of something.
დუბლირება; ასლის გადაღება; გაორკვეება.
- Twofold – /'tu:.fəʊld/ - by two times
ორმაგად; ორგზის, ორჯერ.

1.1 რას ნიშნავს ბინარული კითხვა?

ბინარული არის ტერმინი, რომელიც წარმოადგენს ორ მნიშვნელობას. ასე, რომ კითხვას, რომელსაც შესაძლოა ქონდეს ორი შესაძლო შედეგი, შეიძლება ეწოდოს ბინარული. მაგ: კითხვებს, რომელთა პასუხიცაა კი/არა, სწორია/არასწორია, შეიძლება ეწოდოს ბინარული.

1.2 რომელია არაბინარული კითხვა?

არაბინარული არის მრავალი ელემენტის შემცველი ტერმინი, რომელიც აღწერს ნებისმიერ სქესს, რომელიც არც მამრობითია და არც მდედრობითი, მოიცავს ადამიანებს სქესის გარეშე, და აგრეთვე ადამიანებს შერეული - მდედრობითი და მამრობითი - სქესით.

1.3 რა შეიძლება იყოს ბინარული (ორობითი) ?

ბინარული (ორობითი) შეიძლება იყოს ნივთი ან სისტემა, რომელიც მიდის წყვილებად. სიტყვა ორობითს აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა, ამიტომ მისი მნიშვნელობა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა კონტექსტში გამოიყენება იგი ან კონკრეტული თემა, რომელზეც არის მოხსენიებული.

- **ორობითი სისტემა** - მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს საფუძვლად XVIII ს. გენიალური მათემატიკოსის ლეონარდ ეილერის გასაოცარი აღმოჩენა უდევს: ნებისმიერი რიცხვი, და, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება ე.წ. ბინარული ანუ ორობითი სისტემით ჩაიწეროს, მხოლოდ 0-ებისა და 1-ების მეშვეობით. ეს არის აღრიცხვის სისტემა, რომელიც გამოიყენება გამოთვლის არეალში და

იყენებს მხოლოდ ორ ციფრს გამოსახულების გამოსავლენად. კომპიუტერები იყენებენ ორობით სისტემას და აქვთ ორი ძაბვის დონე, რომელთათვისაც 0 გამოიყენება გამორთვისთვის, ხოლო 1 ნომერი ჩართვისთვის.

- **ორობითი ფაილი** - ეს არის ფაილი, რომელიც კოდირებულია ორობით კოდში, რათა კომპიუტერმა შეძლოს მისი დამუშავება. მაგ; ფოტოსურათი ან ფაილი, რომელიც შესრულებულია კომპიუტერში დაინსტალირებული ზოგიერთი პროგრამული ზრუნველყოფის მიერ.
- **ორობითი კოდი** - ეს არის პროცესორების ის სისტემა, რომელსაც აქვს კომპიუტერი. ორობით კოდს შეუძლია პერსონაჟების ან ბიტების დაშიფვრა. ამიტომ ის საშუალებას იძლევა, გამოიყენოთ ნებისმიერი პროგრამა, რომელიც დაინსტალირებულია კომპიუტერზე, რომელიც გაშიფრავს ორობით სისტემას.

2. „ბინარული ოპოზიციების“ მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში

საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ბინარული ოპოზიციები, იგივე ბინარული სისტემა, იგივე დიქტომიები არის კატეგორიათა წყვილები, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობისაა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია და ალბათ ნაკლებად ვამახვილებთ ყურადღებას, თუ რამდენად ხშირად ვიყენებთ მათ მეტყველებაში ყოველდღიურად.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ბინარული ოპოზიციები ფართოდაა შემოსული ჩვენს ცხოვრებაში. ისინი საშუალებას იძლევიან, რომ ადამიანმა ხატოვნად გადმოსცეს „რადიკალური აზრები“. ასევე კონტექსტის გათვალისწინებით, თითქოს ოპოზიციუ-რი ანუ დაპირისპირებული ცნებები, სინამდვილეში ერთი და იგივე მოვლენის ანარეკლია, დანახული სხვადასხვა კუთხით. ისინი ამავედროულად ერთმანეთს ავსებენ მთლიანობამდე.

მაგალითისთვის -როცა ადამიანი იღლება, ერთფეროვნებით ავსებულ გარემოში მას სჭირდება მეორე პოლუსი - გონებრივი განტვირთვა. ადამიანის ტვინი ისეა მოწყობილი, რომ მას სჭირდება მრავალფეროვნება, ალტერნატიული პოზიცია, მისი მდგომარეობის შებრუნებული მდგომარეობა. ხშირად შვებას ჰპოვებს ოპოზიციურ მდგომარეობაში გადასვლით, ფხიზელი - მთვრალი, ფხიზელი - მძინარე, ან პირიქით. გონებრივი განტვირთვისთვის კი ის ირჩევს უბრალოდ ცვლილებას კი არა, რადიკალურ ცვლილებას, 180 გრადუსით შემოტრიალებულს.

უამრავ მაგალითზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ სწორედ ოპოზიციათა არსებობა იწვევს მოვლენათა მრავალფეროვნებას სამყაროში. მოვლენებში იგულისხმება არა მხოლოდ ჩვენი ყოველდღიურობა, ყოფა-ცხოვრება, ბუნებაში არსებული მოვლენები, არამედ კონტრასტული მიმართებები ენის ლექსიკის სტრუქტურაშიც.

3. „ბინარული ოპოზიციების“ ლინგვისტური რეალიზაცია

დაკვირვებამ აჩვენა, რომ „ბინარული ოპოზიციების“ ლინგვისტური რეალიზაცია მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

კრიტიკოსების თანახმად, ბინარული ოპოზიციები განმსაზღვრელია დასავლური აზროვნებისა და მეცნიერების პრაქტიკისთვის, რაც იმაში გამოიხატება, რომ სინამდვილის ყველა ასპექტი ურთიერთდაპირისპირებული, კონტრასტული კატეგორიების წყვილების მეშვეობით დაინახება და მოიაზრება. ბინარული ოპოზიციებია, მაგალითად: კარგი - ცუდი, ნათელი - ბნელი.

როგორც ცნობილია, ბინარული ოპოზიციის კლასიკური გაგება ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს, უფრო ზუსტად კი ბერძნებთან, როცა მას შედარებითი დანიშნულება ჰქონდა, რომელიც გამოიყენებოდა ისეთი ორი განსხვავებული საგნის შესადარებლად, რომლებსაც რაიმე საერთო ნიშან-თვისება არ ჰქონდა. ანტიკური აზროვნებისათვის, ძირითადად, დამახასიათებელი იყო სამყაროში მიმდინარე მოვლენები/პროცესები. ბერძნები ასხვავებდნენ ისეთ ძირითად დიქოტომიებს, როგორცაა კეთილი/ბოროტი, მამრობითი/მდედრობითი, და ა.შ. უამრავი მსგავსი ტიპის დიქოტომიებს შეხვდებით პლატონის მოძღვრებაში. (Law 2000:42).

უამრავ მაგალითზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ სწორედ ოპოზიციათა არსებობა იწვევს მოვლენათა მრავალფეროვნებას. მოვლენებში იგულისხმება არა მხოლოდ ჩვენი ყოველდღიურობა, ყოფა-ცხოვრება, ბუნებაში არსებული მოვლენები, არამედ კონტრასტული მიმართებების არსებობა განსაკუთრებით შესამჩნევია ენის ლექსიკის სტრუქტურაშიც.

კვლევებმა აჩვენა, რომ არაერთი ლინგვისტი, თეორეტიკოსი თუ ფილოსოფოსი დაინტერესებულა ენაში არსებული ოპოზიციების არსებობით, დაფიქრებულან მათ საჭიროებაზეც და მათ როლზეც ენაში. მაგ: ალან კრუზი აღნიშნავს, რომ „ოპოზიციურობა შეიძლება არის ერთადერთი აზრობრივი მიმართება, რომელიც

უშუალო ლექსიკურ გამოხატულებას პოეზებს ყოველდღიურ ენაში“. (Cruse 2000:167). მისი აზრით, ნებისმიერ ადამიანს, თვით ბავშვსაც კი შეუძლია საპირისპირო სიტყვების დასახელება ისეთი ზედსართავი სახელის, როგორცაა, მაგ: დიდი / პატარა, გრძელი/მოკლე. მას ასეთი ფენომენის არსებობა ენაში მნიშვნელოვნად და არსებითად მიაჩნია, და თვლის რომ, მსგავსი მიმართებები პრიმიტივია.

რომან იაკობსონი, ლინგვისტიკის პრადის სკოლიდან, მართებულად მიიჩნევს იმ აზრსაც, რომ ბინარულობა არის ოპოზიციურობის არსებითი თვისება. იგი ამბობს, რომ „იმ მიმართებათა შორის, რომელთა კვლევითაც ენათმეცნიერები არიან დაკავებულნი, ყველაზე ტიპური და საყურადღებო არის ნამდვილი დაპირისპირება - ბინარული ოპოზიცია“, და ეთანხმება იმ აზრს, რომ „ის არის უმარტივესი ლოგიკური ოპერაცია“ (Jakobson 1977).

ბინარული ოპოზიციების თავისებურებების გასამყრებლად იაკობსონს მოყავს გამოჩენილი ჰოლანდიელი ფილოსოფოსისა და ფენომენოლოგის ჰენრიკ პოსის სიტყვები: „ეს არის უმარტივესი ლოგიკური ოპერაცია; ყველა სხვა კავშირებსა და მიმართებებისგან ის იმით განსხვავდება, რომ ბინარული ოპოზიციის შემთხვევაში, ჩვენ აუცილებლად მხედველობაში გვაქვს მისი ორივე წევრი, და მათ ვუდარებთ ერთმანეთს. ასე, მაგალითად, შეუძლებელია სიდიდეზე ვიმსჯელოთ იმის გარეშე, რომ ამასთანავე სიმცირის იდეას არ შევხვით. იაფის ცნება წარმოუდგენელია ძვირის გარეშე და ა.შ. ამაშია ამგავრი ოპოზიციის ქმედითი ღირებულება. როგორც ეს ბავშვთა ფსიქოლოგებმა, განსაკუთრებით ანრი ვალონმა, დაადგინეს, ბავშვების დაწყებითი გონებრივი განვითარება სწორედ ასეთ ბინარულ დაპირისპირებებზე აიგება.“ (Jakobson 1977).

ბინარული ოპოზიცია არის ძლიერი კავშირი ენის, აღქმისა და გაგებისა - მნიშვნელოვანია, ვიპოვოთ კავშირი საუბარსა და იმას შორის, თუ როგორ აღვიქვამთ და ვიგებთ ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობას.

ბინარული ოპოზიციების ან ანტონიმების კვლევამ ენაში გამოიწვია ინტერესების სხვადასხვაობა. სამიეზო საექსპერიმენტო ტექნიკისა და ტექნოლოგიური წინსვლების სწრაფმა აღმავლობამ შესაძლებელი გახადა ისეთ ფუნდამენტურ კითხვებზე პასუხი, როგორცაა: რა არის ანტონიმის ბუნება? როგორ არიან ანტონიმები წარმოდგენილი?

არის თუ არა ყველა ანტონიმური წყვილი თანაბრად კარგი? და თუ არა, რატომ? ანტონიმები არის ოპოზიციური წყვილების ყველაზე მკაფიო წარმომადგენელი (Croft and Cruse 2004:166). ასევე მსურს, აღვნიშნო ლაიონზის მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ „ბინარული ოპოზიციები, რომლის ყველაზე ნათელ გამოხატულებას ანტონიმები წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ენაში, ისე აზროვნებაში“ (Lyons 1977:281).

4. ოპოზიციების სემანტიკური თვისებები

სწორედაც რომ გვერდს ვერ ავუვლით ბინარული ოპოზიციების მნიშვნელოვან სემანტიკურ თვისებებს, რაზეც იაკობსონი საუბრობს. თავისი იდეების გასამყარებლად უსვამს ხაზს იაკობსონი ჰენრიკ პოსის მოსაზრებებს და უფრო ამყარებს პოზიციას იმის შესახებ, რომ ბინარული ოპოზიცია **პოლარულობით** ხასიათდება. ეს მიუთითებს ორი პოლუსის არსებობაზე, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ღერძით. ერთი შეხედვით, პოლუსები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ელემენტია, ერთმანეთის მიშორებით განლაგებული, მეორე მხრივ კი თითოეული ელემენტი მიუთითებს თავის საწინააღმდეგო პოლუსზე და მასთან ერთად ერთ მთლიანობას შეადგენს.

სიტყვაში „სემანტიკა“ ჩვენ ვგულისხმობთ ლინგვისტურ ფორმებსა და მათ მნიშვნელობებს შორის არსებულ კავშირს. აქედან გამომდინარე, სემანტიკური ანალიზი არის იმ კავშირების ჩვენების პროცესი, თუ როგორ არის დაკავშირებული მნიშვნელობის მახასიათებლები ლინგვისტური ფორმის მახასიათებლებთან. ენის სპეციალისტს ამ ურთიერთკავშირის დანახვა ორი მხრიდან შეუძლია. ამ კავშირს გააჩნია კოდირების ასპექტი, რომლის საშუალებითაც კონცეპტების შესწავლა ხდება იმ მეთოდებთან მიმართებაში, რომლითაც შესაძლებელია მათი ლინგვისტურად გამოხატვა.

პოლუსის გარდა, ბინარული ოპოზიციები თურმე **სიწმინდის** თვისებითაც ხასიათდება. კრუზის თანახმად, წყვილებს, მაგალითად, კაცი/ქალი, ბებია/ბაბუა, - საფუძვლად უდევს ძირითადი ოპოზიცია მამრობითი/მდედრობითი. (Croft and Cruse 2004:166).

შემდეგი არანაკლებად საინტერესო სემანტიკური თვისება, რომელიც ბინარულ ოპოზიციებს გააჩნიათ, არის **სიმეტრიულობა**. მაგ. ცხელი და ცივი სიმეტრიული ოპოზიტებია, და არა ცხელი და გრილი.

ამრიგად, ლაიონზის განმარტება ოპოზიციებზე, და ანტონიმებზე ჩემს შეხედულებებთან ყველაზე ახლოსაა, რადგან მისთვის ოპოზიციები არა მხოლოდ ენისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ აზროვნებისთვისაც. ვფიქრობ, რომ როგორც „ჭეშმარიტება იბადება კამათში“, ასევე ჯანსღი აზრის გამოხატვა, მსჯელობა, დისკუსია თავისთავად, ბუნებრივად მოითხოვს საწინააღმდეგო აზრის დაშვებას, მის თანაარსებობას. ისევე, როგორც ნებისმიერი ტელემოუს დებატები წარმატებულად ვერ ჩაივლის, თუ ორივე მხარე ერთი მიმართულებით აზროვნებს; აქვე იმასაც დავამატებ, რომ არცერთი წარმატებული ნაშრომი, წიგნი თუ სტატია, ჯანსაღი კრიტიკის გარეშე ვერ აღწევს წარმატებას, და, ამიტომაც არსებითი და ამოსავალი წერტილია ორი საწინააღმდეგო მხარის არსებობა, ოპოზიცია, სავარაუდოდ, რომ უფრო მეტად დავრწმუნდეთ საკუთარი აზრის ჭეშმარიტებაში.

ლიტერატურა:

1. <http://dictionary.css.ge/content/binary-oppositions>
2. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10563>
3. https://monoskop.org/Roman_Jakobson
4. <https://www.jstor.org/stable/2155871>
5. Lyons, John (1977) Semantics. 1- Cambridge University Press
6. W.G. Widdowson (1996) Linguistics, Oxford University Press.
7. Bradford, R (1995), Roman Jakobson. London: Routledge
8. Jakobson, R (1956), Fundamentals of Language, Harvard University
9. Jakobson, R (1971), Selected Writings 2, Word and Language, Mouton, The Hague, Paris.
10. Steven C. Caton, (1987) Contributions of Roman Jakobson, Annual Review of Anthropology, Vol. 16 (1987), pp. 223-260
11. Murphy Lynne, M (2003), Semantic Relations and the Lexicon, Antonymy, Synonymy and other Paradigms; University of Sussex.

Lela Charelashvili

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: L.Tcharelashvili@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.09>**SJIF 2024: 8.268**

The Fundamental Role of Binary Oppositions in Linguistic Theory

Abstract

This article examines the concept of binary oppositions, the exploration of binary systems within linguistics, and the delineation of their role across various aspects of daily life and academic disciplines. The research investigates the conceptual domain of “binary oppositions” and explores their interconnections with significant fields, such as linguistics and semantics. In the semantic context, binary oppositions reveal three defining characteristics: polarity (indicating two closely related poles connected by a significant axis), clarity, and symmetry. The study is grounded in theories proposed by notable linguists, including Jakobson, Cruse, Lyons, Strauss, among others, to elucidate the principal ideas surrounding binary oppositions. To underscore the critical role of binary oppositions, the article further addresses linguistic signs and dichotomies, which enrich and deepen the complex and diverse creative expressions of various authors. These oppositional structures serve as a framework through which writers articulate the richness of language and bring their imagination to life.

Given the strong interrelation between binary opposition, language, perception, and comprehension, establishing the connection between an author’s expression and its reception is imperative. Thus, comprehending the nature of linguistic signs emerges as a foundational aim of semiotics. Binary oppositions stand apart from other relational structures by considering the presence of both contrasting components, with each element being evaluated in relation to the other. For instance, the concept of life cannot be discussed without the notion of death. Writers employ language as a vehicle for conveying creativity, aesthetic values, and specific thematic messages, while readers utilize interpretive codes to discern the core message, thus relying on language as a means of textual interpretation. Linguistic analysis consistently facilitates a clearer understanding of a text’s essential meaning.

Supported by numerous examples, it can be argued that the presence of oppositions contributes to the diversity of phenomena in the world. These phenomena includes not only everyday experiences and natural events but also the contrasts within the lexical structures of language.

Binary oppositions form an essential axis within the language system, facilitating organization across the morphological, semantic, and syntactic levels of language.

Keywords: *binary oppositions, antonyms, contrastive elements, binary systems, semantics.*

რეცენზენტი: პროფესორი ნაზია ჟანპეისოვა

ენათმეცნიერება Linguistic

ვირჯინია ვულფი და ბინარული ოპოზიციები

ლელა ჭარელაშვილი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: L.Tcharelashvili@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.10>

SJIF 2024: 8.268

ვირჯინია ვულფის რომანებში ბინარული ოპოზიციების შესწავლა ავლენს მათ ღრმა მნიშვნელობას მისი ნამუშევრების სიღრმის, სირთულისა და გავლენის ფორმირებაში. ენის სტილისტიკისა და სემანტიკის ანალიზის საშუალებით ჩვენ მოწმენი გავხდით, თუ როგორ უწყობს ხელს ბინარული ოპოზიციები საერთო ლიტერატურულ გამოცდილებას და აწვდის მკითხველს მრავალ დონეზე.

ენის სტილისტიკის თვალსაზრისით, ვულფი იყენებს ნათელ გამოსახულებებს, ფიგურულ ენას, და მიზანმიმართულ ენობრივ არჩევანს, რათა ხაზი გაუსვას დამაბულობას დაპირისპირებულ ელემენტებს შორის. ეს სტილისტური ტექნიკა აძლიერებს ბინარული ოპოზიციის გავლენას და იწვევს მკითხველში ემოციურ რეზონანსს.

სემანტიკის თვალსაზრისით, ბინარული ოპოზიციების შესწავლა აღრმავებს ვულფის რომანების სიღრმისეულ მნიშვნელობასა და ინტერპრეტაციას. კონტრასტულ ელემენტებთან დაკავშირებული ნიუანსური კონოტაციები აყალიბებს მკითხველის გაგებასა და ტექსტთან ჩართულობას. ბინარული ოპოზიცია ხელს უწყობს აზროვნებას, ასტიმულირებს ინტელექტუალურ ცნობისმოყვარეობას და ხელს უწყობს საზოგადოების სტრუქტურებისა და კულტურული კონტექსტების კრიტიკულ ანალიზს.

ბინარული ოპოზიციების მნიშვნელობა ვულფის რომანებში სცილდება მათ ლიტერატურულ ღირებულებას. ისინი აძლიერებენ მკითხველის ჩართულობას, იწვევენ ემოციების მთელ რიგს და იწვევენ მკითხველს ადამიანის არსებობის სირთულეების შესასწავლად. ვულფის მიერ ბინარული ოპოზიციების გამოყენებამ მის ნაწერებში

გრძელვადიანი გავლენა მოახდინა ლიტერატურაზე, შთააგონა მომდევნო ავტორები და ამდიდრებდა ლიტერატურულ პეიზაჟს.

საკვანძო სიტყვები: ვირჯინია ვულფი, სემანტიკა, სტილისტიკა, ბინარული ოპოზიცია

1. ზოგი რამ ვირჯინია ვულფზე

ვირჯინია ვულფი ერთერთი გამორჩეული ინგლისელი მწერალია, რომელმაც თავისი მოდერნისტული ექსპერიმენტებით ლიტერატურის მთელი ფორმა შეცვალა. ის არის მწერალი, რომელიც ერთერთ ცენტრალურ და ურყევ ადგილს იკავებს ლიტერატურის პანთეონში. მას აქვს რაღაც ქარიზმა, რომელიც ერთნაირი ინტენსივობით იგრძნობა მის ტექსტებშიც. ის უბადლოდ ახერხებს, აღწეროს თანამედროვე, არამყარი, ფრაგმენტირებული სამყარო, მოიხელთოს ადამიანების წამიერი განცდები, შეგრძნებები, ემოციები, ფიქრები. ყველაზე დამახასიათებელი და განსხვავებული ლიტერატურული ხერხები, რომლებსაც ის იყენებს, არის „ცნობიერების ნაკადი“, თუ როგორ წარმოიქმნება და ვრცელდება აზრები ცნობიერ გონებაში. ამ კონცეფციის საშუალებით, ვულფმა გააანალიზა აზრების მრავალფეროვნება, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია და როგორ აყალიბებენ ისინი ცნობიერების ნაკადს; შინაგანი მონოლოგები, დროის დეფორმაცია და სხვა. მრავალხმიანი და კომპლექსურია და მის ტექსტებში სამყაროს, მოვლენების, გარემოს თუ ატმოსფეროს აღქმა.

ალექსანდრა ჰარისი, ვირჯინია ვულფის ბიოგრაფი, საუბრობს მის ცხოვრებასა და წერის სტილზე. მის ტექსტებზე - როგორც წერის პროცესზე, ისე ფორმაზე, თემატიკასა თუ შინაარსზე - მძლავრ გავლენას ახდენდა ფსიქიკური სირთულეები, რაც მისთვის წერას, თუ ზოგადად შემოქმედებითობას ხდიდა შესაძლებელს.

2. მწერლის მხატვრული სტილი.

ვირჯინია ვულფისთვის დამახასიათებელია სამყაროს აღქმასთან დაკავშირებული წუთიერი შთაბეჭდილებებისა და სულიერი განწყობილებების გადმოცემა; იგი ყურადღებას ამახვილებს არა რეალური ცხოვრების ტიპური მოვლენების აღქმაზე, არამედ რეალურ ცხოვრებაში არსებული განსაკუთრებული მოვლენების სუბიექტურ აღქმაზე; მის ხელწერას ახასიათებს კომპოზიციის ფრაგმენტულობა და ხატოვანი კავშირების ასოციაციურობა; მას აინტერესებს ადამიანი და მისი ყოველდღიური ცხოვრება, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული ერთიანობის წარმოჩენა.

როგორც ცნობილია, მხატვრული ენა არ და ვერ მოთავსდება ნორმირებული ენის ჩარჩოებში. ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც ვირჯინია ვულფია. მისი წერის სტილის

იმპროვიზაციების სამყარო და ესთეტიკაზე ორიენტირებული წარმოსახვითი ყოფიერებაა.

მხატვრული სტილის ძირითად თავისებურებებად რჩება: 1. სიტყვის ესთეტიკური და კომუნიკაციური ფუნქციის ერთობა; 2. მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სიჭარბე და 3. ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის წარმოჩენა (სანიკიძე 2009). სიტყვიერი მასალის საერთო მხატვრული ხასიათი გრამატიკულ სტრუქტურებში იწყებს განლაგებას და სიტყვის შინაარსები ახალი აზრის ჩამოყალიბებისაკენ იწყებს სვლას. ვირჯინია ვულფი კი თავისი გამორჩეული წერის სტილით, ინდივიდუალიზმით გამორჩეული პერსონაა, საინტერესოა მისი შემოქმედების ანალიზი სტილისტიკური თუ სხვა გრამატიკული გამომსახველობითი ტექნიკის მეშვეობით.

3. ბინარული ოპოზიციების ძირითადი მნიშვნელობა ვირჯინია ვულფთან

ბინარული ოპოზიციები ვულფის რომანებში მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს შემდეგი ასპექტებს:

სიღრმე და სირთულე: ბინარული ოპოზიციები მატებს სიღრმესა და სირთულეს ვულფის მიერ შესწავლილ თემებსა და ნარატივებს. ისინი მრავალმხრივი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა და მკითხველს ტექსტის კრიტიკულად გაანალიზების პროვოცირებას ახდენენ.

ემოციური რეზონანსი: კონტრასტული ძალების შესწავლამ შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი ემოციები, როგორცაა თანაგრძნობა, ცნობისმოყვარეობა და ინტელექტუალური სტიმულირება.

მკითხველის ჩართულობა: დაპირისპირებულ ელემენტებს შორის დინამიური ურთიერთქმედება ინარჩუნებს მკითხველის ინტერესს, ხელს უწყობს აქტიურ ინტერპრეტაციას და იწვევს უფრო ფართო საზოგადოებრივ საკითხებზე დაფიქრებას.

მხატვრული ხედვა: ბინარული ოპოზიციების ოსტატურად გამოყენებით ვულფი იდეალურად გამოხატავს თავის მხატვრულ ხედვას და მათი გამოყენება ეხმარება, რომ აღბეჭდოს ადამიანური გამოცდილებისა და ურთიერთობების სირთულეები.

4. საკვანძო ოპოზიციური წყვილები ვირჯინია ვულფის რომანებსა და ესეებში

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვულფის მიერ ბინარული ოპოზიციების გამოყენება არ შემოიფარგლება გამარტივებული ჩარჩოთი. ანტონიმების გამოყენება მწერლის შემოქმედებით ინდივიდუალიზმსა და მხატვრულ ოსტატობაზე მეტყველებს. დავასახელოთ რამდენიმე ანტონიმური წყვილი ვირჯინია ვულფის პროზიდან და მხოლოდ ამის შემდეგ შევეცადოთ, გავანალიზოთ მათი სტილისტიკური დანიშნულება.

გამოვყოფ შემდეგ ოპოზიციურ წყვილებს:

მამაკაცი/ქალი: ვულფის ნამუშევრები ხშირად ეხმიანება მამრობითი და მდედრობითი სქესის დაპირისპირებას, იკვლევს გენდერულ დინამიკას და საზოგადოების მოლოდინებს. ისეთ რომანებში, როგორცაა "ქალბატონი დელოუეი" და "გზა შუქურისკენ", ის უპირისპირდება ტრადიციულ გენდერულ როლებს და ეჭვქვეშ აყენებს ქალების პატრიარქალურ საზოგადოებებში არსებულ შეზღუდვებს.

სიცოცხლე/სიკვდილი: სიცოცხლისა და სიკვდილის დაპირისპირება ვულფის ნაწერებში განმეორებადი თემაა. იგი იკვლევს არსებობის გარდამავალ ბუნებას და ადამიანის ცხოვრების სისუსტეს. ეს შეიძლება შეინიშნოს ისეთ რომანებში, როგორცაა "ტალღები" და მის ნარკვევში "ჩრჩილის სიკვდილი".

გარეგნობა/რეალობა: ვულფის ნამუშევრები ხშირად იკვლევს დიქოტომიას გარეგნობასა და რეალობას შორის. ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ზედაპირულ აღქმებს და იკვლევს მისი პერსონაჟების შინაგან ცხოვრებას. ეს ოპოზიცია ცენტრალურია რომანებისთვის, როგორცაა "ორლანდო" და "იაკობის ოთახი".

ბუნება/კულტურა: ვულფი ხშირად იკვლევს დამაბულობას ბუნებრივ სამყაროსა და კონსტრუირებულ სოციალურ წესრიგს შორის. იგი აერთიანებს ბუნებრივი გარემოს თავისუფლებასა და სიცოცხლისუნარიანობას ადამიანთა საზოგადოების შეზღუდვებთან და კონვენციებთან. ეს ჩანს რომანებში, როგორცაა "გზა შუქურისკენ" და მის ესეში "საკუთარი ოთახი".

სადი აზრი/სიგიჟე: ვულფი ხშირად იკვლევს დიქოტომიას სადი აზროვნებასა და სიგიჟეს შორის. ისეთ რომანებში, როგორცაა „ქალბატონი დელოუეი“ და „ტალღები“, ის იკვლევს პერსონაჟების შინაგან აზრებს და სუბიექტურ გამოცდილებას, რომლებიც შეიძლება აღიქმებოდეს არატრადიციულად. ვულფი ეჭვქვეშ აყენებს საზოგადოების ნორმებს იმის შესახებ, თუ რა არის მიჩნეული „ნორმალური“ ან „შემოიღილი“ და გვთავაზობს ფსიქიკური მდგომარეობისა და ინდივიდუალური ცნობიერების ნიუანსურ კვლევას.

წესრიგი/ქაოსი: წესრიგისა და ქაოსის ბინარული დაპირისპირება წარმოდგენილია ვულფის ნამუშევრებში, განსაკუთრებით მის ცნობიერების ნაკადის თხრობის სტილში. იგი ასახავს ადამიანის აზროვნებისა და გამოცდილების არაპროგნოზირებად და ფრაგმენტულ ბუნებას. ეს შეიძლება შეინიშნოს რომანებში, როგორცაა "გზა შუქურისკენ" და "ტალღები", სადაც პერსონაჟების შინაგანი მონოლოგები და ცვალებადი პერსპექტივები ასახავს დამაბულობას წესრიგსა და ქაოსს შორის.

ინდივიდი/საზოგადოება: ვულფი იკვლევს დაძაბულობას ინდივიდუალურ სურვილებსა და საზოგადოების მოლოდინებს შორის. ის იკვლევს ბრძოლას პირადი ავტონომიისთვის და სოციალური ნორმებით დაწესებულ შეზღუდვებზე. ეს ბინარული წინააღმდეგობა აშკარაა ისეთ ნაწარმოებებში, როგორებიცაა „ორლანდო“ და „საკუთარი ოთახი“, სადაც ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გენდერულ როლებს, სოციალურ კონვენციებს და ინდივიდებზე დაწესებულ შეზღუდვებს უფრო ფართო საზოგადოებრივ სტრუქტურებში.

ვულფმა ეფექტურად გამოიყენა ბინარული ოპოზიციები რთული იდეების გადმოსაცემად, ტრადიციული ნორმების გამოწვევისა და ადამიანის მდგომარეობის შესახებ ნიუანსური შეხედულებების შეთავაზებისთვის. ამ წინააღმდეგობების გამოყენებით მან გამოავლინა საზოგადოების სტრუქტურების შეზღუდვები და წინააღმდეგობები, იდენტურობის, აღქმისა და პირადი გამოცდილების სირთულეების გამოკვლევისას.

5. ოპოზიციური წყვილების ლინგვისტური რეალიზაცია ვირჯინია ვულფის რომანებსა და ესეებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოპოზიციური წყვილების გამოყენება ჰარმონიულად კრავს პოეტური პროზის სათქმელს და რიტმულობის საფუძველზე მკითხველში ექსპრესიულ განცდას ავითარებს.

მაგალითი: ინდივიდი/საზოგადოება

ინდივიდის/საზოგადოების ბინარული ოპოზიციის ლინგვისტური ასპექტების შესწავლით ჩვენ ვიღებთ შეხედულებებს ინდივიდებისა და საზოგადოების ურთიერთდაკავშირების გზებზე და როგორ ემსახურება ენა ინდივიდუალობის გამოხატვას სოციალურ კონტექსტში. ის გვეხმარება, გავიგოთ იდენტობის, სოციალური ურთიერთობებისა და კომუნიკაციური პროცესების რთული დინამიკა ადამიანთა საზოგადოებებში.

ენობრივი საშუალებები ეხმარება გაანალიზდეს, თუ როგორ აქცევენ ინდივიდები თავიანთ იდენტობებს სოციალურ ჩარჩოებში. ინდივიდის/საზოგადოების ბინარული დაპირისპირების ენობრივი გამოვლინების შესწავლით, შესაძლებელია ინდივიდებსა და საზოგადოებას შორის რთული დინამიკის უფრო ღრმა გაგება.

"A Room of One's Own" - "საკუთარი ოთახი"

"But, you may say, we asked you to speak about women and fiction—what has that got to do with a room of one's own? I will try to explain. When you asked me to speak about women and fiction I sat down on the banks of a river and began to wonder what the words meant. They

might mean simply a few remarks about Fanny Burney; a few more about Jane Austen; a tribute to the Brontës and a sketch of Haworth Parsonage under snow; some witticisms if possible about Miss Mitford; a respectful allusion to George Eliot; a reference to Mrs Gaskell and one would have done. But at second sight the words seemed not so simple. The title women and fiction might mean, and you may have meant it to mean, women and what they are like; or it might mean women and the fiction that they write; or it might mean women and the fiction that is written about them; or it might mean that somehow all three are inextricably mixed together and you want me to consider them in that light. But when I began to consider the subject in this last way, which seemed the most interesting, I soon saw that it had one fatal drawback. I should never be able to come to a conclusion. I should never be able to fulfil what is, I understand, the first duty of a lecturer to hand you after an hour's discourse a nugget of pure truth to wrap up between the pages of your notebooks and keep on the mantelpiece forever. All I could do was to offer you an opinion upon one minor point—a woman must have money and a room of her own if she is to write fiction; and that, as you will see, leaves the great problem of the true nature of woman and the true nature of fiction unsolved."

მოცემულ მონაკვეთში ვულფი ასახავს თემის „ქალები და მხატვრული ლიტერატურის“ სხვადასხვა ინტერპრეტაციას. ის განიხილავს ქალების ინდივიდუალურ გამოცდილებას და იდენტობას, ქალების მიერ დაწერილ მხატვრულ ლიტერატურას და ქალებზე დაწერილ მხატვრულ ლიტერატურას, იკვლევს, თუ როგორ ერწყმის ეს ასპექტები და გავლენას ახდენს ერთმანეთზე. დამაბულობა ინდივიდის სურვილებსა და მწერალ ქალებს შორის არსებულ სოციალურ მოლოდინებს შორის აშკარად არის წარმოდგენილი ვულფის მიერ ქალების ფინანსური დამოუკიდებლობისა და ფიზიკური სივრცის ხელმისაწვდომობის კვლევაში („ქალს უნდა ჰქონდეს ფული და საკუთარი ოთახი, თუ მხატვრული ლიტერატურა უნდა დაწეროს“). ეს პასაჟი აჩვენებს ინდივიდის/საზოგადოების ბინარული ოპოზიციის სირთულეს ლიტერატურაში ქალთა გამოცდილების კონტექსტში.

სემანტიკის, სტილისტიკის, ლექსიკის და მეტაფორის გამოყენებით ვირჯინია ვულფი ოსტატურად ასახავს ინდივიდის/საზოგადოების ბინარულ ოპოზიციას თავის ნაწერებში. ეს ენობრივი გამომსახველობითი სახეები საშუალებას აძლევს მას, გადმოსცეს დამაბულობა, კონფლიქტები და ურთიერთქმედება ინდივიდუალურ გამოცდილებას, სურვილებსა და იდენტობებს შორის, ერთის მხრივ, და უფრო ფართო სოციალურ სტრუქტურებს, ნორმებსა და მოლოდინებს, მეორე მხრივ.

ნაცვალსახელები: ნაცვალსახელები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ინდივიდუალური და სოციალური პერსპექტივების გარჩევისას. პირველი პირის ნაცვალსახელები (მაგ., "მე", "ჩემი") ასოცირდება ინდივიდთან, ხაზს უსვამს პიროვნულ აგენტობას და სუბიექტურობას. ამის საპირისპიროდ, ინკლუზიური ნაცვალსახელები (მაგ., „ჩვენ“,) ან კონკრეტული სოციალური კატეგორიები (მაგ. „მოქალაქეები“, „წევრები“) ხაზს უსვამს საზოგადოების კოლექტიური ბუნებას.

მეტაფორა: მეტაფორული ენა არის ძლიერი ხერხი ბინარული ოპოზიციების შესასწავლად. მეტაფორებს შეუძლიათ ნათელი გამოსახულების აღძვრა და რთული იდეების გადმოცემა ინდივიდსა და სოციალურ სამყაროს შორის ურთიერთობის შესახებ. მაგალითად, მეტაფორები, რომლებიც ასახავს ინდივიდს, როგორც მარტოხელა ფიგურას, შეუძლია ხაზი გაუსვას განსხვავებას ინდივიდუალობასა და საზოგადოების მოლოდინებს შორის. პირიქით, მეტაფორები, რომლებიც ხაზს უსვამენ ინდივიდების ურთიერთდაკავშირებას საზოგადოების ჩარჩოში, შეუძლიათ ხაზი გაუსვან ამ ორ სფეროს შორის ურთიერთკავშირს. "A woman must have money and a room of her own if she is to write fiction" - ეს მეტაფორული განცხადება აერთიანებს ვულფის მთავარ არგუმენტს. აქ „ფულის“ ქონა სიმბოლოა ფინანსური დამოუკიდებლობისა და რესურსების ხელმისაწვდომობის შესახებ, ხოლო „საკუთარი ოთახის“ არსებობა წარმოადგენს შემოქმედებითი გამოხატვისთვის აუცილებელ ფიზიკურ და გონებრივ სივრცეს.

სემანტიკა: სემანტიკის თვალსაზრისით, ვულფი იყენებს სიტყვებსა და გამონათქვამებს, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნულ იდენტობასთან, ავტონომიასთან და სუბიექტურ გამოცდილებასთან, რათა ხაზი გაუსვას ინდივიდუალურ ასპექტს. ეს მოიცავს ლექსიკას, რომელიც დაკავშირებულია პირად სურვილებთან, ემოციებთან და ინტროსპექციასთან. მეორე მხრივ, სოციალური ასპექტის განხილვისას, ვულფი იყენებს ენას, რომელიც ასახავს კოლექტიურ იდენტობებს, სოციალურ როლებს და ინსტიტუციურ ნორმებს. ეს სემანტიკური კონტრასტი ხაზს უსვამს განსხვავებას ინდივიდუალურ და სოციალურ სფეროებს შორის.

მოცემული მონაკვეთი იკვლევს ფრაზის "women and fiction" სემანტიკას და მის მრავალგვარ ინტერპრეტაციას. ვულფი ასახავს სხვადასხვა პოტენციურ მნიშვნელობას, როგორცაა ქალის მახასიათებლები, ქალის წერა და ქალებზე დაწერილი მხატვრული ლიტერატურა. ეს სემანტიკური კვლევა ხაზს უსვამს თემასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან განზომილებებს და ინტერპრეტაციებს.

სტილისტიკა: მოცემულ მონაკვეთში მწერალი იყენებს ხერხებს, როგორცაა რიტორიკული კითხვები „what has that got to do with a room of one's own? I will try to

explain“, და პარალელიზმი ვულფის აზრების გადმოსაცემად და მკითხველის ჩართულობისთვის. განმეორებითი სტრუქტურა "they might mean", რასაც მოჰყვება სხვადასხვა შესაძლებლობები, აჩვენებს პარალელურობას და ხაზს უსვამს თემის სირთულეს. სტილისტური მახასიათებლები, როგორცაა ტონი, რეგისტრი და თხრობითი პერსპექტივა, ხელს უწყობს ინდივიდის/საზოგადოების ბინარული ოპოზიციის წარმოჩენას. პირველი პირის თხრობა ხშირად ხაზს უსვამს ინდივიდუალურ და მესამე პირის თხრობას ხაზს უსვამს საზოგადოების დინამიკას.

ლექსიკა: ლექსიკური არჩევანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდის/საზოგადოების ბინარული წინააღმდეგობის გადმოცემაში. ვულფის მიერ პირად სუბიექტურობასთან დაკავშირებული სიტყვების გამოყენება აძლიერებს ინდივიდუალურ ასპექტს. ეს შეიძლება შეიცავდეს სიტყვებს, როგორცაა "სურვილი", მეორე მხრივ, სიტყვები, რომლებიც დაკავშირებულია კოლექტიურ იდენტობასთან, სოციალურ როლებთან და სოციალურ მოლოდინებთან, აძლიერებს სოციალურ ასპექტს. მაგალითები: "women and what they are like," "the fiction that they write," and "the true nature of woman." სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ხაზს უსვამს ინდივიდუალურ იდენტობას. ეს ტერმინები ფოკუსირებულია ქალის, როგორც ინდივიდის, პიროვნულ მახასიათებლებზე, გამოცდილებასა და შემოქმედებით გამოხატვაზე. სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ხაზს უსვამენ სოციალურ ასპექტს, მოიცავს "the fiction that is written about them," "all three [women, fiction, and what they are like] are inextricably mixed together," and "the great problem of the true nature of fiction." ეს გამონათქვამები ეხება საზოგადოების მოლოდინების უფრო ფართო კონტექსტს, კულტურულ აღქმას და ინდივიდებსა და კოლექტივს შორის ურთიერთქმედებას.

ამ სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ვულფი იკვლევს კომპლექსურ ურთიერთობას ინდივიდუალურ იდენტობასა და სოციალურ კონსტრუქტებს შორის, რომლებიც აყალიბებენ და გავლენას ახდენენ ქალების გამოცდილებასა და წარმოდგენაზე.

მწერალს ლექსიკური არჩევანი ხელს უწყობს სემანტიკურ განსხვავებას ინდივიდუალურ და სოციალურ სფეროებს შორის.

ლიტერატურა:

1. <http://dictionary.css.ge/content/binary-oppositions>
2. <http://mastsavlebeli.ge/?p=30004>
3. <https://gutenberg.net.au/ebooks02/0200791h.html>
4. <https://nicojaramillo.medium.com/on-virginia-woolfs-a-room-of-one-s-own-17dff9047aa4>
5. Lyons, John (1977) Semantics. 1- Cambridge University Press
6. Richard, J. (1985). Longman Dictionary of Applied Linguistics. London: Longman.
7. გამყრელიძე 2008, გამყრელიძე გ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, გვ. 3-796.
8. გაფრინდაშვილი 2015, გაფრინდაშვილი ნ., თვალთვაძე დ., ქართული ენა, ლიტერატურის თეორია, ქართული ლიტერატურის ისტორია, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2015, გვ. 3-407.
9. სანიკიძე 1999, სანიკიძე თ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999, გვ. 3-336.
10. ხინთიბიძე 1995, ხინთიბიძე ა., მხატვრული ენის თავისებურება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995, გვ. 3-400.

Lela Charelashvili

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: L.Tcharelashvili@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.10>

SJIF 2024: 8.268

Virginia Woolf and Binary Oppositions

Abstract

The exploration of binary oppositions in Virginia Woolf's novels unveils their significant role in constructing the depth, complexity, and enduring impact of her literary works. Through rigorous analysis of stylistics and semantics, it becomes evident that binary oppositions are essential to Woolf's literary framework, engaging readers across multiple interpretative levels.

Woolf's masterful deployment of binary oppositions highlights her sophisticated artistic vision and her nuanced approach to the complexities of human experience and interpersonal relationships. By foregrounding opposing elements—such as the individual versus society,

masculine versus feminine, life versus death—Woolf interrogates societal norms, delves into existential themes, and invites readers to critically reflect on the human condition.

In terms of stylistic analysis, Woolf employs vivid imagery, figurative language, rhythmic structures, and deliberate linguistic choices to underscore the inherent tension between these opposing elements. Such stylistic devices serve to intensify the effects of binary oppositions, thereby fostering a resonant emotional experience for readers.

From a semantic perspective, the study of binary oppositions enriches the interpretive possibilities of Woolf's novels. The subtle connotations associated with contrasting elements profoundly influence the reader's understanding and interaction with the text. Binary oppositions stimulate intellectual engagement, promoting critical reflection on the structures and cultural paradigms of society.

The function of binary oppositions in Woolf's novels extends beyond mere literary values. They deepen reader engagement, evoke a spectrum of emotional responses, and invite readers to confront the intricacies of human existence. Woolf's employment of binary oppositions has exerted a lasting influence on literary studies, inspiring subsequent generations of writers and contributing significantly to the literary context.

In conclusion, the presence of binary oppositions in Virginia Woolf's novels underscores their critical function in conveying layered meanings, enhancing stylistic expression, and encouraging reader engagement. By interrogating these dialectical contrasts, Woolf provokes philosophical introspection and guides readers on an intellectually transformative journey of self-reflection and societal critique.

Key words: Virginia Woolf, Semantic, stylistic, binary oppositions

რეცენზენტი: პროფესორი მარია აფანასიადი

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

ანტიკური სამყაროს ფერადოვანი სიბრმავე და ფერები ჰომეროსის
შემოქმედებაში

ნათია არველაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: Natia.arveladze1@atsu.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.13>
SJIF 2024: 8.268

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ძვ.წ. XIV-V საუკუნეებისთვის ადამიანების ოკულისტური რეალობა არ სცილდებოდა თეთრის, შავისა და კიდეც რამდენიმე ერთეული ფერის აღქმის შესაძლებლობას. მართალია, ჩვენ კატეგორიულად ვერ განვაცხადებთ, რომ ანტიკური საბერძნეთის მოსახლეობა ცალსახად დაავადებული იყო დაბადებისეული სიბრმავით ფერთა აღქმის თვალსაზრისით, თუმცა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მათი თვალსაწიერი შემოიფარგლებოდა თეთრი, შავი, წითელი და ლურჯი ფერებით. მოგვიანებით ადამიანების ფიზიკური შესაძლებლობები გაიზარდა.

განსხვავებული მოსაზრება აქვს ქართველ მეცნიერს - კონსტანტინე მეგრელიძეს. მისი აზრით ჰომეროსიდან ჩვენამდე განვილილი დრო ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ მხედველობის ორგანოში მნიშვნელოვანი ცვლილება მომხდარიყო. შესაბამისად, მეგრელიძის ვარაუდით, მოსაზრება ანტიკურ საბერძნეთში მცხოვრები საზოგადოების ფერადოვანი სიბრმავის შესახებ მცდარია.

ფაქტია ის, რომ ჰომეროსის ეპოსში წარმოდგენილი ფერების რაოდენობა არც თუ ისე მწირია. იგი იყენებს ფერების აღმწერ ეპითეტებს თეთრი, შავი, ლურჯი, ვერცხლისფერი, წითელი, ვარდისფერი, ყვითელი, მწვანე, ჭრელი. გარდა აღნიშნული ფერებისა ავტორი იყენებს ასევე არსებითი სახელისგან ნაწარმოებ სხვადასხვა სიტყვათშეთანხმებას ფერების გამოსახატად. მაგალითად ღვინისფერი, სისხლისფერი, მოლისფერი და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ფერები, ჰომეროსი, ანტიკური ეპიკური პოეზია.

ფერთა გამომხატველი ეპითეტები ჰომეროსის ეპოსში ატარებენ არა მხოლოდ აღწერით დატვირთვას, არამედ წინასწარმეტყველურ თვისებებსაც. ისინი რიგ შემთხვევებში ქმნიან გარკვეულ წინასწარგანწყობას მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებით. საინტერესოა, როგორ აღიქვამდა ფერებს ანტიკური ეპოქის ეპიკოსი?

ანტიკური ეპოქის საზოგადოების ფერადოვანი სიბრძავის შემთხვევაში, სრულიად გასაგებია თუ რატომ ვხვდებით ჰომეროსის შემოქმედებაში ასე აქტიურად შავ და თეთრ ფერებს და მათ სიტყვათშეთანხმებას. შავ ფერს ჰომეროსი ესთეტიური ვიზუალური წარმოდგენის შესაქმნელად იყენებს მაშინაც კი, როცა აღნიშნული ფერის ხაზგასმით იმ მოსალოდნელ უბედურებაზე გვიქმნის წინასწარგანწყობას, რაც ტროაში მოხდება (ჰომ. ოდ. II. 428 / ჰომ. ილ. V. 864-866 / ჰომ. ილ. V. 156). თეთრი ფერი კი, ხშირად უკავშირდება მშვიდობას (ჰომ. ილ. I. 480). ობიექტური მოცემულობის მხატვრული გამომხატვით, რაც შავი ან თეთრი აღმწერით ხდება, ჰომეროსი ახერხებს მოვლენისადმი ემოციური დამოკიდებულების ინტენსიფიკაციას (ჰომ. ილ. XXII. 152).

მეტად საინტერესოა, ფერთა გამის მრავალფეროვნება ჰომეროსის შემოქმედებაში, რაც რთულად გასაგებია ზემოთმოყვანილი ვარაუდის პირობებში - ანტიკური საზოგადოების ფერადოვანი სიბრძავის შესახებ. სისხლისფერი ჰომეროსის შემოქმედებაში გამოყენებული კიდევ ერთი ფერია, რომელიც დამატებით ემოციურ გავლენას ახდენს მკითხველზე. მაგალითად, ყველასთვის ცნობილია, რომ ცისარტყელა არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთ - სისხლის ფერში, თუმცა აღსაწერის ასეთი ფერადოვნება მოვლენების სისხლიანი განვითარების ალბათობაზე უნდა მიუთითებდეს (ჰომ. ილ. XVII. 547-548).

ჰომეროსი იყენებს ფერს - ღვინისფერი, რაზეც მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ჰომეროსის პოეტური ტექნიკის ნაწილია, რომელიც მეტაფორულად შეიძლება განვიხილოთ ღვინის, თრობის, ინტოქსიკაციის, კომიკურობისა ან ტრაგიკულობის კონტექსტში.

ჰომეროსი იყენებს ცისფერ, მწვანე, ვარდისფერ, ოქროსფერ, ვერცხლისფერი, ყვითელ, იისფერ და კიდევ რამდენიმე ფერს ვიზუალური ეფექტის შესაქმნელად.

ჰომეროსის ტექსტების ანალიზის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეპიკოსის შემოქმედებაში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ფერთა გამა ეჭქვემ აყენებს მეცნიერთა ვარაუდს ანტიკური ეპოქის ხალხთა მინიმალისტური ოკულისტური შესაძლებლობების შესახებ.

მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ ჰომეროსი იყენებს არსებითი სახელისაგან სიტყვათწარმოების მეთოდით მიღებულ სიტყვებს ამა თუ იმ ობიექტის შეფერილობის

გამოსახატად, ვფიქრობთ მხოლოდ ჰომეროსის პოეტური ტექნიკის ნაწილია და არ ვფიქრობთ რომ შეიძლება ფერთა აღქმის სიმცირით იყოს გამოწვეული.

სტატისტიკური მონაცემებით პოემებში გამოყენებული ფერებიდან სიხშირით გამოირჩევა შავი ფერი, რაც ნაწარმოებში ქმნის ტრაგიკულობის განცდას. ამასთანავე, პოემაში „ილიადა“ გამოყენებულია უფრო მეტი ფერი, ვიდრე პოემაში „ოდისეა“, რაც პირველი მათგანის ემოციურ მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

„ილიადასა“ და „ოდისეაში“ გამოყენებული ფერთა გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ატარებენ არა მხოლოდ აღწერით დატვირთვას, არამედ წინასწარმეტყველურ თვისებებსაც და ქმნის გარკვეულ წინასწარგანწყობას მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებით; ახდენს ემოციური ფონის ინტენსიფიკაციას და ახერხებს მკითხველში შიშისა და თანაგრძნობის განცდის გამოწვევას.

ლიტერატურა:

- დარჩია, ი., - ფერის ფენომენი ბერძნულ ტრაგედიაში. დისერტაცია. თბილისი. 2005.
- ჰომეროსი, - ილიადა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. თბილისი. 2013.
- ჰომეროსი, - ოდისეა. თარგმნა პ. ბერაძემ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1979.
- Bradley, M., - Colour as Synaesthetic Experience in Antiquity. In: “Synaesthesia and Ancient Senses”, ed: Butler Sh. Purves A. Acumen Publishing. Durham. 2014.
- Wendell, B., - The traditions of European Literature from Homer to Dante. Charles Scribner’s Sons Publishing. New York. 1920.

Natia Arveladze

Akaki Tsereteli State University

Natia.arveladze1@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.13>

SJIF 2024: 8.268

Color Blindness of the Ancient World and Colors in the Works of Homer

Abstract

Scientists assume that BC by the 14th-15th centuries the ophthalmic reality of people did not go beyond the ability to perceive white, black and a few other single colors. Although we cannot

categorically state that, the population of ancient Greece was uniquely suffering from congenital color blindness. However, scientists suggest that their visual field was limited to white, black, red and blue colors. Later, people's physical abilities increased.

Georgian scientist Konstantine Megrelidze has a different opinion. According to him, the time elapsed from Homer to us is too short for a significant change in the organ of sight to have occurred. Therefore, according to Megrelidze, the opinion about the color blindness of the society living in ancient Greece is wrong.

The fact is that number of colors in Homer's epic is not so small. He uses the descriptive epithets of colors white, black, blue, silver, red, pink, yellow, green, brown. In addition to the mentioned colors, the author also uses various word combinations made from nouns to express colors. For example wine-colored, blood-colored, mole-colored, etc.

Key Words: colors, Homer, Ancient epic poetry

რეცენზენტი: პროფესორი ლუდმილა დაცევიძი

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

„კადიმა“ - ეთნოკულტურული დიალოგის პლატფორმა

გურანდა გობიანი

ქუთაისის უნივერსიტეტი

ელ. ფოსტა : gobianiguranda78@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.14>

SJIF 2024: 8.268

დრამატული დასი „კადიმა“ შეიქმნა 1920-იან წლებში თბილისში, ცნობილი ქართველი ებრაელი მწერლის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის, გერცელ ბააზოვის ხელმძღვანელობით. დასის სახელი ებრაულ ენაზე „წინსვლას“ ნიშნავს და ასახავს სიონისტურ და ეროვნულ იდეებს. „კადიმას“ მისია იყო ებრაული კულტურისა და ენის შენარჩუნება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა ეპოქაში, როცა ივრითზე სწავლება და სხვა ეროვნული ნიშნები შეზღუდული იყო.

„კადიმა“ ჩამოყალიბდა „ლარიზ ებრაელთა 102-ე სკოლის“ ბაზაზე, რომელიც ბააზოვის ხელმძღვანელობით დაარსდა თბილისში 1921 წელს და ივრითის, ებრაული ისტორიისა და ლიტერატურის სწავლების ცენტრად იქცა. ეს სკოლა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ებრაელების განათლებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ მალევე აკრძალა ივრითზე სწავლება. ამის მიუხედავად, „კადიმას“ მეშვეობით ბააზოვმა შეძლო, შეენარჩუნებინა ებრაული კულტურის ნაწილი და ხელი შეეწყო ქართულ-ებრაულ ინტერკულტურულ ურთიერთობების განვითარებისათვის.

დასმა არა მხოლოდ ებრაული, არამედ ქართული საზოგადოებაც ჩართო კულტურულ დიალოგში. დასის მიერ დადგმულ სპექტაკლებში იგრძნობოდა ქართული და ებრაული თემატიკის სინთეზი, რაც ხელს უწყობდა ორ კულტურას შორის ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის განვითარებას. დოღო ანთაძისა და შალვა დადიანის მხარდაჭერით „კადიმა“ სცენაზე აცოცხლებდა როგორც ებრაულ, ისე ქართული კულტურის ელემენტებს, რაც აუდიტორიას საშუალებას აძლევდა, უკეთ გაეცნო და დაეფასებინა ორივე კულტურა.

„კადიმას“ ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ქართულ-ებრაულ ინტელექტუალურ სივრცეში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა და ხელი შეუწყო ორ საზოგადოებას, ორ თემს შორის მეგობრული კავშირისა და ეთნოკულტურული დიალოგის გაძლიერებასა და გაღმავებას, რაც იმ პერიოდისთვის უნიკალური და უპრეცედენტო მოვლენა იყო.

საკვანძო სიტყვები: ეთნოკულტურული დიალოგი, ქართულ-ებრაული დიასპორა, „კადიმა“, თვითმოქმედი დასი, ინტერკულტურული კომუნიკაცია

სიტყვა „კადიმა“ (קדימה) ებრაულ ენაზე ნიშნავს „წინსვლას“ ან „წინ“. ეს სიტყვა დაკავშირებულია პროგრესის, განვითარების და მიზნისკენ სვლის იდეასთან. „კადიმა“ ებრაელთა შორის ხშირად გამოიყენებოდა როგორც მოძრაობის ან ორგანიზაციის დასახელება, რომელიც სიონისტური იდეების გავრცელებას და ებრაელთა ეროვნულ იდენტობას უკავშირდებოდა.

საქართველოში „კადიმა“ გახდა დასის სიმბოლო, რომელიც მიზნად ისახავდა ებრაული კულტურის და ენის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეთნო-ინტერკულტურული ურთიერთობების განმტკიცებაში, განსაკუთრებით, ებრაულ და ქართულ საზოგადოებებს შორის კავშირების გაღრმავების კუთხით, შექმნა პლატფორმა, რომელიც აძლევდა საშუალებას აუდიტორიას გაეცნო ებრაული კულტურის ფესვები, ტრადიციები და ყოველდღიური ცხოვრება. დასი მიმართული იყო როგორც ებრაული თემატიკის, ისე ქართული კულტურული ელემენტების წარმოჩენაზე, რაც საშუალებას აძლევდა ორივე საზოგადოებას დაენახა საკუთარი თავის ასპექტები და გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის განსხვავებული ტრადიციები და ღირებულებები.

საქართველოში პირველი ებრაული დასი „კადიმა“ დაარსდა თბილისში, „ღარიბ ებრაელთა 102-ე სკოლის“ ბაზაზე, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ებრაელთა სულიერი ლიდერის, რაბინ დავით ბააზოვის (1988-1947) შვილის, ასევე ცნობილი ქართველი ებრაელი მწერალის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის, გერცელ ბააზოვის (1904-1938) ხელმძღვანელობით. „კადიმას“ შესახებ არსებული ცნობები უმთავრესად ებრაული და ქართული კულტურული ისტორიის ნაშრომებშია მოცემული. სამწუხაროდ, ამ დასზე არსებული ისტორიული წყაროები მწირია და მათი მოძიება, ძირითადად, შესაძლებელია საქართველოს ისტორიის მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში და ასევე ადგილობრივ ებრაულ თემთან დაკავშირებულ არქივებში.

სკოლა, რომელიც „ღარიბ ებრაელთა 102-ე სკოლის“ სახელწოდებით არის ცნობილი, დაარსდა 1921 წელს, თბილისში, კაშენის ქუჩაზე, გერცელის თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით. აქ ის ასწავლიდა ივრითს, ებრაულ ისტორიას და ლიტერატურას, რისი უფლებაც ხელისუფლებისაგან გამოუთხოვია და მიუღია კიდეც, თუმცა, სამწუხაროდ, გასაგები მიზეზების გამო, ხანმოკლე დროით. მალევე, დროებით, სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, გარკვეულ კომპრომისებზე წასული ძალადობითა და სისხლით მოსული ხელისუფლება, ააშკარავებს თავის ნამდვილ, მზაკვრული ზრახვებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ერების ასიმილაციას გულისხმობდა და კრძალავს ივრითზე სწავლებას, ყოველგვარი ეროვნულის გამოვლენა სკოლებში, რაც უკვე ნათელს ხდიდა შემდგომ ბედს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ცენტრისა და თეატრალური დასისაც. ესთერ თეთრუაშვილი გულისტკივილით იგონებს აღნიშნულ პერიოდს: „კლასში გერცელი შემოვიდა, მაგრამ არა ის გერცელი, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით, მუდამ მომღიმარს, მხიარულს. დღეს ის დაღონებული იყო, მდუმარე. გვამცნო რომ დღეიდან ჩვენი დედაენის, ივრითის, სწავლა გვეკრძალებოდა. თითქოს მეხი დაგვეცაო, ისე ვიგრძენით თავი ნორჩებმა. ღელავდა ჩვენი მასწავლებელი და ვღელავდით ჩვენც. რატომ? რატომ უნდა იყოს ასე?... ვფიქრობდით ყველა...“ [ბააზოვი, 2000: 358].

დავუბრუნდეთ 102-ე სკოლას. თუ ადრე არ იცოდნენ სკოლა რა იყო, მერხი თვალთ არ ენახათ, დღეს ებრაელი ბავშვების უმრავლესობა სკოლის კედლებს შუა აღმოჩნდა, მერხებს მიუსხდა და სწავლას დაეწავა. „სინამდვილეში, – აღნიშნავს ესთერ თეთრუაშვილი, – ეს სკოლა ებრაელ ბავშვთა ავტონომია იყო. აქ მარტო ებრაელი ბავშვები სწავლობდნენ“ [ბააზოვი, 2000: 358], ყოფილი მოსწავლე გულისტკივილით იგონებს, რომ ამ სკოლას ჩამორჩენილთა სკოლას ეძახდნენ, თუმცა იმასაც დასძენს, რომ აქ სწავლისა და აღზრდის საქმეს მყარი საძირკველი გააჩნდა და რომ აქვე აღიზარდნენ მეორე ბააზოვი და კიდევ მრავალი ღირსეული ადამიანი. 102-ე სკოლაში სწავლობდა აგრეთვე მწერლის უმცროსი დაც, პოლინა ბააზოვი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს სასწავლებელში მომუშავე ქართველ მასწავლებელთა საუკეთესო დამოკიდებულებას ებრაელი ბავშვებისადმი.

გერცელის გამოჩენას, როგორც ყოფილი მოსწავლეები აღნიშნავენ, რაღაც განსაკუთრებული მუხტი შეჰქონდა სკოლაში და ყოველთვის თავდაუზოგავი სწავლისაკენ მოუწოდებდა ბავშვებს, რამეთუ კარგად იცოდა, რომ მხოლოდ განათლებისა და ცოდნის გზით შესძლებდნენ ქართველი ებრაელები უმცირებისა და უკულტურობის წუმკედან ამოსვლას. გერცელს აქვე ჩამოყალიბებული ჰქონდა პატარა დრამატული წრე. „მისი რეჟისორობით ბავშვები ისეთ აქტიორებად იქცნენ, რომ მაყურებელთა სიცილი დარბაზს აყრუებდა თუ ისინი კომედიას თამაშობდნენ, დრამის შემთხვევაში დულდნენ და გადმოდოდნენ ცრემლები“ [ბააზოვი, 2000: 357]. ტარდებოდა ლიტერატურული საღამოები, ახდენდნენ ნაწარმოებთა ინსცენირებებს, ასამართლებდნენ მოქმედ გმირებს, იდგებოდა სპექტაკლები ებრაელთა ცხოვრებიდან, ისმოდა ებრაული სიმღერები. თანდათან მწიფდებოდა აზრი ცალკე, უფრო ფართო მასშტაბის დრამატული დასის ჩამოყალიბების შესახებ.

1924 წლის 3 თებერვალს აღნიშნული სკოლის მოსწავლეთა მიერ გამართულ ლიტერატურულ საღამოს საკმაოდ მაღალი შეფასება მიეცა. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ხელმძღვანელმა – იოსებ იმედაშვილმა – მათ საქმიანობას, კულტურულ ფრონტზე ქართველ ებრაელთა პირველი ნაბიჯი უწოდა. ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო. გერცელ ბააზოვმა, წერა-კითხვის სალიკვიდაციო სასწავლებლის სულისჩამდგმელმა, ასეთი სიტყვებით დაასრულა თავისი გამოსვლა ამ საღამოზე: „თქვენ წინ წარმოდგებიან ისინი, ვინც ამ ორი კვირის წინათ ანი და ბანიც არ იცოდნენ“ [ციციშვილი, 1964: 12]. ამიტომაც ბუნებრივია, მათი მცირეოდენი წარმატებაც კი უპრეცედენტო მოვლენად აღიქმებოდა ქართველ ებრაელთა ძირითადი მასის სრული კულტურულ-ინტელექტუალური ვაკუუმის ფონზე, ხოლო თავად ახალგაზრდა გერცელ ბააზოვისათვის ეს უკვე შემდგომი დრამატურგიული მოღვაწეობის ჩანასახი და სათავე იყო.

მწერლის უფროსი და - ფანი ბააზოვიც საკმაოდ დიდ შეფასებას აძლევდა აღნიშნულ სკოლას. მისი სიტყვებით: „ეს სკოლა იქცა არნახულ კულტურულ-ეროვნული საქმიანობის ცენტრად, სადაც მოსწავლეები აწყობდნენ მუსიკალურ-ლიტერატურულ საღამოებს, მღეროდნენ ებრაულ სიმღერებს, დგამდნენ პიესებს ებრაულ ენაზე ან ებრაულ პიესებს ქართულად“ [ბააზოვი, 2000: 349]. სულ მოკლე ხანში, 1924 წელს, ამ ახალგაზრდული წრისაგან გერცელმა შექმნა დრამატული დასი სიმბოლური სახელწოდებით – „კადიმა“, რაც ქართულად „წინ“-ს (წინასვლას) ნიშნავდა. გერცელის მიზნები გაცილებით შორს მიდიოდა, ფიქრობდა, მთავრობისაგანაც დახმარება ექნებოდა

და თანდათან სრულყოფილ, ღირებულ თეატრალურ დასს ჩაეყრებოდა მყარი საფუძველი, თუმცა ესეც ფუჭი და განუხორციელებელი ოცნება აღმოჩნდა.

ახლად ჩამოყალიბებულ თეატრალურ წრეში ბააზოვების მთელი ოჯახი იყო ჩართული: მამა და და-ძმა. რეჟისორად მოიწვიეს იმ დროისათვის უკვე კარგად ცნობილი თეატრმცოდნე - დოდო ანთაძე, რომელმაც, მართლაც, ძალიან დიდი თანადგომა და დახმარება გაუწია ახალბედა მსახიობებსა და საერთოდ მთელ თეატრალურ დასს. როგორც რეჟისორი აღნიშნავს, წრის წევრებში ხაიმ და ფანი ბააზოვების გარდა შედიოდნენ: ხანანა დავარაშვილი, იოსებ და დავით იოსებაშვილები, ილია დავითაშვილი, ფაშა ბასანოვი, იოსებ წიწყაშვილი, სიმონ და ილია სიმინიშვილები, ისაკ ჯაჯანაშვილი, სიმონ ელიშაყოვი, ხაიმ გორელიშვილი, აბრამ მანაშენომი და მენაშე იეხისკიელაშვილი. მათი აბსოლიტური უმრავლესობა 102-ე შრომის სკოლასთან არსებული წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სასწავლებლის მოწაფეები გახლდნენ. დოდო ანთაძე იხსენებს, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა, რადგან ძალზე უდისციპლინო მსახიობებთან ჰქონდა საქმე. დღისით ისინი წვრილმან ვაჭრობას ეწეოდნენ, ზოგი მათგანი ფეხსაცმლის მწმენდელად მუშაობდა, ზოგიც ტკბილეულითა და ხილეულით ვაჭრობდა. „...როლების სწავლება მიხდებოდა მოკარნახის მეშვეობით, რადგან წერა-კითხვას არ იყვნენ იმდენად დაუფლებულნი, რომ ტექსტი თვითონ ესწავლად. ეს ძალზედ ართულებდა მდგომარეობას, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიე: წრემ საკმაო ხანს იარსება და რამდენიმე სპექტაკლიც კი დაიდგა“ [ანთაძე, 1962: 241]. თემატიკა ძირითადად ებრაელების წარსული ცხოვრებიდან იყო აღებული.

1925 წლის 12 იანვარს „კადიმას“ პრემიერად წარმოდგენილი იქნა მეკლერის დრამა „ხასა გივამი“. სპექტაკლი წარმატებით დაიდგა. მასში მონაწილეობას იღებდა ებრაელ ბავშვთა გუნდი. წარმოდგენის დაწყებამდე მათ ებრაულად შეასრულეს ინტერნაციონალი და დასასრულს - ქართულად. ამ ფაქტსაც, რა თქმა უნდა, თავისებური სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრული თანაცხოვრების ჰიმნად ჟღერდა. მაყურებელთა შორის, ებრაელების გარდა, ბევრი იყო ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელიც. სპექტაკლმა საზეიმო ხასიათი მიიღო. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ახალბედა მსახიობები მხურვალე აპლოდისმენტებით დაჯილდოვდნენ (პიესა ივრითიდან თარგმნა ნათელა ელიაშვილმა).

მაღევე, ისევე დოდო ანთაძის ხელმძღვანელობით, განხორციელებულ იქნა გერცელ ბააზოვის ახალი ორიგინალური პიესა „საიდუმლო ბინა“ (ეს პიესა ცნობილია სახელწოდებითაც „ნამძვების ვაკე“), რომელიც ასახავდა ესპანელ ებრაელთა ცხოვრებას XVI ს-ში, მათ დევნასა და ინკვიზიციის საშინელებებს. მსახიობ-შემსრულებელთაგან ყურადღებას იპყრობდნენ დავით ბააზოვის შვილები - ფანი (მარიამი) და ხაიმი (ფედრო), აგრეთვე ილ. დავითაშვილი (სებასტიანი) და შ. ათანელოვი (ელუიზი). პიესა დაიდგა 1925 წლის 11 თებერვალს. ტრაგედიის შესახებ რეცენზია დაიბეჭდა ყოველკვირეულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მე-19 ნომერში და საკმაოდ დიდი შეფასებაც მიეცა. ყველაფერთან ერთად სასიხარულო და მნიშვნელოვანი ის ფაქტი იყო, რომ საქმე ეხებოდა ორიგინალურ პიესას, რის ნაკლებობასაც ნამდვილად განიცდიდა მაშინდელი ჩვენი დრამატურგია. ამიტომაც გერცელ ბააზოვის დამსახურება იზრდებოდა არა მხოლოდ ქართველ ებრაელთა წინაშე, არამედ, საერთოდ, ქართული ორიგინალური დრამატურგიის განვითარებისა და გამრავალფეროვნების თვალსაზრისითაც.

იგივე ე. წ. „თვითმოქმედებითი წრის“ მიერ დაიდგა აგრეთვე ჩირიკოვსკის ცნობილი პიესა „ებრაელები“, რომელშიც მთავარი როლის შემსრულებლად მოწვეული იქნა ახალგაზრდა მსახიობი პავლე კანდელაკი. „კადიმას“ რეპერტუარში შეტანილ იქნა გერცელის „ახალი გეტო“, ნორდაუს „დოქტორი კანი“, „ურისის სისხლი,“ შ. დადიანის „გუმინდელნი“ და სხვა წარმოდგენები.

როდესაც „კადიმას“ არსებობის შესახებ ვსაუბრობთ, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის კეთილგანწყობილი და საქმიანი ურთიერთობა, რომელიც გერცელ ბააზოვსა და შალვა დადიანს შორის არსებობდა. ცნობილია, რომ შალვა დადიანი დიდი ხელისშემწეობი და მხურვალე გულშემატკივარი გახლდათ ქართველი ებრაელების. ამიტომაც სწორედ მას დაუკავშირდა გერცელი და 1925 წელს „კადიმას“ დაარსების ფაქტთან დაკავშირებით მოსკოვში ხანგრძლივი მივლინებით მყოფ მწერალს დიდი სიხარულითა და თანაგრძნობის სურვილით სავსე წერილი მისწერა, რომელშიც კარგად ჩანს, რომ მათ, ორივეს, დიდი ხნის მანძილზე ნაფიქრი და ნაოცნებარი აუხდათ. გერცელი წერს: „საქართველოს ებრაელობაში მოხდა ის დიდი „გარდატეხა“, რომლის შესახებაც ხშირად გვქონდა საუბარი. და ამ გარდატეხასთან ერთად თავი წამოჰყო სხვა და სხვა კულტურულმა და ხელოვნურმა მისწრაფებებმა. ერთი მათგანია, რასაკვირველია, სასცენო დარგი. აქ დაარსდა ქართველ ებრაელთა დრამატული კოლექტივი „კადიმა“ (წინ), რომელიც იანვრის პირველიდან შეუდგება მუშაობას. უკვე მოახდინა მათ თავის ძალთა პირველი გამოფენა ამ თვის 12, ყოფილ მცირე თეატრში... წარმოდგენები იქნება გამართული სისტემატურად, ყოველ ორ კვირაში ხსენებულ თეატრში“ [მუზეუმი, ფონდი: 1-264]. გერცელ ბააზოვს ძალზედ ახარებს ის ფაქტი, რომ ქართული საზოგადოება გულთბილად და თანაგრძნობით შეხვდა ებრაელთა წინსვლას კულტურული ცხოვრებისაკენ, არც ამის ხაზგასმა ავიწყდება დამწყებ დრამატურგს შალვა დადიანისადმი მიწერილ წერილებში: „ქართული პრესა ჩვენს გამოფენიზლებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. პირველმა სპექტაკლმა დაადასტურა, რომ ჩვენს შორისაც არიან უნიჭიერესი ახალგაზრდები, რომელთაც სჭირდებათ ახალი გზის გამკვლევი და ხელმძღვანელი“ [მუზეუმი, ფონდი: 1-264]. სწორედ ერთ-ერთ ასეთ გზის გამკვლევად მოველინა ებრაულ დიასპორას საქართველოში გერცელ ბააზოვი.

„კადიმას“ ინტერესებიდან გამომდინარე, გერცელი ძალზე დაინტერესებული იყო მოსკოვში არსებული ორი ებრაული თეატრით. ერთი იყო „ჰაბიმა“, რომელსაც ვინმე ცემახი ხელმძღვანელობდა, მეორე – ებრაელთა სახელმწიფო თეატრი, ცნობილი რეჟისორისა და მსახიობის – სოლომონ მიხოელსის თავკაცობით. „ჰაბიმა“ გახლდათ მოსკოვის ერთ-ერთი ჩიხში დამალული პატარა თეატრი, რომელიც ახალგაზრდა ებრაელებმა შექმნეს ნიჭიერი არტისტის ცემახისა და თითქმის გენიალური რეჟისორის ეევგენი ვახტანგოვის (1883-1922) ხელმძღვანელობით. ვახტანგოვი ამ ხანად უკვე ძალიან ავადმყოფობდა და რეპეტიციებზე, თურმე, სანიტარული საკაცით დაჰყავდათ. „რა საინტერესო დამთხვევაა – შენიშნავს აბონ ციციშვილი – აქ, თბილისში შექმნილი ქართველ ებრაელთა დრამატული დასის „კადიმას“ რეჟისორია ქართველი დოდო ანთამე და იქ, მოსკოვში, ებრაული თეატრის „ჰაბიმას“ ერთ-ერთი დამაარსებელი და რეჟისორია ასევე ქართველი ეევგენი ვახტანგოვი“ [ციციშვილი, 1997: 15].

სწორედ ამ თეატრზე შეაჩერა არჩევანი გერცელ ბააზოვმა. მოსკოვში მისი მივლინების მთავარი მიზანიც სწორედ ის იყო, რომ უკეთ გაცნობოდა „ჰაბიმას“ თეატრალურ ცხოვრებას. თანაც ყოველივე ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ შალვა დადიანი კარგ ურთიერთობაში იყო თეატრის ხელმძღვანელ ცემახთან. სწორედ ამ

კონკრეტული მიზნით გაემგზავრა გერცელი 1925 წლის 26 აგვისტოს ერთ-ერთ მეგობართან ერთად მოსკოვში, რათა პირადად შეხვედროდა ცემახს და შეთანხმებოდა „კადიმას“ საგასტროლო მოგზაურობის შესაძლებლობის თაობაზე. თუმცა ამ თეატრის დღეებიც უკვე დათვლილი იყო. მან საბჭოთა კავშირში სახელმწიფო თეატრის სტატუსით მხოლოდ 1925 წლამდე იარსება და გერცელ ბააზოვის მიზნებიც, ამ კონკრეტული მიმართულებითაც, განუხორციელებელი დარჩა.

ახალბედა დრამატურგს ძალიან კარგად ესმოდა საქმის ვითარება, იცოდა რომ დიდი ძალისხმევა და უამრავი სირთულის გადალახვა მოუხდებოდათ სრულფასოვანი თეატრის ჩამოყალიბება-განვითარების გზაზე, მაგრამ ეროვნული სულისკვეთებით ანთებული და გამოფხიზლებული ქართველი ებრაელები გერცელის თავკაცობით მზად იყვნენ ყველა დაბრკოლება ადვილად გადაეღებინათ. „რასაკვირველია, – აღნიშნავს გ. ბააზოვი, – ყოველი დასაწყისი მეტად ძნელია, ბევრი დაბრკოლება დასჭირდებათ გადაიტანონ ამ ახალგაზრდებმა, არაფრისმცოდნე და სულიერად გაუწვრთნელმა „მსახიობებმა“, მაგრამ სიყვარული საქმისადმი და ღრმა რწმენა, რომ დადგა დრო, როცა ჩვენი ხალხიც გამოდის კულტურულ ფრონტზე სამუშაოდ – ყველა ეს, საწინდარია აუცილებელი გამარჯვებისა“ [ციციანი, 1997: 1]). განზრახვა თავისთავად საუკეთესო და მეტად კეთილშობილური იყო, მაგრამ ამ დიდ საქმეს მხოლოდ გერცელის ენთუზიაზმი, დოღო ანთაძის მონდომება და საოცარი სიყვარული საქმისადმი არ ყოფნიდა, საჭირო იყო კადრები, სცენის მოყვარულებს წერა-კითხვა მაინც უნდა სცოდნოდათ სათანადოდ, რომ თეატრულურ დასს არსებობა გაეგრძელებინათ. ყველაზე მთავარი დაბრკოლება კი ის ეპოქა და რეჟიმი იყო, რომელშიაც „კადიმას“ მოუწია არსებობა (1924-25 წწ.). ფინალი ბუნებრივი და მოსალოდნელი გახლდათ. „კადიმა“ შეუერთეს მუშა-ახალგაზრდობის თეატრს, რომელსაც სათავეში გრ. სულიაშვილი, სამა მიქელაძე და სხვანი ჩაუდგნენ და ამით ებრაელობას, ფაქტობრივად, წაერთვა ეროვნული თვითშემეცნების გამოხატვის კიდევ ერთი საშუალება. ეს პროცესი კი – ებრაელთა კულტურული თუ სხვა დაწესებულების დახურვა – საკავშირო მოვლენად იქცა თანდათან მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და როგორც ა. ციციანი აღნიშნავს: „ეს კიდევ ერთი დადასტურება იყო იმისა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები ტაქტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, გარკვეული დროით უშვებდნენ ებრაული კულტურის განვითარებას, მაგრამ მათი სტრატეგიული მიზანი უცვლელი რჩებოდა: ებრაელთა ასიმილაცია, რაც, როგორც ისტორია ცხადყოფს, შეუძლებელი საქმეა“ [ციციანი, 1997: 15].

მიუხედავად ყველა ზემოაღნიშნული წინააღმდეგობისა და თვითმოქმედი დასის „კადიმას“ ხანმოკლე არსებობისა, უდავოა, რომ თავად ფაქტი, უმნიშვნელოვანეს და უპრეცედენტო მოვლენად უნდა ჩაითვალოს იმ დროისათვის ქართულ-ებრაულ სინამდვილეში, რომლის უმთავრესი მიზანი ებრაული კულტურის და ტრადიციების შენარჩუნება და პოპულარიზაცია იყო, რითაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქვეყნის კულტურულ ისტორიაში. „კადიმას“ წარმოდგენებმა ხელი შეუწყო ქართული და ებრაული კულტურის დაახლოებას, ეთნოკულტურულ მრავალფეროვნებას და ინტერკულტურულ კომუნიკაციას საქართველოში, „კადიმა“ იქცა ერთგვარ დამაკავშირებელ პლატფორმად ორ კულტურას შორის. დასი მიმართული იყო როგორც ებრაული თემატიკის, ისე ქართული კულტურული ელემენტების წარმოჩენაზე, რაც საშუალებას აძლევდა ორივე საზოგადოებას დაენახა საკუთარი თავის ასპექტები და გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის განსხვავებული ტრადიციები და ღირებულებები.

აღსანიშნავია, რომ „კადიმა“ აქტივობები და წარმოდგენები მნიშვნელოვანი იყო ორივე თემისთვის, რაც ხელს უწყობდა არა მხოლოდ კულტურული დიალოგის, არამედ ურთიერთგაგების და შემწყნარებლობის კიდევ უფრო გაღრმავებას და განმტკიცებას ორ ერს შორის.

ლიტერატურა :

1. ანთაძე, დ., - დღეები ახლო წარსულიდან. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1962.
 2. ბააზოვი, პ., - ფურცლები წარსულიდან. თელ-ავივი: გამომცემლობა „ურიან“, 2000. 558 გვ.
 3. ბააზოვი, პ., - იუდეველი. ხოლონი: გამომცემლობა თელ-ავივის უნივერსიტეტი, 2002.
 4. ნიკოლეიშვილი, ა., - ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან, წიგნი I. ქუთაისი: გამომცემლობა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003.
 5. ციციშვილი, გ., - ქართული საბჭოთა დრამატურგია. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1962.
 6. ციციშვილი, გ., - გერცელ ბააზოვი, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.
 7. ციციშვილი, ა., - კადიმა, ჰაბიმა და გერცელ ბააზოვი, გაზ. „ლიტ. საქართველო“, თბილისი: გამომცემლობა მწერალთა კავშირის ლიტერატურული ორგანო, 11_18 აპრილი, 1997.
- გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი. თბილისი. (გერცელ ბააზოვის ხელნაწერები 26622; 26048-70- 71).

Guranda Gobiani

Kutaisi University

e-mail: gobianiguranda78@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.14>

SJIF 2024: 8.268

"Kadima" – a platform for ethnocultural dialogue

Abstract

The drama troupe "Kadima" was created in Tbilisi in the 1920s under the leadership of the famous Georgian Jewish writer, playwright, and public figure, Gertzel Baazov. The troupe's name means "progress" in Hebrew and reflects Zionist and national ideas. Kadima's mission was to preserve Jewish culture and language, which was especially urgent during the Soviet era when teaching Hebrew and other national symbols were restricted.

"Kadima" was formed on the basis of the "102nd School of Poor Jews", which was founded in Tbilisi in 1921 under the leadership of Baazov and became a center for teaching Hebrew, Jewish history, and literature. This school played an important role in preserving the knowledge and identity of Georgian Jews, although the Soviet authorities soon banned teaching in Hebrew. Despite this, through "Kadima" Baazov was able to preserve a part of Jewish culture and promote the development of Georgian-Jewish intercultural relations.

The troupe included not only the Jewish but also the Georgian community in the cultural dialogue. In the performances staged by the troupe, a synthesis of Georgian and Jewish themes

could be felt, contributing to the development of mutual understanding and tolerance between the two cultures. With the support of Dodo Antadze and Shalva Dadiani, "Kadima" brought Jewish and Georgian cultural elements to life on stage, allowing the audience to get to know and appreciate both cultures better.

The historical significance of "Kadima" lies in the fact that it left a significant mark in the Georgian-Jewish intellectual space and contributed to the strengthening and development of friendly ties and ethno-cultural dialogue between the two communities, which was a unique and unprecedented event for that period.

Key words: ethnocultural dialogue Georgian-Jewish diaspora, intercultural relations, "Kadima"

რეცენზენტი: მარია გავრილინა

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

„ამერიკული ოცნება“ და თრეისი ქ. სმითის პოეზია

ნინო დონდოლაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

[e-mail:nino.dondoladze@bsu.edu.ge](mailto:nino.dondoladze@bsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.30>

SJIF 2024: 8.268

სტატიის მიზანია, აჩვენოს თუ როგორ აისახა „ამერიკული ოცნება“ თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, თრეისი ქ. სმითის ლექსებში. „ამერიკული ოცნების“ მიმართ განსხვავებული იყო დამოკიდებულება ამერიკის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. თავდაპირველი მნიშვნელობა „ამერიკული ოცნების“ გამოხატავს იდეას, რომ ამერიკის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური სისტემა ქმნის ისეთ პირობებს, რომელშიც სათანადო ძალისხმევით ყველა მოქალაქეს შეუძლია მიაღწიოს წარმატებას. დროთა განმავლობაში „ამერიკული ოცნება“ დაშორდა მის თავდაპირველ მნიშვნელობას და ხშირ შემთხვევაში ამერიკულ ოცნებაში მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობა მოიაზრებოდა, რაც აისახა კიდევაც გასული საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში. ბევრი ამერიკელი თვლის, რომ ყველას არ შეუძლია ამერიკის კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტში მიაღწიოს წარმატებას.

თრეისი ქ. სმითი თანამედროვე ამერიკელი პოეტია და არაერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი. საინტერესო იყო შესწავლა თუ რას წარმოადგენს და როგორ აისახება „ამერიკული ოცნება“ თანამედროვე ამერიკელი პოეტის ლექსში. სტატიაში წარმოდგენილია თრეისი ქ. სმითის ლექსებზე (კრებულიდან „სიცოცხლე მარსზე“) დაკვირვების შედეგები, ენისა და კულტურის კავშირითაა ახსნილი პოეტის დამოკიდებულება „ამერიკული ოცნების“ მიმართ და ნაჩვენებია მიმართება ოცნებასა და სხვა პლანეტაზე მოგზაურობას შორის. სტატიაში ახსნილია, რომ პოეტისთვის წარმატება არ ნიშნავს მატერიალურის მოპოვებას. მთლიანობაში „ამერიკული ოცნების“ მიმართ თრეისი ქ. სმითის დამოკიდებულებაში გარკვეული იმედგაცრუება ჩანს, თუმცა ეს პირდაპირ არსადაა ნათქვამი კრებულში. მკითხველი გრძნობს პოეტის შეხედულებას, რომლის სინამდვილეც დასტურდება დეტალების ანალიზით.

საკვანძო სიტყვები: „ამერიკული ოცნება“, თრეისი ქ. სმითის პოეზია

„ამერიკული ოცნება“ იდეის სახით მანამდე არსებობდა, ვიდრე „ამერიკის მამები“ ფორმას მისცემდნენ მას და ტერმინი ჩამოყალიბდებოდა. ფაქტიურად, იგი არსებობს იმ დღიდან, რაც ამერიკის კონტინენტზე ახალი ქვეყანა შეიქმნა.

დღემდე რასაც ტერმინში „ამერიკულ ოცნება“ ამერიკელები და არაამერიკელები გულისხმობენ არის ის, რომ ამერიკის პოლიტიკური, სოციალურ-რი, ეკონომიკური სისტემა ქმნის ისეთ პირობებს, რომელშიც სათანადო ძალისხმევით ყველა მოქალაქეს შეუძლია მიაღწიოს წარმატებას. სხვადასხვა დროს განსხვავებული და არაერთგვაროვანი იყო „ამერიკული ოცნების“ მიმართ დამოკიდებულება. განსხვავებულია „ამერიკული ოცნების“ შესახებ შეხედულებები დღესაც. თანამედროვე პირობებში ბევრს მიაჩნია, რომ „ამერიკული ოცნება“ მხოლოდ ილუზიაა. პანდემიის პერიოდში ჟურნალ „კატალისტის“ რედაქტორი ბ. ბენი წერდა: „The American dream in 2021 is complicated. For some, the idea still harkens back to our country’s founding. . . For others, the concept is a fantasy. The realities of inequality, income mobility, the pandemic, and a broken immigration system send clear wake-up calls that the dream cannot be reached by everyone” [Bean, 2021].

„ამერიკული ოცნების“ იდეის არსი, მისი განხორციელების თავისებურებები თუ ილუზორობობა არაერთხელ ასახულა ამერიკულ ლიტერატურაში. მეოცე საუკუნეში შეიქმნა მხატვრულ ნაწარმოებები, რომლებშიც „ამერიკული ოცნება“ ხშირად განუხორციელებელი ან ეფემერულია. მიზეზი არის ის, რომ „ამერიკული ოცნება“ სცილდება თავის თავდაპირველ შინაარსს, მასში მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობისკენ სწრაფვა მოიაზრება და ეს ხდება ადამიანის ცხოვრების ყოვლისმომცველი მიზანი. ნიმუშია ა. მილერის პიესები „ყველა ჩემი ვაჟი“ და „კომივოიაჟერის სიკვდილი“, ფ. ს. ფიცჯერალდის რომანი „დიადი გეთსბი“.

ჩვენთვის საინტერესო იყო დაკვირვება თუ როგორ გამოიხატა „ამერიკული ოცნება“ უფრო გვიანდელი პერიოდის მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებში, კონკრეტულად, XX და XXI საუკუნეების მიჯნის პოეტის, ამერიკული პოეზიის ერთ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, ამერიკის 2017-2019 წლების პოეტი ლაურეტის და რამდენიმე მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრემიის მფლობელის, თრეისი ქ. სმითის პოეზიაში. თრეისი ქ. სმითს 2003 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული აქვს ლექსების ხუთი კრებული. დაკვირვებისთვის ავირჩიე კრებული „სიცოცხლე მარსზე“ (2011 წ.), რომლისთვისაც თრეისი ქ. სმითს თავის ჯილდოებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, პულიცერის პრემია მიანიჭეს.

ზოგადად, პოეზიას შეუძლია ვერბალური ხელოვნების ნიმუშებს შორის ყველაზე ეკონომიურად გამოთქვას სათქმელი („გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“ [რუსთაველი, 2015:47]. პოეზიის ამ ჟანრობრივი თავისებურების გამო ხშირად სიმბოლოებში, მეტაფორასა და მცირე დეტალებში, „გამოსხივებებში“ იკითხება მნიშვნელოვანი აზრი, რაც პირდაპირ არაა ნახსენები ლექსში. ამ კუთხით მივუდევით თრეისი ქ. სმითის ლექსების კრებულსაც.

თრეისი ქ. სმითი თავის პოეზიაში ეხება ისეთ თემებს როგორცაა, ადამიანის ადგილი სამყაროში, მისი ყოველდღიური ცხოვრების მახასიათებლები, სწრაფვა შეუცნობელისაკენ, ამერიკელის თვითმყოფადობა, აფროამერიკელების ტრამვირებული წარსული და, ზოგადად, ამერიკის კულტურა. ამ თემების ასახვისას თავის ლექსებში პოეტი გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამერიკული რეალობის ზოგიერთი თავისებურების და, მათ შორის, „ამერიკული ოცნების“ შესახებ. თავად ტერმინი „ამერიკული ოცნება“ პირდაპირ არაა დასახელებული კრებულში „სიცოცხლე მარსზე“, ნაგულისხმევია, მაგრამ მკითხველი გრძნობს ამ არგამოთქმულის არსებობას.

კრებული ეძღვნება თრეისი ქ. სმითის გარდაცვლილი მამის, ფლოიდ ალფონს სმითის ხსოვნას. თავიდანვე ყურადღებას იქცევს კრებულის სათაური „სიცოცხლე მარსზე“. თუნდაც აზრობრივად, დედამიწის გარეთ გასვლა დაეჭვების მანიშნებელი შეიძლება იყოს. რატომ მარსზე? ჩნდება აზრი, რომ, შესაძლებელია, თრეისი ქ. სმითის ლექსებში „ამერიკული ოცნება“ გარკვეულ გულდაწყვეტილობას უკავშირდება და ამიტომ გადატანილია დედამიწიდან სხვა სამყაროში, ოცნებაში, სადაც შეიძლება არსებობდეს ისეთი ჰარმონია, რომელიც ადამიანის სულამდე აღწევს. ინგლისურ და ამერიკულ კულტურაში ოცნება უტოლდება დედამიწის მიღმა, სხვა პლანეტაზე ცხოვრებას, თავის ოცნებას კოსმოსში შეიძლება მისდიოს ადამიანმა. მაგალითად, ნაწყვეტი ედგარ ალან პოს ლექსიდან „ელდორადო“: „Over the Mountains/Of the Moon,/Down the Valley of the Shadow,/Ride, boldly ride,"The shade replied,/"If you seek for Eldorado.") [Poe, 1983:52]. აჩრდილი ამ ნაწყვეტში ოცნებას განასახიარებს, რომელიც ამ ქვეყნის მიღმა უშვებს მხედარს აღთქმული ქვეყნის საპოვნელად. თვითონ ფრაზა „a mountain of something“ სიმრავლის გამომხატველი ფრაზაა ინგლისურ ენაში. მთვარის მიღმა ცხოვრება ოცნების ქვეყანაში ცხოვრებას ნიშნავს ედგარ პოს ლირიკული გმირისთვის.

საერთოდ, ფრაზა „Mountains of the Moon“ არსებობდა ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში. ასე ერქვა მიუწვდომელ მისტიურ მთებს, რომელიც მდებარეობდა ცენტრალურ აფრიკაში და ითვლებოდა, რომ მდინარე ნილოსი აქედან იღებდა სათავეს.[Lewton, 2020].

რადგან ინგლისურ და ამერიკულ კულტურაში ოცნების ადგილი „over the mountains of the moon“ მთვარის მიღმა საოცნებო ქვეყანას, დედამიწის მიღმა ადგილს უკავშირდება, სხვა პლანეტაზე ცხოვრებაც საოცნებო ქვეყანას, ოცნებას ნიშნავს. შესაძლებელია შედარება ქართულ გამონათქვამებთან: „ჩამოდი ღრუბლებიდან“, „ღრუბლებში დაფრინავ“. ქართულ კულტურაში ღრუბლებში ყოფნა ნიშნავს ოცნებაში ცხოვრებას. მსგავსი მაგალითია ქართული ენიდან ქართულ ლიტერატურაში გადასული: „თქვი, არჯაკელო ხვიარა,/ქსანზე ვინ ჩამოიარა?/- რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი/და არა გამიგია რა...[კალანდაძე, 2024]. ინგლისურ კულტურაში მთვარის მიღმა სამყარო, სხვა პლანეტა უკავშირდება ოცნებას, ქართულში-ღრუბლები.

რაც შეეხება თრეისი ქ. სმითის ლექსების კრებულს, ლირიკული გმირისთვის სასურველი, საოცნებო ადგილი რომ ნამდვილად დედამიწის მიღმა სამყაროა, ამას ადასტურებს სათაურში გამოხატული ალუზიაც. კრებულის სათაური ალუზიაა დევიდ

ბოუის სიმღერაზე „Life on Mars“, რომელიც მომღერლის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ სიმღერად ითვლება და შედის 1971 წლის ალბომში „Hunky Dori“, რაც თავის მხრივ რაღაც კარგს, მშვენიერს ნიშნავს. დეივიდ ბოუის სიმღერის ტექსტში პატარა გოგონა მიდის სახლიდან, რომ ფილმი ნახოს. ფილმი არ არის საინტერესო და ამ მოსაწყენი რეალობიდან გაქცევის გზად მოჩანს დეივიდ ბოუის სიმღერაში მარსი. მოსაწყენი ფილმის და კომერციული ამერიკის სურათების ფონზე სიმღერაში ორჯერ მეორდება შეკითხვა: „არის სიცოცხლე მარსზე?“. ეს ფრაზა გოგონას იმედგაცრუებისა და ამ სამყაროდან გარეთ, კოსმოსში გასვლის სურვილის გამომხატველია. თრეისი ქ. სმითის ლექსების კრებულის სათაურში გამოხატული ალუზია იგივე მნიშვნელობის გამომხატველია, რაც „over the mountains of the moon“ ინგლისურ და ამერიკულ კულტურში და მიაწინებს, რომ „ამერიკული ოცნების“ მიმართ, თრეისი ქ. სმითს სვედიანი, გულდაწყვეტილი დამოკიდებულება აქვს. სიცოცხლე მარსზე თვითონ ოცნებაა, „ამერიკული ოცნება“ ოცნებაშია გადატანილი. ეს გამოვლინებაა ენისა და კულტურის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის.

ზოგადად „ამერიკული ოცნების“ ცნება თრეისი ქ. სმითის, როგორც ამერიკული კულტურის წარმომადგენლის შინაგანი სამყაროს ნაწილი რომ არის, ჩანს ლექსში „ღმერთო ჩემო, იგი სავსეა ვარსკვლავებით“. ლექსში „ამერიკულ ოცნებაზე“ მინიშნება ხდება ისტორიული ალუზიის საშუალებით. როგორც ცნობილია, ტერმინი „ამერიკული ოცნება“ 1931 წელს თავის ბესტსელერში „The Epic of America“ განმარტა ამერიკელი ბიზნესმენმა და ისტორიკოსმა ჯ. თრუსლოუ ადამსმა. როგორც ადამსი აყალიბებს, „ამერიკული ოცნება“ არის ოცნება სოციალური წესრიგის შესახებ, რომლის პირობებშიც თითოეულ ადამიანს შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია [Wills, 2015]. ჯ. თ. ადამსისთვის „ამერიკული ოცნების“ განხორციელების ნიმუში იყო მთავარი სამკითხველო დარბაზი კონგრესის ბიბლიოთეკაში. ეს ოთახი ერმა თავის თავს აჩუქა იმისთვის, რომ თითოეულ ამერიკელს, ყველას, განურჩევლად ასაკისა, რასისა და სოციალური მდგომარეობისა, შეძლებოდა ეკითხა საკუთარ ბიბლიოთეკაში. [Churchwell; 2021] ლექსში „ღმერთო ჩემო, იგი სავსეა ვარსკვლავებით“ თრეისი ქ. სმითსი ფიქრობს სამყაროს შესახებ და ხედავს ბიბლიოთეკას, სადაც ფანქრებია მთელი მოსახლეობისთვის: „Sometimes, what I see is a library in a rural community./All the tall shelves in the big open room. And the pencils /In a cup at Circulation, gnawed on by the entire population.“ [Smith; 2011:12]. ეს ნაწყვეტი ალუზიაა ჯ. თ. ადამსის მიერ ნახსენები კონგრესის ბიბლიოთეკის.

სიტყვა „gnaw“ განსხვავებულია ჩვეულებრივი ლექვისაგან, ჩაკბეჩისაგან. იგი უფრო არაესთეტიურ რამეს გამოხატავს ვიდრე სიტყვები bite, chew. ამ ნაწყვეტში ფრაზა „gnawed by the entire population“. ადამსის შეხედულებასაც უკავშირდება (მთელი მოსახლეობისთვისაა ფანქრები, მსგავსად სამკითხველო დარბაზისა კონგრესის ბიბლიოთეკაში) და ამავე დროს, ეს „არაესთეტიური“, უიმედო სურათი (ფანქრები, რომლებიც მთელმა მოსახლეობამ დალეჭა) „ამერიკული ოცნების“ და, ზოგადად,

დემოკრატიის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების მანიშნებელია. თრეისი ქ. სმითის ლექსში ბიბლიოთეკის არსებობის შედეგი, პროდუქტი დაღეჭილი ფანქრებია. ყველა ღეჭავს და სწორედ ესაა განუხორციელებელი „ამერიკული ოცნება“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მატერიალური კეთილდღეობა, რომლისკენ სწრაფვაც ბევრი ამერიკელისთვის „ამერიკული ოცნების“ მთავარი შინაარსი გახდა და რაც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, არაერთხელ აისახა და მარცხით დასრულდა გასული საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში, არ ხდება თრეისი ქ. სმითის ლირიკული გმირის ოცნება. ეს კარგად ჩანს ლექსში „კარგი ცხოვრება“, რომელშიც კრიტიკული დამოკიდებულებაა გამოხატული მატერიალური სიმდიდრის უსაზღვრო სიყვარულის და იმ შეხედულების მიმართ, რომ ადამიანის ბედნიერება, სიხარული (ანუ „კარგი ცხოვრება“) მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის მოპოვების შედეგია. ლექსში ლირიკულ გმირს უკვირს იმ ადამიანების, ვინც ფინანსურ საშუალებებზე, როგორც იდუმალ შეყვარებულზე ისე საუბრობენ—“When some people talk about money/They speak as if it were a mysterious lover/ Who went out to buy milk and never/Came back...” [Smith, 2011:63]. თავად ლირიკული გმირისთვის ბედნიერება სხვა რაღაცაშია, მისთვის სხვა რამ უფრო ძვირფასია და ამ, ალბათ, სულიერი რაღაცის გამო მას ნოსტალგიური დამოკიდებულება უჩნდება იმ დროის მიმართ, როცა ელემენტარული მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც არ შეეძლო. [Smith; 2011:63]

მარსის სრულ შესწავლამდე დიდი მანძილია გასავლელი. კრებულში ლირიკულ გმირს ბევრი შეკთხვა აქვს (საერთოდ, თრეისი სმითის სტილის მარკერია შეკითხვის დასმა სათაურში, ლექსის პირველ ან ბოლო ხაზში, რაც მის ლირიკულ გმირს „მამიებელი“ გმირის ელფერს ძენს). ყველაფრის საბოლოოდ გადამჭრელი ძალა თრეისი ქ სმითთან, ალბათ, მაინც ზებუნებრივია, რადგან სრულიად ცალკე, კრებულის დასაწყისში არის ლექსი „The Weather in Space“ (კრებული ოთხ ნაწილად იყოფა და ეს ლექსი იწყებს კრებულს ისე, რომ არც ერთ ნაწილს არ მიეკუთვნება), რომლის პირველივე ხაზშიც ლირიკული გმირი სვამს შეკითხვას: „Is God being or pure force?“ [Smith, 2011:9]. ლექსის პოზიცია კრებულში მიანიშნებს მის განსაკუთრებულ დატვირთვაზე. ზებუნებრივი ძალა არაერთხელ გამოჩნდება კრებულში და ავტორის მსოფლმხედველობრივ მომენტებს გამოხატავს.

დღეს, თრეისი ქ. სმითი, ამერიკულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული აფროამერიკელი პოეტი, თავად წარმოადგენს „ამერიკული ოცნების“ განხორციელებას, მაგრამ მთლიანობაში „ამერიკული ოცნება“, ჰარმონია თრეისი ქ. სმითის კრებულში სხვა პლანეტაზე, ოცნებაშია გადატანილი. კრებულში ჩანს ამერიკული ყოფის, „ამერიკული ოცნების“ შესახებ ავტორის შეხედულება-- გულდაწყვეტა, რასაც პოეტს ამერიკული სინამდვილე უქმნის, რადგან ჰარმონიის მისაღწევად ლირიკულ გმირს დედამიწის დატოვება, კოსმიურ ძალებთან დაკავშირება უხდება, ოცნება ოცნებაშია გადატანილი. სამყაროს მომაწესრიგებელი გადამწყვეტი ძალა

თრეისი ქ.სმითისთვის ზებუნებრივია. თუმცა, როგორც ამ კუთხით თრეისი ქ. სმითის „სამყაროს სურათი“, ეს ცალკე კვლევის საგნად მიმაჩნია.

ლიტერატურა:

1. კალანდაძე, ა. „თქვი, არჯაკელო ხვიარა . . .“, 2013-2024, <https://poetry.ge/poets/ana-kalandadze/poems/678.tqvi-arjakelo-khviara.htm>, 20.04.23
2. რუსთაველი, შ., ვეფხისტყაოსანი, თბილისი, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, 2015, 697 გვ.
3. Bain, B., „The State of the American Dream“ (editor’s note) The Catalyst, A journal of ideas from the Bush Institute, issue 21, winter 2021, <https://www.bushcenter.org/catalyst/state-of-the-american-dream/editors-note-issue-21>, 20.04.2023
4. Churchwell, S., „A Brief History of the American Dream“, The Catalyst, A journal of ideas from the Bush Institute, issue 21, winter 2021, <https://www.bushcenter.org/catalyst/state-of-the-american-dream/churchwell-history-of-the-american-dream>, 20.04.2023
5. Poe, E.A., Prose And Poetry, Raduga Publishers, Moscow, 1983. 416 გვ.
6. Smith, T. K., Life on Mars, Graywolf Press, Minneapolis, Minnesota, 2011. 76 გვ.
7. Wills, M., James Truslow Adams: Dreaming up the American Dream, May 18, 2015, <https://daily.jstor.org/james-truslow-adams-dreaming-american-dream/>, 20.04.2023
8. Lewton, T., Rwenzori Mountains: Africa’s surreal “Mountains of the Moon”, 16.12.2020 <https://www.bbc.com/travel/article/20201214-rwenzori-mountains-africas-surreal-mountains-of-the-moon>, 16.10.2024

Nino Dondoladze

Batumi Shota Rustaveli State University

[e-mail:nino.dondoladze@bsu.edu.ge](mailto:nino.dondoladze@bsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.30>

SJIF 2024: 8.268

The American Dream And Tracy K. Smith’s Poetry

Abstract

The aim of the article is to show how the American Dream is reflected in poems by Tracy K. Smith. The American Dream was understood in different ways in American history. Originally it expressed the idea that the American political, social, and economic system provides conditions for all individuals to achieve success through hard work and perseverance. Later, the meaning of the American Dream began to change with a growing focus on material success and individual wealth. The shift was reflected in the 20th century American literature. Today while some people still believe that the American Dream offers a path to success for anyone willing to work hard, others see it as unattainable for many people.

Tracy K. Smith is a contemporary American poet who has won several important literary awards. It is interesting to study the essence of the American Dream and ways it is conveyed through the poems by a contemporary poet. The poems from the collection “Life on Mars” by Tracy K. Smith have been studied and by means of the connection between the language and the culture the poet’s attitude to the American Dream and space travel is explained. It is concluded that a sense of disillusionment with the American Dream permeates some poems by Tracy K. Smith. The term “the American Dream ” is not explicitly mentioned in the collection though. The concept is implied, a reader feels it and grasps the meaning through details.

Key words: „The American Dream“ Poetry of Tracy K. Smith’s

რეცეზენტი: პროფესორი ნინო კოჭლოშვილი

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია Literature and Literary Theory

საქართველო და კავკასია ევროპულ ლიტერატურულ წყაროებში

ეკა ვარდოშვილი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: eka.vardoshvili@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.15>

SJIF 2024: 8.268

XVII- XIX ევროპელი ავტორები თავიანთ თხზულებებში ხშირად გვესაუბრებიან საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის თხზულება „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XVII საუკუნის საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თხზულებაში იგი გვესაუბრება საქართველოს კულტურის, ისტორიის, სოციალურ-პოლიტიკური ვითარების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შესახებ. შარდენი ყურადღებას ამახვილებს ქართველთა ტოლერანტულ ბუნებაზე.

ალექსანდრე დიუმა წიგნში „კავკასია“ ეხება კავკასიის თითოეული კუთხის არა მხოლოდ ისტორიულ და გეოგრაფიულ, არამედ ეკონომიკურ საკითხებსაც. დიუმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კავკასიელი ქალების გარეგნობასა და პიროვნულ თვისებებს. წიგნის დიდი ნაწილი საქართველოს ეთმობა.

ოლივერ უორდროპის „საქართველოს სამეფო“ საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოსა და კავკასიის შესახებ. 1919-1921 წლებში იგი იყო ინგლისის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში. მისი შეფასებები დღესაც აქტუალურია: „რამდენიმე რუსი კაპიტალისტი ცდილობს კავკასიაში ფეხის მოკიდებას, მაგრამ ისინი სიძნელეებს აწყდებიან - ქართველებს ურჩევნიათ ევროპელი ინვესტორების მომსახურებით ისარგებლონ“ (უორდროპი).

ა. გრიფიუსის ტრაგედია ხუთმოქმედიანი ტრაგედია „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“ ასახავს ირანის წინააღმდეგ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ერთ ეპიზოდს. ტრაგედიაში ნათლად ჩანს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. მნიშვნელოვანია, რომ გრიფიუსმა თავის ტრაგედიაში შექმნა სრულყოფილი სახე ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული ქართველი დედოფლის. გრიფიუსმა ტრაგედია გამოსცა 1657 წელს.

საქართველოსა და კავკასიის თემა დამახასიათებელია ევროპული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნებისათვის.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, კავკასია, ევროპული ლიტერატურული წყაროები

XVII- XIX ევროპელი ავტორები თავიანთ თხზულებებში ხშირად გვესაუბრებიან საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის თხზულება „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს XVII საუკუნის საქართველოსა და კავკასიის შესახებ. 1671 წელს შარდენი მეორედ მიემგზავრება სპარსეთში. ამჯერად იგი კონსტანტინოპოლიდან შავი ზღვისა და კავკასიის გავლით უნდა ჩასულიყო სპარსეთში. თხზულების ძირითადი ნაწილი საქართველოს ეთმობა. შარდენი საქართველოში ჩამოვიდა 1672 წლის სექტემბერში და დატოვა თბილისი 1673 წლის თებერვალში.

თხზულებაში იგი გვესაუბრება საქართველოს კულტურის, ისტორიის, სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ. დეტალურად აღწერს საქართველოს კუთხეებს, ქალაქებსა და სოფლებს, საქართველოს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, საქართველოს სამეფო-სამთავროებში ფეოდალური საზოგადოების იერარქიულ ორგანიზაციასა და სტრუქტურას.

თხრობისას იგი ეყრდნობა ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობებს, კათოლიკე მისიონერების რელაციებსა და XIII - XVII საუკუნის ევროპელ მოგზაურთა მარკო პოლოს, კონტარინის, პიეტრო დე ლა ვალეს და სხვათა თხზულებებს.

იგი აღფრთოვანებულია ქართველთა გარეგნობით და შენიშნავს: „ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელს მსოფლიოში, საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი, ვხვდებოდი მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს“ [შარდენი, 1975: 297].

შარდენი დეტალურად აღწერს საქართველოს ბუნებრივ პირობებს „მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის ისეთი გემრიელი პური, როგორც აქ. ხილი საუცხოოა და მრავალნაირი“ [შარდენი, 1975: 296]. საქართველოს ბუნებრივ მონაცემებს იგი ევროპისა და აზიის ქვეყნებისას ადარებს. ამასთანავე, არ კარგავს რეალობის შეგრძნებას.

შარდენი თბილისის შესახებ წერს, რომ თბილისში თოთხმეტი ეკლესიაა და არც ერთი მეჩეთი არ არის. ასევე არის რამდენიმე ლამაზი საკრებულო შენობა, თბილისის გარეუბნებს კი მრავალი სახლი, სალალობო და საუცხოო ბაღი ამშვენებს. შარდენი ყურადღებას აქცევს იმასაც, რომ თბილისში მისიონერ კაპუცინებს თავიანთი საცხოვრებელი აქვთ. „ამ ორდენს საქართველოში უკვე ჰყავს მისიონერთა პრეფექტი, რომლის რეზიდენცია თბილისშია. იმედი აქვთ, რომ მომავალში მისიონერი ახლომახლო მდებარე ქვეყნებშიაც ეყოლებათ“ [შარდენი, 1975: 323]. შარდენი ხაზს უსვამს ევროპელ მისიონერთა პრივილეგიებულ მდგომარეობას საქართველოში.

შარდენი საუბრობს ქართველთა თვისებებზე. აღნიშნავს, რომ ისინი დარბაისელნი, კაცთმოყვარენი და თავდაჭერილნი არიან. მათი ადათ-წესები კი გარშემო მცხოვრები ხალხების ზნე-ჩვეულებათა ნარევს წარმოადგენს. შარდენი ყურადღებას ამახვილებს ქართველთა ტოლერანტულ ბუნებაზე, „აქ უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით; იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოსკოვიტებსა და ევროპელებს“ [შარდენი, 1975: 298].

შარდენი შენიშნავს, რომ ქართველებმა ქრისტიანული სარწმუნოება მეოთხე საუკუნეში მიიღეს. საუბრობს საეკლესიო იერარქიის, ტაძრებისა და ეკლესიების მდგომარეობაზე: „ეკლესიებს მთის წვერზე, შორეულ და თითქმის მიუდგომელ ადგილებში აშენებენ. ასეთი ეკლესია შორიდან მოჩანს და მას სამი-ოთხი ლიეს მანძილიდან სცემენ თავყვანს. წმინდა გიორგი ამ ქრისტიანებისათვის უმთავრესი წმინდანია“ [შარდენი, 1975: 300].

აღსანიშნავია, რომ ავტორი სწორ ცნობებს გვაწვდის წმინდა გიორგის შესახებ. ქართველებისათვის იგი ერთ-ერთი ძირითადი წმინდანია, რომელიც სიმბოლოა მებრძოლი ქრისტიანობის და მისი კულტი ბერძნულ-ბიზანტიური გარემოდანაა შემოსული. „საქართველოში წმინდა გიორგის კულტმა ღვთისმშობლის კულტთან ერთად დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ერთიანი რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბების საკითხში“ [ვარდოშვილი, 2010:84].

შარდენი საკმაოდ მცირე ცნობებს გვაწვდის ჩერქეზებსა და სომხებზე. მისი თქმით: „ჩერქეზები ცხოვრობენ ხის ქოხებში და თითქმის შიშვლები დადიან. ყოველი მამაკაცი მახლობელ მიდამოებში მცხოვრები მამაკაცის დაუძინებელი მტერია. მიწას ქალები ამუშავებენ. ჩერქეზები და მათი მეზობლები იკვებებიან ფეტვისმაგვარი წვრილი მარცვლეულისაგან დამზადებული ფაფით“ [შარდენი, 1975:105]. სომხების შესახებ შარდენი შენიშნავს, რომ თბილისში „სომხების მთავარი ეკლესიაა: ფაშა-ვანქი, ე.ი. „ფაშას მონასტერი“. შემდეგ მოდის სურფ-ნიშანი, ე. ი. ზუსტად რომ ვთქვათ „წითელი ნიშანი“, რაც გადატანითი მნიშვნელობით „წმინდა ჯვარს“ ნიშნავს. შემდეგ ფეთხანინი ანუ ბეთლემი; ნორაშენი ანუ „ახლად ნაშენი“ და მოგნაი“ [შარდენი, 1975:320].

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თხრობისას შარდენი სპარსულ წყაროებსაც იყენებს. იგი წერს, რომ „სპარსეთის თანამედროვე აღწერებში საქართველო ცალკე არის მითითებული, „გურჯისტანის“ სახელწოდებით“ [შარდენი, 1975:293].

მისი ცნობები საქართველოსა და ზოგადად კავკასიის შესახებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მკვლევართათვის.

ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა (მამა) თავის ნაწარმოებში „კავკასია“ საუბრობს კავკასიელი ხალხის სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა შესახებ. თხრობას დიუმა კავკასიის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის აღწერით იწყებს და შენიშნავს, რომ კავკასიის ქედი მდებარეობს კასპიის ზღვიდან აზოვის ზღვამდე. დიუმა წერს, რომ „სტრაბონი დაბეჯითებით ლაპარაკობს კოლხეთის ოქროს საბადოებზე. ამ საბადოებიდან წვიმებისაგან ღელეებში ჩარეცხილი ოქრო ძვირფასი ქვიშით ამდიდრებდა კოლხებს. მათ კრეფდნენ ცხვრის ბალნიანი ტყავის შემწეობით.

აქედან წარმოსდგება ლეგენდა ოქროს საწმისის შესახებ. ოსეთში, ნუზალის ეკლესიაში დღესაც შემონახულია წარწერა ქართულ ენაზე, რომელიც გვუწყობს, რომ ამ ქვეყანაში ოდესღაც იმდენივე კეთილშობილი ლითონი ყოფილა, რამდენიც დღეს მტკვრია“ [დიუმა, 1964:23]. საფიქრებელია, რომ დიუმა იცნობს მითს არგონავტებზე.

ჩერქეზების შესახებ იგი შენიშნავს, რომ „დღეს კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე შემაერთებული ხალხი ჩერქეზები თავის თავს ადიგეებს უწოდებენ“ [დიუმა, 1964:25]. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დიუმა გულისხმობს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს ჩერქეზებს, ადიგელებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, ოსებსა და სხვებს. თხრობის მანძილზე გამოხატავს დადებით დამოკიდებულებას მათ მიმართ.

ყიზლარში მისი ყურადღება მიიპყრო ვენახებმა. „ეს ის ვენახები იყო, რომელთა ყურძნიდან ყიზლარის ცნობილ ღვინოს აყენებენ...კავკასიაში ყოველ ხალხს თავისი სპეციალობა აქვს“ [დიუმა, 1964:52].

დიუმა მოხიბლულია ლეკების სოფლის ადგილმდებარეობით. აქვე შეიძენს იგი ხანჯალს, „ხანჯალი გამოვართვი, ათმანეთიანი მივეცი და იგი კავკასიაში შეგროვებულ იარაღთა

კოლექციას მივუმატე, სადაც თითქმის ყველა იარაღს ისტორიული მნიშვნელობა აქვს“ [დიუმა, 1964:151].

დიუმა ბაქოს შესახებაც გვესაუბრება, იგი წერს: „ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ, თითქოს ორი ბაქოა: თეთრი და შავი ბაქო. თეთრი ბაქო ქალაქის გარეუბანს წარმოადგენს და თითქმის მთლიანად გაშენდა იმ დროიდან, რაც რუსებს ეკუთვნის. შავი ბაქო ძველი ქალაქია, სპარსული ქალაქი ძველი ხანების ადგილსამყოფელი. მრავალ ქვეყანაში მოიპოვება ნავთობი, მაგრამ ყველაზე უფრო უხვად იგი ბაქოსა და მის მიდამოებშია... ამ ნავთობს მიეზიდებიან რუსეთში, თბილისსა და ასტრახანში“ [დიუმა, 1964:181,183]. როგორც ვხედავთ, დიუმა წიგნში ეხება კავკასიის თითოეული კუთხის არა მხოლოდ ისტორიულ და გეოგრაფიულ, არამედ ეკონომიკურ საკითხებსაც. იგი ასევე საუბრობს რუსეთის პოლიტიკასა და გავლენის სფეროებზე კავკასიასა და მახლობელ რეგიონებში.

დიუმა XXV თავში ეხება შამილის თემას. დიუმა ასე ახასიათებს შამილს: „შამილი 56-58 წლის კაცი უნდა იყოს. შესახედაობა ორმოცი წლის კაცისა აქვს. სახე აქვს ფერმკრთალი, მკვეთრად მოხაზული წარბებით და აღმოსავლურ ყაიდაზე მუდამ ნახევრად მოხუჭული შავი თვალებით დასასვენებლად გაწოლილ ლომს წააგავს“ [დიუმა, 1964: 212]. შამილთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებს იგი ნაკლებად განიხილავს.

წიგნის ძირითადი ნაწილი საქართველოს თემას ეთმობა. დიუმა აღტაცებით საუბრობს ქართველებზე და მიაჩნია, რომ საჭიროა ამ ქვეყნის საგანგებო შესწავლა. თხზულებაში ჩანს, რომ დიუმა კარგად იცნობს საქართველოს ისტორიას. თავში „თამარ მეფის ციხე“ იგი წერს: „თამარ მეფე საქართველოში ყველაზე საყვარელი და პოპულარული პიროვნებაა, იგი თანამედროვეა საფრანგეთის მეფის წმინდა ლუდოვიკოსი და ისიც მასავით, მაგრამ უფრო ბედნიერად მთელი სიცოცხლე შეუპოვრად ებრძოდა მაჰმადიანებს. ისევე, როგორც ნორმანდიაში ყველა ძველ ციხეს ეშმაკი რობერტის სახელი ჰქვია, საქართველოშიც ყველა ძველ ციხეს თამარ მეფის სახელს მიაწერენ“ [დიუმა, 1964: 259].

საზოგადოდ ცნობილია, რომ საქართველოში თამარის მეფობის პერიოდი „ოქროს ხანადაა“ მიჩნეული. „თამარში მხოლოდ საქართველოს მეფეს როდი ხედავდნენ, იგი იყო ქრისტიანული სარწმუნოების დამცველი და გამავრცელებელი, მფარველი მთელი საქრისტიანოსი“ [ვარდლოშვილი, 2010:73]. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დიუმა ზუსტად განსაზღვრავს თამარის ღვაწლსა და დამსახურებას, მის ადგილს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში.

თბილისის შესახებ დიუმა წერს: „469 წელს მეფე ვახტანგ გორგასალმა დააარსა ქალაქი თბილისი, დედა ახალი თბილისისა. 1795 წელს ქალაქი ერთიანად დაანგრია ალა-მაჰმად-ხანმა. კლაპროტის ცნობით, ამ დროს ეს ქალაქი ისეთი მჭიდრო ყოფილა, რომ ყველაზე განიერ ქუჩებზეც კი ძლივს დადიოდა ურემი. მაშინ თბილისში მოსახლეობა თხუთმეტი ათას მცხოვრებს აღწევდა. როცა 1820 წელს ჩვენი კონსული კავალერი გამბა თბილისში ჩამოვიდა, ქალაქის ყველა ქუჩა ნანგრევებით იყო სავსე სპარსეთის უკანასკნელი შემოსევის შედეგად“ [დიუმა, 1964: 334].

აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებებს: „პირველი, დიუმას მიერ მოთხრობილი ამბავი თბილისის დაარსების შესახებ შეესაბამება არსებულ ლეგენდას. მეორე, დიუმა თხრობისას ეყრდნობა ისტორიულ ფაქტებს. მესამე ნათელია, რომ დიუმა იცნობდა „სააზიო საზოგადოების“ წევრის ჟიულ კლაპროტის ნაშრომს „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“ და ასევე საქართველოში საფრანგეთის კონსულის ჟაკ ფრანსუა გამბას წიგნს

„მოგზაურობა ამიერკავკასიაში“. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ XIX საუკუნის პირველ ნახევარში“ [ვარდოშვილი, 2022:22].

აღსანიშნავია, რომ დიუმას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ინტელიგენციასთან. თავში „თავად ჭავჭავაძის მეუღლე“ ავტორი დაწვრილებით მოუთხრობს მკითხველს წინანდლის მამულიდან ლეკების მიერ დავით ჭავჭავაძის სახლობის გატაცების შესახებ. დიუმა აღტაცებულია შამილის მიერ დატყვევებული ილიკო ორბელიანის შეუპოვრობით.

დიუმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კავკასიელი ქალების გარეგნობასა და პიროვნულ თვისებებს. მას მოჰყავს ციტატა XVII საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი მოგზაურის ჟან სტრეისის წიგნიდან „სამი მოგზაურობა სპარსეთში“ და მიუთითებს, რომ სავსებით ემხრობა და იზიარებს მის ნააზრევს: „კავკასიელ ქალებს მრავალი სასიამოვნო თვისება აქვთ და ძნელი სათქმელია, მათ შორის რომელი ალვიძებს მათდამი სიყვარულის გრძნობას. ისინი ლამაზები არიან, გამოირჩევიან კანის სითეთრით“ [დიუმა, 1964: 114].

კავკასიელი ქალების ამგვარი დახასიათება დამკვიდრებული იყო ევროპულ ლიტერატურაში. მაგალითად, ბაირონი „დონ-ჟუანის“ კომენტარებში საქართველოზე საუბრისას მოიხმობს ინგლისელი ისტორიკოსის გიბონის სიტყვებს: „საქართველოს, სამეგრელოს და ჩერქეზეთის ჰავამ შექმნა ჩვენს წარმოდგენაში მშვენიერების მოდელი-ფიგურის, კანის ფერის, ნაკვთების სიმეტრიის და თავშეკავების გამოხატვისა: კაცები გაჩენილნი არიან მოქმედებისათვის, ქალები სიყვარულისათვის“ [კუჭუხიძე, 1992:6].

დიუმა ხშირად საუბრობს ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობის შესახებ.

ალექსანდრე დიუმამ შეძლო ზედმიწევნითი სიზუსტით, მაგრამ მხატვრულად გადმოეცა კავკასიაში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება, საკუთარი თვალთ ნანახი და განცდილი.

ოლივერ და მარჯორი უორდროპების სახელი საქართველოში ფართოდაა ცნობილი. 1888 წელს ო. უორდროპმა ლონდონში გამოსცა წიგნი „საქართველოს სამეფო“. წიგნს ერთვის ბიბლიოგრაფია, სტატისტიკური მონაცემები, ქართული ვოკალური მუსიკის ნიმუშები და ილუსტრაციები. ამდენად, იგი აძლევს საშუალებას მკითხველს, საკმაოდ ფართო წარმოდგენა შეექმნას ქვეყანაზე. „ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ეს წიგნი თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1977 წელს ფოტოტიპურად ხელახლა გამოუციათ ლონდონში, ამჯერად უკვე ოლივერის ვაჟის - ანდრო უორდროპის წინასიტყვაობით“ [შარაძე, 1984:36].

უორდროპი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ისტორიის ძირითად მომენტებზე. ყველაზე ვრცლად და საინტერესოდ უორდროპი თამარ მეფეზე საუბრობს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა დამახასიათებელია ევროპული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის. უორდროპი შენიშნავს, რომ იგი მამისეულ ტახტზე 1184 წელს ავიდა და 28 წელი იმეფა. რელიგია იყო მისი მამოძრავებელი ძალა. თამარი გამოირჩეოდა თავისი კეთილშობილური თვისებებით, ქველმოქმედებით, საშინაო საქმეებისადმი დიდი ყურადღებით. თუმცა, მისი მოღვაწეობის ძირითად პრიორიტეტად საგარეო პოლიტიკას მიიჩნევს. „სამხედრო ლაშქრობებმა, რომელსაც ის აწარმოებდა მთელს აზიაში გაუთქვა მას სახელი: ერზრუმმა, დვინმა, ტრაპეზუნდმა, სინოპმა, სამსუნმა, ყარსმა ნახა ქართული შეიარაღებული ძალების ტრიუმფი. თამარი არ დაკმაყოფილდა თავისი ქვეყნიდან მაჰმადიანთა განდევნით, მან ელჩები დაგზავნა ქრისტიანულ გაერთიანებებში - ალექსანდრიაში, ლიბანში, სინას მთაზე, იერუსალიმში, კვიპროსში, საბერძნეთსა და რუმინეთში, და საჭიროების შემთხვევაში თავისი დახმარება შესთავაზა“ [უორდროპი, 2001:125,127].

უორდროპი დიდ შეფასებას აძლევს საქართველოს ისტორიას. ფიქრობს, რომ გამოჩნდება მკვლევარი, რომელიც „სერიოზულად მოკიდებს ხელს თავისი ერის მატრიანებს და გასაგები ფორმით წარუდგენს მათ მსოფლიოს“ [უორდროპი, 2001:142].

ქართული ლიტერატურის ყველაზე ადრეულ ნიმუშებად იგი ბიბლიის თარგმანებსა და თეოლოგიურ შრომებს თვლის. შენიშნავს, რომ XI-XII საუკუნეებში ქართულ-ბერძნული ურთიერთობები მჭიდრო ხასიათს ატარებდა. მზადდებოდა ნიადაგი ქართული ლიტერატურის ოქროს ხანისათვის და ეს პერიოდი თამარის მეფობის ხანას დაემთხვა. უორდროპის აზრით, ქარიშხლიანმა პერიოდებმა ბევრი ნაწარმოები გაანადგურა, „მაგრამ გადარჩა ეპიკური პოემა, რომელიც დღეს ამ ენაზე შექმნილ უდიდეს შედეგად ითვლება. ეს ნაწარმოები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“ [უორდროპი, 2001:144]. მსოფლმხედველობითა და სტილით უორდროპი „ვეფხისტყაოსანს“ დასავლური ღირებულებების მატარებელ ნაწარმოებად მიიჩნევს.

უორდროპი ყურადღებას უთმობს XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსებს. საუბრობს ბაირონთან ბარათაშვილის შემოქმედების მიმართების საკითხებზე, ასევე პირველ ქართველ კომედიოგრაფზე გიორგი ერისთავზე. აღნიშნავს, რომ პოლონეთში გადასახლების დროს ერისთავმა შეისწავლა მიცკევიჩი, შილერი, პეტრარკა და უკან დაბრუნებულმა დააარსა ეროვნული თეატრი.

მნიშვნელოვანია წიგნის ბოლო თავი. მისი შეფასებები გარკვეულწილად ეხმიანება დღევანდელ რეალობას: „რამდენიმე რუსი კაპიტალისტი ცდილობს კავკასიაში ფეხის მოკიდებას, მაგრამ ისინი სიძნელეებს აწყდებიან - ქართველებს ურჩევნიათ ევროპელი ინვესტორების მომსახურებით ისარგებლონ; თუ ოდესმე რუსეთი დიდ ომში ჩაება, საქართველო უეჭველად დამოუკიდებლობას გამოაცხადებს და შეეცდება დარიალის სამხედრო გზის დაკავებას. სომხები და ლეკებიც აჯანყდებიან - თითოეული თავისებურად.“ [უორდროპი, 2001:168].

ნათელია, რომ უორდროპი არის საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის კარგი მცოდნე. ამასთანავე, მას ღრმად აქვს გაშინაარსებული ყველა ის პრობლემა, რაც იდგა XIX საუკუნეში საზოგადოების წინაშე.

ევროპელი ავტორების მიერ საქართველოზე თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის გამოირჩევა ა. გრიფიუსის ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“, რომელმაც გრიფიუსმა 1657 წელს გამოსცა. პოემაში ასახულია ირანის წინააღმდეგ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ერთი ეპიზოდი, ასევე კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება.

გრიფიუსის ტრაგედია საყურადღებოა იმ მხრივაც, „რომ მასში ჩანს ევროპელთა დაინტერესება საქართველოს საკითხით, რასდგან საქართველო წინააღმდეგობას უწევდა მაჰმადიანურ სამყაროს, რომელიც ევროპისთვისაც საფრთხეს წარმოადგენდა. ნაჩვენებია ასევე ოსმალეთისა და სპარსეთის პოლიტიკური გააქტიურება და რუსეთის დამოკიდებულება აღნიშნული ქვეყნებისადმი“ [ვარდოშვილი, 2018:25].

სამეცნიერო ლიტერატურაში ა. გრიფიუსისათვის ხელმისაწვდომი რამდენიმე წყარო სახელდება, რომელთა საფუძველზეც მან დაწერა თავისი ტრაგედია.

ტრაგედიაში ასახულია ქეთევან დედოფლის სიცოცხლის უკანასკნელი დღე. მოქმედება ვითარდება შირაზში. შაჰ-აბასი ქეთევანისგან ითხოვდა ორ რაიმეს: სარწმუნოების შეცვლასა და ცოლობას. ტრაგედიაში დედოფალი წარმოჩენილია, როგორც უტეხი სულის, სარწმუნოებისა და ქვეყნისათვის თავდადებული პიროვნება.

შაჰ-აბასმა წარმოდგენილი სისასტიკით აწამა ათი წელი ტყვეობაში მყოფი დედოფალი და 1624 წელს სიკვდილით დასაჯა იგი. ამ ფაქტს ესწრებოდნენ შაჰის კარზე მყოფი ელჩები და უცხოელი მისიონერები. ძირითადად მათი საშუალებით გავრცელდა ცნობა ევროპის ქვეყნებში ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ტრაგედია სრულდება შაჰ-აბასის სინულით სავსე სიტყვებით:

„მაგრამ სასჯელს კი უფრო მწარეს გავექცე ვერსად:

მარად მიყვარდე, თაყვანს გცემდე წამებულ მტერსა“ [გრიფიუსი, 1975:214].

ქეთევან დედოფლის სახე ცნობილია მსოფლიო ლიტერატურისათვის.

ამრიგად, ევროპელი ავტორები თავიანთ თხზულებებში ცდილობენ დეტალურად აღწერონ საქართველოსა და კავკასიაში შექმნილი სოციალურ - პოლიტიკური ვითარება და საზოგადოებრივი ყოფა. საუბრობენ აქ მცხოვრებ ხალხთა სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას კი საქართველოს საკითხს უთმობენ.

ლიტერატურა:

- გრიფიუსი ა., - ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1975. 214 გვ.
- დიუმა ა., - კავკასია. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი 1964. 510 გვ.
- ვარდოშვილი ე., - ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2022. 202 გვ.
- ვარდოშვილი ე., - ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2018. 202 გვ.
- ვარდოშვილი ე., - პოეტური თანხვედრანი. გამომცემლობა „ბარტონი“. თბილისი. 2010. 156 გვ.
- კუჭუხიძე მ., - ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა. გამომცემლობა „საქართველო“. 120 გვ.
- უორდროპი ო., - საქართველოს სამეფო. თბილისი. 2001. 214 გვ.
- შარაძე გ., - ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1984. 520 გვ.
- შარდენი ჟ., - მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1975.

Eka Vardoshvili

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: eka.vardoshvili@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.15>

SJIF 2024: 8.268

Georgia and the Caucasus in European Literary Sources

Abstract

XVII- XIX European authors often talk to us about Georgia and the Caucasus in their writings.

The work of the famous French traveler Jean Chardin “Travels of Sir Jean Chardin into Persia and the East Indies” contains important information about Georgia and the Caucasus of the XVII century. In the writing, he talks to us about the culture, history, socio-political situation of Georgia, geographical location. Chardin focuses on the tolerant nature of Georgia.

In the book “Adventures in the Caucasus” by Alexandre Dumas, it deals not only with historical and geographic, but also economic issues of each corner of the Caucasus. Dumas pays special attention to the appearance and personality qualities of Caucasian women. A large part of the book is devoted to the topic about Georgia.

“Kingdom of Georgia” by Oliver Wardrop contains interesting information about Georgia and the Caucasus. From 1919 to 1921 he was the Plenipotentiary Representative of England in Georgia. His assessments are still relevant today: “At the present time a few Russian capitalists are endeavouring to get a footing beyond the Caucasus, but they experience some difficulty in doing so, for the Georgians prefer to avail themselves of the services of European investors” (Wardrop).

The five-act tragedy by A. Gryphius “Ketevan (Catherine) of Georgia, that is Unbroken Strength” reflects one episode of centuries-old struggle of Georgia against Iran. The tragedy clearly shows the political situation in the Caucasus and the Middle East. It is important that in his tragedy Gryphius created a perfect image of the Georgian Queen devoted to the country and faith. Gryphius published the tragedy in 1657.

The topic of Georgia and the Caucasus is typical for European literary and public thinking.

რეცენზენტი: პროფესორი ნინო კოჭლოშვილი

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

ტოტალიტარული რეჟიმის გავლენა საზოგადოებაზე
(ენტონი ბერჯესის რომან „მექანიკური ფორთოხლის“ მიხედვით)

თამთა კელენჯერიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა : tatiakelenjeridze@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.16>

SJIF 2024: 8.268

XX საუკუნის II ნახევარში საკმაოდ აქტუალურ თემად იქცა მწერალთა მიერ ჭეშმარიტების წინა პლანზე წამოწევა და მისი შეულამაზებლად გადმოცემა. მწერლები სოციალური სინამდვილის, გასაჭირის, ძალადობის, მოსალოდნელი დესტრუქციის და მსოფლიოში არსებული ქაოსის შესახებ გვაფრთხილებდნენ. მთავარი კითხვა კი საერთო იყო - რა მოუვა სამყაროს თუ ადამიანები არ გამოფხიზლდებიან? ენტონი ბერჯესი ამ კითხვაზე რომან „მექანიკური ფორთოხლის“ საშუალებით გვპასუხობს. ისინი დაკარგავენ თავისუფლებას, ინდივიდუალიზმს და ისეთივე მექანიკურ არსებებად გადაიქცევიან როგორც ნაწარმოების მთავარი გმირი - ალექსი. სწორედ ესაა ტოტალიტარული სახელმწიფოს სურვილი, ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და ნებისმიერი საშუალებით მიაღწიოს სასურველ შედეგს..

აქედან გამომდინარე „მექანიკური ფორთოხლის“ მთავარ თემას: ძალადობრივი მეთოდების საშუალებით ადამიანების გონების გარდაქმნა, მართვა და ჩაგვრა წარმოადგენს. საზოგადოებისთვის მხოლოდ ისაა კარგი, რასაც ტოტალიტარული სახელმწიფო გადაწყვეტს. რაც დრო გადის, ადამიანზე ტოტალური კონტროლის მასშტაბები იზრდება, ისინი კარგავენ არჩევანის თავისუფლებასა და ინდივიდუალიზმს. საბოლოოდ კი ემორჩილებიან იმ წესებს, რომლებიც დამლუპველ შედეგამდე მიიყვანს კაცობრიობას. ხოლო ამ შედეგების თავიდან ასაცილებლად გვაფრთხილებდნენ დისტოპიური ჟანრის მწერლები და თავიანთ ნაწარმოებებში ნათლად წარმოაჩენდნენ მთავარ სათქმელს - დროა საზოგადოების გამოფხიზლების.

საკვანძო სიტყვები: ენტონი ბერჯესი, „მექანიკური ფორთოხალი“, ტოტალიტარული რეჟიმი

ინგლისელი მწერლის ენტონი ბერჯესის წინასწარმეტყველური რომანი „მექანიკური ფორთოხალი“ 1962 წელს გამოიცა. ანტიუტოპიური ნაწარმოები კავშირს ავლენს წარსულსა და მომავალთან. სიმბოლურად აღწერს და უკავშირდება საბჭოთა კავშირსა და ინგლისში გამეფებულ ტოტალიტარულ რეჟიმს. ეს არის ერთგვარი პაროდია სადიზმით სავსე ახალგაზრდა ბიჭისა, რომელსაც ერთდროულად უყვარს მუსიკა (ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია) და ამავდროულად უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ადამიანთა ჩაგვრა.

ნაწარმოების მთავარ თემას წარმოადგენს „ლუდოვიკოს მეთოდის“ საშუალებით ადამიანთა გონების გარდაქმნა ისეთ მექანიკურ არსებებად, როგორც სახელმწი-ფოს სჭირდება. ძალადობაზე ძალადობით პასუხის გაცემა და უსუსურ ქმნილებად გარდაქმნა. ეს არის გამაფრთხილებელი ნიშანი იმისა თუ როგორი შეიძლება იყოს სამყარო მომავალში და თუ როგორი იყო ის საბჭოთა მმართველობის დროს. გარდა ამისა, ანტიუტოპიურ რომანში განხილულია ისეთი საკითხები როგორცაა: უსამართლობა, არჩევანის სიმბოლური „თავისუფლება“, სადიზმი, ძალადობა, ღალატი და ადამიანში არსებული შინაგანი ეშმაკის არსებობა. ძალადობა, სხვათა ჩაგვრა, უსამართლობა, საზოგადოებისგან გარიყვა და არჩევანის არარსებობა მექანიკურ, დასაქოქ ფორთოხლებად აქცევთ ადამიანებს. სწორედ ამიტომ რომანში წამოჭრილი პრობლემები დღემდე მნიშვნელოვან საკითხად რჩება.

XX საუკუნის II ნახევარში საკმაოდ აქტუალურ თემად იქცა მწერალთა მიერ ჭეშმარიტების წინა პლანზე წამოწევა და მისი შეუღამაზებლად გადმოცემა. მოდერნისტული ეპოქისთვის დამახასიათებელი ნიშნების სოციალური სინამდვილის, გასაჭირის, ძალადობის, მოსალოდნელი დესტრუქციის და მსოფლიოში არსებული ქაოსის ასახვამ კი მოწონება ვერ დაიმსახურა.

სწორედ ამიტომ 1962 წელს გამოცემულ ენტონი ბერჯესის რომან „მექანიკური ფორთოხალს“ თავდაპირველად აღფრთოვანებაში არ მოუყვანია კრიტიკოსთა უმეტესობა. თუმცა ათი წლის შემდგომ სტენლი კუბრიკის მიერ შექმნილმა ფილმმა

დიდი ყურადღება მიიპყრო და ნაწარმოებმაც ნაგვიანები აღიარება მოიპოვა. ენტონი ბერჯესის აზრით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც მომართულია ძალადობის ძალადობითვე ჩასახშობად, ინდივიდუალიზმის დასაკარგად და ადამიანთა უკეთ სამართვად მხოლოდ სახელმწიფო მიზნებს ემსახურება და არაფერი აქვს საერთო საყოველთაო კეთილდღეობასთან.

ტოტალიტარული რეჟიმის მხილების, საზოგადო ჩაგვრის და მომავლისეული გაფრთხილების მოტივით შექმნილი ნაწარმოები მექანიკური ფორთოხალი კი ნამდვილად მშვენივრად აღწერს რეალობას. „ლუდოვიკოს მეთოდი“ დასაქოქ „არსებებად“ აქცევთ ადამიანებს, რომელთაც აღარ აქვთ ყველაზე მთავარი - პიროვნული თავისუფლება და არჩევანის შესაძლებლობა. აღსანიშნავია ისიც, რომ რომანში ერთმანეთს დიდი ბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ სოცია-ლური ცხოვრება ერწყმის. ბერჯესმა სცადა აღეწერა ის უსამართლობა, რაც მაშინდელ საზოგადოებაში ხდებოდა.

რომანში მოქმედება უმეტესად ღამით ხდება და მას დამანგრეველი დანიშნულება აქვს, რადგან ყოველივე ცუდი სიბნელეში ინიღბება, ძალადობის მოყვარული ახალგაზრდები სხვების ჩაგვრით საზრდოობენ. ისინი აუპატიურებენ, კლავენ, ცემენ განურჩევლად სქესისა თუ ასაკისა, ხოლო სახლში დაბრუნებულნი დღისით უმანკო არსებებად წარმოაჩენენ თავს.

მწერლის ენა საკმაოდ მარტივია, თუმცა უხვადაა გაჯერებული რუსული ჟარგონებით. რუსულ - ინგლისური სიტყვების გამოყენებით მწერალი მარტივად ახერხებს თინეიჯერების ღამის ცხოვრების დეტალების აღწერას. ასეთი სიტყვები საკმაოდ ხშირად გვხვდება ნაწარმოების პირველ თავში მაგალითად „დავუპაღბოდეთ“ „ბრატკა“ „დობრი ვინმე“ და სხვა... აღსანიშნავია, რომ ენტონი ბერჯესი ენების შესწავლით იყო გატაცებული, იგი 1961 წელს ლენინგრადს ესტუმრა, უცხოენებისადმი სიყვარულმა და ძიებამ ახალ აღმოჩენამდე, “Nadsat” - ის (ალექსის ენის) შესწავლამდეც მიიყვანა.

გარდა ამისა ალექსის „ბანდის“ - ბნელოს, ჯორჯი ბიჭის და პიტის ჩაცმულობა და ქცევა უკავშირდება დიდ ბრიტანეთში 1950-იან წლებში გამოჩენილ დაჯგუფებას “Teddy boy”. მათ ალექსის მსგავსად „შემოტკეცილი“ შარვლები, ტყავის ქამრები და გრძელი

ქილექტები ეცვათ. თან რკინის ნივთს ან დანას დაატარებდნენ. ისინი თავს ესხმოდნენ მოსახლეობას.

უშუალოდ სახელიც „მექანიკური ფორთოხალი“ რომლის მნიშვნელობის ამოხსნაც თავდაპირველად გაუგებარი აღმოჩნდა მკითხველთათვის საკმაოდ საინტერესოდ ითარგმნება. სიტყვა „orange“ ლიტერატურულ ნაწარმოებებში სიმბოლირდება ახალგაზრდობასა და სიცოცხლის სიყვარულთან. თვითონ სახელი მომდინარეობს შემდეგი ძველი ინგლისური გამონათქვამიდან „queer as a clockwork orange“. მექანიკური კი დასაქოქ და გონება გამორეცხილ არსებას გულისხმობს. რომელიც კონტროლდება ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ. რადგან მასში არსებული წინააღმდეგობრივი სურვილები ჩაკლას და აქციოს „სანიმუშო“ „ქვეყნისთვის სასახელო“ პიროვნებად.

საბოლოოდ ენტონი ბერჯესი რომან „მექანიკურ ფორთოხალში“ ეხება ისეთ პრობლემატურ საკითხებს, როგორცაა: არჩევანის თავისუფლება, საზოგადოების სრული დამორჩილების მცდელობა, საღი აზრის განადგურება, ინდივიდის და მისი შინაგანი ბუნების მართვა და ძალადობა. თითოეული საკითხი თანმიმდევრულად უკავშირდება ალექსის ნაწარმოებში განვითარების ეტაპებს და ძალადობის სხვადასხვა ინტერპრეტაციას წარმოადგენს. მთავარი გმირის დამოკიდებულება ძალადობის მიმართ თავდაპირველად სუბიექტურია და სიამოვნებას გვრის. რაც გამოწვეულია გარეგანი თუ შინაგანი ფაქტორებით, როგორცაა: საზოგადოება, ძალა-უფლების შეგრძნება, მენტალური პრობლემები, პროტესტის გრძნობა, ახალგაზრდული ჟინი და ტოტალიტარული რეჟიმის გავლენა. სახელმწიფოს მომაკვდინებელი გავლენა, რომელსაც ენტონი ბერჯესი ასე შეულამაზებლად აღწერს არა მარტო მომავლისეული გაფრთხილება არამედ საფრთხის შემცველი რეალობაცაა.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ნორმალური ცხოვრების, ფიქრის, ინდივიდუალიზმის, განათლების და სამართლიანობის მოპოვების მცდელობაც კი კრახისთვის არის განწირული. მწერლის აზრით, დროულად გამოფხიზლებაა საჭირო. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ალექსი მხოლოდ პირობითობაა და მის ადგილას ნებისმიერი შეიძლება აღმოჩნდეს.

ამრიგად, „მექანიკურ ფორთოხალში“ წამოჭრილი პრობლემები დიდ ყურადღებას იმსახურებს. საზოგადოებისა და ინდივიდის დაპირისპირება თუ

ინდივიდისა და სახელმწიფოს მუდმივი კონფლიქტი, შინაგანი თავისუფლების ძიება და თავის დამკვიდრების მცდელობა დღემდე აქტუალური და პრობლემატური საკითხია. სწორედ ამიტომ რჩება „მექანიკური ფორთოხალი“ განხილვის თემად, ხოლო მასში არსებული თითოეული საკითხი დიდ ყურადღებას და სწორად გადაჭრას მოითხოვს.

ლიტერატურა:

1. ბერჯესი ე. მექანიკური ფორთოხალი, თბილისი: პალიტრა L, 2011.
2. Burgess, A. (2011). A Clockwork Orange Resucked (UK version)
3. Burgess, A. (2011). A Clockwork Orange Resucked, Glossary of Nadsat Language (UK version)
4. King Alex. 2016. The Teddy Boys: Britain's original teenage rebels.

<https://www.huckmag.com/art-and-culture/photography-2/teddy-boys-britains-original-teenage-subculture/>

Tamta Keneljeridze

Iv.Javakishvili Tbilisi State University

e-mail: tatiakelenjeridze@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.16>

SJIF 2024: **8.268**

The influence of a totalitarian regime on society

Abstract

In the second half of the twentieth century, bringing the truth to the forefront and reflecting reality in an unembellished manner became very relevant topics. Writers warned us about upcoming destruction, social realities, hardship, brutality and the chaos existing in the world. The main question was common – what will happen to the world, if people do not study how to resist? Anthony Burgess answers this question through his novel “A Clockwork Orange.” People will lose their freedom, individuality and will turn into mechanical beings just like the main character of the story – Alex. The desire of a totalitarian government is to influence society and attain the intended outcome at any price. Therefore, the main theme of "A Clockwork Orange" is to domineer, control and turn human minds through violent methods. What is considered beneficial for society is solely determined by the totalitarian government. As time

elapses, the scale of total control over individuals increases. They lose their freedom of choice and individuality. Eventually, society obeys the rules that will lead humanity to a destructive outcome. To prevent this, dystopian writers warned us and clearly conveyed the main message in their works. It is time for society to be awakened.

Key Words : Totalitarianism, Dystopia, Individualism, Independence.

რეცენზენტი: პროფესორი სოფიო ნიკოლეიშვილი

პედაგოგია Pedagogic

დამოუკიდებელი მუშაობის გამოყენებით სწავლის ხარისხის ამაღლება
ბუნების გაკვეთილებზე

იაგორ ბალანჩივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: iagor.balanchivadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.18>

SJIF 2024: 8.268

ანოტაცია. სტატიაში საუბარია დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელობაზე სწავლის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაწრისით. დამოუკიდებელი მუშაობა პიროვნული ზრდის, თვითდაჯერებულობისა და თვითშეგნების გამომწვევია. დამოუკიდებლობა საშუალებას აძლევს ადამიანებს გამოიკვლიონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები, იმუშაონ საკუთარი თავის გაუმჯობესებაზე სხვისი დამხარების გარეშე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ცოდნისა და მისი შეძენის დაუფლებისას გააცნობიერონ, რომ დამოუკიდებელი მუშაობა გამიზნულია ყველა სხვა სახის საგანმანათლებლო სამუშაოს ამოცანების შესასრულებლად, რადგან არ არსებობს ცოდნა, რომელიც არ გახდება დამოუკიდებელი საქმიანობის ობიექტი.

დამოუკიდებელი მუშაობა არის მასწავლებლისა და მოსწავლის, როგორც საგანმანათლებლო პროცესის საგნების, ისე საქმიანობის განუყოფელი ურთიერთდაკავშირებული სისტემა, რომლის მიზანია მოსწავლის მოტივაციის ზრდა და ჩართვა დამოუკიდებელ შემეცნებით საქმიანობაში. თვითგანათლება, თვითსწავლა, თვითრეგულირება, თვითაქტივაცია, თვითორგანიზება, თვითკონტროლი, ეს მცირე ჩამონათვალია იმ თვისებებისა და უნარების, რომლებიც მომავალში მოსწავლეებს საშუალებას აძლევს და დამოუკიდებლად შეისწავლონ და დაეუფლონ ახალი ტიპის საქმიანობას.

კვლევის მიზანად დავისახეთ: გავაუმჯობესოთ სწავლის ხარისხი მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის გამოყენებით. დიაგოსტიკის ეტაპზე კვლევის შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად გამოვიყენეთ კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები: მოსწავლეთა დიაგნოსტიკა, მასწავლებელთა ანკეტირება და ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან.

ინტენსიური სამუშაოები სკოლის ბაზაზე მიმდინარეობდა 2023 წლის 20 ნოემბრიდან 2024 წლის 31 მაისამდე.

ინტერვენციების გამოყენებით შედეგები გაორმაგდა დამოუკიდებელი მუშაობის ხარისხი, მეტი აქცენტი გავაკეთეთ ცოდნის ტრანსფერზე; თანმიმდევრული აქტივობებითა და მეთოდებით შესაძლებელი გახდა მოსწავლეებში გაიზარდოს თვითდაჯერებულობა. საგრძნობლად შეიცვალა მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხი, ისინი უფრო მოტივირებულები, თავდაჯერებულები და გაბედულები გახდნენ.

დასკვნის სახით კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეებში ამაღლდა სწავლის ხარისხი და დაიღო უკეთესი შედეგები. ისინი თამამად ასრულებენ დამოუკიდებელ სამუშაოებს და ინტერესით ეკიდებიან თითოეულ საკითხს. ღია კითხვებზე უფრო თამამად აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებას და დაბრკოლებას არ წარმოადგენს მათთვის დრო. ის მოსწავლეები, რომლებიც ნაკლებად ერთვებოდნენ დამოუკიდებელ მუშაობაში ან შესაძლოა ზოგი მათგანისთვის პრიორიტეტი არ იყო ინდივიდუალური დამოუკიდებელი მუშაობა, ამ მხრივ გაუმჯობესდა და შეიცვალა მათი დამოკიდებულება. მოსწავლეებს შეუძიათ დამოუკიდებლად გაართვან თავი დავალებებს, იმსჯელონ დამოუკიდებლად, დაინახონ და შემდგომ გადაჭრან პრობლემები. საბოლოო ჯამში, მოსწავლეების ჩართულობიდან გამომდინარე მინდა ვთქვა, რომ ჩვენს მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა შედეგი გამოიღო.

საკვანძო სიტყვები: დამოუკიდებლობა, სწავლა, სწავლება, ინდივიდუალური, უნარი, ინტერვენცია, წარმატება.

დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარება მნიშვნელოვანია, როდესაც ადამიანი ბავშვობიდანვე დამოუკიდებელია, მათ მარტივად შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც შეესაბამება მათ მიზნებსა და ღირებულებებს. ეს საშუალებას აძლევს ადამიანებს იცხოვრონ საკუთარი პირობებით და განახორციელონ თავიანთი ოცნებები და მისწრაფებები სხვებზე დამოკიდებულების გარეშე.

დამოუკიდებელი მუშაობა პიროვნული ზრდის, თვითდაჯერებულობისა და თვითშეგნების გამომწვევია. დამოუკიდებლობა საშუალებას აძლევს ადამიანებს გამოიკვლიონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები, იმუშაონ საკუთარი თავის გაუმჯობესებაზე სხვისი დამხარების გარეშე. სკოლაში დამოუკიდებელი მუშაობის გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებს მრავალმხრივი უნარები. მოსწავლე როდესაც დამოუკიდებელია ის არ ეყრდნობა სხვას წარმატების მიღწევის პროცესში და მხოლოდ საკუთარ თავზეა დამოკიდებული, რაც შესაძლებელს ხდის იყოს მეტად წარმატებული ცხოვრების ნებისმიერ საფეხურზე.

განათლების მთავარი ამოცანაა ჩამოაყალიბოს ისეთი შემოქმედებითი პიროვნება, რომელსაც შეუძლია თვითგანვითარება და თვითგანათლება. მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობა სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ადამიანს უნდა ჰქონდეს ცოდნა, პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების,

გამოცდილება კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში ახალი პრობლემების გადასაჭრელად. განათლების ყველა ეს კომპონენტი ყალიბდება მოსწავლეების დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში, რადგან ის გულისხმობს თითოეული მოსწავლის საქმიანობის მაქსიმალურ ინდივიდუალიზაციას და ამავე დროს ის არის ინდივიდუალური შემოქმედების გაუმჯობესების საშუალება.

მოსწავლის დამოუკიდებელი, შემეცნებითი საქმიანობის მეთოდების დაუფლების პრობლემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ სწორედ სწავლის პერიოდში უყალიბდება მას დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის უნარები. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ცოდნისა და მისი შექმნის დაუფლებისას გააცნობიერონ, რომ დამოუკიდებელი მუშაობა გამიზნულია ყველა სხვა სახის საგანმანათლებლო სამუშაოს ამოცანების შესასრულებლად, რადგან არ არსებობს ცოდნა, რომელიც არ გახდება დამოუკიდებელი საქმიანობის ობიექტი.

დამოუკიდებელი მუშაობა საგანმანათლებლო პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ნებისმიერი პროფესიის თუ სამუშაოს მიუხედავად, ადამიანს უნდა ჰქონდეს მისი შესაბამისი პროფილის ფუნდამენტური ცოდნა, პროფესიული უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები, რათა მან სწორად წარმართოს ნებისმიერი წინააღმდეგობის თუ წარმატების მიუხედავად თავისი საქმე. ყველა ეს კომპონენტი კი ყალიბდება დამოუკიდებელი მუშაობისას, ვინაიდან ის გულისხმობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალიზაციას.

დამოუკიდებელი მუშაობა არის მასწავლებლისა და მოსწავლის, როგორც საგანმანათლებლო პროცესის საგნების, ისე საქმიანობის განუყოფელი ურთიერთდაკავშირებული სისტემა, რომლის მიზანია მოსწავლის მოტივაციის ზრდა და ჩართვა დამოუკიდებელ შემეცნებით საქმიანობაში. თვითგანათლება, თვითსწავლა, თვითრეგულირება, თვითაქტივაცია, თვითორგანიზება, თვითკონტროლი, ეს მცირე ჩამონათვალია იმ თვისებებისა და უნარების, რომლებიც მომავალში მოსწავლეებს საშუალებას აძლევს და დამოუკიდებლად შეისწავლონ და დაეუფლონ ახალი ტიპის საქმიანობას.

კვლევის მიზანად დავისახეთ: გავაუმჯობესოთ სწავლის ხარისხი მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის გამოყენებით და დავგეგმო სწორი ინტერვენციები მის განსავითარებლად. კვლევის ამოცანებია - განვსაზღვრო რა მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი მუშაობის გამოყენებას სასწავლო პროცესში. გამოვიყენო დამოუკიდებელი მუშაობის სხვადასხვა ფორმა და სწორად შერჩეული ინტერვენციების გამოყენებით გავაუმჯობესო სწავლის ხარისხი.

კვლევის მთავარი კითხვაა - როგორ გავაუმჯობესო სწავლის ხარისხი მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის გამოყენებით? ამ კითხვის პასუხის დადგენაში კი დავგეხმარება მოცემული ქვეკითხვები: რატომ არის საჭირო დამოუკიდებელი სამუშაოების გამოყენება სასწავლო პროცესში? რამდენად აძლიერებს მოსწავლეს დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება? რა მიდგომებითაა შესაძლებელი სწავლის ხარისხის ამაღლება დამოუკიდებელი მუშაობის გამოყენებით? რას აუმჯობესებს დამოუკიდებელი მუშაობა? და ა. შ.

დიაგოსტიკის ეტაპზე კვლევის შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად გამოვიყენეთ კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები: **მოსწავლეთა დიაგნოსტიკა** - კვლევის დასაწყისში და ბოლოს. ჩემი მიზანი დავადგინოთ მოსწავლეთა განვითარების დონე ბუნებაში. ძირითადი მიგნებები:

- მოსწავლეების უმეტესობა დახურულ კითხვებზე უფრო ადვილად და თამამად აფიქსირებს თავის პასუხს, თუმცა აქაც შენიშნებოდა უზუსტობა, ხარვეზები.
- რაც შეეხება ღია კითხვებს, მოსწავლეებს უჭირთ საკუთარი აზრის დაფიქსირება. კლასის გარკვეულ ნაწილს გამოტოვებული ჰქონდა ღია კითხვები ან არასწორად ჰქონდათ შესრულებული.

ამდენად, აუცილებელია დამოუკიდებელი მუშაობა ძირითადად ეხებოდეს მასალის სიღმისეულ შესწავლას და მის პრაქტიკაში გამოყენებას. თავდაპირველად ალბათ აუცილებელი ჯგუფური მუშაობა, შემდეგ გადავიდეთ წყვილებში მუშაობაზე და მეტი დრო დავუთმოთ ინდივიდუალურ მუშაობას, რათა გახდნენ უფრო თავდაჯერებულები და მოტივირებულები.

მასწავლებელთა ანკეტირება - მიზანი: შევისწავლოთ როგორ ატარებენ დამოუკიდებელ სამუშაოს მასწავლებლები გაკვეთილზე. ძირითადი მიგნებები:

- მონაცემების შეგროვების შემდეგ, ირკვევა, რომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი დიდ დროს არ უთმობს მის გამოყენებას.
- ასევე გამოკითხვებიდან ნათლად ჩანს, რომ დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება მასწავლებელთა მთხოვნაა ხშირად და არა მოსწავლის.
- მასწავლებლები არ არიან ინფორმირებული მოსწავლის ინტერესებზე და საჭიროებებზე, შესაბამისად ვერ იქნება გათვალისწინებული მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები, ამიტომაც მოსწავლეთა ნაწილს უჭირს დამოუკიდებლად სამუშაოების შესრულება.

იმისათვის რომ შედეგები გაუმჯობესდეს, საჭიროა მეტი დრო დავუთმოთ დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულებას და საგაკვეთილო პროცესი გავხადოთ მეტად მრავალფეროვანი და ასევე აუცილებელია მასწავლებელმა გაითვალისწინოს, მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და მათი მზაობის დონე.

ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან - მიზანი: დავადგინოთ რამდენად ესმით მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელობა. ძირითადი მიგნებები:

- ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობის შესაძლებლობა აქვთ, მოსწონთ პრეზენტაციის მომზადების პროცესი.
- საჭიროა დრო შეესაბამებოდეს დავალებას, გავითვალისწინოთ დავალების მოცულობა. მოსწონთ თავად რომ აკეთებენ პრეზენტაციას.
- დამოუკიდებელი მუშაობა არის მნიშვნელოვანი, შეუძლიათ მოსინჯონ საკუთარი ძალები და საჭიროების შემთხვევაში დაძლიოს პრობლემა

ჩატარებული კვლევის შესაბამისად აუცილებელი შემდეგი ინტერვენციები: გავაძლიეროთ ინდივიდუალური დამოუკიდებელი მუშაობა; შევეცადოთ წელიწადში 2-3-ჯერ მაინც ყველას მიეცეს შესაძლებლობა პრეზენტაცია დამოუკიდებლად მოამზადოს; დამოუკიდებელი სამუშაოს მოცულობას შევუსაბამოთ დრო, რათა არ აჩქარდნენ


მოსწავლეები. მუშაობისას მივცეთ მეტი დამოუკიდებლობა პრობლემის გადაჭრისას, საჭიროების შემთხვევაში გავაძლიეროთ ურთიერთთანამშრომლობა.

ინტენსიური სამუშაოები სკოლის ბაზაზე მიმდინარეობდა 2023 წლის 20 ნოემბრიდან 2024 წლის 31 მაისამდე.

ინტერვენციების გამოყენებით შედეგები გაორმაგდა დამოუკიდებელი მუშაობის ხარისხი, მეტი აქცენტი გავაკეთოთ ცოდნის ტრანსფერზე; თანმიმდევრული აქტივობებითა და მეთოდებით შესაძლებელი გახდა მოსწავლეებში გაიზარდოს თვითდაჯერებულობა. საგრძნობლად შეიცვალა მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხი, ისინი უფრო მოტივირებულები, თავდაჯერებულები და გაბედულები გახდნენ.


ჩვენი კვლევის ბოლო ეტაპი იყო განმეორებითი ტესტირების ჩატარება მოსწავლეებთან. რათა დამედგინა რამდენად გაუმჯობესდა მოსწავლეთა სწავლის ხარისხი. პოსტ ტესტირებამ საშუალება მომცა, დამენახა გაუმჯობესდა თუ არა მოსწავლეთა შედეგები, იქონია თუ არა დადებითი გავლენა ჩვენს მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა. პოსტ ტესტირებაში მოსწავლეთა შედეგები საკმაოდ გაუმჯობესებული იყო. მოსწავლეების ნაწილს პირველ ტესტირებიდან გამომდინარე, უჭირდათ ღია კითხვებზე მუშაობა და თავს არიდებდნენ მას. თუმცა პოსტ ტესტირებაში მოსწავლეები არ შეუშინდნენ ღია კითხვებს, თამამად აფიქსირებდნენ აზრს, ასევე სწორი პასუხების რაოდენობაც გაიზარდა.

განვიხილავ რამდენიმე შემთხვევას. კითხვაზე - **მეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის სიცოცხლესა და ცოცხალ ორგანიზმებს?** პრე ტესტის დროს პასუხები ასე გადანაწილდა: ასტრონომია - 8%, ბიოლოგია 69%, გეოგრაფია - 23%. პოსტ ტესტირების დროს კი: ასტრონომია - 0%, ბიოლოგია 94%, გეოგრაფია - 6%.



შემდეგ კითხვაზე - **რას გვაძლევს საბუნებისმეტყველო მეცნიერების ცოდნა?** პოსტ ტესტირებაზე მოსწავლეების ღია კითხვაზე სწორი პასუხი 44%-დან 89%-მდე გაზარდა. შემდეგი კითხვაზე - **ვარსკვლავებზე დაკვირვებისას ადამიანებმა მათი ერთობლიობა სხვადასხვა ფიგურას მიაღწევს, ჯგუფებად დაყვეს, ადვილად რომ მოეძებნათ, რა სახელები უწოდეს.** პრე ტესტის დროს პასუხები ასე გადანაწილდა: ვარსკვლავი - 6%,


კომეტა - **18%**, თანავარსკვლავედი - **76%**. პოსტ ტესტირების დროს კი: ვარსკვლავი - **0%**, კომეტა **4%**, თანავარსკვლავედი - **96%**.



შემდეგ ღია კითხვაზე - რით იზიდავს ყვავილი მწერს? - მოსწავლეთა უმეტესობამ პრე ტესტისგან განსხვავებით, ღია კითხვაზე პასუხს თავი არ აარიდა და სწორი პასუხი 22%-დან 76%-მდე გაიზარდა.

როგორც ვიცით, დაკვირვება ბუნებისმეტყველების შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია, რის შესწავლაში გვებმარება იგი? პრე ტესტირებაზე ეს კითხვა მოსწავლეთა 50%-მა უპასუხოდ დატოვა, ხოლო პოსტ ტესტირებაზე მოსწავლეების 89%-მა სწორი პასუხი დააფიქსირა. ხორცისმჭამელი არ არის - მოცემული 4 ვარიანტიდან (კურდღელი, მწერიჭამია მცენარე, არწივი და მელა) პრეტესტის დროს სწორი პასუხი გასცა 74%-მა, ხოლო პოსტტესტის დროს მოსწავლეთა 100 %-მა აირჩია სწორი პასუხი.

შემდეგ კითხვაზე - ჩამოთლილთაგან მტკნარი წყალი გვხვდება? პრე ტესტის დროს პასუხები ასე გადანაწილდა: ოკეანეში - 11%, ზღვაში - 8%, გუბეებსა და ჭაობებში - 81%. პოსტ ტესტირების დროს კი: ოკეანეში - 0%, ზღვაში - 0%, გუბეებსა და ჭაობებში - 100%.



დასკვნის სახით ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეებში ამაღლდა სწავლის ხარისხი და დაიდო უკეთესი შედეგებიც. ისინი თამამად ასრულებენ დამოუკიდებელ სამუშაოებს და ინტერესით ეკიდებიან თითოეულ საკითხს. ღია კითვებზე უფრო თამამად აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებას და დაბრკოლებას არ წარმოადგენს მათთვის დრო. ის მოსწავლეები, რომლებიც ნაკლებად ერთვებოდნენ დამოუკიდებელ მუშაობაში ან შესაძლოა ზოგი მათგანისთვის პრიორიტეტი არ იყო ინდივიდუალური დამოუკიდებელი მუშაობა, ამ მხრივ გაუმჯობესდა და შეიცვალა მათი დამოკიდებულება. მოსწავლეებს შეუძიათ დამოუკიდებლად გაართვან თავი დავალებებს, იმსჯელონ დამოუკიდებლად, დაინახონ და შემდგომ გადაჭრან პრობლემები. საბოლოო ჯამში, მოსწავლეების ჩართულობიდან გამომდინარე მინდა ვთქვა, რომ ჩვენს მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა შედეგი გამოიღო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურაბანიძე სოფიო - ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდთა, როგორც პედაგოგიური მეცნიერება / თბ. 2020წ.
2. თედორაძე რუსუდან - ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდთა / თბ. 2023 წ.
3. მუკბანიანი ლიანა - მოსწავლეებში დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარების ხელის შეშლელი მიზეზების დადგენა და გადაჭრის გზების ძიება / თბ. 2018წ.
4. ნეფარითე თეო - დამოუკიდებელი სწავლის უნარები, გარემოებათა ანალიზი // მასწავლებელი. თბ. 2014წ.
5. ფირცხაძე მაია - მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზების ფორმები // მასწავლებელი. თბ. 2017წ. გვ.10-12

Iagor Balanchivadze

Akaki Tsereteli State University

e-mail: iagor.balanchivadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.18>

SJIF 2024: **8.268**

Improving the Quality of Learning in Nature Lessons Using Independent Work

Abstract

The article talks about the importance of independent work from the point of view of improving the quality of learning. Independent work leads to personal growth, self-confidence and self-awareness. Independence allows people to explore their strengths and weaknesses, to work on improving themselves without the support of others. It is especially important that students, while mastering knowledge and its acquisition, understand that independent work is intended to fulfill the tasks of all other types of educational work, because there is no knowledge that does not become the object of independent activity.

Independent work is an inseparable interrelated system of both the educartional process subjects and activities of the teacher and the pupil, the purpose of which is to increase the pupils' motivation and engage in independent cognitive activity, Self-education, self-learning, self-regulation, self-activation, self-organization, self-control, this is a small list on the qualities and skills that allow pupils in the future to independently leqrn and master new types of activities.

Our aim of of the research is: to improve the quality of learning using the independent work of pupils. Pupil diafnosis, teacher questionnaire and focus group with pupils. Intensive works were carried out on the school base from November 20 2023, to May 31, 2024.

As a conclusion, based on the research data, we can say that the quality of learning among the pupils has encreased and better results have been obtained. They boldly do independent work and are interested in each issue. Those pupils who were less involved in independent work or perhaps individual independent work was not a priority for some of them, improved and changed their attitude in this regard.

Key words: Independence, learning, teaching, individual, ability, intervention, success.

რეცენზენტი: პროფესორი ოლგა გუსევა

პედაგოგია Pedagogic

რიტმული აქტივობების როლი სკოლამდელი ასაკის ბავშვებში

მაგდა თხილავა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: magda.Tkhilava@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.19>

SJIF 2024: 8.268

რიტმულმა მოძრაობებმა უნდა გამოუმუშაოს ბავშვებს თვითგამოხატვის, შემოქმედებითი აქტივობის, ფანტაზიის, წარმოსახვის, ემოციური რეაგირების უნარი მოსმენილ მუსიკალურ ნაწარმოებზე, ხელი შეუწყოს მხატვრული და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, მუსიკისა და მოძრაობის კოორდინაციას.

რიტმულმა, მუსიკალური აქტივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა, რომელშიც მუსიკის შინაარსი, მისი ხასიათი და მუსიკალური სახეები მოძრაობებითაა გადმოცემული, სადაც წამყვანია მუსიკა. რიტმული აქტივობები ხელს უწყობს და უზრუნველყოფს შემეცნებითი ფუნქციის გაუმჯობესებას, მაღალ აკადემიურ მოსწრებას, თვითშეფასების ამაღლებას, ის განტვირთვისა და ენერჯის დახარჯვის კარგი საშუალებაა.

საკვანძო სიტყვები: რიტმული მოძრაობა, ემოციური რეაგირება, სკოლამდელი ასაკი

სკოლამდელი ასაკი ბავშვის მუსიკალური შესაძლებლობების განვითარების საუკეთესო პერიოდია. კვლევები ადასტურებს, რომ მუსიკა ტვინის უჯრედების სწრაფ განვითარებას უწყობს ხელს. როგორც ცნობილია, მათ კარგად აქვთ განვითარებული კონცენტრაციის უნარი. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ყველა ბავშვი იბადება მეტ-ნაკლები მუსიკალური მონაცემებით, რომელსაც შემდგომი განვითარება სჭირდება.

შვეიცარიელი პედაგოგი და კომპოზიტორი ემილ ჟაკ დალკროზი, რომელიც მუშაობდა პედაგოგად ჟენევის კონსერვატორიაში, ამტკიცებდა, რომ მუსიკალური რიტმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის მოტორულ-კუნთოვან განვითარებაში. დალკროზმა შენიშნა, რომ სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს არ შეეძლო მოძრაობათა კოორდინაციის ზუსტი დაცვა, ამიტომ შეიმუშავა მან რიტმულ სავარჯიშოთა კომპლექტი, რომელიც, მისი აზრით, მოაგვარებდა აღნიშნულ პრობლემას. სავარჯიშოებს დალკროზი იყენებდა როგორც მოზრდილებთან, ასევე პატარებთან.

რიტმულმა მოძრაობებმა უნდა გამოუმუშაოს ბავშვებს თვითგამოხატვის, შემოქმედებითი აქტივობის, ფანტაზიის, წარმოსახვის, ემოციური რეაგირების უნარი მოსმენილ მუსიკალურ ნაწარმოებზე, ხელი შეუწყოს მხატვრული და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, მუსიკისა და მოძრაობის კოორდინაციას.

რიტმიკა, მუსიკალური აქტივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა, რომელშიც მუსიკის შინაარსი, მისი ხასიათი და მუსიკალური სახეები მოძრაობებითაა გადმოცემული, სადაც წამყვანია მუსიკა. რიტმიკის დროს სხვადასხვა ვარჯიშოების, ცეკვების, სიუჟეტური სახეების მოძრაობთ გადმოცემა მუსიკის ღრმად აღქმისა და მუსიკალური ნაწარმოების გაგების საშუალებაა, რაც ხელს უწყობს ბავშვის ემოციურ განვითარებას.

მუსიკის გაკვეთილებზე გამოიყოფა რიტმიკის სხვადასხვა სახე: ფიზიკური ვარჯიშები, საცეკვაო მოძრაობები და თამაშები, ხალხური და სამეჯლისო ცეკვების ილეთები, ფერხულები. ამისათვის საჭიროა აღზრდის ეფექტური მეთოდების გამოყენება ბავშვის ასაკის გათვალისწინებით. მუსიკა დადებითად მოქმედებს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, მუსიკის თანხლებით მოძრაობა შემოქმედებითი უნარების განვითარების, სხვადასხვა პათოლოგიის კორექციისა და მკურნალობის შესანიშნავი საშუალებაა. რიტმული აქტივობები ხელს უწყობს და უზრუნველყოფს შემეცნებითი ფუნქციის გაუმჯობესებას, მაღალ აკადემიურ მოსწრებას, თვითშეფასების ამაღლებას, ის განტვირთვისა და ენერჯის დახარჯვის კარგი საშუალებაა.

მუსიკალურ-რიტმულ მოძრაობებს, ვარჯიშებს, თამაშებს ადრეული ასაკის ბავშვის მუსიკალურ განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ისინი ბავშვის მრავალმხრივი განვითარების, თანატოლებთან კომუნიკაციის შესანიშნავი საშუალებაა. რიტმული აქტივობების დროს ბავშვები ეცნობიან მრავალფეროვან მუსიკალურ

თამაშობებს, სწავლობენ სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის, ზღაპრის პერსონაჟების მიბაძვას, რაც ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრირებისა და მეხსიერების განვითარებას.

რიტმული აქტივობების დროს პატარები ითვისებენ ისეთ მუსიკალურ ელემენტებს, როგორცაა: ტემპი, ბგერის გრძლიობა, რეგისტრი, დინამიკა, ნაწარმოების ფორმა... ბავშვებს უნდა გააჩნდეთ მოძრაობათა მარაგი: სიარული, სირბილი, წახტომები, ხალხური და სამეჯლისო ცეკვის ელემენტები... რიტმიკა უზრუნველყოფს კუნთების ძირითადი ჯგუფების განვითარებას. სწავლებისას მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მუსიკალურ-გამომსახველობით ხერხებზე. მან ზუსტი და ლაკონური მითითებები უნდა მისცეს ბავშვებს. პატარებმა უნდა შესძლონ მუსიკალური ნაწარმოების ცალკეულ კომპონენტზე ყურადღების გამახვილება, როგორცაა ტემპის, დინამიკის, ნაწილების ცვლილებები... ამიტომ პედაგოგმა უნდა გამოიყენოს ისეთი ხერხები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვებში მუსიკალური ენის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების ათვისებას და მის გადმოცემას მოძრაობაში.

მუსიკალური უნარების განვითარებისთვის სწორად უნდა შეირჩეს რეპერტუარი, სადაც გათვალისწინებული იქნება ბავშვის ასაკობრივი შესაძლებლობები. მუსიკალური ნაწარმოების მხატვრული შინაარსის მარტივად აღქმის მიზნით, მასწავლებელმა წინასწარ უნდა დააინტერესოს პატარები მუსიკალური მასალის მრავალფეროვნებით. რიტმიკის რეპერტუარი უნდა გამოირჩეოდეს მხატვრულობით, გამომსახველობით, მოტორული ხასიათით, ჟანრული და თემტური მრავალფეროვნებით.

მუსიკალური ნაწარმოების აღქმისა და მხატვრული შინაარსის გაგების გამარტივების მიზნით, მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ბავშვს, დაინტერესდეს მუსიკალური მასალით.

კვლევების თანახმად, ბავშვის განვითარება წარმოუდგენელია მშობელთა აქტიური ჩართულობის, მათი მონაწილეობის გარეშე. მნიშვნელოვანია მშობლის როლი ბავშვის მუსიკალურ განვითარებაში. მშობლის, ბავშვისა და მასწავლებლის ჯანსაღი ურთიერთობა განსაზღვრავს პატარების წარმატებას, კარგი კომუნიკაცია წარმატებული ურთიერთობის საფუძველია. სასწავლო პროცესში მშობლის ჩართულობა ბავშვის

მოტივაციის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა, მათ შორის, პატარების მუსიკალურ განვითარებაში.

ლიტერატურა:

1. <https://www.unicef.org/georgia/media/1956/file/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98.pdf>
2. თხილავა მ. საგანმანათლებლო პროცესის მუსიკალურ-მეთოდური უზრუნველყოფა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი, 2018
3. ფალავანდიშვილი მ. სკოლამდელთა მუსიკალური აღზრდა. თბილისი, 2000.
4. ნიკოლაძე ნ. მუსიკისა და ფიზიკური აღზრდის ინტეგრირება.
<https://akhaliganatleba.ge/%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AA-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1/>

Magda Tkhilava

Akaki Tsereteli State University

e-mail: magda.Tkhilava@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.19>

SJIF 2024: 8.268

Rhythmic activities at an early age

Abstract

Rhythmic movements should give children self-expression, creative activity, fantasy, imagination, the ability to react emotionally to a piece of music heard, to promote the development of artistic and creative abilities, coordination of music and movement.

Rhythmicity is one of the important types of musical activity, in which the content of music, its character and musical forms are conveyed by movements, where the music is leading. Rhythmic activities encourage and provide improve cognitive function, high academic performance, raising self-esteem, it is a good way to relax and expend energy.

Key words: Rhythmic movements, creative activity, early age

რეცენზენტი: პროფესორი ალექსანდრე როვენკო

პედაგოგია Pedagogic

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მშობლების თანამშრომლობის შინაარსი და ფორმები

ნინო ორჯონიკიძე, მაია ახვლედიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლალი აბდალაძე

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

e-mail: maia.akhvlediani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.20>

SJIF 2024: 8.268

სკოლამდელი დაწესებულება ბავშვის ცხოვრებაში საგანმანათლებლო ინსტიტუციის პირველი ეტაპია, რომელიც მშობლებთან ყველაზე მჭიდრო თანამშრომლობაზეა დამყარებული. ამ დაწესებულებებში მშობლები უნდა აღიქმებოდნენ საგანმანათლებლო პროცესის ძირითად ფიგურებად, ხოლო მშობლები ბავშვს უნდა იღებდნენ, როგორც სახლს, სადაც მათი შვილები კომფორტულად არიან და ზრუნვისა და სიყვარულის ობიექტს წარმოადგენენ.

სტატიაში განვიხილავთ ოჯახსა და ბავშვს შორის თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებსა და ფორმებს. ყურადღებას ვამახვილებთ, რომ თითოეულ მათგანს უნდა ახსოვდეს, რომ მათ საერთო მიზანი გააჩნიათ და ამ მიზნის მისაღწევად დიდი შრომა, მოთმინება, ძალისხმევა და გულწრფელი სიყვარულია საჭირო.

საკვანძო სიტყვები: სტრესი; ნეგატიური ქცევა; თანამონაწილეობა; ზრუნვა; დახმარება; აქტივობა; ძალისხმევა.

საბავშვო ბავშვი - ბავშვის ცხოვრებაში საგანმანათლებლო ინსტიტუტის პირველი ეტაპია, რომელიც მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობას ემყარება. სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს სისტემას, რომელშიც მშობლები აღიქმებიან, როგორც საგანმანათლებლო

პროცესის ძირითადი ფიგურები, რომლებიც აქტიურად ახდენენ გავლენას სკოლამდელი დაწესებულების ცხოვრებაზე.

დღეს საბავშვო ბავშვი ვერ იქნება ერთადერთი სააღმზრდელო სუბიექტი თავისი აღსაზრდელებისათვის, რომელიც მხოლოდ საკუთარ პირობებს წარუდგენს მშობლებს და არ ითვალისწინებს მათ აზრს ორგანიზაციის მიერ გაწეული საგანმანათლებლო პროგრამის, განათლების ხარისხისა და სხვა პრობლემების შესახებ, რომლებიც წარმოიქმნება ბავშვისა და საბავშვო ბავშვის ცხოვრებაში. გასათვალისწინებელია, რომ ბევრი საგანმანათლებლო პრობლემის გადაჭრა მარტო სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების ძალისხმევით შეუძლებელია. ეს, პირველ რიგში, ეხება ზნეობრივი განათლების სფეროს, სკოლამდელ ბავშვებში ნეგატიური ქცევისა და ბავშვის ცხოვრებაში სტრესის პრევენციას.

სკოლამდელი დაწესებულების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი მშობლებთან მუშაობისას ის არის, რომ მშობლებმა მიიღონ საბავშვო ბავშვი, როგორც სახლი, სადაც მათი შვილი კომფორტულია და ყოველთვის იზრუნონ ამ სახლზე (საბავშვო ბავშვი). თავის მხრივ, საბავშვო ბავშვი უნდა დაეხმაროს მშობლებს შვილებთან თბილი და სანდო ურთიერთობების პოვნაში.

საბავშვო ბავშვი ღია უნდა იყოს მშობლებისთვის. ამიტომ მშობლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სკოლამდელი დაწესებულების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში, ექსკურსიებსა და ბავშვებთან საუბარში. სწორედ მშობლებისთვის ეწყობა ბავშვთა ნამუშევრების კონცერტები და გამოფენები, იგზავნება წერილები მათი შვილების წარმატებების შესახებ და მადლობის წერილები საბავშვო ბავშვის ცხოვრებაში მონაწილეობისთვის; ჯგუფების ოთახების კედლებზე იკვრება იმ მშობლებისათვის მადლიერების გამომხატველი წერილი, რომლებიც მნიშვნელოვან მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევენ საერთო საქმეს.

მასწავლებლისა და მთელი საგანმანათლებლო დაწესებულების მთავარი ამოცანაა თანამშრომლობა და პოზიტიური ურთიერთქმედება, მშობლებსა და ბავშვებს შორის ერთობლივი საქმიანობის ორგანიზების გეგმების განხორციელება.

თითქმის ყველა ბავშვი გადის პერიოდს ზოგადსაგანმანათლებლო საბავშვო ბავშვი, რომელიც ხდება მათი პირველი სოციალური დაწესებულება და რომელშიც ყალიბდება ოჯახთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმა.

მშობლების ჩართვა სასწავლო პროცესში იწყება ბავშვის საბავშვო ბავშვი მოსვლის პირველი დღიდან. სწორედ ამ პერიოდში მნიშვნელოვანია მშობლებისათვის ბავშვის

მთლიანი საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი სისტემის, სასწავლო პროცესის ორგანიზების გარკვეული წესებისა და საშუალებების, მეთოდების გაცნობა, მათი ეფექტურობის წარმოდგენა. მშობლებმა უნდა გაიგონ: რა მიზნებს და ამოცანებს ისახავს ბაღში საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, რას გულისხმობს საბავშვო ბაღი ხარისხიან სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, როგორ ამოწმებენ აღმზრდელები თავიანთი მიზნების მიღწევის ხარისხს, ანუ რა კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით ხდება სასწავლო პროცესის შეფასება.

მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია სასწავლო პროცესის შედეგების შესახებ შედგეს ბავშვის პიროვნული განვითარების მონიტორინგის შედეგების მონაცემების გამოყენებით. ასეთი ინფორმაცია შეიძლება იქცეს მშობლის ინფორმირების საშუალებად იმის შესახებ, რომ საბავშვო ბაღი სისტემურად ავითარებს ბავშვის პიროვნებად. ჩვენს დროში ამის მოთხოვნილება და საჭიროება უდავოა.

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რა ხდება მოცემულ მომენტში, არამედ მშობლების ჩართვა ბავშვის ცხოვრებისა და საბავშვო ბაღის მომავალ საქმიანობაში; ისეთი ფორმების გამოყენება, როგორცაა თამაში, შემოქმედებითი სემინარი, ჯგუფური მუშაობა, შეხვედრები, რომლებშიც მშობლებს შეუძლიათ თანამონაწილეები გახდნენ სასწავლო პროცესის ორგანიზების ღირებულებების, პრინციპებისა და ამოცანების ჩამოყალიბებაში, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შეფასების კრიტერიუმების დასადგენად გამართულ დისკუსიებში.

შეგვიძლია გამოვყოთ ოჯახსა და საბავშვო ბაღს შორის თანამშრომლობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. ბავშვისა და მშობლების ერთობლივი მუშაობისთვის განკუთვნილი დავალებების შესრულება. მშობლებთან მუშაობის სახეობებისა და ფორმების პრაქტიკული მრავალფეროვნებიდან ყველაზე ეფექტურია ურთიერთქმედების აქტიური ფორმები, როდესაც მშობლები არიან არა მხოლოდ მაცურებლები, არამედ შეხვედრებისა და ღონისძიებების მონაწილეები. მათ ასევე შეუძლიათ საბავშვო ბაღში ჩაატარონ ბავშვებთან თამაშები.

2. ბავშვებისა და მშობლებისთვის ორგანიზებულ გამოფენებში, კონკურსებში მონაწილეობა, ე.წ. ჯანმრთელობის დღეების ჩატარება.

აღნიშნული აქტივობები მშობლებს საშუალებას აძლევს განახორციელონ საკუთარი პედაგოგიური ქმედებების თვითანალიზი და თვითშეფასება.

მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გახდებიან

მოკავშირეები. ეს საშუალებას მისცემს მათ უკეთ გაიცნონ ბავშვი, დაინახონ იგი სხვადასხვა სიტუაციებში და ამით უფრო ახლოს გაეცნონ ბავშვების ინდივიდუალურ თვისებებს, მათი შესაძლებლობების განვითარებას, ხელი შეუწყონ მათი ცხოვრებისეული ღირებულებითი პრინციპების ჩამოყალიბებას და ნეგატიური ქმედებების დაძლევისას.

მასწავლებლებმა უნდა დაამყარონ პარტნიორული ურთიერთობა თითოეული მოსწავლის ოჯახთან, შექმნან ურთიერთგაგების, ურთიერთდახმარებისა და საერთო ინტერესების პირობები. სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უფროსებსა და ბავშვებს შორის ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია გუნდის ერთ მთლიანობად შეკვრა, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში რეალიზდება, თუ ორგანიზებულია მასწავლებლების, ბავშვებისა და მშობლების ერთობლივი საქმიანობა.

მშობელთა და მასწავლებელთა ურთიერთკავშირის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი პირველ რიგში მასწავლებლებს ეკუთვნით. მაგრამ ყველა მშობელი არ პასუხობს მასწავლებლის სურვილს ითანამშრომლოს, შეუერთდეს მასწავლებლების ძალისხმევას შვილის აღზრდაში. პედაგოგს სჭირდება მოთმინება და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ორიენტირებული ძიება.

მშობლებთან მუშაობა არასოდეს არის ადვილი, არის ბევრი რთული უთანხმოება და სიტუაცია, რომელსაც საბავშვო ბაღი ყოველთვის ვერ აგვარებს. ამავდროულად, ოჯახს და საბავშვო ბაღს აერთიანებს ბავშვის ღირსეულ, სრულფასოვან აღზრდას დაამიანად აღზრდის მიზანი და სურვილი. მათ ურთიერთობებში კონფლიქტები და უთანხმოება ხელს უშლის ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანი ზიანს აყენებს მას. ამიტომ ოჯახსა და სკოლამდელ დაწესებულებას შორის ურთიერთობაში ძალიან მნიშვნელოვანია პოზიციების, ინტერესების ჰარმონიზაცია და რეალური პირობების შექმნა, რაც შექმნის იმის წინაპირობას და საფუძველს, რომ ყველა ბავშვი მიიღებს სწორ სკოლამდელ განათლებას.

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისა და მშობლების ურთიერთობა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. გამოიყოფა ტრადიციული და არატრადიციული ფორმები.

ტრადიციული ფორმები:

- ✓ *კოლექტიური* – მშობელთა კრებები, ჯგუფური კონსულტაციები, კონფერენციები;
- ✓ *ინდივიდუალური* – ინდივიდუალური კონსულტაციები, საუბრები;
- ✓ *ვიზუალური* – საქაღალდეები, სტენდები, ეკრანები, გამოფენები, ფოტოები, დიაკარის დღეები.

არატრადიციულ ფორმებს შორის გამოიყოფა:

- ✓ საინფორმაციო-ანალიტიკური ფორმები;
- ✓ დასვენების ორგანიზების ფორმები;
- ✓ შემეცნებითი ფორმები;
- ✓ ვიზუალურ-საინფორმაციო ფორმები.

საინფორმაციო-ანალიტიკური ფორმები მიზნად ისახავს მშობლების ინტერესების, მოთხოვნებისა და სურვილების იდენტიფიცირებას, მასწავლებლებს, მშობლებსა და ბავშვებს შორის ემოციური კონტაქტის დამყარებას. კითხვარებიდან მასწავლებლები ეცნობიან სკოლამდელთა თავისებურებებს, რა მოსწონს ბავშვს, რა არ მოსწონს, რას ანიჭებს უპირატესობას, რა სახელით მიმართონ ბავშვს (მოფერების, კნინობითი ფორმით, თუ სრული სახელით, ან მეტსახელით). ამ ფორმებს მიეკუთვნება ასევე გამოკითხვები, ტესტები, ანკეტირება.

დასვენების ფორმებია ერთობლივი გამოფენები, დასვენებისა და სადღესასწაულო ზეიმები, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები („ახალი წელი“, „დედის დღე“, „სპორტული ფესტივალი მშობლებთან ერთად“ და სხვა). მათი ამოცანაა დაამყარონ თბილი, არაფორმალური, სანდო ურთიერთობები, ემოციური კონტაქტი მასწავლებლებსა და მშობლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის. დასვენება საშუალებას გვაძლევს შექმნათ ემოციური კომფორტი ჯგუფში. მშობლები უფრო გახსნილები ხდებიან კომუნიკაციისთვის. ამ ღონისძიებებში მშობლები არიან მონაწილეები და არა სკოლამდელი დაწესებულების სტუმრები. თამაშობენ, მდერიან, კითხულობენ ლექსებს, მოაქვთ კრებულები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ჯილდოები და ა.შ. მშობლებსა და სკოლამდელ ბავშვებს შორის ნებისმიერი ერთობლივი აქტივობის ორგანიზება დადებით როლს ასრულებს საერთო საგანმანათლებლო პროცესის განვითარებაში.

შემეცნებითი, საგანმანათლებლო ფორმების არსს წარმოადგენს მშობლების მიერ სკოლამდელი ასაკის ბავშვების ასაკობრივი და ფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვითცნობიერება და მათში აღზრდის პრაქტიკული უნარების განვითარება. მთავარი როლი ეკუთვნის არატრადიციული ფორმის შეხვედრებს და ჯგუფურ კონსულტაციებს. ასევე ტარდება ტრენინგები, ვორქშოფები და დისკუსიები. მშობელთა კრებების არატრადიციული ფორმით ჩატარება გულისხმობს ისეთ დამოკიდებულებას, როდესაც მასწავლებელი ექცევა მშობლებს, როგორც კომუნიკაციის პარტნიორებს, ითვალისწინებს მათ აღმზრდელით გამოცდილებას, ცოდას, უნარებს და იყენებს აქტივაციის მეთოდებს.

ვიზუალურ-საინფორმაციო ფორმები პირობითად იყოფა ორ ქვეჯგუფად: საინფორმაციო-გაცნობითი და საინფორმაციო-საგანმანათლებლო.

შეიძლება მომზადდეს სარეკლამო- საინფორმაციო სტენდი, გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე ცნობილი პედაგოგების რეკომენდაციები, მომზადდეს კედლის (ან ბეჭდური) გაზეთი მშობლებისთვის, მაგალითად, თემაზე „მზადება სკოლისთვის“.

მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა გამოყენებისას მთავარია, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკებს ახსოვდეთ, რომ მათ და მშობლებს საერთო მიზანი გააჩნიათ და ამ მიზნის მისაღწევად დიდი შრომა, მოთმინება, ძალისხმევა და აღსაზრდელებისადმი გულწრფელი სიყვარულია საჭირო.

ლიტერატურა:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. World Vision. Georgia. pdf
2. დოლიძე ხ., ცინცაძე ნ., კუხალეიშვილი თ/, ჯიჯავაძე ნ., ბალანჩივაძე ი., გრიგოლია ი., აბაკელია ნ., ბაგა-ბაღის აღზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო. თბილისი 2015. pdf
3. ზვერევა, კროტოვა 2010: Зверева О.Л., Кротова Т.В. Общение педагога с родителями в ДОУ: Методический аспект.- М.: ТЦ Сфера, 2010.
4. სალნიკოვა 2017: Сальникова Т.Г. Активные методы обучения в повышении профессиональной компетентности педагогов ДОУ: из опыта работы.– СПб. 2017.
5. შიტოვა 2009: Работа с родителями: практические рекомендации и консультации по воспитанию детей 2-7 лет / авт.- сост. Е. В. Шитова. - Волгоград: Учитель, 2009.

Nino Orjonikidze, Maia Akhvlediani

Akaki Tsereteli State University

Lali Abdaladze

Zugdidi Shota Meskhia State university

e-mail: maia.akhvlediani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.20>

SJIF 2024: 8.268

Content and forms of cooperation between preschool educational institution and parents

Abstract

Preschool is the first stage of an educational institution in a child's life, which is based on the closest cooperation with parents. In these institutions, parents should be perceived as the main figures in the educational process, and parents should take the kindergarten as a home where their children are comfortable and an object of care and love.

In the article, we will discuss the main directions and forms of cooperation between the family and the garden. We emphasize that each of them should remember that they have a common goal, and to achieve this goal, a lot of work, patience, effort and sincere love are needed.

Key words: stress, negative behavior, complicity, care, help activity, effort.

რეცენზენტები: პროფესორი ოლგა გუსევა

პედაგოგია Pedagogic

სქესობრივი განათლების საკითხები ეროვნულ სასწავლო გეგმაში

ანა ოქროპირიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: ana.okro8@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.21>

SJIF 2024: 8.268

დღესდღეობით, კაცობრიობა ძალიან სწრაფად ცვლად სამყაროში ცხოვრობს. განათლებამ, რომელიც ბავშვს პიროვნებად აყალიბებს და ამზადებს ცხოვრებისთვის, მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას და უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ჰარმონიული აღზრდის ერთ-ერთი პრინციპია ფიზიკური აღზრდა და ჯანმრთელობის დაცვა, ეს თემები კი მოიცავს სქესობრივი განათლების საკითხებს. თანამედროვე მოსწავლეს ინტერნეტის საშუალებით სხვადასხვა სახის ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი. მათ ცნობისმოყვარეობა ამოძრავებთ. ამ ძიების პროცესში კი შესაძლოა გადააწყდნენ სქესობრივი განათლების საკითხებისადმი მიძღვნილ სტატიებს, ასაკისთვის შეუფერებელ ვიდეო რგოლებს და ა.შ. არსებობს საფრთხე, რომ ეს ინფორმაცია მიიღონ ასაკის შეუფერებლად და უკრიტიკოდ, რამაც შეიძლება ავნოს მათ ჯანმრთელობას და ჩამოუყალიბდეთ არასწორი შეხედულებები.

საქართველოში სქესობრივ განათლებას ნაკლები ყურადღება ეთმობა სკოლებში, თუმცა წინა წლებთან შედარებით სახელმწიფომ ამ განათლების საჭიროება დაინახა და მცირე დოზით შეიტანა ეროვნულ სასწავლო გეგმაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს საკმარისი არ არის. სქესობრივი განათლების თანამედროვე მოთხოვნები ითვალისწინებს სექსუალური ჯანმრთელობის, ჰიგიენის, ფიზიოლოგიის, ასაკობრივი თავისებურებების,

ძალადობისა და სქესობრივი ძალადობის, შვიწროვების, გენდერის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და მათგან დაცვის საშუალებების, ვენერიული დაავადებების, ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემების, ძალადობის იდენტიფიკაციის შესახებ ინფორმირებულობას და ცოდნის გადაცემას. მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით მოსწავლეებს უნდა მიეწოდოს მეცნიერული, სისტემური და თანმიმდევრული ინფორმაცია.

სტატიის ფარგლებში განხილულია ეროვნული სასწავლო გეგმის დოკუმენტი სქესობრივ განათლებასთან მიმართებით. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორი პოლიტიკა აქვს საქართველოს განათლების სამინისტროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რომელ საგნებში და რა დოზით არის გათვალისწინებული მათი სწავლება, კონკრეტულად რომელ საკითხებზეა აქცენტი გაკეთებული, რომელ კლასებში და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომით ჩვენ მიმოვიხილავთ ამჟამად მოქმედ, მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას სქესობრივი განათლების საკითხების თვალსაზრისით, დავასაბუთებთ თანამედროვე მოთხოვნების მნიშვნელობას და გავაანალიზებთ მათ გათვალისწინებას ესგ-ში. ამასთანავე განვსაზღვრავთ ესგ-ში სქესობრივი განათლების კუთხით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებისადმი სკოლის პერსონალთა (დირექცია, მასწავლებელთა) დამოკიდებულებას.

საკვანძო სიტყვები: სქესობრივი განათლება, ეროვნული სასწავლო გეგმა

შესავალი:

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური რეფორმა განათლების სფეროში გატარდა 2000-იანი წლების შუა ხანებში. ეს რეფორმა შეეხო როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე უმაღლეს სასწავლებლებსაც. შეიცვალა მართვის სისტემა, სწავლების შინაარსი, სწავლების მეთოდები, სახელმძღვანელოები, დაფინანსების სისტემა, შემოვიდა ახალი საგნები, შემუშავდა ეროვნული სასწავლო მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის დოკუმენტები და ა.შ. [ჯანაშია, 2010:3] უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სფერო საჭიროებს უწყვეტ დაკვირვებას, შესწავლას, ანალიზს და მუდმივ ცვლილებებს დროის მოთხოვნების შესაბამისად. დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

გამოწვევაა სქესობრივი განათლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. რამდენიმე ათეული წლის წინ ამგვარ განათლებას არ აწვდიდნენ მოსწავლეებს სკოლაში და ეს მიუღებელ ფაქტადაც ითვლებოდა, მაგრამ დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა. თანამედროვე მოსწავლე ტექნოლოგიების სამყაროში იზრდება. მისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია ვირტუალურ სამყაროში, მათ შორის სექსუალური თემატიკის ინფორმაცია, ვიდეოები, თამაშები და ა.შ. გახშირებულია სქესობრივი დანაშაულის, პედოფილიის, არასრულწლოვანთა ორსულო-ბის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების შემთხვევები და სხვა. განათლების მისია ხომ მოსწავლის ცხოვრებისთვის მომზადებაა, ამგვარად საჭირო და აუცილებელიც კია, რომ სკოლის მოსწავლეები იღებდნენ საკმარის სქესობრივ განათლებას, რათა შემდგომ შეძლონ თავიანთი ჯანმრთელობისა თუ უსაფრთხოების დაცვა და სრულფასოვანი ცხოვრება.

ეროვნული სასწავლო გეგმა არის ის დოკუმენტი, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს განათლების სამინისტრო და რომლითაც ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები. დოკუმენტის არსებობა ხელს უწყობს ზოგადი განათლების სისტემის ერთიანობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამგვარად, ესგ-ში წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი პუნქტი და მნიშვნელოვანი დეტალი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს თითოეულმა სკოლამ. მათ შორის წარმოდგენილია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რისი მიღწევაც ყველა მოსწავლისთვის სავალდებულოა. მიზნის მიღწევით შესაძლებელი იქნება იმის დადასტურება, რომ მოსწავლემ წარმატებით დაასრულა ზოგადი განათლების სავალდებულო პროგრამა და მზად არის ცხოვრებისთვის.

დოკუმენტში, ეროვნული მიზნების გარდა, ასევე გამოყოფილია ე.წ. პრიორიტეტული თემები, მათ შორისაა ჩვენთვის საინტერესო საკითხი, „ჯანსაღი ცხოვრება“. სქესობრივი განათლება სხვა რიგ საკითხებთან ერთად ჯანსაღი ცხოვრების წესის ნაწილია და ამგვარად, ვთვლით, რომ სკოლა მას უნდა ეხებოდეს და ინფორმაციას აწვდიდეს მოსწავლეებს.

2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიმოხილვა: ქართულ განათლების სისტემაში დაწყებითი საფეხური მოიცავს I-VI კლასებს. ამ საფეხურზე სახელმწიფოს

მხრიდან დოკუმენტში ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება სქესობრივ საკითხებზე.

რაც შეეხება საბაზო საფეხურს, აქ უკვე ვხვდებით გარკვეული საკითხებისა და თემების შემოტანას სხვადასხვა საგანში. საბაზო საფეხურზე ბიოლოგიის საგნის სწავლა-სწავლების მიზნებში და შედეგებში ცალსახად წერია, „მოსწავლემ გააანალიზოს ჯანმრთელობის და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა“, ხოლო მე-9 კლასის სავალდებულო სასწავლო თემებში ვხვდებით „ადამიანის რეპროდუქციულ სისტემას და ჯანმრთელობას“ [ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018:425]. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს სთავაზობს სავარაუდო თემებს, თუმცა სკოლები და სახელმძღვანელოების ავტორები ამ თემების სასწავლებლად რა საკითხებს შეიტანენ საგაკვეთილო პროცესში ეს მათი გადასაწყვეტია და ამ მხრივ დამოუკიდებელი არიან. დოკუმენტი გამოყოფს რეკომენდირებულ საკითხებს, სადაც ყურადღებას ამახვილებს: „ნაყოფის განვითარება მშობლის მიერ ჯანსაღი ცხოვრების წესის დარღვევის ფონზე, გადამდები დაავადებების (მათ შორის სქესობრივი გზით) გავრცელების რისკ-ფაქტორები, პირადი ჰიგიენისა და სანიტარული პირობების მნიშვნელობის გააზრება ინფექციური დაავადებების (მაგ. შიდსი, C-ჰეპატიტი) გავრცელების პრევენციისათვის, არსებული კვლევების საფუძველზე ადრეულ სქესობრივ კავშირთან, ნაადრევ ქორწინებასა და ორსულობასთან დაკავშირებული რისკების გაანალიზება, მათ გამომწვევ მიზეზებსა და პრევენციაზე მსჯელობა, ექიმის როლის და მისი რეკომენდაციების მნიშვნელობაზე მსჯელობა და თვითმკურნალობის შედეგების გაანალიზება.“ [ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018:435]. ეს არის იმ რეკომენდირებული საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმძღვანელოებში.

VII კლასის „მოქალაქეობის“ საგანში სავალდებულო თემების ჩამონათვალია „ჯანსაღი ცხოვრება“, რომელიც მოიცავს ჯანსაღი კვების, გარდატეხის ასაკის, ნაადრევი ქორწინებისა და ადიქციის საკითხებს. სახელმწიფოსთვის, მეტად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა იცოდნენ, რა არის ჯანსაღი ცხოვრების წესი და რა წესები უნდა დავიცვათ იმისთვის, რომ ხანგრძლივად ვიცოცხლოთ [ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018:132]. აღსანიშნავია ისიც, რომ დოკუმენტით VIII კლასის ბიოლოგიის საგანში სავარაუდო

თემატიკაში რეკომენდებულია ადამიანის რეპროდუქციული სისტემის სწავლება, რომელშიც გამოყოფილია შემდეგი საკითხები: 1. ქალისა და მამაკაცის რეპროდუქციული სისტემები, 2. განაყოფიერება და ნაყოფის განვითარება, 3. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები. საკვანძო კითხვების ჩამონათვალში სხვა საინტერესო კითხვებთან ერთად გამოყოფილია შემდეგი: „რა სიმპტომებით შეიძლება სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების აღმოჩენა და მათგან თავდაცვა?“ სწავლების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს რეპროდუქციული სისტემის და მისი ფუნქციების აღწერა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების რისკებსა და შედეგებზე მსჯელობა, ჯანმრთელობის დაცვის, უშვილობის დაძლევის, ხელოვნური განაყოფიერების საკითხებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა სფეროსთან და ა.შ. მკვიდრ წარმოდგენებში გამოყოფილია ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოები, ჩანასახი და მისი განვითარების ეტაპები, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ძირითადი მიზეზები და ნაადრევი ქორწინებისგან გამოწვეული რისკ-ფაქტორები [national sex education standards, 2020:9]. IX კლასის ბიოლოგიის თემებს შორის კიდევ ერთხელ გამოყოფილია ნაადრევი ქორწინებისა და ორსულობის რისკ-ფაქტორები, რაც შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ ეს პრობლემა ჩვენს ქვეყანაში ჯერაც აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ კანონი კრძალავს 18 წლამდე ქორწინებას. მკვიდრ წარმოდგენებში ყურადღება გამახვილებულია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, შიდსის, ვირუსული ჰეპატიტების პრევენციული საშუალებების ცოდნასა და გამოყენებაზე. ნაადრევმა ქორწინებამ, ორსულო-ბამ ან სქესობრივმა ურთიერთობამ შესაძლოა გამოიწვიოს სამედიცინო და სოციალური ხასიათის პრობლემები, რომლებიც არც თუ ისე მარტივად დაიძლევა [ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018:204].

საშუალო საფეხურზე ბიოლოგიისა და მოქალაქეობის საგნებში სქესობრივ საკითხებს აღარ ეთმობა ყურადღება და ის მხოლოდ საბაზო საფეხურით შემოიფარგლება.

ანალიზი: შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სტატიისთვის საინტერესო საკითხები, ძირითადად, შეტანილია საბაზო საფეხურის ორ საგანში, ესენია „მოქალაქეობა“ და ბიოლოგია“. მოქალაქეობაში უფრო მეტად აქცენტი კეთდება ნაადრევ ქორწინებაზე და ბავშვისა და ადამიანის უფლებების დარღვევაზე, ხოლო ბიოლოგიის საგანი სქესობრივ

განათლებას უფრო მეტად სამედიცინო და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ეხება, ასევე ამალღებს მოსწავლის ინფორმირებულობას და ცდილობს, ხელი შეუშალოს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებას და დაიცვას მოსწავლეთა ჯანმრთელობა. ვფიქრობთ, რომ VIII და IX კლასის ბიოლოგიის საგანი ამ ფართო თემის მხოლოდ რამდენიმე საკითხს მოიცავს და შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მოსწავლისთვის ოფიციალურად გადაცემული ეს ინფორმაცია აღარ იყოს საკმარისი მისი მომავალი ჯანმრთელობისთვის. სახელმძღვანელოები, რიგ შემთხვევებში არ ეხება თანამედროვე სტანდარტებში შესულ საკითხებს, მაგალითად, მოზარდის ასაკობრივ თავისებურებებს, ჰიგიენას, სქესობრივი შევიწროვების და გენდერს, არ ასწავლის სექსუალური შევიწროვების იდენტიფიცირებას, მისგან თავდაცვის გზებს სხვადასხვაგვარი ზეწოლის დროს და სხვა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებიდან ხშირად ვის-მენტ სქესობრივი დანაშაულის შესახებ მომხდარი ფაქტებზე.

კვლევა: სამეცნიერო სტატიის ფარგლებში ჩვენ შევადგინეთ 2 კითხვარი. ერთი განკუთვნილია სკოლის ადმინისტრაციისთვის, კერძოდ, დირექტორებისთვის და მათი მოადგილეებისთვის, ხოლო მეორე კითხვარი მასწავლებლებისთვის.

სკოლის ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი კითხვარი შეავსო 46-მა რესპოდენტმა, ამათგან 28 იყო სკოლის დირექტორი, ხოლო 18 დირექტორის მოადგილე.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი სქესობრივი საკითხები გამოკითხული 46 რესპოდენტიდან ცნობილი იყო 29-სთვის, ნაწილობრივ ცნობილი 11-სთვის, ხოლო უცნობი 6-სთვის.

მიღებული შედეგები გვაფიქრებინებს, რომ სქესობრივი აღზრდის საკითხები ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნაკლებ ინტერესს იწვევს სკოლის დირექციისთვის და მათთვის პრიორიტეტული სხვა საკითხებია. თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორები და მათი მოადგილეები ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის დოკუმენტს, რათა შეძლონ ხარისხიანი სასწავლო პროცესის ორგანიზება.

კითხვაზე, თუ რამდენად საკმარისია ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებული სქესობრივი საკითხების სწავლება მოსწავლეებისთვის, 17 მოპასუხე თვლის, რომ

საკმარისია, 16 თვლის, რომ ნაწილობრივ საკმარისია, 5 - არ არის საკმარისი, ხოლო 8 რესპოდენტს უჭირს პასუხის გაცემა.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა სკოლების დირექციები დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ ეროვნულ სასწავლო გეგმაში სქესობრივ საკითხებს, მაგრამ, ამავდროულად, თვლიან, რომ დღევანდელი საზოგადოებისთვის და მოსწავლეებისთვის, ეს არ არის საკმარისი და როგორც სხვა მრავალ სფეროში, აქაც საჭიროა ცვლილებების შეტანა და თანამედროვე მოთხოვნებისთვის ფეხის აწყობა.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში სქესობრივი განათლების მიზნები 0 რესპოდენტისთვის მიუღებელია, 14 რესპოდენტისთვის ნაწილობრივ მისაღები, 25 რესპოდენტისთვის მისაღები, ხოლო 7 რესპოდენტს უჭირს პასუხის გაცემა.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში სქესობრივი საკითხები საკმაოდ დაბალ დონეზე ისწავლება და ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც შეტანილი სავალდებულო საკითხები ბევრად ჩამოუვარდება ევროპის ქვეყნების მინიმალურ მოთხოვნებს, კითხვაზე მიღებული შედეგები ნაკლებ მოსალოდნელი იყო. 14 რესპოდენტი აღნიშნავს, რომ ის მინიმალური განათლება რასაც სახელმწიფო მოითხოვს, მათთვის ნაწილობრივ მისაღებია, ალბათ, თვლის რომ გარკვეულ დონეზე საჭიროა ამ ცოდნის მიღება, მაგრამ არა იმ დოზით, როგორც ეს შეტანილია ესგ-ში. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლების დირექციებს შესაძლოა სხვადასხვაგვარი მოსაზრება ჰქონდეთ, მაგრამ ესგ-თი გათვლილი სქესობრივი საკითხების სწავლების მიზნები გამოკითხულთაგან მიუღებელი არავისთვის აღმოჩნდა, რაც შეიძლება მივიჩნიოთ სასკოლო საზოგადოების პროგრესად.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგები 0 რესპოდენტისთვის მიუღებელია, 16 რესპოდენტისთვის ნაწილობრივ მისაღები, 23 რესპოდენტისთვის მისაღები, ხოლო პასუხის გაცემა უჭირს 7 რესპოდენტს.

შედეგებზე დაყრდნობით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა სოციუმი ეწინააღმდეგებოდეს სქესობრივი საკითხების სწავლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მაგრამ სასკოლო საზოგადოების მმართველი რგოლი თვლის, რომ

ესგ-ით გათვალისწინებული შედეგები უფრო მეტად მისაღები და საჭიროა, ვიდრე მიუღებელი.

კითხვაზე, სქესობრივ საკითხებთან მიმართებით თუ რამდენად შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებში არსებული მასალები, 2 გამოკითხული თვლის, რომ არ შეესაბამება, 26 - ნაწილობრივ შეესაბამება, 12 - შეესაბამება, ხოლო 6 რესპოდენტს უჭირს პასუხის გაცემა.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რაკი გამოკითხულთა ნახევარზე მეტი არ მიიჩნევს, რომ შეესაბამება, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოები გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებს, რათა სრული თანხვედრა ჰქონდეს ესგ-სთან.

კითხვაზე, რეალურად ისწავლება თუ არა სქესობრივი საკითხები სკოლაში, 7 მოპასუხე ამბობს, რომ არ ისწავლება, 17 ნაწილობრივ, ხოლო 22 - ისწავლება.

ამ კითხვის შედეგებიც მიგვითითებს არსებულ პრობლემაზე. დაუშვებელია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა და ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებდეს საკითხებს და ავალდებულებდეს სკოლებს მათ სწავლებას, ხოლო რეალურად ეს არ ხორციელდებოდეს, ეს მიგვანიშნებს სოციუმში არსებულ სტერეოტიპებზე, მასწავლებელთა მზაობის პრობ-ლემებსა და სხვა.

სქესობრივი საკითხების სწავლებაში სკოლის სამედიცინო პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით 10-მა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ არ არის ჩართული, 18-მა - ნაწილობრივ, 18-მა - ჩართული.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში სამედიცინო პერსონალი აქტიურადაა ჩართული ამ საკითხების სწავლებაში. უმჯობესია, რომ საქართველოშიც დაინერგოს ეს პრაქტიკა და უფრო მეტი კომპეტენტური ადამიანი ჩაერთოს სწავლების პროცესში.

დირექციის გამოკითხვით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სკოლების დირექციები მიიჩნევენ, რომ სქესობრივი განათლება ნაკლებ პრიორიტე-ტულია თანამედროვე ქართულ სკოლებში. აგრეთვე აზრთა სხვადასხვაობაა სქესობრივი განათლების მიზნებთან და შედეგებთან მიმართებით, ზოგი მას საკმარისად მიიჩნევს, ზოგი კი ცვლილებების საჭიროებას აღიარებს. ასევე გამოიკვეთა პრობლემა, რომ სკოლების ნაწილი რეალურად არ ასწავლის სქესობრივი განათლების საკითხებს და

ის მინიმუმიც არ სრულდება რაც სახელმწიფოს აქვს განსაზღვრული. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლების დირექციები მიღებული პასუხებიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად მზად არიან გარკვეული ცვლილებებისთვის.

მასწავლებელთათვის განკუთვნილი კითხვარი შეავსო 76-მა რესპოდენტმა. რომელთაგანაც ყველაზე მეტი, 19 ასწავლის ბიოლოგიას, 14 - სამოქალაქო განათლებას, 7 - ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, 6 - ქართული ენა და ლიტერატურა, 6 - უცხო ენა, 5 - ბუნებისმეტყველება, 5 - მათემატიკა, 5 - ისტორია, 5 - სპორტი, 2 - გეოგრაფია, 2 - ქიმია.

კითხვაზე გამოხატავენ თუ არა მოსწავლეები ინტერესს სქესობრივ საკითხებთან დაკავშირებით, 11 მასწავლებელი პასუხობს, რომ არა, 24 - ნაწილობრივ, 35 - დიახ, ხოლო პასუხის გაცემა უჭირს 6 მასწავლებელს.

შედეგებიდან ცხადია, რომ ეს საკითხები მოსწავლეებისთვის საინტერესოა და ისინი წინა წლებთან შედარებით „ბედავენ“ და მასწავლებლებს უსვამენ კითხვებს და გამოხატავენ ინტერესს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი სქესობრივი განათლების საკითხები არ არის ცნობილი 20 მასწავლებლისთვის, ნაწილობრივ ცნობილია 26 მასწავლებლისთვის, ცნობილია 30 მასწავლებლისთვის.

სავარაუდოა, ასეთი მაჩვენებელი იმიტომ გვაქვს, რომ უმეტესად, ამ საკითხებს ეცნობიან ბიოლოგიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები, რადგან ამ საგნების სახელმძღვანელოები შეიცავს სქესობრივი განათლების საკითხებს. ამის გათვალისწინებით კი, საკმაოდ კარგი შედეგი გვაქვს.

კითხვაზე თუ რამდენად საკმარისია ესგ-ში არსებული სქესობრივი საკითხების სწავლება მოსწავლეებისთვის, 7 მასწავლებელი თვლის, რომ არ არის საკმარისი, 23 - ნაწილობრივ საკმარისია, 20 - საკმარისია, 26 - უჭირს პასუხის გაცემა.

მასწავლებლებს შორის აზრთა სხვადასხვაობა შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ ისინი ასწავლიან სხვადასხვა საგანს, სხვადასხვა პედაგოგიური გამოცდილება აქვთ და ერთნაირად არ იცნობენ ესგ-ის ჩვენთვის საინტერესო ნაწილს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლები მზაობას გამოხატავენ ცვლილებისთვის და თემატიკის გაფართოებისთვის.

სქესობრივი განათლების საკითხების ესგ-ით გათვალისწინებული მიზნები მიუღებელია 1 რესპოდენტისთვის, ნაწილობრივ მისაღებია 14 პედაგოგისთვის, მისაღებია 35 პედაგოგისთვის, ხოლო 26 - უჭირს პასუხის გაცემა.

შედეგები მიუთითებს პედაგოგების გარკვეულ მზაობას, მიმდებლობას და პოზიტიურ დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხების სწავლების მიზნებთან მიმართებით.

რაც შეეხება ესგ-ით გათვალისწინებულ შედეგებს აქაც მსგავსი შედეგებია. მიუღებელია 1 მასწავლებლისთვის, ნაწილობრივ მისაღებია 17 მასწავლებლისთვის, მისაღები - 33 მასწავლებლისთვის, პასუხის გაცემა უჭირს - 25 მასწავლებელს.

შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მასწავლებლების დიდმა ნაწილმა გაიაზრა სქესობრივი საკითხების სწავლების დადებითი გავლენა და შედეგები მოსწავლეების აღზრდაში.

კითხვაზე, თუ რამდენად შეესაბამება გრიფირებული სახელმძღვანელოების თემატიკა ესგ-ით განსაზღვრულ საკითხებს, 4 რესპოდენტი თვლის, რომ არ შეესაბამება, 14 - ნაწილობრივ შეესაბამება, 29 - შეესაბამება, ხოლო 29 - უჭირს პასუხის გაცემა.

მიღებული შედეგი გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა გარკვეული დოზით აცდენას ხედავს სახელმძღვანელოებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას შორის და აღიარებს ცვლილებების საჭიროებას.

რეალურად ასწავლიან თუ არა მოსწავლეებს გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს 6 პედაგოგი პასუხობს, რომ არა, 20 - ნაწილობრივ, 18 - ასწავლის, 32 - საგანი არ მოიცავს სქესობრივ საკითხებს.

მიღებული პასუხები გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებლებს გარკვეული სირთულეები აქვთ სწავლების პროცესში. საკითხების მიზნები და შედეგები პედაგოგთა დიდი ნაწილის-თვის არ იყო მიუღებელი, ხოლო მეორე მხრივ, 6 მასწავლებელი არ ასწავლის აღნიშნულ საკითხებს, რაც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მათ ერიდებათ ამაზე საუბარი, გრძნობენ უხერხულობას, არ არიან მზად აღნიშნულ თემებზე ღიად ისაუბრონ, არ აქვთ გავლილი სათანადო ტრენინგები და ა.შ.

მოსწავლეებთან სქესობრივი აღზრდის საკითხებზე საუბრისას უხერხულობას გრძნობს 18 მასწავლებელი, ნაწილობრივ - 24 მასწავლებელი, ხოლო არ გრძნობს უხერხულობას 34 მასწავლებელი.

ვფიქრობთ, საკმაოდ კარგი სტატისტიკაა, რადგან ამ საკითხებზე საუბარს სჭირდება მზაობა და ღიაობა. უხერხულობა კი ნდობას ნაკლებად გააღვიძებს მოსწავლეებში. ეს შედეგი, შესაძლოა, განპირობებული იყოს იმითაც, რომ დღესდღეობით ბევრი ახალგაზრდა მასწავლებელი დასაქმდა სკოლებში და მათ აქვთ განსხვავებული შეხედულებები, აზრები და ასაკობრივადაც უფრო მეტად არიან დაახლოებული თავიანთ მოსწავლეებთან.

კითხვაზე თუ რამდენად ჩართულია სკოლის სამედიცინო პერსონალი სქესობრივი საკითხების სწავლებაში, 10 მასწავლებელი აღნიშნავს, რომ - არა, 27 - ნაწილობრივ, 16 - ჩართულია, 23 მასწავლებელს კი უჭირს პასუხის დაფიქსირება.

დირექტორების მიერ გაცემული პასუხიც და მასწავლებლების მიერ დაფიქსირებული შედეგიც ცხადყოფს, რომ უფრო მეტი ფუნქცია უნდა დაეკისროს სამედიცინო განათლების მქონე პირებს სკოლაში ამ საკითხებზე საუბრისას და უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში, რადგან ყველაზე მეტად კომპეტენტურნი ისინი არიან.

ჩატარებულ გამოკითხვაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დირექცია ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს სქესობრივი საკითხების სწავლებას, თუმცაღა მეტ-ნაკლებად, მზად არიან გარკვეული ცვლილებებისთვის. მასწავლებლების გამოკითხვამ უკეთესი შედეგები აჩვენა. ისინი უმეტესად ხსნიან გაკვეთილებს, რომლებიც აღნიშნულ საკითხებს ეხება და ნაკლებად გრძნობენ უხერხულობას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემები არ არის სწავლებისას, რადგან მასწავლებლებს სჭირდებათ გადამზადება და უხერხულობის დაძლევა, როდესაც საუბრობენ სკოლის მოსწავლეებისთვის საჭირო და საინტერესო თემატიკაზე. პედაგოგებიც და დირექციაც გახსნილები და ღიაები არიან სხვადასხვა ცვლილებისთვის, რაც მისასალმებელია და სახელმწიფოს აძლევს საშუალებას შემდგომი მოსწავლეებისთვის საჭირო ცვლილებები უფრო მარტივად და უმტკივნეულოდ განახორციელოს.

დასკვნები და რეკომენდაციები: წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ჩვენ მიმოვიხილეთ ეროვნული სასწავლო გეგმა, გავეცანით სქესობრივი განათლების თემატიკას ევრო-პული ქვეყნებისთვის და ვიკვლიეთ დირექციისა და მასწავლებლების დამოკიდებულება და მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ

ქართულ განათლების სისტემაში სქესობრივი და სექსუალური განათლება ძალიან მცირე დოზითაა შეტანილი სახელმწიფო დოკუმენტებში და უმეტესად მოიცავს საბაზო საფეხურს და ძირითადად ისწავლება 2 საგანში - ბიოლოგიასა და სამოქალაქო განათლებაში. დაწყებით და საშუალო საფეხურზე რატომღაც სქესობრივი განათლების მრავალფეროვანი საკითხები, როგორცაა გენდერი, უსაფრთხოება, ძალადობა, ძალადობისგან თავდაცვა, პირადი სივრცის დაცვა და სხვა ნაკლებადაა შეტანილი სახელმწიფო დოკუმენტებში (ეროვნული სასწავლო გეგმა, კანონი ზოგადი განათლების შესახებ და სხვა). ჯანმრთელი ცხოვრების წესის სწავლება კი შემოიფარგლება მხოლოდ მავნე ჩვევებზე ყურადღების გამახვილებით, როგორცაა თამბაქოსა და ნარკოტიკების მოხმარება. ბიოლოგიის საგანი კი მხოლოდ ანატომიისა და სასქესო ორგანოების ფუნქციათა სწავლებით შემოიფარგლება, რაც ნამდვილად არ არის საკმარისი დღევანდელი, ტექნოლოგიების ეპოქის მოსწავლეებისთვის. აგრეთვე არასაკმარისია სამო-ქალაქო განათლებაში ნაადრევი ქორწინების, ნაადრევი ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების თემატიკით შემოფარგვლა. მოსწავლეებმა გაცილებით მეტი უნდა იცოდნენ საკუთარ სხეულსა და უფლებებზე, ვიდრე სთავაზობს ჩვენი სახელმწიფო, რადგან ქვეყანაში ისევ არის პედოფილიის, არასრულწლოვანთა ორსულობის, სექსუალური ძალადობის თუ სხვა მსგავს დანაშაულთა არც თუ ცოტა შემთხვევა.

მოსწავლეები მთელი დღის ნახევარს სკოლაში ატარებენ და მათთან ახლო კავშირი აქვს მასწავლებლებს. შეიძლება ითქვას, რომ მშობელთა გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო მასწავლებელი უფრო მეტად ამჩნევს ბავშვის საჭიროებებს, ვიდრე მშობელი. დირექცია და მასწავლებელი განათლების სისტემის ის რგოლებია, რომლებსაც პირდაპირი და ახლო კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან და ინტენსიურად ზრუნავენ მათ აღზრდასა და განვითარებაზე. კვლევის შედეგები კი აჩვენებს, რომ სასკოლო საზოგადოება (დირექცია და მასწავლებლები) მეტ-ნაკლებად მზად არის და აღიარებს ცვლილებების საჭიროებას, მათ შორის ისეთი მგრძნობიარე საკითხის მიმართ, როგორც სქესობრივი განათლება. კვლევამ აჩვენა, რომ არის გარკვეული ხარვეზები, მაგალითად, ზოგიერთ სკოლაში რეალურად არ ისწავლება აეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სქესობრივი საკითხები, ზოგჯერ მასწავლებლები უხერხულობას

გრძნობენ საუბრისას, თუმცა ეს ყველაფერი მოგვარდება, თუ კი მასწავლებლებს სახელმწიფოს მხრიდან ექნებათ მხარდაჭერა.

პრობლემების აღმოსაფხვრელად ალბათ, უკეთესი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის გადახედვა და საკითხების გაფართოება, გრიფირებული სახელმძღვანელოების გადახედვა და თემატიკის გამრავალფეროვნება, მასწავლებელთა გადამზადება და ტრენინგების ჩატარება, რათა გაუადვილდეთ საკითხების ახსნა და იყვნენ თავდაჯერებულნი, სოციუმის ცნობიერების დონის ამაღლებაზე მუშაობა მედია საშუალებების დახმარებით, ჯანდაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა და მხარდაჭერა ცვლილებებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ პროცესებში აქტიურად ჩაერთოს სკოლის სამედიცინო პერსონალი, ექიმები, ექთანები, საყურადღებოა, რომ განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებმა კვლევის საფუძველზე კიდევ ერთხელ გადახედონ მათ ფუნქციებს და საჭიროების მიხედვით გაზარდონ მათი ფუნქცია-მოვალეობები მოსწავლეთა სქესობრივი განათლების საკითხებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროცესების წარმატებით და შედეგიანად წარმართვისთვის ყველაზე მეტად საჭიროა მჭიდრო კომუნიკაცია მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს, დირექციას, სამედიცინო პერსონალსა და განათლების სამინისტროს შორის.

აღსანიშნავია ისიც, რომ საინტერესოა სოციუმის დამოკიდებულების კვლევა სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებით და ზოგადი სურათის წარმოჩენა.

ლიტერატურა:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018-2024). ეროვნული სასწავლო გეგმა. Retrieved from http://ncp.ge/files/ESG/NC%202018_024/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98.pdf

სურმანიძე, რ. (2016). *ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი აღზრდის საფუძველები*.

ჯანაშია, ს. (2010, 08 01). განათლების რეფორმის ხუთი წელი. Retrieved from <https://tabula.ge/ge/news/540624-ganatilebis-reformis-khuti-celi>

- NATIONAL SEX EDUCATION STANDARDS*. (2020). Retrieved from <https://advocatesforyouth.org/wp-content/uploads/2020/03/NSES-2020-web.pdf>
- Picken, N. (2020). *Sexuality, education across the European Union: an overview*. Retrieved from <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/5724b7d8-764f-11eb-9ac9-01aa75ed71a1/language-en>
- Sex and Relationship Education Guidance. (2000). Retrieved from <https://www.education-uk.org/documents/dfee/2000-sex-education.pdf>
- Sex education for youths. (1999). Retrieved from https://healtheducationresources.unesco.org/sites/default/files/resources/bie_sex_education_youths_bzga.pdf
- Standards for sexuality education in europe. (2010). Retrieved from https://www.bzga-whocc.de/fileadmin/user_upload/BZgA_Standards_English.pdf

Ana Okropiridze

Batumi Shota Rustaveli State university
e-mail: ana.okro8@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.21>

SJIF 2024: 8.268

Sex Education in Georgia

Abstract:

Today, humanity lives in a very rapidly changing world. Education, which shapes the child as a person and prepares him for life, should contribute to the student's all-round development and development of skills as much as possible. One of the principles of harmonious upbringing is physical education and health care, and these topics include issues of sex education. A modern student has access to various types of information through the Internet. They are driven by curiosity. In the process of this search, they may come across articles on sex education issues, inappropriate video clips, and etc. There is a danger that they receive this information inappropriately and uncritically for their age, which can harm their health and form wrong views.

In Georgia, less attention is paid to sex education in schools, although compared to previous years, the state saw the need for this education and included it in a small dose in the national curriculum. It should also be noted that this is not enough. Modern requirements of sex education include awareness and knowledge transfer about sexual health, hygiene, physiology, age characteristics, violence and sexual violence, harassment, gender, sexually transmitted diseases

and their protection, venereal diseases, problems related to early marriage, identification of violence. It is important that students should be provided with scientific, systematic and consistent information regarding the issues listed above.

Within the framework of the article, the document of the national curriculum in relation to sex education is discussed. Attention is focused on the policy of the Ministry of Education of Georgia regarding the mentioned issue. In which subjects and in what dosage is their teaching provided, which issues are specifically emphasized, in which classes, and etc.

In this paper, we will review the current, third-generation national curriculum from the point of view of sex education issues, we will substantiate the importance of modern requirements and analyze their consideration in the National curriculum. At the same time, we will determine the attitude of the school personnel (directorates, teachers) towards the achievable results determined in terms of sex education in the National curriculum.

Purpose - The purpose of the study is to determine the extent to which sex education issues are presented in the national curriculum and to what extent it is in compliance with modern requirements.

Hypothesis - issues of sex education provided by the national curriculum do not meet modern requirements.

This paper will be valuable to educational researchers, teachers, universities and schools.

Key words: sex education, national curriculum

რეგენზენტი: პროფესორი რეზო ბალანჩივაძე

პედაგოგია Pedagogic

სწავლება ქეის მეთოდით

ნინო ჭოხონელიძე, ნინო ყანჩელი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nino.tchokhonelidze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.22>

SJIF 2024: 8.268

ქეისებით სწავლება არის სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური ან სოციალური ასპექტების სიღრმისეული ანალიზი. ქეისი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას, რომელიც დაკვირვების, ინტერვიუების და ჩანაწერების მოძიების შედეგად სრულყოფილ სახეს იღებს. ქეისებით სწავლების მიზანია გამოავლინოს რეალურ ცხოვრებაში არსებული სიტუაციების სირთულეები, რომლებსაც სტუდენტები აწყდებიან. ეს ქეის მეთოდს საგანმანათლებლო კვლევის ღირებულ ინსტრუმენტად აქცევს. პედაგოგები და მკვლევარები იყენებენ ამ კვლევებს სასწავლო გარემოს გაუმჯობესების სტრატეგიების შესამუშავებლად. გარდა ამისა, ქეისების განხილვა საშუალებას აძლევს სტუდენტებს წარმოაჩინონ განსჯის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარები. ქეისებით სწავლება მოიცავს რეალური სამყაროს გამოწვევებს. ის ასწავლის სტუდენტებს, თუ როგორ გაუმკლავდნენ მომავალ კარიერასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ქეისებით სწავლება სასარგებლოა არა მხოლოდ განათლების სფეროში, არამედ ბიზნესში, პოლიტიკაში და სხვა სფეროებში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას.

საკვანძო სიტყვები: ქეის მეთოდი, სწავლების პრობლემები

ქეისებით სწავლება არის სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური ან სოციალური ასპექტების სიღრმისეული ანალიზი. ქეისი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას, რომელიც დაკვირვების, ინტერვიუების და ჩანაწერების მოძიების შედეგად სრულყოფილ სახეს იღებს. ქეისებით სწავლების მიზანია გამოავლინოს რეალურ ცხოვრებაში არსებული სიტუაციების სირთულეები, რომლებსაც სტუდენტები აწყდებიან. ეს ქეის მეთოდს საგანმანათლებლო კვლევის ღირებულ ინსტრუმენტად აქცევს. პედაგოგები და მკვლევარები იყენებენ ამ კვლევებს სასწავლო გარემოს გაუმჯობესების სტრატეგიების შესამუშავებლად. გარდა ამისა, ქეისების განხილვა საშუალებას აძლევს სტუდენტებს წარმოაჩინონ განსჯის,

კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარები. ქეისებით სწავლება მოიცავს რეალური სამყაროს გამოწვევებს. ის ასწავლის სტუდენტებს, თუ როგორ გაუმკლავდნენ მომავალ კარიერასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ქეისებით სწავლება სასარგებლოა არა მხოლოდ განათლების სფეროში, არამედ ბიზნესში, პოლიტიკაში და სხვა სფეროებში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას.

ქეისის შესწავლის მიზნებია:

1. სწავლა და გაანალიზება:
 - გავაღრმავოთ სტუდენტების ცოდნა და დავეხმაროთ მათ კონკრეტული კონცეფციის, თეორიის ან თემის გაანალიზებაში.
 - თეორიული ცოდნის, რეალური კონტექსტისა და პრაქტიკული აპლიკაციებით უზრუნველყოფა.
2. პრობლემის გადაჭრის უნარები:
 - გავაძლიეროთ სტუდენტთა კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრის უნარი რთული საკითხების ან სცენარების ანალიზით.
 - წავახალისოთ სტუდენტები გამოიყენონ თავიანთი ცოდნა რეალურ სიტუაციებში და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
3. კვლევა და ანალიზი:
 - განვავითაროთ სტუდენტთა კვლევის უნარები, მათ შორის მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და ინფორმაციის საფუძველზე მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის უნარი.
 - დავეხმაროთ სტუდენტებს მონაცემთა ინტერპრეტაციისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ანალიტიკური უნარების გაუმჯობესებაში.
4. კომუნიკაციის უნარები:
 - გავაუმჯობესოთ წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, რათა სტუდენტებმა შეძლონ თავიანთი დასკვნების მკაფიოდ, ორგანიზებულად და თანმიმდევრულად წარმოდგენა.
 - დავეხმაროთ სტუდენტებს გააძლიერონ რთული იდეების ეფექტური კომუნიკაციის უნარი როგორც აკადემიურ, ისე არაკადემიურ აუდიტორიასთან.
5. ეთიკური მოსაზრებები:
 - ხელი შევუწყოთ კვლევასა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხების ცნობიერების ამაღლებას, როგორცაა მონაწილეთა უფლებები, კონფიდენციალურობა და პასუხისმგებლიანი ქცევა.
6. ინტერდისციპლინური სწავლება:
 - წავახალისოთ დისციპლინური ან ინტერდისციპლინური აზროვნება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ ცოდნა მრავალი სფეროდან პრობლემის ან მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად.
7. პროფესიული განვითარება:
 - მოვამზადოთ სტუდენტები მომავალი კარიერისთვის რეალურ სამყაროში არსებული სიტუაციებისა და გამოწვევების გამოვლენით, რომლებსაც ისინი შესაძლოა წააწყდნენ მათ მიერ არჩეულ პროფესიაში.

- განვავითაროთ პროფესიული უნარები სტუდენტებში, როგორცაა გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი და პროექტის მენეჯმენტი.
8. რეფლექსია და თვითშეფასება:
- ხელი შევუწყოთ სტუდენტებს დაფიქრდნენ თავიანთ სწავლაზე და შეაფასონ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები კვლევისა და ანალიზის დროს.
 - გავაღვივოთ სტუდენტებში თვითშეფასების და მუდმივი პროგრესის ვალდებულება.
9. ინოვაციის ხელშეწყობა:
- ჩამოვაცალიოთ კრეატიული და ინოვაციური მიდგომა რთულ პრობლემებსა და გამოწვევებთან გამკლავებისთვის.
 - წავახალისოთ სტუდენტებში თავისუფალი აზროვნება.
10. პორტფოლიოს შექმნა:
- მივაწოდოთ სტუდენტებს ხელშესახები მტკიცებულებები მათი აკადემიური პროგრესის შესახებ. (2).

როგორ დავგეგმოთ ქეისებით სწავლების პროცესი:

1. აირჩიეთ თემა, რომელიც შეესაბამება თქვენს კურსს და საინტერესოა თქვენი აუდიტორიისთვის. ის უნდა იყოს კონკრეტულ საკითხზე ორიენტირებული, ისეთი, რომ სიღრმისეული ანალიზის საშუალებას მოგცემთ.
2. ჩაატარეთ საფუძვლიანი კვლევა, შეაგროვეთ ინფორმაცია სანდო წყაროებიდან, როგორცაა წიგნები, სამეცნიერო სტატიები, ინტერვიუები და ვებსაიტები.
3. მკაფიოდ განსაზღვრეთ პრობლემა ან საკვლევი თემა, რომლის მოგვარებასაც მიზნად ისახავს ქეისის შესწავლა. იყავით კონკრეტული იმ საკითხების შესახებ, რომელთა შესწავლა და ანალიზი გასურთ.
4. სტუდენტებს სიღრმისეულად გააცანით საკვლევი თემა, მიაწოდეთ ძირითადი ინფორმაცია საკვლევი თემის შესახებ, შესაბამისი ისტორიული, სოციალური ან ორგანიზაციული კონტექსტის ჩათვლით. ახსენით, რატომ არის საკვლევი თემა მნიშვნელოვანი და რა ხდის მას უნიკალურს.
5. აღწერეთ გამოყენებული მეთოდები, ახსენით რა მიდგომები გამოიყენეთ მონაცემთა შეგროვებისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს ინტერვიუებს, გამოკითხვებს, დაკვირვებებს ან არსებული დოკუმენტების ანალიზს. დაასაბუთეთ მეთოდების არჩევანი.
6. წარმოადგინეთ მონაცემები და დასკვნები მკაფიოდ და ორგანიზებულად. გამოიყენეთ სქემები, გრაფიკები და ცხრილები, თუ ეს შესაძლებელია. ჩართეთ პირდაპირი ციტატები ინტერვიუებიდან ან სხვა წყაროებიდან თქვენი აზრების გასამყარებლად.
7. გაანალიზეთ მონაცემები და განიხილეთ შაბლონები, ტენდენციები, რომლებსაც აკვირდებით. დაუკავშირეთ თქვენი დასკვნები საკვლევ თემას. გამოიყენეთ შესაბამისი თეორიები ან ცნებები თქვენი ანალიზის მხარდასაჭერად.
8. თუ თქვენი საქმის შესწავლა პრობლემის გარშემო ტრიალებს, შესთავაზეთ პრაქტიკული გადაწყვეტილებები ან რეკომენდაციები თქვენი ანალიზის საფუძველზე.

9. შეაჯამეთ თქვენი საქმის შესწავლის ძირითადი პუნქტები. აღნიშნეთ თემის მნიშვნელობა და წარმოადგინეთ დასკვნები. განიხილეთ თქვენი კვლევის შედეგები უფრო ფართო სფეროსთვის. (1).

ქეისებით სწავლებას შეიძლება ჰქონდეს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ქეისებით სწავლების ერთ-ერთი უდიდესი უპირატესობა არის, ის რომ გამოიკვლიონ ისეთი რამ, რისი გამეორებაც ხშირად ლაბორატორიაში შეუძლებელია, კერძოდ:

- საშუალებას აძლევს სტუდენტებს აღბეჭდონ ინფორმაცია „როგორ“ და „რატომ“ მოხდა ამა თუ იმ საკითხის განხილვა;
- აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას შეაგროვონ ინფორმაცია არჩეული სტრატეგიის უპირატესობაზე;
- საშუალებას აძლევს სტუდენტებს განავითარონ ექსპერიმენტულ კვლევაში გამოსაყენებელი ჰიპოთეზები.

მეორეს მხრივ, ქეისებით სწავლებას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ნაკლი:

- არ შეიძლება მისი ფართო მასაზე განზოგადება;
- არა აქვს მიზეზ-შედეგობრივი მახასიათებელი;
- შეუძლებელია მისი გამყარება მეცნიერული მტკიცებულებებით;
- შეიძლება გამოიწვიოს მიკერძოება.

ქეისის კვლევის სამი ძირითადი, ყველაზე ხშირად გამოყენებული, ტიპი არის დეტალური, ინსტრუმენტული და კოლექტიური. საქმის დეტალური კვლევა გამოსადეგია უნიკალური შემთხვევების შესასწავლად. ქეისის დეტალური კვლევა ეხმარება ინდივიდს საკითხზე უფრო მრავლისმომცველი ინფორმაციის მოპოვებაში. ქეისის კოლექტიური კვლევა გამოსადეგია რამდენიმე საკითხის ერთდროულად განხილვის შემთხვევაში. ქეისის კვლევის ტიპი, რომელსაც ფსიქოლოგიის მკვლევარები იყენებენ, დამოკიდებულია სიტუაციისა და თავად შემთხვევის უნიკალურ მახასიათებლებზე.

არსებობს მრავალი განსხვავებული წყარო და მეთოდი, რომლებიც შეიძლება გამოიყენებულ იქნას ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. ქვემოთ მოცემულია მკვლევარების მიერ გამოვლენილი ექვსი ძირითადი წყარო:

- საარქივო ჩანაწერები: აღწერის ჩანაწერები, კვლევის ჩანაწერები და სახელების სიები საარქივო ჩანაწერების მაგალითებია.
- პირდაპირი დაკვირვება: ეს სტრატეგია მოიცავს საგანზე დაკვირვებას, ხშირად ბუნებრივ გარემოში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გამოიყენება ინდივიდუალური დამკვირვებელი, უფრო ხშირია დამკვირვებელთა ჯგუფის გამოყენება.
- დოკუმენტები: წერილები, საგაზეთო სტატიები, ადმინისტრაციული ჩანაწერები და ა.შ. არის დოკუმენტების სახეები, რომლებიც ხშირად გამოიყენება წყაროდ.
- ინტერვიუები: საქმის შესწავლის პროცესში ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდი არის ინტერვიუ. ინტერვიუ შეიძლება მოიცავდეს გამოკითხვის ჩასატარებლად საჭირო სტრუქტურირებულ ან ღია კითხვებს.

- მონაწილეთა დაკვირვება: მკვლევარი, რომელიც გვესახება მოვლენებში მონაწილე პირად და აკვირდება მოქმედებებსა და შედეგებს, ეწოდება მონაწილეთა დამკვირვებელი.
- ფიზიკური არტეფაქტები: ხელსაწყოები, საგნები, ინსტრუმენტები და სხვა არტეფაქტები ხშირად ექცევა ყურადღების ეპიცენტრში საგანზე უშუალო დაკვირვების დროს. (5).

ამრიგად, ქეისებით სწავლება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურობის ზრდას, სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და კოგნიტური უნარების განვითარებას. ქეისებით სწავლება არის მეთოდი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია პრობლემის გადაჭრამდე გადადგმული ნაბიჯების ანალიზი და შეფასება. ამ მეთოდით მუშაობის დროს სტუდენტები აკეთებენ თანმიმდევრულ ჩანაწერებს პრობლემის გადასაჭრელად ჩატარებული სამუშაოს შესახებ. ეს მეთოდი ორიენტირებულია უფრო პროცესზე და არა შედეგზე.

ლიტერატურა:

1. https://www.examples.com/business/student-case-study.html#google_vignette
2. <https://www.verywellmind.com/how-to-write-a-psychology-case-study-2795722>
3. Crowe S, Cresswell K, Robertson A, Huby G, Avery A, Sheikh A. The case study approach. *BMC Med Res Methodol.* 2011;11:100.
4. Gagnon, Yves-Chantal. *The Case Study as Research Method: A Practical Handbook.* Canada, Chicago Review Press Incorporated DBA Independent Pub Group, 2010.
5. Yin, Robert K. *Case Study Research and Applications: Design and Methods.* United States, SAGE Publications, 2017.

Nino Tchokhanelidze, Nino Kancheli

Akaki Tsereteli State University

e-mail: nino.tchokhanelidze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.22>

SJIF 2024: **8.268**

Teaching by Means of Case Study

Abstract

Case study is an in-depth analysis of various educational, psychological or social aspects by a student or a group of students. A case study involves gathering detailed information that builds a complete picture through observations, interviews, and review of records. The purpose of case studies is to bring out the complexities of real-life situations that students face. This makes a method of case study a valuable tool for educational research. Case-based learning is process-oriented rather than outcome-oriented. Educators and researchers use this method to develop strategies for improving the learning environment. In addition, case studies allow students to demonstrate their judgmental, critical and analytical thinking skills. Case-based learning involves real-world challenges. It teaches students how to deal with the challenges of their future careers. Case studies are useful not only in education, but also in business, politics, and other field when handling important issues.

Key words: Case study, problems of teaching

რეცენზენტი: პროფესორი იან აიდუკოვიჩი

სწავლების მეთოდოლოგია

Methodic of Teaching

რიცხვითი სახელის სწავლება სკოლაში

ლეილა აბზიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: leila.abzianidze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.23>

SJIF 2024: 8.268

ნაშრომში განხილულია რიცხვითი სახელის რაობის სწავლება, რიცხვითი სახელის აღნაგობის სწავლება და რიცხვით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხების სწავლება. მასალა ეყრდნობა სკოლაში ჩატარებულ კვლევას, რომლის წარმართვამაც მეცნიერთან ერთად მონაწილეობდნენ სტუდენტებიც.

საკვანძო სიტყვები: რიცხვითი სახელი, რიცხვითი სახელის აღნაგობა, მართლწერის საკითხები

§ 1. რიცხვითი სახელის რაობის სწავლება

რიცხვითი სახელის რაობის შესწავლას უნდა წარემძღვაროს დაწყებით კლასებში შესწავლილი მასალის განმეორება. ამისათვის განვლილი ლიტერატურული მასალიდან უნდა შევარჩიოთ ტექსტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რიცხვითი სახელის ყოველი ჯგუფი. ტექსტის ანალიზისას ყურადღება გამახვილდება რაოდენობით რიცხვით სახელებზე: გაირკვევა რას აღნიშნავს, რა კითხვებზე უპასუხებს, წინადადებაში რას უკავშირდება. მოსწავლეებს აქვე მიეცემა რიცხვითი სახელის ნაწილობრივი განსაზღვრა: "რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვას გრამატიკაში რიცხვითი სახელი ეწოდება: ასევე გაირჩევა სხვა რიცხვითი სახელებიც. მაგ. ბევრი, ცოტა, მრავალი, უპასუხებს კითხვაზე "რამდენი?", უკავშირდება არსებითი სახელით გამოხატულ წევრს და აღნიშნავს რაოდენობას, მაგრამ არა გარკვეულს, არამედ გაურკვეველს. პირველი, მეორე, მესამე - გვიჩვენებს რიგს, ხოლო მეოთხედი - ნაწილს.

ტექსტში მოცემულ რიცხვით სახელთა ასეთი გარჩევისა და მათი ერთგვარი წინასწარი დაჯგუფების შემდეგ მოსწავლეებს ეძლევა რიცხვითი სახელის განსაზღვრა:

"რიცხვითი სახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს მთელთან მიმართებით".

თითოეული ჯგუფის გარკვევისა და განსაზღვრის მიცემის შემდეგ გავაცნობთ ტერმინებს "რაოდენობითი", "რიგობითი", "წილობითი". რაოდენობითი თავის მხრივ ორ ჯგუფად უნდა გაიყოს: "გარკვეული", "გაურკვეველი".

ცოდნის განსამტკიცებლად საჭიროა ვარჯიშობა, რიცხვითი სახელის შემცველი ტექსტის ანალიზი, ნიმუშების დასასახელება მოსწავლეთა მიერ, რაოდენობითი რიცხვითი სახელის გადაკეთება რიგობითად და სხვ.

ჩვეულებრივ გავრცელებულია ამა თუ იმ ჯგუფის რიცხვითი სახელის ამოსაცნობად კითხვების გამოყენება. ეს კარგი ხერხია, მაგრამ არა ყოველთვის საიმედო. ზოგჯერ ერთი და იგივე კითხვა სხვადასხვა ჯგუფის რიცხვით სახელს დაესმის (რამდენი?), ზოგჯერ კი სხვა მეტყველების ნაწილის კითხვას იშველიებს (რომელი?). ასე რომ, მხოლოდ კითხვების მიხედვით რიცხვითი სახელის ჯგუფის გარკვევა ყოველთვის საიმედო არ შეიძლება იყოს. მთავარია, მოსწავლე დავაუფლოთ რიცხვითი სახელების შინაარსობრივ ამოცნობას;

შესწავლილის შეჯამების მიზნით შეიძლება შედგეს სპეციალური ტაბულა:

ჯგუფები შინაარსის მიხედვით	რა კითხვა დაესმის	ნიმუში
რაოდენობითი რიცხვითი სახელი	რამდენი?	ხუთი, ცხრა, ბევრი
რიგობითი რიცხვითი სახელი	რომელი?	მესამე, მეორმოცე
წილობითი რიცხვითი სახელი	მერამდენედი?	მესამედი, მეასედი

ასეთი ტაბულის შედგენა, გარდა იმისა, რომ რიცხვით სახელთა ჯგუფებში გარკვევას აზუსტებს და ცოდნას ასისტემებს, ხელს უწყობს რიცხვითი სახელის სხვა მეტყველების ნაწილთაგან გამიჯვნას.

ხშირად მოსწავლეები ერთმანეთში ურევენ რიცხვითი სახელისა და რიცხვითი სახელისაგან წარმოშობილ სხვა მეტყველების ნაწილებს (ორიანი, ხუთჟერ...). შერჩეულ ნიმუშებზე ვარჯიშობით მოსწავლეთათვის გასაგები უნდა გახდეს, რომ ათიანი, ასეული, ხუთიანი, რაოდენობაზე კი არ მიუთითებენ, არამედ საგანზე და უპასუხებენ კითხვაზე რა? ამდენად, ეს სიტყვები არსებითი სახელებია და არა რიცხვითი, მაგრამ ნაწარმოებია რიცხვითი სახელებისაგან.

რიცხვითი სახელის რაობა შესწავლილად ჩაითვლება, თუ მოსწავლე შეძლებს დაახასიათოს რიცხვითი სახელი საერთოდ და ცალკეული ჯგუფი - სათანადო საილუსტრაციო ნიმუშების მოტანით, განასხვავებს მათ სხვა მეტყველების

ნაწილებისაგან. ამასთანავე შეძლებს რომელიმე რიცხვითი სახელისაგან აწარმოოს როგორც სხვა ჯგუფის რიცხვითი სახელი, ისე სხვა მეტყველების ნაწილები და ახერხებს მათ განმასხვავებელ ნიშანთა გარკვევასაც.

§ 2. რიცხვითი სახელის აღნაგობა

აქ რამდენიმე საკითხია განსახილველი:

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელების შედგენილობა;
2. მარტივი და რთული რიცხვითი სახელები;
3. მარტივი და რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან რიგობით რიცხვით სახელთა წარმოება.

რაოდენობითი რიცხვითი სახელების შედგენილობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ათიდან ოცამდე რიცხვების სახელწოდებებზე და ცალკეულ რიცხვით სახელთა ანალიზის საფუძველზე გაირკვეს, როგორაა ისინი მიღებული:

ათ-ერთ-მეტი - თერთმეტი

ათ-სამ-მეტი - ცამეტი

თერთმეტიდან ოცამდე რიცხვით სახელთა შედგენილობის შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს აქ წარმოდგენილ ფონეტიკურ მოვლენებს:

1. **ბგერათდაკარგვა:** ა) იკარგება ა (ათ სიტყვიდან) თერთმეტში, თორმეტში, ცამეტში, თოთხმეტში, თხუთმეტში, და ა.შ.; ბ) იკარგება თანხმოვანი მ (ორი მ-ანის თავმოყრის გამო) სიტყვაში **ცამეტი** (ათ - სამ- მეტი); გ) იკარგება ათ სიტყვა **ცხრამეტში**.

2) **ბგერათგადასმა:** სიტყვაში **თვრამეტი** ადგილი აქვს გადასმას (ათ-რვა-მეტი - თრვამეტი - თვრამეტი).

3) **ბგერათშერწყმას:** ცამეტში $ც = თ + ს$ (ათ-სამ-მეტი - თსამეტი - ცამეტი) და $თ + შ = ჩ$ ჩვიდმეტში.

მარტივი და რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელები: **ორი, ათი, ოცი, ასი** მარტივი რიცხვითი სახელებია, რადგანაც ერთ ფუძეს (**ორ, ათ, ოც**) შეიცავენ, ხოლო **ოცდაათი, სამოცი, ასოცი...** - რთული, რადგანაც ერთზე მეტ ფუძეს შეიცავენ.

მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელები ქართულში მეტად მცირეა. ეს იგივე ძირითადი რიცხვითი სახელებია და ის შეიძლება პირდაპირ დავასწავლოთ მოსწავლეებს.

რიგობით რიცხვით სახელთა წარმოება - რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობითისაგან **მე - ე** მაწარმოებლით, ხოლო წილობითი - რიგობითის ვითარებითი ბრუნვისაგან (სამი - მესამე - მესამედი).

აუცილებელია გაირკვეს, თუ რომელი რიგობითი რიცხვითი სახელი როგორ იწარმოება. ერთგვარია რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება მარტივი

რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან და სხვაგვარია -რთულისაგან. მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან რიგობითი იწარმოება მე-ე აფიქსებით.

ამ საკითხზე საჭიროა მოსწავლეთა საფუძვლიანი ვარჯიშობა. ვარჯიშობა შეიძლება სხვადასხვა სახის იქნეს: ა) გარკვევა ტექსტში მოცემული რიგობითი რიცხვითებისა - როგორი რიცხვითი სახელისაგანაა ნაწარმოები და სად მოუდის მაწარმოებლები; ბ) რთული რიცხვითი სახელებისაგან წარმოება რიგობითი რიცხვითი სახელებისა და პირიქით, რიგობითი სახელების გადაკეთება რაოდენობითად.

რიგობითი სახელებისაგან განკერძოებით დგას **პირველი** და წილობითისაგან - **ნახევარი**, რომლებიც არ ემორჩილებიან რიგობითთა და წილობითთა წარმოების საერთო წესს. **ერთისაგან** რიგობითი რიცხვითი სახელი არის **პირველი**, მაგრამ რთულ რიცხვით სახელებთან იხმარება **მეერთე**.

აქვე უნდა გავაცნოთ რიცხვით სახელთა ფუძეც. ყველა რიცხვითი სახელი თანხმოდანფუძიანია, გამონაკლისია **რვა** და **ცხრა** და მათგან წარმოებული რთული რიცხვითები. თანხმოდანფუძიანი ყველა წილობითი სახელიც. რიგობითი სახელები კი ყველა ხმოდანფუძიანია.

§ 3 მართლწერისათვის

რიგობითი რიცხვითი სახელების სწორად წარმოთქმა და წერა ერთ-ერთი მტკიცუნული საკითხთაგანია საერთოდ და განსაკუთრებით - სკოლაში. არაბული ციფრებით გამოხატვისას ორივე მაწარმოებლის გამოყოფა კი არაა საჭირო, არამედ ერთის. თუ რიგობით სახელს რომაული ციფრებით გამოვხატავთ, მაშინ ის მაწარმოებლებს არ საჭიროებს.

მართლწერის საკითხების შესწავლისას ცოდნის განმტკიცებისა და შეთვისების შემოწმების მიზნით საჭიროა წერითი სავარჯიშოს ჩატარებაც: აღწერა, შინაარსის გადმოცემა, კარნახი. ტექსტში უნდა იყოს ორთოგრამები როგორც რიგობით, ისე წილობით რიცხვით სახელებზე. რიცხვით სახელთა ბრუნების სწავლებისას ყურადღება მხოლოდ რიცხვით სახელთა თავისებურებების შესწავლაზე უნდა გამახვილდეს. ეს თავისებურებანია: 1) რიცხვით სახელებს არა აქვთ წოდებითი ბრუნვის ფორმა; 2) რაოდენობით რიცხვით სახელებს არ გააჩნიათ ებ-იანი მრავლობითი; 3) რიცხვითი სახელი არც თვითონ ღებულობს ებ-იან მრავლობითს და არც რიცხვით სახელთან დაკავშირებული არსებითი სახელი დაისმის ამ მრავლობითში; 4) არსებითმა სახელმა რიცხვითთან ერთად შეიძლება მხოლოდ ნარ/თანიათი მრავლობითი მიიღოს.

რიცხვითი სახელის ამ თავისებურებაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია, რადგანაც მას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ცოდნის

განსამტკიცებლად და მიღებული ცოდნის ჩვევად გადაქცევისათვის საჭიროა ვარჯიშობა.

- 1) სათანადოდ შერჩეული ტექსტის გარჩევა და გარკვევა რიცხვითი და არსებითი სახელის რიცხვში შეთანხმებისა;
- 2) მრავლობითში დასმულ არსებით სახელთა წინ რაოდენობით რიცხვითა მიწერა და ტექსტში სათანადო ცვლილების შეტანა.
- 3) ისეთი მოთხრობის მოკლე შინაარსის გადმოცემა, რომელშიდაც მსაზღვრელად გამოყენებული იქნება რაოდენობითი რიცხვითი სახელები.

ლიტერატურა:

1. თალაკვაძე, მ., ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბილისი: გამომცემლობა განათლება, 1975.
2. კიზირია, ა., რიცხვით სახელთან დაკავშირებული საკითხები, ჟურნალი“კომ. აღზრდას“, #2, 1939, გვ. 43-49.
3. მიქაძე, მ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი, 2024. 420 გვ.
5. ჭეიშვილი, ლ., მოსეავლეთა მეტყველების განვითარება რიცხვითი სახელის სწავლებისას V კლასში, პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის შრ., ტ.17, თბილისი, 1964.

Teaching Numeral in School

Leila Abzianidze

Akaki Tsereteli State University

e-mail: leila.abzianidze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.23>

SJIF 2024: **8.268**

The article deals with the teaching of the numeral, the teaching of the structure of the numeral in Georgian language and teaching of spelling issues related to the numeral. The material is based on the research carried out at the school, in the conduct of which the students participated along with the scientist.

Key words: Numeral, Structure of the numeral, spelling of the numeral

რეცენზენტი: პროფესორი მანანა მიქაძე

სწავლების მეთოდика

Methodic of Teaching

წინადადების წევრთა იდენტიფიკაციის სირთულეები სწავლების პროცესში

ლელა ებგვერაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ORCID: 0009-0002-6646-3035

e-mail: lela.edzgeradze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.24>

SJIF 2024: 8.268

წინადადებაში შემავალი სიტყვების სინტაქსური კვალიფიკაციის საკითხი ქართული ენის სინტაქსის სწავლების მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სირთულეები ვლინდება როგორც წინადადების მთავარი, ისე მეორეხარისხიანი წევრების იდენტიფიცირებისას. ცალკეული პრობლემები სხვადასხვა კონკრეტული მიზეზებითაა განპირობებული, თუმცა ზოგად საფუძვლად ქართული ენის სტრუქტურული სირთულე და საიდენტიფიკაციო ნიშნების მრავალფეროვნება გვევლინება. სამიზნე სიტყვის ფუნქციის იდენტიფიცირებისათვის შემსწავლელს უწევს ერთდროულად გაითვალისწინოს როგორც მორფო-სინტაქსური, ისე სემანტიკური მახასიათებლები, რომლებიც რიგ შემთხვევებში არათვალსაჩინოა, რიგ შემთხვევებში კი ერთმანეთს ეწინააღმდეგება კიდევ.

მოცემულ სტატიაში განვიხილავთ წინადადების მთავარი წევრების (ქვემდებარისა და პირმიმართი დამატებების) იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სირთულეს, რომლებიც სწავლების პროცესის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. მოცემული სირთულეების გამომწვევ მიზეზად რიგ შემთხვევებში გვევლინება ცნებების დეფინიციის არსებული პრაქტიკა. დეფინიციის დროს ხშირ შემთხვევაში აქცენტი გადატანილია სემანტიკურ მახასიათებლებზე და ჩრდილშია მოქცეული მორფო-სინტაქსური ასპექტები. მართალია, როგორც წესი, გრამატიკული მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია არის მოწოდებული, მაგრამ სემანტიკასა და ფორმას შორის მიმართება ხშირად არაერთგვაროვანია. ეს კი ართულეებს სემანტიკური და გრამატიკული ინსტრუმენტების ეფექტიან გამოყენებას წინადადების ანალიზის პროცესში.

სწავლების დროს მნიშვნელოვანია დავანახოთ მოსწავლეებს მოვლენათა შორის კავშირი, გამოვუმუშავოთ მათ როგორც სემანტიკური, ისე მორფო-სინტაქსური ინსტრუმენტების გამოყენებით სიტუაციის ანალიზისა და მართებული დასკვნების გაკეთების უნარი.

საკვანძო სიტყვები: წინადადების წევრები იდენტიფიკაცია, სწავლების სირთულეები

წინადადებაში შემავალი სიტყვების სინტაქსური კვალიფიკაციის საკითხი ქართული ენის სინტაქსის სწავლების მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სირთულეები

ვლინდება როგორც წინადადების მთავარი, ისე მეორეხარისხოვანი წევრების იდენტიფიცირებისას. ცალკეული პრობლემები სხვადასხვა კონკრეტული მიზეზებითაა განპირობებული, თუმცა ზოგად საფუძვლად ქართული ენის სტრუქტურული სირთულე და საიდენტიფიკაციო ნიშნების მრავალფეროვნება გვევლინება. სამიზნე სიტყვის ფუნქციის იდენტიფიცირებისათვის შემსწავლელს უწევს ერთდროულად გაითვალისწინოს როგორც მორფო-სინტაქსური, ისე სემანტიკური მახასიათებლები, რომლებიც რიგ შემთხვევებში არათვალსაჩინოა, რიგ შემთხვევებში კი ერთმანეთს ეწინააღმდეგება კიდევ.

წინადადების სინტაქსური ანალიზის პროცესში იკვეთება, რამდენიმე პრობლემური შემთხვევა, რომლებსაც სისტემატურად ვხვდებით. მოცემულ სტატიაში გვინდა განვიხილოთ წინადადების მთავარი წევრების (ქვემდებარისა და პირმიმართი დამატებების) იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სირთულე.

პრობლემების წარმოქმნას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს წინადადების წევრთა დეფინიციის დამკვიდრებული პრაქტიკა. ჩვეულებისამებრ, ქვემდებარისა (სუბიექტი) და პირმიმართი დამატებების (ობიექტები) დეფინიცია ძირითადად ეყრდნობა სემანტიკურ მახასიათებლებს, რომელთა ფონზეც მეორე პლანზე გადადის მორფო-სინტაქსური ნიშნები. თუმცა, პრაქტიკაში ფორმობრივ-სტრუქტურული მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე სიტყვის სინტაქსური ფუნქციის იდენტიფიცირება წინადადების ფარგლებში შეუძლებელი ხდება.

რიგ შემთხვევებში დამკვიდრებული დეფინიცია წინააღმდეგობაში მოდის რეალურ ვითარებასთან. მაგალითად, როცა სუბიექტს განვმარტავთ, როგორც მოქმედ პირს, ხოლო ობიექტს ვუწოდებთ მოქმედების განმცდელს. ბუნდოვანი ხდება ვნებითი გვარის ზმნასთან სუბიექტის საკითხი. როცა ვამბობთ, რომ ვნებითი გვარის ზმნის სუბიექტი მოქმედების განმცდელია და არა მოქმედი, ფაქტობრივად, სუბიექტად მივიჩნევთ პირს, რომელიც ზემოთ მოცემული დეფინიციის მიხედვით ობიექტია.

თეორიულ კურსებში ზოგჯერ სათანადოდ არ არის აქცენტირებული საკითხები, რაც თავიდან აგვაცილებს უხერხულობას პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის დროს. სწორედ ამიტომ, სასწავლო პროცესში ხშირად სირთულეებთან არის დაკავშირებული ქვემდებარისა და დამატების იდენტიფიცირება წინადადებაში, სადაც ზმნა-შემასმენელი გრძნობა-აქტის გამომხატველი ზმნებითაა გამოხატული. გარდა მედიო-პასივი (უყვარს, სძულს, მოსწონს...) ზმნებისა, რომელთა ინვერსიულობა აღიარებულია, ამგვარ სემანტიკას ხშირად დინამიკური ვნებითის ფორმებიც (ებრალება, ეხალისება, ენატრება...) გამოხატავენ. სემანტიკური თვალსაზრისით ანალოგიური სიტუაციაა ეგრეთწოდებული გუნებისა და უნებლიობის ვნებითის ფორმებთან (ემდერება, შემომელახა, შემომეჭამა...). ყველა მოცემულ შემთხვევაში მოსწავლეები სუბიექტად (ქვემდებარედ) მიცემითში მდგომ სახელს მიიჩნევენ, რასაც სრულიად ლოგიკური საფუძველი აქვს. თუმცა, ნორმატიული გრამატიკის კურსებში, რომლებიც ფილოლოგებისთვის არ არის განკუთვნილი, საუბარია მხოლოდ მედიო-პასივი ზმნების ინვერსიულობაზე, რაც დინამიკური ვნებითის ფორმებთან მიცემითში მდგომი სახელის ქვემდებარედ მიჩნევის საფუძველს არ იძლევა.

ფილოლოგიური მიმართულების სპეციალობებზე, სადაც საკითხის განხილვა სიღრმისეული მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობს და განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებითი ასპექტების გამოკვეთას ემსახურება, ეს პრობლემას არ წარმოადგენს. მაგრამ სკოლაში ან მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე, როცა

ამგვარი სიღრმისეული შესწავლის შესაძლებლობა არ არის, შემსწავლელები გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდებიან.

ამგვარი ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია გავიზიაროთ შეხედულება, რომელიც საიდენტიფიკაციო ნიშნად მხოლოდ ფორმობრივ მახასიათებელს აღიარებს, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ შემსწავლელები ყველა ამ შემთხვევაში სუბიექტად (ქვემდებარედ) მიცემით ბრუნვაში მდგომ სახელს აღიქვამენ. ვფიქრობთ, სიტუაციის გამარტივებისათვის მიზანშეწონილი იქნება, რომ მორფოლოგიის კურსში სათანადოდ გამოვკვეთოთ დინამიკური ვნებითის გარკვეული ფორმების ინვერსიის საკითხიც.

შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ვხვდებით პირდაპირი და ირიბი დამატების დიფერენცირების პრობლემას ისეთ ზმნებთან, როგორებიცაა: ეხუტება, ეჯახება, ეფერება, ეალერსება... აქაც პრობლემის სათავეს პირდაპირი და ირიბი ობიექტის დეფინიციის დამკვიდრებული პრაქტიკა წარმოადგენს. როცა პირდაპირი ობიექტი განიმარტება, როგორც საგანი, რომელზეც პირდაპირ გადადის მოქმედება, რთული აღსაქმელია, რატომ უნდა მივიჩნიოთ ეფერება (ის მას), ეჯახება (ის მას) ტიპის ზმნებთან მიცემითი ბრუნვის ფორმით შეწყობილი სახელი ირიბ დამატებად.

ამ დროს მოსწავლეები უფრო მარტივად იყენებენ პირდაპირი და ირიბი დამატების ფორმის მიხედვით დიფერენცირების წესს. თუმცა, იმ შემთხვევებში, თუ მოსწავლეები ბრუნვის ფორმის მიხედვით დიფერენცირების ინსტრუმენტს მექანიკურად არ მიმართავენ, აშკარა ხდება დისონანსი, რომელიც ფორმასა და შინაარსს შორის არსებული სხვაობით არის განპირობებული. ამგვარი დისონანსის გასაწესებლად, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, მოსწავლეებს გავააზრობინოთ, რომ ამ ტიპის ზმნებში მოქმედება ობიექტის ზედაპირს ეხება, რაც გრამატიკული კატეგორიის – საზედაო სიტუაციის – სემანტიკას გამოხატავს, დავანახოთ, რომ საგანი, რომლის ზედაპირსაც ეხება მოქმედება ყველა ტიპის ზმნაში ირიბი ობიექტია: დაახატა (მან მას ის), წააწერა (მან მას ის), მოახია (მან მას ის), შეახტა (ის მას), აფარია (ის მას), ახატია (ის მას)...

ორაზროვნებას იწვევს აჟრჟოლებს(მას), ახველებს(მას) ტიპის ზმნებთან მიცემითი ბრუნვის ფორმით შეწყობილი სახელის სინტაქსური კვალიფიკაციის საკითხიც. ჩვეულებრივ, სინტაქსის სახელმძღვანელოებში ასეთი ზმნების შემცველ წინადადებებს უქვემდებარო წინადადებებად მიიჩნევენ, მაშინ როცა მორფოლოგიის კურსში ამგვარი ზმნები განიხილება ზმნებად, რომლებმაც დაკარგეს ისტორიული სუბიექტი და მისი ადგილი ისტორიულმა ობიექტმა დაიჭირა. შესაბამისად, მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი კვალიფიცირდება სუბიექტად, რომლის შესაბამისი სიტყვაც წინადადებაში ქვემდებარედ უნდა იქნას მიჩნეული.

მოცემულ სტატიაში წინადადების სინტაქსურ ანალიზთან დაკავშირებული მხოლოდ რამდენიმე ტიპობრივ სირთულეს შევხებით. თუმცა, ყოველდღიური პრაქტიკა გაცილებით უფრო მრავალფეროვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული. შეუძლებელია ქართული ენისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნების ისეთ მკაფიო ჩარჩოებში მოქცევა, რომელიც გამოირიცხავს განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ყოველთვის მკაფიოდ განსაზღვრულ ნორმატიულ ჩარჩოებს დაქვემდებარებულ ერთგვაროვან სურათს მოგვცემს. მნიშვნელოვანია, რომ სწავლების პროცესში არ ავარიდოთ თავი არატიპობრივი, საინტერესო შემთხვევების განხილვას, შევეცადოთ, დავანახოთ მოსწავლეებს მოვლენათა შორის კავშირი, გამოვუმუშავოთ მათ როგორც

სემანტიკური, ისე მორფო-სინტაქსური ინსტრუმენტების გამოყენებით სიტუაციის ანალიზისა და მართებული დასკვნების გაკეთების უნარი.

ლიტერატურა:

1. გაბუნია, კ., – მარტივი წინადადების ანალიზის პრინციპები თანამედროვე ქართულში. თბილისი: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი. 2016
2. გეგუჩაძე, ლ., – ქართული ენა (სინტაქსის საკითხები). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2010.
3. დავითიანი, ა., – ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“. 1973.
4. კვაჭაძე, ლ., – თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“. 1977.
5. ფეიქრიშვილი, ჟ., – ქართული ენის სინტაქსი. ქუთაისი: გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი. 1996.
6. ჩიქობავა, ა., – მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. თბილისი: 1968

Lela edzveradze

Akaki Tsereteli State University

ORCID: 0009-0002-6646-3035

e-mail: lela.edzveradze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.24>

SJIF 2024: 8.268

Challenges in Identifying Sentence Components in the Teaching Process

Abstract

The issue of syntactic qualification of words within a sentence represents a significant challenge in the study of Georgian syntax. Difficulties arise in identifying both the principal and secondary components of a sentence. These challenges stem from various specific causes, but the overarching reason lies in the structural complexity of the Georgian language and the diversity of its identification markers. To determine the function of a target word, the learner must simultaneously consider both morphosyntactic and semantic features, which, in some cases, are not immediately apparent and, in others, may even contradict each other.

This article discusses certain challenges related to identifying the principal components of a sentence (the subject and direct object), which are integral to the teaching process. In some cases, the root cause of these challenges lies in the current practice of defining concepts. Frequently, definitions emphasize semantic features while overshadowing morphosyntactic aspects. Although grammatical features are typically provided, the relationship between semantics and form is often inconsistent. This inconsistency complicates the effective use of semantic and grammatical tools in sentence analysis.

During the teaching process, it is crucial to demonstrate the connections between phenomena to students and develop their ability to analyze situations and draw accurate conclusions using both semantic and morphosyntactic tools.

Key words: Sentence Components , Identifying , difficulties in teaching

რეცენზენტი: პროფესორი ნათელა მაღლაკელიძე

Stylistic Analysis in Teaching English: Enhancing Teaching Quality and Student Competence

Nino Maisuradze

Ilia Chavchavadze Batumi Public school #1

e-mail: ninomaisu@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.25>

SJIF 2024: **8.268**

This article discusses the importance of stylistic analysis in teaching English, emphasizing its role in enhancing teaching quality and student competence. The methodology focuses on reforming reading instruction and developing essential language skills at the higher education level. The article highlights the need for innovative educational concepts that integrate humanities elements and foster critical thinking alongside language competence.

Traditional English classes often prioritize grammar and vocabulary, limiting students' understanding of writing styles. Stylistics offers a valuable integration of language and literature, providing an analytical framework for understanding texts. It helps students examine linguistic patterns, stylistic devices, and how language shapes meaning.

The article emphasizes developing professional competence through a combination of linguistic, pedagogic, psychological, and communicative approaches. It outlines the tasks of stylistic analysis, including description, explanation, and assessment of textual elements. The importance of phonetics in stylistic learning is also discussed.

A case study on Robert Frost's "The Road Not Taken" demonstrates how stylistic analysis can be applied in high school settings, encouraging critical thinking and personal reflection. The article concludes with recommendations for classroom application, suggesting various activities to incorporate stylistic analysis and foster engaging learning experiences.

Key words: stylistic analyse, enhancing Teaching Quality student competence

Introduction-In the realm of teaching English, stylistic analysis has emerged as a powerful tool for improving the quality of education. This article aims to demonstrate the relevance of stylistic analysis, particularly in enhancing students' ability to master essential language skills. By improving their capacity to analyze and appreciate texts, students can develop stronger listening

skills, speak fluently, and conduct accurate textual analysis. The article seeks to highlight how mastery of stylistic techniques can improve students' overall competence in English.

Methodology -Stylistic analysis is examined as a method that not only reforms reading instruction but also elevates the overall quality of English teaching. At the higher education level, it plays a pivotal role in developing students' listening, speaking, reading, and writing skills. Through this approach, learners become more adept at differentiating between languages, enhancing their logical reasoning, and promoting better comprehension of texts. The application of syntactic text analysis is also crucial for fostering students' linguistic competence.

Innovative Educational Concepts- To meet the demands of modern education, English teachers must continuously update their pedagogical approaches. Teaching English involves more than just linguistic knowledge; it integrates elements from the humanities. In this context, a holistic approach to student development is key. The goal should not only be the development of language skills but also the cultivation of morals, emotional intelligence, and critical thinking. Teachers must design classroom instruction that fosters students' creativity and innovation while focusing on language competence. Higher education English programs should be structured around student-centered approaches that encourage independent, critical, and innovative thinking, contributing to sustainable development in English learning.

Challenges in Traditional English Classes -Traditional English classrooms often prioritize grammar and vocabulary instruction, with teachers spending significant time on explaining language points. This method can limit students' understanding of writing styles and text characteristics. Without exposure to different styles of writing or the author's thought process, students' language abilities often remain confined to a basic understanding of grammar and vocabulary. This limits their ability to engage with complex texts, particularly in fields that require scientific language or more nuanced comprehension.

Integrating Stylistics in Education -Stylistics offers a valuable integration of language and literature, benefiting both educators and students by providing an analytical framework for understanding texts. Stylistic analysis plays a crucial role in the process of language teaching. As Simpson notes, "stylistics offers a method of textual interpretation in which primacy of place is assigned to language" [Simpson 2004:2]. This approach allows students to deepen their understanding of both language structure and the meaning of literary texts. Through stylistic analysis, learners can examine how linguistic patterns shape meaning and interpretative outcomes. By analyzing stylistic devices like syntax, semantics, graphology, and imagery, students can gain a deeper understanding of how writers use language to achieve desired effects. Stylistics also allows students to explore deviations in language use and recognize stylistic parallelism, further developing their ability to appreciate textual foregrounding.

Developing Professional Competence -Incorporating linguistic, pedagogic, psychological, and communicative approaches into English instruction aims to develop students' professional competence. For university students, stylistic analysis often involves working with artistic texts, which requires a combination of literary and linguistic competencies. A comprehensive analysis of these texts enhances students' textual competence and builds linguistic and didactic skills. This approach also addresses the limitations of traditional methods, which often confine students to

vocabulary and grammar exercises, hindering their overall comprehension and engagement with the language.

Tasks of Stylistic Analysis- The core task of stylistic analysis is to explore the conceptual, interpersonal, and textual functions of language. Instead of focusing solely on minute details, the analysis should be goal-oriented. Scholars often break down stylistic analysis into three interrelated steps: description, explanation, and assessment. These involve the examination of phonetic, lexical, semantic, and syntactic aspects of a text. Stylistic analysis can be applied across a variety of text types, from everyday conversations and formal speech to literature and media texts.

Phonetics in Stylistic Learning- Phonetics plays a significant role in stylistic learning, particularly at the university level, where students can analyze and appreciate phonetic features in different types of texts. Teachers can guide students in examining how phonetic elements, such as elongated vowels or pronunciation variations, influence the emotional tone or rhythm of prose and poetry. This analysis helps students better understand how phonetic choices enhance the artistic qualities of language.

Conclusion

In recent years, the use of stylistic analysis in teaching English has gained widespread recognition for its contributions to improving reading instruction and overall teaching quality. By employing stylistic analysis, teachers can guide students in adapting their reading approaches based on the style and purpose of different texts. This method promotes a deeper understanding of linguistic and literary aspects, helping students avoid ambiguity and fostering professional competence. The integration of stylistics into English education offers a comprehensive approach to teaching language, enabling students to engage more fully with the texts they study and enhance their language skills.

Case Study: "The Road Not Taken" by Robert Frost- Frost's poem "The Road Not Taken" is frequently used in high school English classes for its accessible language, rich symbolism, and interpretive depth. Teachers often focus on the poem's simple structure and engaging narrative, but a deeper stylistic analysis reveals the complexity underlying its apparent simplicity.

There are several reasons why high school and university students benefit from learning and analyzing Robert Frost's poem "The Road Not Taken": **Literary Analysis Skills:** The poem provides an excellent opportunity for students to practice close reading and interpretation of figurative language, symbolism, and themes. **Critical Thinking:** Analyzing the poem encourages students to think deeply about life choices and their consequences, fostering reflection on decision-making and personal growth. **Historical and Cultural Context:** Written in 1915, the poem reflects themes relevant to American culture and individualism, helping students connect literature to broader historical and social contexts. **Ambiguity in Literature:** The poem's often-misinterpreted message teaches students about the complexity of poetry and how multiple interpretations can exist for a single work. **Personal Reflection:** The themes of choice and individuality resonate with many high school students as they begin to make important life decisions. **Poetic Structure:** Students can learn about poetic devices such as rhyme scheme, meter, and stanza structure by examining Frost's techniques. **Relevance to Life Experiences:** The poem's

exploration of choices and their impacts allows students to relate literature to their own lives and experiences. **Phonological Level:** The poem follows an ABAAB rhyme scheme, using iambic tetrameter. Alliteration (e.g., "wanted wear") and assonance (e.g., "yellow wood") enhance its musicality. **Lexical Level:** The vocabulary is accessible, with repetition of key words like "roads" and "diverged" emphasizing central themes. Contrasting terms create a sense of opposition and choice. **Syntactic Level:** The poem's sentence structures vary from simple to complex, with enjambment adding flow, while inversion ("long I stood") lends poetic emphasis. **Semantic Level:** Frost's use of metaphor, personification, and ambiguity invites readers to reflect on life choices. The "two roads" symbolize divergent paths, and the poem's tone shifts from reflective to nostalgic, leaving the final "difference" open to interpretation.

Incorporating stylistic analysis of poems like this can enrich students' understanding of literature and encourage critical thinking. The linguistic and stylistic features Frost employs demonstrate how even seemingly simple poems can carry profound meaning, offering valuable lessons for both language and literary analysis.

Recommendations for Classroom Application—Teachers can incorporate this analysis into various activities, such as group work, creative writing exercises, and class discussions. By gradually introducing stylistic techniques, assigning analytical essays, and encouraging comparative studies, educators can foster an engaging and enriching learning experience for students. Encouraging students to engage with the text through diverse methods—such as recitations, debates, and visual aids—can deepen their appreciation for both poetry and stylistic analysis. This approach nurtures independent thinkers, capable of understanding and interpreting language in meaningful ways.

Reference:

- Burke, M. (2014). *The Routledge Handbook of Stylistics*. Routledge.
- Jeffries, L., & McIntyre, D. (2010). *Stylistics*. Cambridge University Press.
- Short, M. (1996). *Exploring the Language of Poems, Plays and Prose*. Longman.
- Simpson, P. (2004). *Stylistics: A Resource Book for Students*. Routledge.
- Watson, G., & Zyngier, S. (Eds.). (2007). *Literature and Stylistics for Language Learners: Theory and Practice*. Palgrave Macmillan.

ნინო მაისურაძე

ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის #1 საჯარო სკოლა

e-mail: Lelamagularia26@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.25>

SJIF 2024: 8.268

სტილისტური ანალიზი ინგლისური ენის სწავლებაში: სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა კომპეტენციის ამაღლება**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია სტილისტური ანალიზის მნიშვნელობა ინგლისური ენის სწავლებაში, ხაზგასმულია მისი როლი სწავლების ხარისხისა და სტუდენტთა კომპეტენციის გასაუმჯობესებლად. მეთოდოლოგია ფოკუსირებულია კითხვის სწავლების რეფორმირებასა და უმაღლესი განათლების დონეზე ენობრივი უნარების განვითარებაზე. სტატიაში გამოკვეთილია ინოვაციური საგანმანათლებლო კონცეფციების საჭიროება, რომლებიც აერთიანებს ჰუმანიტარულ ელემენტებს და ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას ენობრივ კომპეტენციასთან ერთად.

ტრადიციული ინგლისური ენის გაკვეთილები ხშირად პრიორიტეტს ანიჭებს გრამატიკასა და ლექსიკას, რაც ზღუდავს სტუდენტების წერის სტილის გაგებას. სტილისტიკა გვთავაზობს ენისა და ლიტერატურის ღირებულ ინტეგრაციას, უზრუნველყოფს ტექსტების გაგების ანალიტიკურ ჩარჩოს. ის ეხმარება სტუდენტებს შეისწავლონ ლინგვისტური მოდელები, სტილისტური ხერხები და როგორ აყალიბებს ენა მნიშვნელობას.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია პროფესიული კომპეტენციის განვითარებაზე ლინგვისტური, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და კომუნიკაციური მიდგომების კომბინაციით. აღწერილია სტილისტური ანალიზის ამოცანები, მათ შორის ტექსტური ელემენტები აღწერა, ახსნა და შეფასება. განხილულია ასევე ფონეტიკის მნიშვნელობა სტილისტურ სწავლებაში.

რობერტ ფროსტის ლექსის "გზა, რომელიც არ ავირჩიე" შესწავლა აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას სტილისტური ანალიზი საშუალო სკოლის გარემოში, რაც ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებასა და პირად რეფლექსიას. სტატია სრულდება რეკომენდაციებით საკლასო გამოყენებისთვის, გვთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს სტილისტური ანალიზის ჩართვისთვის და საინტერესო სასწავლო გამოცდილების ხელშეწყობისთვის.

საკვანძო სტყევები: სტილისტური ანალიზი, სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა კომპეტენციის ამაღლება, სტუდენტთა კომპეტენციები

რეცენზენტი: პროფესორი მანანა ღარიბაშვილი

სწავლების მეთოდოლოგია

Methodic of Teaching

შედარება - შეპირისპირების როლი მოსწავლეთა შემოქმედებითი
აზროვნების განვითარებაში

თამარ ღვინიაიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: t.gvinianidze@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.26>

SJIF 2024: 8.268

მხატვრული ტექსტების შედარება- ინტერპრეტირება და დასკვნების გამოტანა, მოსწავლეთა პირადი დამდებულების გამოხატვას, რის საფუძველსაც წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოებების წაკითხვა, გაგება და გააზრება, ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ერთ-ერთი მოთხოვნაა.

VI კლასში ვაჟა-ფშაველას „დიდი თამარის“ სწავლებისას ეფექტურია ყურადღების გამახვილება ნაწყვეტზე გრიგოლ ორბელიანის პოემიდან „სადღერძელო“-„თამარის დროშა გაშალეს“ და აკაკი წერეთლის ლექსზე „სიზმარი“, რომლებიც შესწავლილია V კლასში. სამივე ლექსის შედარება- შეპირისპირების შედეგად გაირკვევა, მათი ავტორების დამოკიდებულება ქართველთა დიდი მეფის თამარისადმი, ყურადღება გამახვილდება როგორც ლექსიკაზე, ისე პოეტურ ხერხებზე. გაკეთდება დასკვნა, რომ სახელოვან წინაპართა დამსახურება შემონახულია საქართველოს ისტორიასა და ქართულ ლიტერატურაში. ჩვენი ვალია, პატივი ვცეთ და მომავალ თაობებს გადავცეთ მათი დიდი ღვაწლი ჩვენი იდენტობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში.

საკვანძო სიტყვები: შედარება შეპირისპირების მეთოდი, ვაჟა ფშაველა, ლექსი „დიდი თამარი“

ქართული ენისა და ლიტერატურის (V-VI კლ.) სტანდარტის ერთ-ერთი მოთხოვნაა ნაცნობი ტექსტების შედარება-ინტერპრეტირება და დასკვნების გამოტანა, მოსწავლეთა პირადი დამოკიდებულების გამოხატვა როგორც ლიტერატურული, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით, რის საფუძველსაც წარმოადგენს ტექსტების წაკითხვა და გაგება- გააზრება. მნიშვნელოვანი სტრატეგიაა ამა თუ იმ თემატიკაზე შექმნილი უკვე შესწავლილი ტექსტების შედარება-შეპირისპირება. ანუ იმის გარკვევა, თუ როგორი ინტერპრეტაცია აქვს ავტორს და რა ხერხებს იყენებს თემის გასაშლელად.

VI კლასში ისწავლება ვაჟა-ფშაველას „დიდი თამარი“, V კლასში კი უკვე გაეცვინენ ნაწყვეტს გრიგოლ ორბელიანის პოემიდან „სადღერძელო“-„თამარის დროშა გაშალეს“ და აკაკი წერეთლის ლექსს „სიზმარი“. ვემზადებით ახალი საგაკვეთილო მასალის მისაწოდებლად, ვეკითხებით რა იციან თამარ მეფისა და მისი დროის საქართველოს შესახებ. მოსწავლეები დაყოფილია ჯგუფებად. ისინი წარმოადგენენ პრეზენტაციებს. შეფასდება უფრო სრულყოფილი პასუხები. შეიძლება გამოვიყენოთ თვითშეფასების ხერხიც. მომდევნო ეტაპია ვაჟას ბიოგრაფიის გაცნობა და პასუხი

კითხვაზე, რა ინფორმაციის დამატება შეუძლიათ ამ საკითხზე. ვკითხულობთ ლექსს გამომეტყველებით. ვაკითხებთ მინიმუმ ორ მოსწავლეს და ვავალებთ კლასს განსაზღვრონ პოეტის დამოკიდებულება ქართველთა სათაყვანებელი მეფისადმი (სიყვარული, პატივისცემა, მოწიწება...). ვითხოვთ შესაბამისი სტრიქონების მოძებნას. ვთხოვთ საკუთარი აზრს გამოთქმას იმის შესახებ, თუ რატომ ფიქრობს ვაჟა, რომ თამარი ცოცხალია და ჩაუქრობელი ლამპარია ყველა ქართველისათვის. რატომ ახსენებს რუსთაველს და რომელი სიტყვებით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას შოთასადმი (...“შოთას მარჯვენას ვემთხვიე ზედიზედაო...“).რისი თქმა სურს პოეტს სტრიქონით-“ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს, თამარს ცოცხალსა გხედაო“. რა შემთხვევაში ამბობენ ასე გარდაცვლილ ადამიანზე? თქვენი აზრით, რატომ შემოინახა ქართველმა ერმა საუკუნეების მანძილზე თამარ მეფის სიყვარული? ასეთი რა გააკეთა მან ქვეყნისათვის?.. პასუხების შეჯამების შემდეგ მოსწავლეებს გავახსენებთ V კლასში შესწავლილ ნაწყვეტს გრიგოლ ორბელიანის პოემიდან “თამარის დროშა გაშალეს“. ერთხელ კიდევ გავიხსენებთ პოეტს და ვკითხავთ რა ინფორმაცია აქვთ ქართველი მეფეების სახელობის დროშებზე. ერთხელ კიდევ გავიხსენებთ ამ ნაწყვეტს და ვარკვევთ რამდენად ახსოვთ თამარის დროშის გაშლისა და ლაშქრის შეკრების მიზანი. შევახსენებთ რომელი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ ქართველები. კიდევ ერთხელ ვისაუბრებთ 1203 წლის ბასიანის ბრძოლაზე, აღვნიშნავთ, რომ ლაშქარს, რომელიც შეიკრიბა, უკვე ჰქონდა შამქორის ომში გამარჯვების გამოცდილება. რითი ლოცავს (ჯვრით) და როგორ ამხნეებს ჯარს თამარი (გულის სიუხვით)? რას ადარებს პოეტი მეფის გულს? -ზღვას, რომელიც სავსეა წყალობით. რომელი კუთხეების წარმომადგენლებს და როგორ ახასიათებს ორბელიანი? ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ აფხაზები და ოსები ქართველების გვერდით არიან. ვკითხვებით რა იციან მათ შესახებ და ვის მიერაა ოკუპირებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიები-აფხაზეთი და სამაჩაბლო, ე.წ. სამხრეთ ოსეთი. როგორია მათი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი...

აკაკის „სიზმარის“ შეხსენებისას ვსვამთ კითხვებს: რატომ დასვა პოეტმა თამარის გვერდით თინათინი და ნესტან-დარეჯანი? ვინ არიან ქალთა კრების სხვა მოაწილეები? როგორ ახასიათებს მგოსანი თამარს (მომხიბლავი, ეშხიანი), რას ამბობს სხვა ქალების შესახებ? (...“ცალ-ცალკე და ყველა ერთად სიცოცხლე და ნეტარება“). ისინი გარს ეხვივნენ თამარს, როგორც „მთვარეს ვარსკვლავთ კრება“. რატომ შემოიყვანა ქალთა კრებაზე აკაკიმ რუსთაველი? რა ეპყრა მას ხელთ? მოიშველიეთ ლექსიდან ის ადგილი, სადაც ჩანს მეფის მაღლიერება - „გმადლობთ მე ვერ გადავიხდი, როგორც მეფე, დღეს შენს ვალსა, უკვდავების მოსახვეჭად მიგაპირებ მომავალსა“. რისი ნიშანია ცისარტყელა და ვინ წაიყვანა მან ზეცად? რისი დამადასტურებელია ბოლო სტროფი?

ვისაუბრეთ თამარ მეფისადმი მიძღვნილ სამივე ლექსზე. პირველი დავალება იქნება ვარკვევა იმისა, რა დამოკიდებულებას გამოხატავენ პოეტები თამარის მიმართ, რომელი ეპითეტებით ამკობენ მას - ქართველთა სულისდგმა, ლამაზი დედა, ანთებული ლამპარი, ერის სიცოცხლე „სამშობლოსათვის ჯვრით მლოცველი, სწორუპოვარი, უსაზღვრო წყალობით სავსე გულით, მხნე, სხვათა გამხნევებელი და, ბოლოს, ეშხიანი და მომხიბლავი, სულმნათი მგოსნის რუსთაველის მუზა, რომელიც პოემის ავტორის მაღლიერია.

დასახელებული ლექსების შედარება-შეპირისპირებით გაირკვევა მათი ავტორების დამოკიდებულება ქართველთა საამაყო მეფის - თამარისადმი და ის მხატვრული

ხერხები, რომლითაც ისინი ამბობენ საკუთარ სათქმელს. გაკეთდება დასკვნა, რომ სახელოვან წინაპართა დამსახურება ქვეყნის წინაშე შეინახა როგორც ისტორიამ, ისე ლიტერატურამ და ყველა მწერალი ხატოვნად წარმოსახავს მათ ღვაწლს. ჩვენი ვალია, პატივი ვცეთ იმ ადამიანებს, რომელთაც დიდი ღვაწლი აქვთ ქართველთა იდენტობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში. ისინი ხომ თავისი ცხოვრებით მაგალითს გვაძლევენ იმისა, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო და როგორ უნდა ვიღვაწოთ მისთვის.

ვფიქრობთ ასეთი გაკვეთილი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება-გამრავალფეროვნებას, აზროვნებისა და შემოქმედებითობის გაზრდას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, მხატვრული სახეების შეცნობასა და ლექსის სემანტიკის გააზრებას.

ლიტერატურა:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი 2023.
2. როდონაია ვ., ნაკუდაშვილი ნ., და სხვ., ქართული ლიტერატურა -მე-5, მე-6 კლასები. მასწავლებლის წიგნი. თბილისი, 2023.
3. როდონაია ვ., ნაკუდაშვილი ნ., და სხვ., ქართული ლიტერატურა - მე-5 - მე-6 კლასები. მოსწავლის წიგნი. თბილისი, 2023.
4. ღვინიაძე თ., V-VI კლასებში ქართული ლიტერატურის სწავლების საკითხები. ქუთაისი, 2024.
5. ჯანაშვილი ნ., იმედაძე ნ., გორგოძეს., განვითარებისა და სწავლების თეორიები. თბილისი. 2010.
6. ჯინჯიხაძე ჯ., ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდოლოგია და ტექნოლოგია. თბილისი. 2014.

Tamar Gvinianidze

Akaki Tsereteli State University

e-mail: t.gvinianidze@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.26>

SJIF 2024: 8.268

Comparison – the role of contrast in the development of pupil’s creative thinking

Abstract

Comparing texts -interpreting and drawing conclusions, expressing pupil’s personal opinions, which is based on reading, understanding and comprehending artistic works, is one of the requirements of the standard of Georgian language and literature.

When we are teaching the poem of Vazha Pshavela “Tamar” in the VI th grade, it is effective to focus on the excerpt from Grigol Orbelianis’ poem “Tost”, “The flag of Tamar was unfurles” and Akaki Tsereteli’s poem “Dream”, which are studies in the Vth grade. As a result of comparing and contrasting all three poems, the attitude of their authors towards Tamar, the great king of Georgians, will be revealed, attention will be focused on vocabulary and poetic techniques. Pupils.

It will be concluded that the merits of famous ancestors have been preserved in Georgian history and Georgian literature. It is our duty to respect and pass on to future generation their great contribution in preserving our identity and statehood.

Key Words: Method Comparison, Vazha Pshavela, Poem “Tamari”

რეცენზენტი: პროფესორი ოლგა გუსევა

ეთნოგრაფია ETHNOGRAPHY

ქართულ-თურქული ეთნოკულტურული ურთიერთობანი (იანეთის მკვიდრ რეპატრიანტთა საოჯახო ურთიერთობების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) (ნაწილი II)

რამაზ ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ramazi1964@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.17>

SJIF 2024: 8.268

იანეთის მკვიდრ რეპატრიანტ მესხთა საოჯახო ყოფის შესწავლის დროს ირკვევა: მშობლებისა და შვილებისაგან შედგენილი „სახლობის“ ყოფის თავისებურებები, მახასიათებლები; ვინაა „კომლის თავი“; ოჯახის წევრთა ურთიერთობების შესახებ; ოჯახში უფროსი და უმცროსი ძმების და გასათხოვარი, თუ გაუთხოვრად დარჩენილი დის უფლება-მოვალეობანი, ქონებრივ-უფლებრივი მომენტები; ივანე ჯავახიშვილის მიერ დადგენილი საოჯახო ქონების სამი სახეობის: „მამული (ოჯახის სამემკვიდრეო ქონება)“, „დედული“ (ქალის მიერ მოტანილი მზითვეი) და „მონაგების“ (ოჯახში საერთო შრომით შექმნილი ქონება) არსებობის შესახებ; ირკვევა, რომ კომლი „შეიძლებადა ყოფილიყო შემდგარი რამოდენიმე ოჯახისაგან. ანუ კომლი იყო, როგორც გაყოფილი, ისე გაუყოფელი“.

იანეთის მკვიდრ რეპატრიანტ მესხთა ოჯახში აისახება ქართველთა პოლიტიკური ცხოვრების საფუძველზე მომხდარი სოციალური, ეკონომიკური და უფლებრივ-ზნეობრივი ცვლილებები. დგინდება, რომ საქართველოს ისტორიულ თემ სამცხე-ჯავახეთში ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ყოფნამ და შემდეგ აქაურ მკვიდრთა გადასახლებამ დიდი გავლენა მოახდინა საოჯახო ყოფაზე, მაგრამ მთლიანად ვერ შეცვალა ქართული ცხოვრების წესით შეპირობებული ტრადიციული საოჯახო ურთიერთობები. შენარჩუნებულია ტრადიციულ, მშობლებისა და შვილებისაგან შემდგარ ოჯახში „ძველისადმი, როგორც ოჯახის უფროსისადმი პატივისცემა“. იანეთში დამკვიდრებულ სამცხე-ჯავახეთის ძირძველ მკვიდრ, იძულებით გამაჰმადიანებულ ქართველთა საოჯახო ყოფაში გვხვდება „თავი-ს“, ანუ მამის საერთოქართველური ყოფისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტი; დადგენილი ნორმის თანახმად უფროსი კაცის გარდაცვალების შემდეგ მის ადგილს ძირითადად უფროსი ვაჟიშვილი იჭერდა: „უფროსი, პიროვნული თვისებებით გამორჩეული: ჭკვიანი, უნარიანი, წინდახედული, უცხოთან ურთიერთობის შემძლე, მეზობლის ამტანი, ობიექტური, ისეთი პიროვნება უნდა ყოფილიყო, ვინც დააკმაყოფილებდა ოჯახის უფროსისადმი წაყენებულ მოთხოვნებს“.

ადამიანის მოდგმა-წარმომავლობის მნიშვნელობით გამოიყენება „მამული“.

საინტერესოა, რომ გამაჰმადიანების და გადასახლების მიუხედავად, ნათესაური გაერთიანების ძირითადი ერთეული არის გვარი. ნათესავი არის ძმა, შვილი, მამიდაშვილი.

ძმების და ბიძაშვილებისაგან შემდგარ გაერთიანებას იანეთელ მესხებში საბიძაშვილო ჰქვია. ბიძის ცოლს ბიცოლა ჰქვია. ქალის გათხოვების, ან ვაჟის დაქორწინების შემდეგ შეძენილ ნათესავს ქართულად მოყვრის სახელით იხსენიებენ; დედას მიმართავენ უზბეკური ტერმინით - ათა; დედის დას -ხალა ჰქვია; დეიდაშვილს -ხალადაზი; ბიძას ჰქვია -ემი. მის შვილს, ბიძაშვილს კი -ემუმოლლი. ბიძაშვილის შვილს -ემითორუბი; -ბიბი მამის დაა.

ეთნოგრაფიული მასალის კვლევით დასტურდება: ა. იანეთის ამჟამინდელ მკვიდრ მესხებს საკუთარ კუთხურ-ეთნოგრაფიულ და საერთოქართველურ ეროვნულ კულტურულ მახასიათებლებთან ერთად იძულებითი გამაჰმადიანების და შემდეგ გადასახლების საფუძველზე დაუგროვდათ და აქვთ საოჯახო ურთიერთობების დიდი და „ნაზავი“ გამოცდილება; ბ. რეპატრიანტები საკუთარი ქართველობის ერთგულებად თვლიან იმას, თუ რამდენად კარგად ინახავენ საკუთარი წინაპრის ქართულ ტრადიციებს.

საკვანძო სიტყვები: იანეთელი რეპატრიანტები; ტრადიცია; საოჯახო ურთიერთობები; სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებული; ქართული ყოფა; იანეთის მკვიდრ მესხთა წეს-ტრადიცია; გამაჰმადიანებულ ქართველთა ოჯახები;

იანეთის მკვიდრ მესხთა საოჯახო ურთიერთობების შესწავლა არკვევს ქართველური და თურქული ეთნიკურ-კულტურული ურთიერთობის საკითხს. საქართველოს ისტორიულ თემ სამცხე-ჯავახეთში ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ყოფნამ, რუსების და კომუნისტების მიერ ყოველივე ქართველურისადმი უდიერმა დამოკიდებულებამ და ბოლოს აქაურ მკვიდრ ქართველთა საბჭოეთის მაჰმადიანურ ქვეყნებში გადასახლებამ მთლიანად ვერ შეცვალა ქართული ცხოვრების წესი და ტრადიციები. სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ, ამჟამად იანეთში რეპატრიირებულ მესხთა საოჯახო ურთიერთობებსა და წეს-ჩვეულებებში აისახება ქართველთა პოლიტიკური ცხოვრების საფუძველზე მომხადარი სოციალური, ეკონომიკური, უფლებრივ-ზნეობრივი ცვლილებების შესახებ, საოჯახო ყოფის ზოგიერთ ფორმაზე. რეპატრიანტთა ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების შესწავლის დროს ირკვევა: მშობლებისა და შვილებისაგან შედგენილი „სახლობის“, საოჯახო ყოფის თავისებურებები, მახასიათებლები; ვინაა „კომლის თავი“; ქონებრივ-უფლებრივი მომენტები; ოჯახის წევრი გათხოვილი და გაუთხოვრად დარჩენილი ქალის ქონების საკითხი; ოჯახის წევრთა ურთიერთობების შესახებ; ეთნოგრაფიული მასალებით მოწმდება აგრეთვე: ივანე ჯავახიშვილის მიერ დადგენილი საოჯახო ქონების სამი სახეობა: „მამული (ოჯახის სამემკვიდრეო ქონება)“, „დედული“ (ქალის მიერ მოტანილი მზითევი) და „მონაგები“ (ოჯახში საერთო შრომით შექმნილი ქონება); ირკვევა, რომ კომლი შეიძლებოდა ყოფილიყო შემდგარი რამოდენიმე ოჯახისაგან, ანუ კომლი იყო, როგორც გაყოფილი, ისე გაუყოფელი ოჯახი; დავადასტურეთ დიდი ოჯახის არსებობის შემთხვევები; ოჯახში უმცროსი ძმის, გათხოვილი და გასათხოვი დების უფლება-მოვალეობანი, ქონებრივ-უფლებრივი მომენტები; აგრეთვე ირკვევა: ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ; ტრადიციულ, მშობლებისა და შვილებისაგან

შემდგარ ოჯახში ძველისადმი, მამის, ბაბუის და დიდი ბაბუის, როგორც ოჯახის უფროსის, პატივისცემა...

კვლევით დგინდება, რომ იანეთელ რეპატრიანტებს შენარჩუნებული აქვთ ოჯახის უფროსის ყოლის ტრადიცია. დადგენილი ნორმის თანახმად უფროსი კაცის გარდაცვალების შემდეგ მის ადგილს ძირითადად უფროსი ვაჟიშვილი იჭერდა; უფროსი, პიროვნული თვისებებით გამორჩეული: ჭკვიანი, უნარიანი, წინდახედული, უცხოთან ურთიერთობის შემძლე, მეზობლის ამტანი, ობიექტური, ისეთი პიროვნება უნდა ყოფილიყო, ვინც დააკმაყოფილებდა ოჯახის უფროსისადმი წაყენებულ მოთხოვნებს”.

იანეთის მკვიდრ რეპატრიანტ მესხთა საოჯახო ურთიერთობების შესახებ მოგროვილი ეთნოგრაფიული მასალებით, „ვიდრე გაყოფამდე, მამის დიდი ოჯახისთვის” დამახასიათებელი იყო ქონებაზე საკუთრების საერთო-საოჯახო ხასიათი. „არსებობდა გაუყოფელი ოჯახები. საბიძაშვილო დიდი ოჯახის” ტრადიცია უზბეკეთში ცხოვრების დროს მიუხედავად მცდელობისა დაიკარგა: „მოიყანე ქალი მალე, უჟე ოჯახობა რო ბევრია, მიდიან, გაუყოფელი ოჯახი არ არის! ქალი მოიყვანე, მაგის ბავშვები არის, ერთი ოჯახობაა, მეორეც, ერთი ოჯახი უჟე არის ხო?! ერთი ოჯახში ხო არ შიიზლება 20 სული...”

გაყოფის შემდეგ ისევე, როგორც საქართველოში, ისე გადასახლებულ ქართველ მესხთა ოჯახებშიც უმცროსი ვაჟი რჩებოდა, რჩება იმიტომ, რომ დამოუკიდებლობა ჯერ არ შეუძლია. თუ უმცროსი შვილი ასაკით ზრდასრული იყო, მაშინ წესს აღარ უყურებდნენ. იგი შეიძლებოდა ცალკე გაეშვათ და რომელ შვილთანაც უფრო გაგებით იყო მშობელი მასთან დარჩებოდა. იანეთის მკვიდრ მესხთა წეს-ტრადიციითაც სახლში დამრჩენ ბიჭს ბოლოს, დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ რჩებოდა მშობლების ქონება: „პატარა არის და მაგია, არ გამოდის, მოზარდია, პატარაა, მშობელი ცდილობს მასთან დარჩეს. მისი მამისეული სახლი. უმეტეს შემთხვევაში, მიზეზი ის იყო, რომ ის პატარაა... შეიძლება არც იყოს და უფროსი შვილი დარჩეს და უმცროსს აუშენონ სხვა ადგილას. მე ასეთი შემთხვევაც მინახავს. ჩემი თვალით მინახავს. ძირითადად ისე იყო, მაგრამ ბიძაჩემმა გააკეთა ასე, უფროს შვილს და რძალს მოელაპარაკა, ეს რძალი როგორც ქალიშვილი ისე იყო მასთან, მას უფრო გაუფო და თავისთან დატოვა უფროსი შვილი. შესაძლებელია საშუალო შვილი დარჩეს შუათანა, ასე ბიძაჩემმა გააკეთა კრასნოდარში ... სამი ვაჟიშვილი, ხო, პირველი წავიდა, მეორე წავიდა, პატარა დარჩა სახლში. მამას შეუძლია უთხრას: აი, შვილო აი, მე რო მოვკვდები შენ ძმას ეს უნდა მისცე, მეორეს ეს და ა.შ. თუკი არაფერს იბარებს, მაშინ ყველაფერი პატარასია. გაყოფისას მამას თავის წილი ერგებოდა, წასასვლელ ძმებს თავ-თავისი. სრული წილი ერგებოდა ნაშვილებ შვილსაც”.

გაყოფისას ძმებს მიწას შეიძლება არ გაუყოფდნენ, თუმცა მისი წილის შესაბამის მიწას უყიდდნენ. ქალსაც ატანდნენ გათხოვების შემდეგ ქონების ნაწილს როგორც „საქართველოში მზითვს”. მისცემდნენ საქონელს, მიწას უყიდდნენ. გაატანდნენ ლოგინს წყვილად და პირველადი მოხმარების ნივთებს. ოჯახში დარჩენილ, გაუთხოვარ ქალსაც, თავის წილი ჰქონდა ყველაფერში და თუ უნდოდა დამოუკიდებლად გამოიყენებდა.

რასაც ქალს არ მისცემდნენ და ესეც ქართული წესი იყო, საგვარეულო გერბები, საგვარეულო საბუთები, საოჯახო წიგნები, თუ მისთვის გასატნევი ოდენობა არ ჰქონდათ: „ოჯახის მთავარია მიწა. იყო რაღაც საგნებიც, რომელიც მათად ითვლებოდა, რელიქვია იყო და მას არ აძლევდნენ გოგონებს. ბიჭებისთვის კი. გოგონებს საგვარეულო გერბი და ნივთები არ გადაეცემოდათ, ის რჩებოდა გვარს. ჩემი ბიძის ცოლი, როცა აქედან გადაასახლეს ქართულად დაწერა წიგნი, დამალა და იქ წაიღო - ქართული წიგნები და დოკუმენტები, ქართულად დაწერილი. ის საბუთები დაიკარგა მერე იქ. როცა მე იქ ჩავედი, პატარა ვიყავი მაშინ, მე ვიცოდი როგორ ინახავდნენ. უზბეკეთში მიყვებოდა როგორც ზღაპარს ისე. აქ ჩამოვედი და გავიგე, რომ ჩემს წინაპრებმა იცოდნენ ეს. ეს ჩვენი რელიქვია იყო.”

საინტერესოა, რომ გამაჰმადიანებამ ვერ შესცვალა ვერც სამცხე-ჯავახეთში და ვერც აჭარელ გამაჰმადიანებულ ქართველთა ოჯახებში ქალის პატივისცემის, მისი უფროსობის და მასთან დაკავშირებული სხვა ტრადიციები. აჭარული ოჯახის ქალის მდგომარეობაზე სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ: *“საკატიო მდგომარეობა წარმოადგენდა არა მარტო ოჯახის წევრთა შორის დემოკრატიული ურთიერთდამოკიდებულების გამოხატულებას, არამედ იგი აგრეთვე ხელს უწყობდა ქალის როლის ზრდას მშობლიური ენის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, საერთოდ ეროვნული მეობისა და თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებაში”* (თ. აჩუგბა, 1987, გვ. 63). კვლევის შედეგად დგინდება, რომ სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებულ, ამჟამად იანეთის მკვიდრ მესხთა ოჯახის წევრი, *“ასაკით უფროსი ქალი, დედა ქალი და სახლის მთავარი ხაზეიკა იყო; ისე როგორც კარტულშია”* ოჯახის უფროსი ქალი მონაწილეობას ღებულობდა ოჯახის მართვა-გამგეობაში, სამეურნეო და საოჯახო საქმიანობის განაწილებაში მას ქონდა უფლება სურსათის (ხორბალი, რძის და ხორცის პროდუქტები) განაწილება-ხარჯვისა; ის იყო საოჯახო ტრადიციების ერთ-ერთი შემნარჩუნებელი.

იშვიათად, თუმცა არის ჩასიძების “უხერხული” წესიც. გეუბნებიან, რომ მაჰმადიანურ ქვეყნებში ასეთი წესი უფრო იშვიათია. თუმცა ზედსიძეც (ისტენ/იშტენ) შვილია. ის მისი მეუღლის ქონების, მეუღლის მამის ქონების სრულუფლებიანი მფლობელია: *“ისე უხერხულია მაინც. არ ესიძებიან ასე. გოგო, ქალი ხო არ ვარ. ადრე ჩვენთანაც იყო. ახლა. ერთათ ცხოვროფს! ნაშვილები და შენი რადნოი შვილი უფლებრივად ერთი და იგივეა. ორივე თუ შენია, შენი უნდა იყოს! ახლა მაგას შენ მოგცემ და მაგას არა, არ შიიზლება მასე. რო სიძიეა, იშვილე შენი შვილია, ვსიო და, შენია. ესეც ქართულია! არ უყურეფს მაგის დედა სხვა და ჩემი დედა სხვა. ოჯახში თუ შენ რაფერ მამა და დედა იქნები, იგი შენია. მაგი რათ მინდოდაო არ შიიზლება”*.

„თავი“, ანუ `მამა` იანეთში დამკვიდრებულ სამცხე-ჯავახეთის ძირძველ მკვიდრ მაჰმადიანობამიღებულ, ამჟამად იანეთის მკვიდრ რეპატრიირებულ ქართველთა საოჯახო ყოფაშიც დასტურდება და იგივეს აღნიშნავს. ადამიანის მოდგმა-წარმომავლობის მნიშვნელობით გამოიყენება “მამული”. აქვთ გათხოვილი ქალისთვის მისი კუთვნილი ქონების გატნევის წესი, სადაც არაქართული ელემენტი ფული და ოქროა,

თუმცა ძირითადად შინაარსი ქართულია. ახსოვთ და გესაუბრებიან ქართული ყოფის მიერ დამკვიდრებულ მზითევზე.

საინტერესოა, რომ ეთნოგრაფიული მასალები იანეთელ მესხებში დღესაც ადგენენ ივანე ჯავახიშვილის მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში დამკვიდრებული ქართველური საოჯახო ყოფისთვის დამახასიათებელი ტერმინების იდენტურობას. მამის და დედის ხაზით ნათესავეებზე საუბრისას გეუბნებიან ქართულ და მის შესატყვის მათი უცხოეთში ცხოვრების დროს მიღებულ ტერმინებს. ნათესაური გაერთიანების ძირითადი ერთეული იანეთელ მესხებთანაც გვარია. ძმების და ბიძაშვილებისაგან შემდგარ გაერთიანებას იანეთელ მესხებში “საბიძაშვილო” ჰქვია. “ბიძის ცოლს ბიცოლა ჰქვია. ზედსიძე სიძედ შემოსულს ჰქვია. ქალის გათხოვების, ან ვაჟის დაქორწინების შემდეგ შეძენილ ნათესავს ქართულად მოყვარეს ეტყვიან: ნათესავი არის ძმა...შვილი, მამიდაშვილი. ათა უზბეკურად-დედაა”. თურქული ატა ქართულად მამას, პაპას მამა-პაპას აღნიშნავს (თურქულ-ქართული ლექსიკონი, სტამბოლი, 2011). “დეიდაშვილი... დედის დას ხალას ჰქვია . დეიდისშვილს -ხალადაზი. ბიძას ქვია -ემი . მისი შვილი არის შენი ბიძაშვილი, -ემუმოდლი. ბიძაშვილის შვილს -ემითორუბი. მამის დას -ბიბი ჰქვია”.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ: ა. იანეთის ამჟამინდელ მკვიდრ მესხებს საკუთარი, მამა-პაპეული ძირი საცხოვრისის კუთხურ-ეთნოგრაფიულ და საერთოქართველურ ეროვნულ კულტურულ მახასიათებლებთან ერთად იძულებით გადასახლების შემდეგ დაუგროვდათ და აქვთ საოჯახო ურთიერთობების დიდი და “ნაზავი” გამოცდილება; ბ. რეპატრიანტები საკუთარი ქართველობის ერთგულებად თვლიან იმას, თუ რამდენად კარგად ინახავენ საკუთარი წინაპრის ქართულ ტრადიციებს; გ. გამაჰმადიანებამ და შემდეგ იძულებითმა გადასახლებამ ვერ შეცვალა საოჯახო ყოფის და კულტურის მყარად ფესვგადგმული ქართული ტრადიციული ფორმები იანეთში დამკვიდრებულ მესხებში.

ლიტერატურა:

1. თ. აჩუგბა, ტრადიციული აჭარული ოჯახისა და საოჯახო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის ძირითადი შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, 1987
2. აჭარული დარგობრივი ლექსიკა, 1990
3. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, 1990
4. თურქულ-ქართული ლექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველო-თურქეთის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის საზოგადოება, სტამბოლი, 2011

Ramaz Khachapuridze

Akaki Tsereteli state University
Kutaisi, Georgia

Ramazi1964@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.17>

SJIF 2024: 8.268

**Georgian-Turkish ethno-cultural relations
(According to the ethnographic materials depicting the family relations
of the native repatriates of Yaneti)**

(Part II)

Abstract

The following has been established as a result of the study of the ways of lives of repatriate Meskhetian families, residing in Ianeti: features of a household consisting of parents and children; who is a head of a household; about relations between and among family members; rights and duties, property issues of elder and younger brothers, of a would-be marrying sister and an unmarried sister; about the occurrence of three kinds of familial property, established by Ivane Javakhishvili: a family's inherited property, dowry brought by a woman, and jointly acquired property; it was established that a household could contain several families, that is, a household was both divided and undivided."

Social, economic, and moral changes, having occurred owing to Georgians' political life, are reflected in a repatriate Meskhetian family, residing in Ianeti. It has been established that the Ottoman dominance in the Georgian historical province of Samtskhe-Javakheti for three centuries and later deportation of its residents have greatly influenced their way of family life, however, they could not totally change the traditional familial relations, having been conditioned by the Georgian way of life. "Respect to a head of a family" has been retained in a traditional, consisting of parents and children, family. The institution of a family head, that is, father, having been characteristic to the common Georgian custom, occurs in the way of life in the families of forcibly Muslimized Georgians, originating from Samtskhe-Javakheti and currently residing in Ianeti; in accordance to the established norm, after the decease of a head of a family, he was substituted by his elder son: "elder, distinguished with personal features, smart, capable, provident, able to communicate with strangers, to tolerate neighbors, fair, should a personality who would meet all the demands for a a head of a family."

The word **mamuli** is used to refer to one's ethnic origin.

It is interesting that, despite Islamization and deportation, one's surname is a basic unit of kinship association. A relative is a brother, child, cousin. An association, consisting of brother and cousins, is referred to as **sabidzashvilo** among the Meskheians, residing in Ianeti. An uncle's wife is referred to as **bitsola**. A relatives, acquired after one's marriage, are referred as the Georgian word **moqvare**. Mothers are addressed by an Uzbek term **-ata**; mother's sister is referred to as **-xala**; her son or daughter is **-xaladaz**; an uncle is **-emi**; his son or daughter is **emumoqli**; a cousin's child is **emitorubi**; **bibi** is a father's sister.

The study of the ethnographic data has established: a. together with their ownprovincial ethnographic and common Georgian national-cultural features, the Meskhetians, currently residing in Ianeti, have acquired a great and "blend" experience of of family relations owingto forcible Islamization and later deportation; b. repatriates consider it to be loyalty to their

Key words: Yaneti repatriates; family relations; emigrated from Samtskhe-Javakheti; stay in Georgia; customs and traditions of the native Meskhetians of Yaneti; families of Georgians who converted to Islam;

რეცენზენტი: პროფესორი პაატა სურგულაძე

ფსიქოლოგია Psychology

ВЛИЯНИЕ НАСЛЕДСТВЕННОСТИ НА ВЫБОР ПРОФЕССИИ В КОНТЕКСТЕ ТЕОРИИ СУДЬБОАНАЛИЗА И МЕТОДА М. АХТНИХА

Глазунов Владимир Иванович, Белякова Елена Игоревна

Гомельский государственный технический университет имени П.О. Сухого

e-mail: uhlazunou57@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.27>

SJIF 2024: 8.268

Выбор профессии является одним из ключевых решений в жизни человека, влияющим не только на его карьерное развитие, но и на формирование личности в целом. Этот процесс многослоен и требует активного личностного самоопределения, продолжаясь на протяжении многих лет. В данном контексте возникает важный вопрос: действительно ли выбор профессии способен предопределить не только профессиональный, но и жизненный путь? И какова роль наследственности в этом процессе? Возможно, что в выборе профессии мы не только выражаем свои личные устремления, но и воплощаем наследственные предрасположенности, которые оказывают влияние на формирование нашей судьбы.

Вопрос о том, насколько глубоко выбор профессии связан с нашей личной судьбой, привлекал внимание многих исследователей. Влияние наследственности на профессиональный выбор стало предметом активных научных изысканий благодаря трудам Леопольда Сонди, который разработал теорию судьбоанализа и изложил свои идеи в работе «Судьбоанализ: выбор любви, дружбы, профессии, болезни и смерти» [9]. Л. Сонди предположил, что многие ключевые жизненные решения, включая профессиональный выбор, могут быть генетически предопределены и передаваться через поколения. Он рассматривал профессиональные предпочтения как результат действия бессознательных генетических импульсов, отражающих нереализованные стремления предков.

В рамках своей теории Л. Сонди ввел понятие генотропизма – процесса, в котором гены определяют направления, в которых человек будет стремиться реализовать свои жизненные планы. Важным аспектом его теории является идея, что идентичные или родственные гены «притягивают» индивидов друг к другу, формируя неосознанные предпочтения и установки. Это означает, что наследственность играет не только роль в биологическом, но и в социальном и психологическом контексте, влияя на выбор партнера, карьеры и других ключевых аспектов жизни.

Эта теория обоснована не только теоретическими постулатами, но и эмпирическими данными, собранными Л. Сонди на основе анализа генеалогических данных его пациентов. Эти результаты позволили ученому сделать вывод о том, что наше генетическое наследие определяет не только биологические особенности, но и направление личностного и профессионального развития.

Концепция судьбоаналитического профконсультирования, разработанная Леопольдом Сонди, получила свое дальнейшее развитие и практическое применение в методике Мартина Ахтниха «Фотографический тест профессий ВВТ (от немецкого Berufsbilder-test)» [2].

В основе этой методики лежит предположение, что успешность профессионального пути человека зависит от учета его изначальных психодинамических характеристик, которые также детерминированы наследственностью. М. Ахтних разработал метод «Фотографического теста профессий ВВТ», который позволяет выявить глубокие внутренние потребности человека и их связь с определенными профессиями.

Эта методика диагностирует, каким образом наследственные факторы влияют на профессиональные предпочтения, и помогает определить ту профессию, которая наиболее полно соответствует внутренним склонностям человека, обусловленным генетически.

Несмотря на детерминирующее влияние генов, Л. Сонди подчеркивает, что у человека всегда остается возможность для свободного выбора, особенно в рамках тех направлений, к которым он генетически предрасположен. Это означает, что, осознавая свои внутренние предрасположенности, человек может сознательно принимать решения, которые приведут к гармоничному развитию его личности и профессиональной карьеры.

Метод М. Ахтниха, основанный на судьбоанализе, таким образом, помогает людям не только лучше понять свои внутренние склонности, но и использовать это понимание для создания осознанного и успешного профессионального пути. В то же время, следует учитывать, что наследственность, хотя и играет важную роль в формировании профессиональных предпочтений, не является единственным фактором, определяющим карьерный выбор.

Существует ряд альтернативных взглядов, которые ставят под сомнение детерминирующую роль генетики в выборе профессии. Например, исследования в области нейропластичности показывают, что мозг человека обладает способностью адаптироваться и развиваться в различных направлениях в зависимости от обучения и жизненных условий [7]. Этот подход предполагает, что судьба, хотя и предопределена в некоторой степени, не является непреложной, и человек имеет возможность изменять свой профессиональный путь, используя потенциал нейропластичности для развития в различных сферах.

Кроме того, критики судьбоанализа указывают на значимость социальных и культурных факторов. Исследование М. Райта [10] подчеркивает, что семейные традиции, образование и социальные ожидания могут оказывать сильное влияние на выбор профессии, иногда даже превосходя влияние наследственности. Это вызывает вопросы о том, насколько судьба может быть изменена под воздействием социума.

Тем не менее, современные исследования в области поведенческой генетики предоставляют веские доказательства в пользу теории Л. Сонди и методики М. Ахтниха. Например, близнецовые исследования демонстрируют, что до 40 % вариаций в

профессиональных предпочтениях могут быть объяснены генетическими факторами [4]. Это подтверждает идею о том, что судьба, во многом предопределенная генами, действительно играет значительную роль в профессиональном самоопределении.

Эпигенетические исследования также усиливают позиции судьбоанализа. Например, исследования М. Фраги [3] показали, что, хотя гены задают определенные предрасположенности, их активность может изменяться под воздействием окружающей среды. Это находит отражение в методике М. Ахтниха, где учитываются не только врожденные склонности, но и те условия, в которых человек развивается. Таким образом, методика позволяет раскрыть взаимодействие между судьбой, заложенной генами, и воздействием внешних факторов.

Современные теории карьерного выбора, такие как теория жизненного пути Д. Сьюпера [8] и теория социальных когнитивных карьерных решений, развиваемая Р. Лентсом, С. Брауном и Д. Хэкеттом [5], сосредоточены на анализе множества факторов, включая личный опыт, социальные отношения и самооффективность, которые влияют на карьерные решения. Однако эти теории, хотя и признают многофакторную природу карьерного выбора, зачастую упускают из виду влияние наследственных факторов. Например, в теории Д. Сьюпера акцентируется внимание на развитии профессионального «я», формирующегося на основе опыта. Но тест М. Ахтниха позволяет дополнить этот подход, выявляя генетически детерминированные склонности, которые также могут играть роль в формировании профессионального самоопределения.

Теория социальных когнитивных карьерных решений подчеркивает важность самооффективности и ожидаемых результатов в процессе выбора профессии [6]. Однако эти переменные могут быть не только продуктом осознанного опыта, но и следствием генетической предрасположенности. Наследственные факторы могут оказывать влияние на уверенность в своих способностях и на выбор карьерного пути, что делает интеграцию методов судьбоанализа и теста М. Ахтниха в этот контекст особенно актуальной.

Таким образом, судьба, как она понимается в контексте судьбоанализа и методики М. Ахтниха, остается важной детерминантой в выборе профессии. Однако это не означает абсолютной предопределенности. Исследования показывают, что генетические факторы, составляющие основу нашей судьбы, действительно влияют на профессиональные предпочтения, но они взаимодействуют с внешними условиями и могут быть модифицированы под влиянием среды и сознательных решений человека. В итоге, осознанный выбор, основанный на понимании собственной судьбы и предрасположенностей, позволяет человеку гармонично развиваться как в личностном, так и в профессиональном плане, помощь в осознании этого и является основной целью методики М. Ахтниха.

Концепция Л. Сонди, интегрированная с современными подходами к карьерному планированию, такими как теория Д. Сьюпера и теория социальных когнитивных карьерных решений, позволяет глубже понять механизмы выбора профессии и учесть как осознанные, так и бессознательные факторы. Использование теста М. Ахтниха, основанного на идеях Л. Сонди, дает возможность более точно диагностировать личностные потребности и склонности,

связанные с генетическим наследием. Это, в свою очередь, позволяет сделать более осознанный и успешный выбор профессионального пути.

Фотографический тест профессий ВВТ, разработанный Мартином Ахтнихом в Швейцарии, представляет собой психологическую методику, направленную на диагностику профессиональных склонностей [2]. Работа над тестом длилась 16 лет, начиная с 1961 года и завершилась в 1978 году. Тест переведен на несколько языков, включая французский, португальский и польский, и получил широкое распространение не только в Европе, но и в Бразилии. Его уникальная способность учитывать глубинные потребности личности делает его важным инструментом в профессиональном консультировании.

В ходе тестирования испытуемому предлагается серия фотографий, на которых изображены представители различных профессий за выполнением своих обязанностей. Задача испытуемого – выбрать те изображения, которые вызывают у него наибольший эмоциональный отклик. При этом не требуется точного знания названий профессий или понимания того, какие именно действия выполняют профессионалы на фотографиях. Такой подход позволяет обойти рациональные барьеры и напрямую обратиться к бессознательным предпочтениям, которые могут быть связаны с наследственными факторами.

Методика основывается на восьми универсальных потребностях личности, выделенных М. Ахтнихом, каждая из которых представляет собой определенный аспект человеческой натуры. Эти потребности включают:

- W (чувственность) – стремление к физическим и эмоциональным удовольствиям.
- K (физическая сила) – желание проявлять силу и физическую активность.
- S (социальная активность), которая делится на:
 - SH (помощь) – потребность помогать другим;
 - SE (энергия и динамика) – стремление к активности и мужеству.
- Z (демонстрация) – потребность в самовыражении и признании.
- V (интеллект) – стремление к интеллектуальной деятельности.
- G (духовность и творчество) – желание творить и развиваться духовно.
- M (материальные ценности) – потребность владеть и управлять ресурсами.
- O (оральные потребности), включая:
 - ON (пища и рот) – стремление к удовлетворению пищевых потребностей;
 - OR (общение) – потребность в вербальном взаимодействии.

По завершении теста, на основе выборов испытуемого, создается профиль его профессиональных склонностей. Каждая из восьми потребностей может занимать более или менее значимое место в структуре личности, что позволяет выявить наиболее подходящие профессиональные сферы для реализации этих склонностей. Не существует профессии, которая относилась бы только к одному фактору. В большинстве случаев должны быть рассмотрены три или четыре существенных фактора, обосновывающих выбор той или иной профессии.

Профессия во многом характеризуется разнообразием деятельности, которую можно выполнять. Но сама деятельность не является полным основанием профессии. Когда описывается профессия, необходимо определить следующие аспекты:

- название профессии;
- название видов деятельности, которые осуществляются в этой профессии;
- применяемые инструменты;
- материалы, используемые средства;
- над каким объектом профессии ведется работа;
- место профессии, где реализуется деятельность;
- цель, которая должна быть достигнута.

Рассмотрим несколько примеров того, как можно описать различные профессии, используя подход к анализу ключевых аспектов профессиональной деятельности, таких как название профессии, виды деятельности, применяемые инструменты, материалы, объекты работы, место деятельности и цель, которую стремится достичь специалист. Также обратим внимание на профессиональные факторы, которые помогают определить, какие склонности личности наиболее подходят для конкретной профессии и способствуют правильному выбору профессионального пути.

1. Педагог

- Название профессии: Педагог.
- Виды деятельности: Обучение и воспитание учеников.
- Инструменты: Дидактические материалы, книги, электронные ресурсы, речь и педагогические умения.
- Материалы: Учебные пособия, интерактивные материалы.
- Объект работы: Ученики, обучающиеся различным дисциплинам.
- Место деятельности: Школа, классная комната.
- Цель: Передача знаний и формирование умений и навыков у учеников.

Педагог обучает (V18) учеников (SH) с помощью учебных материалов (V) и языка (O), чтобы расширить (SH) их знания (V). Это означает, что факторы SH, V и O являются важными для профессии педагога. Акцент в работе педагога делается больше на SH или на V в зависимости от того, насколько он сосредоточен на воспитательных или учебных аспектах.

2. Врач

- Название профессии: Врач.
- Виды деятельности: Диагностика и лечение пациентов.
- Инструменты: Медицинские приборы, лекарства, методы диагностики.
- Материалы: Медицинское оборудование, препараты, анализы.
- Объект работы: Пациенты, их здоровье.
- Место деятельности: Больница, клиника, кабинет врача.
- Цель: Оказание медицинской помощи, улучшение здоровья пациентов.

Профессия врача принадлежит к профессиям, оказывающим помощь, следовательно, – к фактору SH. Это связано с деятельностью, которая выполняется, однако профессия врача имеет больше дополнительных факторов, которые играют важную роль:

SH – W: гинеколог, педиатр, врач по кожным и венерическим заболеваниям;

SH – K: дантист, хирург;

SH – G: психиатр, врач-исследователь;

SH – V: врач-администратор.

Установление диагноза является интуитивным действием (G), поэтому это необходимый фактор. Кроме того, обучение медицине требует усвоения обширных знаний, а это фактор (V). Для врача чувство красоты также может играть важную роль (Z) (например, пластическая хирургия).

Примеры, рассмотренные выше, показывают, как сочетание факторов, определяющих профессиональные склонности, меняется в зависимости от специфики профессии. Это еще раз подчеркивает, насколько многогранны и разнообразны потребности, которые могут быть реализованы в профессиональной деятельности.

Фотографический тест профессий ВВТ, разработанный для подростков и молодежи, стал ключевым инструментом в практике Гомельского регионального центра тестирования и профессиональной ориентации учащейся молодежи (www.dtap.by). С 2016 года, благодаря тесному сотрудничеству с доктором Хенриком Яросевичем из Вроцлавского университета, методика была адаптирована для использования в русскоязычной среде. Это сотрудничество привело к первой официальной публикации на русском языке брошюры Мартина Ахтниха под названием «Фотографический тест профессий. ВВТ. Использование методики в профессиональном консультировании и планировании карьеры. Введение» [1]. Эта публикация и активное участие доктора Х. Яросевича способствовали внедрению методики в образовательные и консультационные процессы центра.

Влияние наследственности на профессиональный выбор представляет собой сложное и многогранное явление, которое было подробно изучено в рамках теории судьбоанализа Леопольда Сонди и методики Мартина Ахтниха. Эти исследования подчеркивают значимость генетических факторов в формировании профессиональных предпочтений, выявляя, что наследственность играет важную роль в определении жизненного пути и карьерного развития. Однако наследственность не является единственным фактором, определяющим профессиональные предпочтения. Важную роль играют также внешние условия, такие как социальная среда, образование и жизненные обстоятельства, которые могут как усиливать, так и ослаблять влияние генетических предрасположенностей.

Методика М. Ахтниха, основанная на судьбоаналитическом подходе, успешно интегрируется с современными теориями карьерного планирования, включая теории Д. Сьюпера и социальных когнитивных карьерных решений. Эта методика позволяет учитывать как осознанные, так и бессознательные факторы, что делает ее эффективным инструментом для профессионального консультирования и планирования карьеры. Благодаря своей способности выявлять глубинные потребности личности и их корреляцию с профессиональной деятельностью тест ВВТ способствует более осознанному и успешному выбору профессионального пути.

В связи с этим можно выделить несколько ключевых аспектов, которые подчеркивают важность использования данного теста в профессиональном консультировании:

1. Необходимость применения ВВТ: Фотографический тест профессий ВВТ является уникальным инструментом, который позволяет выявить глубинные профессиональные склонности и соотнести их с конкретными профессиями.

2. Многогранный подход: Методика учитывает не только рациональные, но и эмоциональные аспекты выбора профессии, что делает ее незаменимой в современном профессиональном консультировании.
3. Прогнозирование и адаптация: ВВТ позволяет не только определить текущие склонности, но и прогнозировать успехи в будущей карьере, помогая избежать профессиональных ошибок.
4. Глобальное применение: Методика получила широкое распространение в различных странах, подтверждая свою универсальность и актуальность.
5. Рекомендация к использованию: В условиях современного рынка труда, требующего высокой адаптивности, использование ВВТ является необходимым для точного и успешного профессионального самоопределения.

Литература:

1. Ахтних М. (2019): Фотографический тест профессий. Использование методики в профориентационном консалтинге и в планировании карьеры. Введение. Пер. с пол. В. И. Глазунова. Издательство «ГГТУ им. П. О. Сухого». Гомель.
2. Achtnich M. (1979): Der Berufsbildertest. Projektives Verfahren zur Abklärung der Berufsneigung. Bern-Stuttgart-Wien. Verlag Hans Huber.
3. Fraga, M. F., Ballestar, E., Paz, M. F., Ropero, S., Setien, F., Ballestar, M. L., & Esteller, M. (2005). Epigenetic differences arise during the lifetime of monozygotic twins. *Proceedings of the National Academy of Sciences*, 102(30), 10604-10609. DOI: [10.1073/pnas.0500398102](https://doi.org/10.1073/pnas.0500398102)
4. Johnson, W., Deary, I. J., Silventoinen, K., Tynelius, P., & Rasmussen, F. (2010). Genetic and environmental influences on stress response styles: A twin study. *Journal of Personality*, 78(6), 2001–2036. DOI: [10.1037/a0020467](https://doi.org/10.1037/a0020467)
5. Lent, R. W., Brown, S. D., & Hackett, G. (1994). Toward a unifying social cognitive theory of career and academic interest, choice, and performance. *Journal of Vocational Behavior*, 45(1), pp.79-122.
6. Lent, R. W., Brown, S. D., & Hackett, G. (2002). Social cognitive career theory. In D. Brown & Associate (Eds.), *Career choice and development*. San Francisco: Jossey-Bass. 4th ed., pp. 255-311.
7. Maguire, E. A., Gadian, D. G., Johnsrude, I. S., Good, C. D., Ashburner, J., Frackowiak, R. S., & Frith, C. D. (2000). Navigation-related structural change in the hippocampi of taxi drivers. *Proceedings of the National Academy of Sciences*, 97(8), 4398-4403. DOI: [10.1073/pnas.070039597](https://doi.org/10.1073/pnas.070039597)
8. Super, D. E. (1980). A life-span, life-space approach to career development. *Journal of Vocational Behavior*, 16(3), pp.282-298.

9. Szondi L. (1944): Schicksalsanalyse, Wahl in Liebe, Freundschaft, Beruf, Krankheit u. Tod. Erbbiologische u. psychohygienische Probleme. Mit zahlreichen Stammbäumen u. Tabellen. Deutsch von L. Kan tos. Basel: Schwabe & Co.
10. Wright, M. O., Crawford, E., & Castillo, D. D. (2012). The moderating role of social support in the relationship between childhood abuse and adult interpersonal problems. *Journal of Interpersonal Violence*, 27(18), pp. 3664-3679. DOI: 10.1177/0886260512448487

**Glazunov Vladimir Ivanovich,
Belyakova Elena Igorevna**

Gomel State Technical University named after P.O. Sukhoi

e-mail: uhlazunou57@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.27>

SJIF 2024: 8.268

THE INFLUENCE OF HEREDITY ON CAREER CHOICE IN THE CONTEXT OF THE THEORY OF FATE-ANALYSIS AND THE M. ACHTNICH METHOD

Abstract

The article analyzes the influence of heredity on career choice in the context of Leopold Szondi's theory of fate analysis and Martin Achtnich's "Photographic Test of Professions" method. The main focus is on the hypothesis that professional preferences may be genetically predetermined and reflect the unrealized aspirations of ancestors. The key concepts of fate analysis and the idea of genotropism, which suggest that unconscious genetic impulses play an important role in career self-determination, are discussed.

The article also examines alternative perspectives that highlight the significance of neuroplasticity and social factors, which can modify genetic predispositions. Additionally, it presents Martin Achtnich's method aimed at diagnosing professional inclinations through the analysis of emotional reactions to images of various professions. The study is based on empirical data and explores the interaction of genetic factors with the environment, emphasizing that an understanding of one's hereditary tendencies leads to a more conscious and successful career choice.

Keywords: heredity, career choice, fate analysis, Leopold Szondi, Martin Achtnich, photographic test of professions, genetic predisposition

Рецензент: профессор Реваз Баланчивадзе

ჟურნალისტიკა Journalism

„მაშინ მე, უნამუსო, ასეთს რას ვაშავებდი?“ – რატომ და როგორ უნდა ვასწავლოთ სტუდენტ ჟურნალისტებს ანა პოლიტკოვსკაიას შემოქმედება

ხათუნა მაისაშვილი, მარიამ ჭიჭინაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: khatuna.maisashvili@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.28>

SJIF 2024: 8.268

წინამდებარე სტატიაში განხილულია ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებისთვის ანა პოლიტკოვსკაიას მემკვიდრეობის საკითხების სწავლება. ანალიზისას ავტორები ეყრდნობიან სამი ტიპის წყაროს: (1) საკუთრივ პოლიტკოვსკაიას მიერ შექმნილ ტექსტებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ღია წყაროებში რუსულ და ინგლისურ ენებზე; (2) პუბლიცისტურ და აკადემიურ ნაშრომებს პოლიტკოვსკაიას ფიგურისა და საქმიანობის შესახებ; (3) საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში არსებული მედიასკოლების სასწავლო გეგმებს. ეს წყაროები ავტორების მიერ სხვადასხვა მეთოდებით შეისწავლება და ანალიზდება, თუმცა, ამ განსხვავებულობის მიუხედავად, ძირითად მიგნებებს წყაროს თითოეული ტიპის მიხედვით მივყავართ სწავლების პარადიგმის იმ ასპექტებთან თუ მეთოდურ კვანძებთან, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელი და მიზანშეწონილი იქნება პოლიტკოვსკაიას პიროვნებისა და შემოქმედების შესწავლა. ნაწილი ამ მიგნებებისა პასუხობს შეკითხვას: რატომ უნდა ვასწავლოთ პოლიტკოვსკაიას მემკვიდრეობა, ხოლო მეორე ნაწილი პასუხობს შეკითხვას: როგორ უნდა ვასწავლოთ? კურიკულუმის რომელ სასწავლო კურსებში იქნება მართებული ანა პოლიტკოვსკაიას მიერ თუ მის შესახებ შექმნილი ტექსტების სწავლება. სტატია ასკვნის, რომ ნაერთი სახით ეს ასპექტები შემდეგია: (1) პოლიტიკური ძალაუფლებისა და სიტყვის ძალაუფლების შეპირისპირება ავტორიტარული რეჟიმის პირობებში; (2) პროფესიული სოლიდარულობა თუ მისი დეფიციტი; (3) ჟურნალისტის პიროვნება და პროფესიული როლური მოდელი; (4) „მშვიდობიანი ადამიანის“ თვალით დანახული სამხედრო/საომარი ჟურნალისტიკა;

(5) პოლიტკოვსკაიას მიერ შექმნილი მნიშვნელობითი კოდები (ვერბალურიც და არავერბალურიც) მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთმიმართების გადმოსაცემად ამბის თხრობაში.

პოლიტკოვსკაიას რეპორტაჟები ჩეხეთიდან საერთო სახელწოდებით „მეორე ჩეხუ-რი“, ასევე რჩეული რეპორტაჟები, რომლებიც ინგლისურ თარგმანში დაცულია გამომცემლობა SAGE-ის ბაზაში, სპეციალურ დირექტორიაში *Index on Censorship 2.0.*, იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტს კმარი ცოდნა შეეძინას ზემოხსენებული ხუთივე ასპექტით.

ანა პოლიტკოვსკაიას შემოქმედება დღეს უფრო მეტად აქტუალური ხდება რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე: სიტყვის თავისუფლების უდაბლესი სტანდარტი რუსეთში, უკრაინაში მიმდინარე ომის გაშუქების გამო ემიგრაციაში გადახვეწილი მედია-ორგანიზაციები, დევნილი დამოუკიდებელი ჟურნალისტები, თავად პოლიტკოვსკაიას სახელისა და მემკვიდრეობის გაქრობა რუსეთის მედიასივრციდან.

საკვანძო სიტყვები: პოლიტკოვსკაია, ჟურნალისტიკა, ავტორიტარიზმი, პროფესიული სოლიდარობა, სასწავლო გეგმა, ვერბალური და არავერბალური კოდები

შესავალი

თანამედროვე ჟურნალისტიკის სწავლების მეთოდისტები (Deuze, 2005; Hanitzsch, 2018) მედიის მიმართულების სასწავლო გეგმებს ბრძოლის ველს ადარებენ, და ეს ბრძოლა რამდენიმე კონცეპტუალურ მიმართულებას შორის მიმდინარეობს: წმინდა წყლის ჟურნალისტიკა/რეპორტიორობასა და მასობრივ კომუნიკაცია/კომუნიკაციას შორის, პროფესიის ტექნოლოგიურცენტრულ და კულტურულცენტრულ მიდგომებს შორის.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჟურნალისტიკის სწავლება ხორციელდება „ჟურნალისტიკისა და რეპორტირების“ საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში, ნაცვლად „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციისა“, რაც ჯერ კიდევ სამი წლის წინ სააკრედიტაციო სტანდარტს წარმოადგენდა. კომუნიკაციის კომპონენტის გასვლამ საკვალიფიკაციო ჩარჩოდან გამოიწვია სავალდებულო საგნების ახლებური კონცენტრაციის აუცილებლობა, ე. წ. „პროფესიაცენტრული სასწავლო კურსების“ წინ წამოწევა. პულიტცერ/შრამის დავა (Deuze, 2005), რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, დღეს მის სასარგებლოდ გადაწყდა, თუმცა მედიატექნოლოგიის განვითარების დონის გათვალისწინებით. მედიის სწავლების ხანგრძლივი ტრადიცია უჩვენებს, რომ ტექნოლოგიურ დეტერმინიზმის ბატონობა აუცილებლად იცვლება სოციალური და კულტურული დეტერმინიზმის დომინანციით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი პრიორიტეტი, ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სასწავლო კურსების რაოდენობის ზრდა, ჩანაცვლდება ახალი ტენდენციით – ისეთი სასწავლო კურსების

მზარდი წილით, რომლებიც შეისწავლიან არა ტექნოლოგიურ ფუნქციონალს, არამედ ამ ტექნოლოგიებთან ასოცირებულ სოციალურ-კულტურულ კონტექსტს (Livingstone, 2006, 2013). ცხადია, რომ აუდიტორიაზე ეფექტს იწვევს შინაარსში კოირებული მნიშვნელობები და არა ტექნოლოგიის სპეციფიკა.

ქართული მედიასკოლების ტექნოლოგიური საგნებით გადატვირთული კურიკულუმები გლობალური ტენდენციის გამოძახილია.

საქართველოში არსებული მედიასკოლების კურიკულუმების უმრავლესობაში შეხვდებით სასწავლო კურსებს, რომლებიც შეისწავლიან პოლიტიკური და მედიადისკურსების ბმას და ურთიერთგანპირობებულობას. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავლის კურსში ნახავთ ლექციებს მედიისა და დემოკრატიის კავშირზე, ასევე – კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელობის შექმნის ფენომენზე. ჟურნალისტიკა შეისწავლება ნიშური ჭრილითაც – ნიშური ჭრილი გულისხმობს თემატურ სპეციალიზაციასაც (აგროჟურნალისტიკა, სპორტული ჟურნალისტიკა, სამხედრო ჟურნალისტიკა, კონფლიქტების გაშუქება, ბავშვთა საკითხების გაშუქება და სხვ.) და ფუნქციურსაც (კონსტრუქციული ჟურნალისტიკა, კონვერგენტული ჟურნალისტიკა და სხვ.). ჟურნალისტიკის ისტორიის სწვლებისას პრიორიტეტი ენიჭება XIX საუკუნის ჟურნალისტიკის სწავლებას და საერთოდ უგულვებელყოფილია ისტორიის უფრო ახალი მონაკვეთები, რომელთა ცოდნის გარეშე ძალიან გაჭირდება თანამედროვე ჟურნალისტური ტექსტის აღქმა. სასწავლო გეგმაში შეხვდებით კურსს „დიადი წიგნები“, მაგრამ ნაკლებად შეხვდებით „დიად ჟურნალისტურ ტექსტებს“, შეიძლება საერთოდ ვერ ნახოთ დასავლური პრაქტიკის მიხედვით აგებული სპეცკურსები, რომლებიც ეპოქალური მნიშვნელობის ჟურნალისტების შემოქმედების შესწავლაზე იქნება მიმართული. სწორედ ასეთი მასშტაბის და მნიშვნელობის ჟურნალისტიკა ანა პოლიტკოვსკაია.

რუსი ჟურნალისტიკის ანა პოლიტკოვსკაიას (1958 – 2006) ხსენებისას ყველაზე ხშირად ვხვდებით სიტყვას „მსხვერპლი“. პოლიტკოვსკაია არა მხოლოდ „დიდი კომერციული საკონცენტრაციო ბანაკის“ (ეს თავად პოლიტკოვსკაიას ტერმინია – ავტ.) მსხვერპლების ისტორიებს წერდა, არამედ თვითონაც იქცა პუტინის რეჟიმის მსხვერპლად – თავისი რეპორტაჟებისა და ნარკვევების გმირების მსგავსად. პოლიტკოვსკაიას პირად ბედში სიკვდილამდე მსხვერპლად ყოფნის გრძელი პროცესი იყო: გამუდმებული მუქარები სამხედროებისგან პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, გაფრთხილებები კოლეგებისგან, გაფრთხილებები ხელისუფლების წარმომადგენლებისგან: „თუ არ გაჩერდებით, ერთ დღესაც თქვენს დაცვას ვეღარ შევძლებთ“, მუდმივად სამიზნედ ყოფნის განცდა. პოლიტკოვსკაიას წინააღმდეგ მუშაობდა უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანა, რომლის მიზანიც პოლიტკოვსკაიას პროფესიული სინდისიერებისა და წესიერების ეჭვქვეშ დაყენება იყო. მისი რეპორტაჟების გმირებისთვის კი „მსხვერპლობა“

ნიშნავდა ხაროში დამწყვედევას, დენით წამების ახალ-ახალ ფორმებს, ახლობლების მოკვლის ყურებას, გაუპატიურებას და ამის შემდეგ შურისძიების დაუკმყოფილებელი წყურვილით ცხოვრებას, ჭკუიდან შეშლას, როცა მსხვერპლი იმის გააზრებასაც ვერ ახერხებდა, თუ რა დაემართა.

რასაკვირველია, პოლიტკოვსკაიას შემოქმედებას მის სამშობლოში არ ასწავლიან. მისი ტექსტები რუსული ციფრული სამყაროდანაც თანდათანობით ქრება – ისევე, როგორც მისი წიგნები რუსული ქალაქების წიგნის მაღაზიების თაროებიდან.

ორაზროვნება პოლიტკოვსკაიას შემოქმედებისა და მემკვიდრეობის შესახებ

„ვინ ვარ და რატომ ვწერ მეორე ჩეჩნურ ომზე? ჟურნალისტი ვარ. ვმუშაობ დედაქალაქის „ნოვია გაზეტას“ სპეცკორად, და ეს ერთადერთია მიზეზია, რომლის გამოც ვნახე ომი – მე მის გასაშუქებლად მიმავლინეს. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მე სამხედრო კორესპონდენტი ვარ და საგანს კარგად ვიცნობ. პირიქით: იმიტომ, რომ მე თავიდან ბოლომდე სამოქალაქო ადამიანი ვარ. მთავარი რედაქტორის იდეა მარტივი იყო: სწორედ ჩემთვის, თავიდან ბოლომდე სამოქალაქო ადამიანისთვის, უფრო გასაგები იქნებოდა სხვა, ასევე თავიდან ბოლომდე სამოქალაქო ადამიანების, განცდები – ჩეჩნური სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებლების, რომლებსაც თავს ომი დაატყდა.

სულ ეს არის.

ამიტომ დავდივარ ყოველ თვე ჩეჩნეთში, დაწყებული 1999 წლის ივლისიდან (ე.წ. „ბასაევის რეიდიდან დაღესტანზე“, რომელმაც მთიანი სოფლებიდან დევნილების ნაკადები და მთლიანად მეორე ჩეჩნური ომი გამოიწვია). ცხადია, მთელი ჩეჩნეთი ფეხდაფეხ მოვიარე. ბევრი უბედურება ვნახე. მათგან მთავარი ის არის, რომ ბევრი ჩემი გმირი, რომელთა შესახებაც ორწელიწადნახევრის განმავლობაში ვწერდი, – ახლა მკვდრები არიან. ასეთი საშინელი ომი მოხდა...

შუასაუკუნებრივი.

მერე რა, რომ ეს XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე მოხდა, და თან – ევროპაში.

ანა პოლიტკოვსკაია. „მეორე ჩეჩნური“.

ამ ომის აღწერისას მას, როცა „მახქეთინის საკონცენტრაციო ბანაკის“ ტუსაღების ისტორიებს იწერდა, როგორც თვითონ ამბობს, ხელიც კი უშემდეგოდა,

„ნოვია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის, დმიტრი მურატოვის, იდეა ბრწყინვალე აღმოჩნდა. „თხემით ტერფამდე სამოქალაქო“ პოლიტკოვსკაიამ იმ ადამიანების ისტორიები დაწერა, რომელთა შემზარავ თავგადასავალსაც სამხედრო სპეციალიზაციის ჟურნალისტი (ალბათ – ავტ.) ისე შეხედავდა, როგორც ნებისმიერი ომის „თანამდევ სამოქალაქო ზარალს“. არსებობს ასეთი ევგემისტური ტერმინი, რომელიც საომარი მოქმედების შედეგად გამოწვეულ მსხვერპლს აღნიშნავს სამოქალაქო მოსახლეობას შორის – ეს

„თანამდევობა“ მაროდორობასაც გულისხმობს, წამებასაც, სიკვდილსაც, შემოკვდომასაც. „თხემით ტერფამდე სამოქალაქო“ პოლიტკოვსკაიამ ისე დაწერა, როგორსაც ალბათ მურატოვიც კი არ ელოდა.

ანა პოლიტკოვსკაიამ თავის რეპორტაჟს ასე უწოდა: „მახქეთინის საკონცენტრაციო ბანაკი კომერციული განხრით“. სოფელ ხოტუნის განაპირას, იმ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, სადაც დისლოცირებულნი იყვნენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 45-ე საჰაერო-სადესანტო და 119-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკები, სადაც ასევე იდგნენ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და უშიშროების ფედერალური სამსახურის ქვედანაყოფები, – პოლიტკოვსკაის თქმით, – საკონცენტრაციო ბანაკი მოქმედებდა, კომერციული განხრით.

... პოლიტკოვსკაიას შემოქმედების ანალიზის ჭრილში აქტუალურია პრობლემა, თუ რატომ ხდება ისე, რომ ერთ სივრცეში, ერთ ქვეყანაში, ერთ ბედქვეშ მცხოვრები ადამიანები აბსოლუტურად განსხვავებულად აღიქვამენ იმას, რაც მათ თავს ხდება; რატომ არ უჯერებენ ისინი, ვისაც ძალადობა თავისი თვალთ არ უნახავს, – მათ, ვინც ნახა და ე.წ. „კამერის ხედვით“ აღწერა. ეს კომუნიკაციური აცდენა არ ეხება ურთიერთობას მხოლოდ პოლიტიკის შემოქმედებსა და მედიის წარმომადგენლებს შორის. პოლიტკოვსკაიას შემთხვევაში ეს შიგაპროფესიული პრობლემაც არის. პოლიტკოვსკაიასადმი რუსული ჟურნალისტური ელიტის დამოკიდებულების კონტექსტში რადიო „თავისუფლების“ რუსული ბიუროს ჟურნალისტი ელენა რიკოვცევა იხსენებდა ერთი ძალიან ცნობილი გამოცემის რედაქტორის ციტატას:

„ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ თუკი ოდესმე რუსეთის პრეზიდენტი ჟურნალისტი პოლიტკოვსკაია იქნება, უცებ აღმოჩნდება, რომ პუტინის დროს თურმე ჩვენ ვცხოვრობდით საშინელი პოლიციური რეჟიმის პირობებში, როცა ციხეები გადავსებული იყო იჩქერის თავისუფლებისთვის მებრძოლი კეთილშობილი მეომრებით!“ – ასე წერდა 2005 წლის ივლისში „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქტორი იური პოლიაკოვი. ამაოდ სწუხდა. პოლიტკოვსკაია ერთი წლის შემდეგ დაიღუპება. და თუკი არსებობს რამენაირი კავშირი „პოლიტკოვსკაია – რუსეთის პრეზიდენტი“, ეს ერთადერთი დღეა – პოლიტკოვსკაიას სიკვდილისა და პუტინის დაბადების დღე“ (https://rus.ozodi.org/a/politkovskaya_day_of_death_of_journalist_/24355030.html).

ამ ქვეთავის მიზანი არ არის პოლიტკოვსკაიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის სრულად და ამომწურავად შეფასება. აქ თავი მოვუყარეთ ჩვენი კვლევის მიზნის შესაბამის მოსაზრებებს, რომლებშიც გამოხატულია გაორებული თუ ორაზროვანი დამოკიდებულება პოლიტკოვსკაიასადმი, მისი ნაწერისადმი, მისი პრინციპებისადმი, მისი სტილისადმი, მისი აღქმებისადმი. რასაკვირველია, განსხვავებული დამოკიდებულება პოლიტიკური იდეებისა თუ ჟურნალისტური პროდუქციის მიმართ ნებისმიერ

პლურალისტურ საზოგადოებში გასაკვირი არ არის, – პირიქით, ეს ნორმად მიიჩნევა, მაგრამ ის ქვეყანა და გარემო, რომელშიც პოლიტკოვსკაია საქმიანობდა, ის კონტექსტი, რომელშიც პოლიტკოვსკაიას სიტყვები ისმოდა, გვიბიძგებს, ეს გაორება და ორაზროვნება არ აღვიქვამთ როგორც პლურალიზი. ამ კონტექსტში დომინანტური პოლიტიკური დისკურსი ყველაფერს, რაც მის ძალაუფლებას ეღობებოდა, ასუსტებდა, იმ ორ ბანაკად, – „შავად“ და „თეთრად“, „კეთილად“ და „ბოროტად“ – ჰყოფდა. ყველგან და ყველა მიმართულებით. თავად პოლიტკოვსკაია წერდა, რომ რუსეთმა ჩეჩნეთი „კარგი“ და „ცუდი“ ჩეჩნების ქვეყნად დაჰყო, ანუ – თავისიანებად და მტრებად; თვითონ პოლიტკოვსკაია წერდა, რომ ის ჟურნალისტები, რომლებიც პუტინისა და მისი კარგი ჩეჩნების გვერდით დგებოდნენ, მუშაობის „ნორმალურ პირობებს“ იღებდნენ; ის ჟურნალისტები კი – ასეთები ძალიან ცოტანი იყვნენ, და ერთ-ერთი მათგანი იყო ანაც, – რომლებსაც არც პუტინისა და „კარგი“ ჩეჩნების სჯეროდათ და არც „ცუდების“ ნებაყოფლობითი „ჩაბარების“, კონსპირაციით, მალვითა და შიშით მუშაობდნენ, წყაროებთან მუშაობის კოდურ ენას სწავლობდნენ. მასალაში, რომელიც ღია ინტერნეტ-წყაროებში იძებნება როგორც პოლიტკოვსკაიას სამუშაო კომპიუტერში ნაპოვნი უკანასკნელი [გამოუქვეყნებელი] ტექსტი, სავარაუდოდ, განკუთვნილი საჯარო გამოსვლისთვის საზღვარგარეთ, მკაფიოდ ჩანს ის დამოკიდებულება, რომელსაც პოლიტკოვსკაია არა მხოლოდ კოლეგებისგან, არამედ საზოგადოებისგანაც გრძნობდა, და რომლის პასუხადაც იგი წერდა: „თუკი ჟურნალისტი „ჩვენი არ არის“, „სხვისია, უცხოა“ – ეს უკვე გარანტირებული გარიყვა და დაწყევლაა. საკუთარი თავის ამგვარი გარიყულობისადმი – ხმელეთზე ამგდებული დელფინის მსგავსის – არასდროს ვისწრაფვოდი. და, საერთოდ, მე არ ვარ პოლიტიკური მებრძოლი. [...] და მაშინ მე, უნამუსო, ასეთს რას ვაშავებდი? მე მხოლოდ იმას ვწერდი, რისი მოწმეც ვიყავი. მეტს არაფერს. შეგნებულად არ ვწერ ჩემ მიერ არჩეული გზის სხვა დანარჩენ „ხიზლზე“ – მოწამვლაზე. დაკავებებზე. მუქარებზე წერილებში და ინტერნეტში. პირობაზე, რომ მომკლავენ... ვფიქრობ, ეს წვრილმანებია. მთავარია – გქონდეს შანსი შენი ძირითადი საქმე აკეთო. აღწერო ცხოვრება, რედაქციაში ყოველდღე მიიღო ადამიანები, რომლებსაც სხვაგან წასასვლელი არც აქვთ თავიანთი უბედურებებით – ისინი კინწისკვრით მოიშორა ხელისუფლებამ; ის, რაც მათ დაემართათ, ვერ თავსდება კრემლის იდეოლოგიურ კონცეფციაში, და ამიტომ მონათხრობი მათი უბედურების შესახებ თითქმის ვერსად გამოჩნდება, რეგულარულად – მხოლოდ ჩვენს გაზეთში, სახელად „ნოვია გაზეტა“ (<https://novayagazeta.ru/articles/2020/10/07/87410-tak-chto-zhe-ya-podlaya-takogo-delala>).

პოლიტკოვსკაიასადმი გაორებული თუ აბერაციული აღქმის მაგალითი მოჰყავს ანა შორ-ჩუდნოვსკაიას (2010): „...პოლიტკოვსკაია - ერთ-ერთი ყველაზე ხისტი, შესაძლოა, ყველაზე ხისტი პოზიციისაა, ერთ-ერთი ყველაზე გამიშვლებული, ნერვული ხმა. მისი

წაკითხვა რთულია“. ასე ახასიათებდა პოლიტკოვსკაიას შემოქმედებას 2007 წლის მარტში სოციოლოგი ჯორჯ (გიორგი) დერლუგიანი ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან (<https://www.academia.edu/40478611/> [%D0%90%D0%BD%D0%BD%D0%B0 %D0%9F%D0%BE%D0%BB%D0%B8%D1%82%D0%BA%D0%BE%D0%B2%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F %D0%A0%D0%B5%D0%BF%D0%BE%D1%80%D1%82%D0%B0%D0%B6%D0%B8 %D0%BE %D0%B7%D0%B0%D0%BF%D1%80 %D0%B5%D0%B4%D0%B5%D0%BB%D1%8C%D0%BD%D0%BE%D0%BC %D0%97%D0%BB%D0%B5 %D0%92%D0%BE%D0%BF%D1%80%D0%BE%D1%81 %D1%81%D1%82%D0%B8%D0%BB%D1%8F](#); <http://www.svobodanews.ru/content/transcript/383794.html>). ანა პოლიტკოვსკაიას წიგნის ამერიკული გამოცემის („მეორე ჩეჩნურის“) წინასიტყვაობაში დერლუგიანი ცდილობდა, – არა როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი, არა როგორც ჟურნალისტი ან უფლებადამცველი, არამედ როგორც საზოგადოების მკვლევარი, სოციოლოგი, – ამერიკელი მკითხვე-ლისთვის აეხსნა, რაში მდგომარეობს პოლიტკოვსკაიას ტექსტების განსაკუთრებულობა, მისი სტილის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები: „შიშველი, ნერვული ხმა“...ანა შორ-ჩუდნოვსკაია კი ფიქრობდა, რომ „მეორე ჩეჩნურში“ და იმ მონაკვეთებშიც, რომლებსაც დერლუგიანი აკომენტარებდა, არანაირი ნერვული ხმა არ ისმოდა. სტატიის ავტორი ამბობს, რომ ეს ერთგვარი კლიშე იყო პოლიტკოვსკაიას შესახებ – მსგავსად მის ტექსტებს სხვებიც ახასიათებდნენ, რითაც „კორექტულად ხსნიდნენ“ კიდევ მათ მიმართ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას თუ ავტორის მიუღებლობას. „არაერთხელ მსმენია, – წერს შორ-ჩუდნოვსკაია, – როგორ ადანაშაულებდნენ პოლიტკოვსკაიას სტატიებს გადამეტებულ თუ გაზვიადებულ ემოციურობაში. მართლაც, იგი შიშით შეპყრობილი წერდა – პირისპირ დარჩენილი ყველაზე მდაბალ და ყველაზე დამპალ ბოროტებასთან – მისდამი ზიზღით... თუმცა თუ ყურადღებით ჩავუღრმავდებით მის სტრიქონებს, აღმოვაჩინოთ, ტექსტში თითქმის არ არ არის ავტორის, მისი ნერვული ქსოვილის ემოცი-ბი. ის წერდა, როგორც წერენ სხდომის ოქმს ან საბრალდებო დასკვნას: თავშეკავებით, კონკრეტულად, მაქსიმალური სიზუსტით, ყოველი დეტალის ფასის ცოდნით, როგორც სასამართლო დარბაზში, – თუმცა არასდროს უცდია, დაემალა თავისი თანაგრძნობა და თანადგომა ადამიანების მიმართ“ (2010: 2).

ყველაზე ხშირი ახსნა, თუ რატომ არ მოსწონდათ მის კოლეგებს (ყოფილ მეუღლესაც კი) და სამართალდამცავებს ანას ნაწერები, ასე ჟღერდა: ზედმეტად ხისტია, ზედმეტად ემოციურია, ექსცენტრიულია, ქედმაღლურია და ამიტომ ცუდად იკითხება, გაუგებარია. იმდროინდელი რუსული ჟურნალისტური საზოგადოება ჩიოდა „ზედმეტობაზე“, აუტა-ნელ „ზედმეტობაზე“, რომელსაც იგი მიუჩვევეველი იყო. მათ სიტყვებში თითქოს

მკითხველისადმი თანგრძნობაც იგრძნობოდა, რიგითი მოქალაქისადმი, რომელსაც პოლიტკოვსკაიას ნაწერები ზედმეტობისა და გაუგებრობის „მსხვერპლად“ აქცევდა.

მის კრიტიკოსთა შორის, შნორ-ჩუდნოვსკაიას აზრით, ბევრი ღირსეული და პატივსაცემი ადამიანი იყო. ისინი არ მალავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას მისი ტექსტების მიმართ პოლიტკოვსკაიას სიკვდილის შემდეგაც. ჟურნალ „ზნამიას“ («ЗНАМЯ») რედაქტორი სერგეი ჩუპრინინი „ნოვია გაზეტას“ ფურცლებზე აღიარებდა: „რასაკვირველია, მსმენოდა მის შესახებ, ძალიან კაშკაშა ადამიანი იყო. და რაც მთავარია – ვკითხულობდი. ყოველთვის არ ვეთანხმებოდი. ხშირად შინაგანად ვეკამათებოდი, ვბრაზობდი მასზე, მაღიზიანებდა, თუმცა მისი ზემოქმედება ჩემზე, ჩემს წარმოდგენებზე ცხოვრების შესახებ მაქსიმალური იყო“. მოსკოვის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის პროფესორი ევგენი იასინი იმავეს ფიქრობდა პოლიტკოვსკაიაზე: „ჩვენ ხშირად მისით უკმაყოფილონი ვიყავით... განა შეიძლებოდა ასე ხისტად, მკვეთრად? განა შერბილება არ შეიძლებოდა?“...(2006: 5).

ალბათ, ამ დამოკიდებულებას „პოლიტკოვსკაიას სინდრომი“ თუ „პოლიტკოვსკაიას პარადოქსი“ შეიძლება ვუწოდოთ. ეს ადამიანები პოლიტკოვსკაიას გვერდით ცხოვრობდნენ, იმავე ქვეყანაში, იმ დროში, მაგრამ მათ არ სურდათ იმ ზღვარს გადასული სისასტიკის შესახებ არათუ წერა, მოსმენაც კი, სხვისი დაწერილის წაკითხვაც კი. და თუ მაინც წაიკითხავდნენ ან „წაეკითხებოდათ“ – ერჩივნათ, არ დაჯერებინათ პოლიტკოვსკაიასთვის ან არ დაეჯერებინათ პოლიტკოვსკაიას არსებობა, და, როგორც ცნობილი პეტერბურგელი ლიტერატურული კრიტიკოსი სამუილ ლურიე იტყოდა, ისე ეცხოვრათ, „თითქოს პოლიტკოვსკაია ან არ არსებობდა, ან ყველაფერს იგონებდა“ (2006).

პოლიტკოვსკაია კი ძალიან ჩვეულებრივი, მართლაც სტენოგრაფიული სტილით წერდა: *”რატომ შევიძულე პუტინი? ამიტომ შევიძულე. სიმარტივისთვის, რაც ქურდობაზე უარესია. ცინიზმისთვის. რასიზმისთვის. დაუსრულებელი ომისთვის. ტყუილისთვის. გაზისთვის Nord-Ost-ში. უდანაშაულო მსხვერპლთა გვამებისთვის, რომლებიც თან ახლდა მის მთელ პირველ ვადას. გვამები, რომლებიც, შესაძლოა, არც ყოფილიყვნენ“* (http://www.nord-ost.org/memorial-zhertv-terakta/anna-politkovskaya-zachto-ya-nevzlyubila-putina_ru.html).

პოლიტკოვსკაიას შემოქმედების შესასწავლად აუცილებელია ორი ძალაუფლების დაპირისპირების გამოკვეთა: ერთის მხრივ, ძალაუფლება ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის, რომელსაც უზარმაზარი არმიისა და ძალადობის მანქანის მორჩილების გარდა, სიტყვის თქმისა და თქმულის გავრცელების შეუზღუდავი შესაძლებლობა აქვს, და, მეორეს მხრივ, ძალაუფლება ადამიანის, რომელიც სარგებლობს მხოლოდ სიტყვის თავისუფლებით – მოძალადე მმართველის წინააღმდეგ.

იმისთვის, რომ ძალაუფლება სიცოცხლისუნარიანი და ქმედითი იყოს, ანუ განხორციელდეს, მას ობიექტი სჭირდება – ადამიანი ან ადამიანები, რომლებზეც ძალაუფლების მქონეს გავლენა ან იძულება გავრცელდება. მსხვერპლი, მისი მასშტაბი, მისი თუ მათი საქმიანობა, მისი თუ მათი ვინაობა ამ ძალაუფლების ბუნებისა და ღირებულებების, სისასტიკისა თუ სითავხედე-ცინიზმის ანარეკლად იქცევა.

ნიშნები, კოდები, მნიშვნელობები

პოლიტკოვსკაიას ჩეჩნური რეპორტაჟების ანალიზის თეორიული ჩარჩო ძირითადად უკავშირდება კომუნიკაციის სემიოტიკურ ტრადიციას, თუმცა პოლიტკოვსკაიას ტექსტებში კოდირებული ნიშნების მნიშვნელობას შემთხვევათა უმრავლესობაში სოციალურ-კულტურული და სოციალურ-ფსიქოლოგიური კონტექსტი განაპირობებს.

ტექსტის ძირითადი ერთეულები, რომლებსაც ჩვენ ვიკვლევთ, არის განსაზღვრული მეთოდური მიზანშეწონილობით შერჩეული სიტყვები, ლექსემები, მათ შორის მოძრაობებისა და პოზების აღმწერლები, რომლებიც კლასიფიცირდებიან სხვადასხვა მიმართებების ვერბალურ და არავერბალურ კოდებად.

ვერბალურ კოდებს შორის ჩვენთვის მნიშვნელოვანია ბერნსტაინისეული (Fiske, 2010) კლასიფიკაცია შეზღუდულ და შემუშავებულ კოდებად, რომლებიც უჩვენებენ არა მხოლოდ კომუნიკატორის სოციალური და კულტურული განვითარების დონეს, არამედ ურთიერთობის ბუნებას ამ კოდების გამომყენებელთა შორის.

კომუნიკაციის თეორიის სფეროში მომუშავე სპეციალისტები (Littlejohn, Foss, 2011) აღიარებენ, რომ მეტყველება და ქცევა ურთიერთმოქმედებენ, და ამიტომ არავერბალური ნიშნების თეორიები – ვერბალურის გვერდით – სემიოტიკური ტრადიციის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს წარმოადგენენ. დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერები ვერ თანხმდებოდნენ, თუ რა ტიპის კომუნიკაციას უნდა ეწოდოს „არავერბალური“, რადგანაც არსებობს მეტყველების თანამდევი ექსტრალინგვისტური (პარალინგვისტური) კომუნიკაცია, რომელიც თავის თავში მოიცავს პაუზებს, ამოსუნთქვას, ხმის ტემბრს, ხმის რეგისტრს, აქცენტს, ტირილით ნათქვამ ცალკეულ ფრაზებს და სხვ., რასაც შეუძლია, ძირეულად შეცვალოს ვერბალური გამონათქვამის მნიშვნელობა.

არავერბალური კოდები – ეს არის ქცევითი კლასტერები, რომლებიც მნიშვნელობისა და საზრისის გადაცემას ემსახურებიან. არჯაილის (Fiske, 2010) კლასიფიკაციით, არავერბალური კოდების გაშიფვრა დიდად არის დამოკიდებული გამგზავნისა და მიმღების სოციალურ და კულტურულ კონტექსტზე; ხოლო ბერგუნის (Burgoon, 2022) აზრით, არსებობენ უნივერსალური, კულტურის მიღმითი სპონტანური კოდებიც. ეს ე.წ. ადაპტორული კოდებია. ადაპტორული კოდი აღნიშნავს ნიშნების ისეთ

ნაკრებს, რომელიც ეხმარება კომუნიკატორს, სხეულში დაგროვილი წნეხი ან დაძაბულობა გამოათავისუფლოს. ეს არავერბალური კოდი უფრო უნებლიეა, იგი ნაკლებად ექვემდებარება კომუნიკატორის მხრიდან კონტროლს, მათ „შინაგანად კოდირებულსაც“ უწოდებენ: ხელების გრეხვა, ტანის დრეკვა, ფეხის ქნევა ან ცახცახი, თავის ან ტანის ფხანა, განმეორებითი მონოტონური მოძრაობები, რაიმე ნივთის ხელში ტრიალი. ექსტრალინგვისტური კოდების პარადიგმაში ადაპტორული კოდები არის ხმის ტემბრისა და რეგისტრის ემოციის კვალობაზე ცვლილება, ასევე დაძაბულობით გამოწვეული სიცილი ან ტირილი.

ჩვენი ნაშრომისთვის არავერბალურ კოდებს კიდევ ერთი აქტუალური მნიშვნელობა აქვს: შინაარსის კვლევისას ჩვენ გავანალიზებთ არა მხოლოდ სიტყვით გადმოცემულ ავთენტურ არავერბალურ ნიშნებს, არამედ – „დადგმულ“ და „ცრუ“ ნიშნებსაც, რომელთა გამოწვევაც საგანგებოდ ხდება წინასწარი განზრახულობით, მაგალითად, როგორც არის დენით წამებისას გამოყენებული სიტყვა „ცეკვა“, როცა მწამებლები სხეულის უნებლიე მოძრაობებს ცინიკურ კონოტაციას უძებნიან.

პოლიტკოვსკაის ტექსტების 21 ეპიზოდში („ჩეჩნური“ მასალების ხელმისაწვდომი ნაკრები) გამოიყო ის მონაკვეთები, რომლებშიც რეპრეზენტირებულია მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთობა, ტრავმის გამომხატველი ქმედება და ემოცია.

მოძალადე ძალაუფლების მქონე აქტორია, ძალაუფლების სახელით მოქმედი პირი. ეს ატრიბუცია პოლიტკოვსკაიას ტექსტებში ორად იყოფა: მოძალადეთა შორის არიან მაღალი ნომენკლატურის თანამდებობისა და გვარ-სახელის მქონე პირები და არიან ისეთები, რომლებიც უბრალოდ მიკუთვნებულობის აღმნიშვნელი რაიმე ნიშნით არიან სახელდებულნი: როგორც სამხედროები ან მაღალი/დაბალი ჩინის ოფიცრები, განსხვავებული უწყებრივი დაქვემდებარების მქონენი, განსხვავებული სტატუსის მქონენი და განსხვავებული როლის შემსრულებლები ერთ დიდ საკონცენტრაციო ბანაკში.

მსხვერპლი, როგორც შინაარსობრივი კატეგორია, ასევე რამდენიმე კატეგორიად შეიძლება გავყოთ: ადგილობრივები, რომლებიც საფილტრაციო ბანაკში მოხვდნენ, ჩეჩნები, რომლებიც კადროვმა „შემოირიგა“ და – რაც მთავარია – თვითონ პოლიტკოვსკაია, რომელიც ზოგიერთ ეპიზოდში არა მხოლოდ ტოლობის ნიშანს სვამს საკუთარ თავსა და წამების მსხვერპლ მშვიდობიან ჩეჩნებს შორის, არამედ ის საკუთარ პერსონას ხშირად საკონტროლო ცვლადად გვთავაზობს: „საკუთარ თავზე შემოწმებულია“, „არა ჩემს მთხრობელს, არამედ მე მეუბნება“; იგივე (მო)ხდება, იგივე (და)გემართება, თუ შენ რუსულ არმიას (და)უპირისპირდები.

იმ დროს, როცა პოლიტკოვსკაია თავის ცნობილ რეპორტაჟებს წერდა ჩეჩნეთიდან, რამზან კადროვი, პუტინისადმი ერთგული ჩეჩენთა ლიდერი, ძალაუფლების მოპოვების, განმტკიცებისა და კვაზი-ლეგიტიმაციის პროცესს გადიოდა. რამზან

კადროვის ქცევისა თუ მეტყველების აღწერა მათზე დაკვირვების შედეგად არ არის მხოლოდ ფონის რეპრეზენტირება, რომელზეც მოვლენები ვითარდება; მისი ყოველი სიტყვა თუ ჟესტი ამ მოვლენების სანქცია და წყაროა. სწორედ ამიტომ იწერს პოლიტკოვსკაია მის პორტრეტს სტენოგრაფიული სიზუსტით.

კადროვის მეტყველებითი კოდები: „თქვენ რომ დაგვხსნოდით, ჩვენ, ჩეჩნები, დიდი ხანია, ერთიანნი ვიქნებოდით – ვინ „თქვენ“? [პოლიტკოვსკაიას შეკითხვა – ავტ.] – ჟურნალისტები, აი, როგორც შენ ხარ. რუსი პოლიტიკოსები. არ გვაძლევთ წესრიგის დამყარების შესაძლებლობას. ერთმანეთს გვაშორებთ, გვკიდებთ. შენ ჩადექი ჩეჩნებს შორის. შენ მტერი ხარ. ბასაევზე უარესი. „ბანდიტებს ესარჩლები“, „შენ ჩეჩენი ხალხის მტერი ხარ“, „ამის გამო პასუხი უნდა აგო“, „უნდა დაგხვრიტონ“, „დაგიმტკიცებ. შენ მტერი ხარ. გაიძულე. ბასაევზე უარესი ხარ. ჩეჩნებს შორის ჩადექი.“ „მტერი ხარ, მტერი“.

ამ ტექსტურ ეპიზოდში გამოყენებული მეტყველებითი კოდები შეზღუდულია, განსაზღვრული ვიწრო წრისთვის განკუთვნილი, ვიწრო წრის საკუთრება – სულ ათამდე ლექსემამდე დაყვანილი დიაპაზონით. ეს არის მოძალადის თეზაურუსი, მას მეტი არ სჭირდება, რაგან მას ძალაუფლებას სხვა წყარო ჰკვებავს.

კადროვის ქცევითი კოდები: „რამზანი [...] ღრიალებს და სკამზე ხტის. გამუდმებით უადგილოდ იცინის. იფხანს. იდრიკება. დროდადრო წაიცეკვებს კიდევ. ტელევიზორთან მიდის საკუთარი თავის სანახავად – და ამით ძალიან კმაყოფილია. დღეს იგი უკიდურესად აგრესიულია, აღზნებული, გაცოფებული, დროდადრო უბრალოდ ჭყვირის, ჭყვირის თუ ჭყლოპინებს. რამზანი ხან ცეკვავდა, ხან ღრიალებდა, ხან ხელის ჩამოსართმევად მეტანებოდა, ხან ისევ ბრუნდებოდა და ისევ ღრიალებდა: „ბანდიტი არ ვარ. გაიძულე. არ გაგიშვებ“.

არიან უგვარ-სახელო მოძალადეებიც, თუმცა „რიკოშეტული ძალაუფლების მქონენი“, ეგრეთ წოდებული „პროქსი“. მაგალითად: კადროვის ბოევიკი, ბრძანების შემსრულებელი: „ჯერ კიდევ მოსკოვში უნდა დაგვეცხრილე, ქუჩაში, როგორც ამას თქვენთან, მოსკოვში, აკეთებენ... უნდა დაგვეხვრიტე“;

„ფე-ეს-ბეშნიკი, ცხვირმოუხოცავი ასაკის უფროსი ლეიტენანტი, თავისი პროფესიული წინაპრების [37 წლიდან] საზიზღარი პირით ილიმება და შემომჩურჩულებს: „ბოევიჩკა... ბასაევისგან მოხვედი... შენთვის დახვრეტაც ცოტაა... ბევრს ახამხამებ თვალებს... ესე იგი, იტყუები“ (გვ. 1).

„წავიდეთ. ახლა უნდა დაგხვრიტო“; „ვინც დამალული არ არის – ეს რა ჩემი ბრალია“ (გვ.3).

ჟურნალისტმა „მეორე ჩეჩნური“ სურათებად (შეუსაბამოდ ბავშვურად თუ გასართობად картинка-დ წოდებული) დაჰყო.

პირველ სურათს „დენით წამება“ ჰქვია. გმირი – ხანშიშესული ჩეჩენი ქალია, როზიტა, რომელიც „ბოევიკების შეფარებისთვის“ დააპატიმრეს. პატიმრობის ადგილამდე – არალრმა, ვიწრო ორმომდე – „საფილტრაციო ბანაკი“ იყო, ორმომში თორმეტი დღე-ღამე გაატარა; მისი შვილების ან შვილიშვილების ასაკის ოფიცრებს, ფე-ეს-ბე-ს თანამშრომლებს, იგი ეგრეთ წოდებულ დაკითხვებზე გაჰყავდათ, რომელთა დროსაც არაფერს ეკითხებოდნენ; მხოლოდ დენით აწამებდნენ – საწამებელ იარაღს „ბავშვის თათმანები რეზინზე“ ერქვა – თასმით (ელექტროსადენით) შეერთებული ორი, ხელთათმანის მსგავსი დენისგამტარი მოწყობილობა. როზიტა სულ დუმდა, „რათა უფრო არ გაეღიზიანებინა“, მხოლოდ ტკივილისგან ყვიროდა, როცა დენს უშვებდნენ, იკლავებოდა. ოფიცრებს ეს ეცოტავებოდათ და „ცეკვას“ უწუნებდნენ, – დენითა და ტკივილით გამოწვეულ კონვულსიებს. როზიტას ეს არასდროს დაავიწყდება, მით უმეტეს, რომ იმ დღეებს ახლა მას ყოველდღიურად უმცროსი შვილიშვილი შეახსენებს ხოლმე. სამი წლის პატარამ ლაპარაკიც არ იცოდა, რუსული საერთოდ არ ესმოდა, როცა ეფ-ეს-ბეშნიკები შემოიჭრნენ მათ სახლში, ახლა კი ბებუის დანახვაზე იმ ღამით ჩაბეჭდილ ფრაზას რუსულად გაჰყვირის: "Ложись! На пол!".

სურათში „ღრუტუნების აღმზრდელი“ სულ სხვა ტიპის მსხვერპლია: რუსი სამხედრო, ავღანეთგამოვლილი, რომელიც ჟურნალისტს „ორმოებს“ უჩვენებს – გენერალმა ბარანოვმა რომ დაამკვიდრა. მორჩილი, ბრძანების ულაპარაკოდ შემსრულებელი, სამხედრო სამსახურისადმი ერთგულების გამო შვილები რომ „უმამოდ გასაზრდელად“ გასწირა; რცხვენია ოფიცერს – იმ სუნის გამო, ორმოებიდან რომ ამოდის; იმის გამო, თუ რატომ ჰყარს ასე ეს ორმოები – რუსები ხომ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ასე, ფეხზე მდგარებს, აიძულებდნენ დატყვევებულ ჩეჩნებს. რცხვენია და თავს იმართლებს – მხოლოდ ბოევიკებს. პოლიტკოვსკაიას შეკითხვაზე: მაშ რატომ უშვებდით, თუკი ბოევიკები იყვნენ, – სამხედრო პასუხობს: თვითონ გესმით... მე პირადად არ მესმის...

როზიტას ისტორიაშიც არის ერთი ჯარისკაცი, რომელიც ორმომში მჯდომ ქალს ხალიჩის ნაკუწს აძლევს. „ჯარისკაციც ხომ ადამიანია“ – ასე ხსნის როზიტა.

მესამე სურათს „დაპატიმრების მოლოდინი“ ჰქვია. 50 წლის ვახა, ოდესღაც სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომელი, ოდესღაც სკოლის მასწავლებელი, ახლა რუსი სამხედროების სიმხეცეზე აგროვებს მასალებს და ამიტომ ყოველ ღამით თავის „ორმოს“ ელოდება.

სურათში „ლამაზი უკანლები“ გმირს ისა ჰქვია. მასაც ჰქონდა თავისი ორმო – ზამთარში, ცივი წყლით სავსე, ექვსნი იყვნენ, ყველამ ვერ გაუძლო. დაბალი ჩინის ოფიცრები პირდაპირ უბნებოდნენ, რომ ჩეჩნებს „ლამაზი უკანლები“ აქვთ და აუპატიურებდნენ, თან უმატებდნენ – „ეს იმიტომ, რომ თქვენს ქალებს ჩვენთან არ უნდათ“. ვინც

გაუძლო, მათთვის შურისძიება „ლამაზი უკანლების“ გამო მთელი ცხოვრების მიზნად იქცა. ისა კი არ მოკვდა, მიუხედავად იმისა, რომ სხეულზე სიგარეტებს აწვავდნენ, ფრჩხილებს აგლეჯდნენ...

სურათში „შემოწმებულია საკუთარ თავზე“ ანა პოლიტკოვსკაია ჰყვება უკვე საკუთარ ისტორიას – მას, უკვე „ბასაევის ჩეჩნებთან გათანაბრებულს“, ეფ-ეს-ზე აპატიმრებს. კონდახების რტყმევა, სიკვდილით დასჯით და „აბანოთი“ დაშინება, დოკუმენტების ყალბად გამოცხადება, ეფ-ეს-ბეშნიკების მიერ მისი შვილების სურათების დათვალიერება შესაბამისი „კომენტარებით“... პოლიტკოვსკაია არ ჰყვება მისი მრავალსაათიანი დაკითხვების შინაარსს. უბრალოდ წერს, რომ ეს ყველაზე გულისმრევი რამ იყო თავისი სრული უხამსობის გამო, და სწორედ იქ ნანახმა და გაგონილმა დაარწმუნა, რომ რაც აქამდე სმენოდა 45-ე პოლკის სიმხეცის შესახებ, – ტყუილი არ ყოფილა.

პოლიტკოვსკაია თვითონაც ხშირად აიგივებდა თავს დაზარალებულებთან, მსხვერპლებთან, თავიდან ბოლომდე მშვიდობიან და სამოქალაქო ადამიანებთან: „ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელთაც დაბომბვამ მოუსწრო“.

თუმცა პოლიტკოვსკაიამ რუსი სამხედროების მსხვერპლის, ისას, ოთხი წლის გოგონას შიშიც ნახა, თუ როგორი თვალებით უყურებდა იგი ჟურნალისტს. ისას ცოლმა კი აუხსნა: „ხედავს, რომ თქვენ ჩვენიანი არ ხართ, მათი სისხლის ხართ, ვინც მისი თანდასწრებით სცემდა მამამისს. და ვინც წაიყვანა“.

და როცა მკვლევარი ანა შორ-ჩუდნოვსკაია (2010) პოლიტკოვსკაიას შესახებ წერდა ნაშრომში „Репортажи о заповедном Зле. Вопрос стиля“, (https://polit.ru/article/2010/10/07/anna_politkovskaya/) მას ეპიგრაფად კარლ იასპერსის სიტყვები წაუძმღვარა, რომლებიც ამ უკანასკნელმა ჰანნა არენდტს 1963 წლის 25 ივლისს მისწერა: „შენ უამრავი ადამიანის ყველაზე მტკივნეულ ნერვს შეეხე, იმ დროს როცა ეხე-ბოდი იმ ტყუილს, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, და ამიტომაც სძულხარ მათ ასე ძალიან“.

ეს ნერვი იყო ყრუ ადამიანის ბედნიერება საკუთარი სიყრუის გამო, რათა ნაკლები ტრავმა ადგებოდა როგორც მსხვერპლს; ეს ნერვი იყო წარწერა ბაზრობაზე „იყიდება ბავშვის ფეხსაცმელები, ჩაუცმელი“, რადგან ბავშვი, რომელსაც ეს ფეხსაცმელი უნდა ეტარებინა, მოკლეს; ეს იყო ერთ ფრაზამდე დასული მიმართვა თვითონ პოლიტკოვსკაიასადმი: „შენთვის დახვრეტა ცოტაა“, „დაგხვრეტდი, ჩემი ნება რომ იყოს“; ჩეჩენი და ინგუში ქალებისა და ბავშვების გამუდმებული შიმშილი და მუდმივად გამოსასყიდი ფულის შეგროვებაზე ზრუნვა; თვალეში ჩამდგარი შიში და უიმედობა, რომელიც არასდროს წაიშლება; შიშის მსგავსად ალბათ სამუდამოდ ჩაბეჭდილი აკრძალვა, „არ შეიძლება“, „დავისჯები“; პროვოკაციის სუნი, რომელიც შიშს და შფოთს იწვევს, რამე არ

მოხდეს; განწირულობა და მშვიდობის შეუძლებლობა – იმიტომ, რომ „კრემლს უნდა ომის გაგრძელება, და ისიც გრძელდება“.

პოლიტკოვსკაიას შემთხვევაში გვაქვს მოვლენის ასახვის ორი პლასტი: როცა რაღაც ხდება და როცა იგი აღიწერება. აქ მეტყველებითი და არამეტყველებითი კოდების გამიჯვნა ძნელია. საკუთარ არავერბალურ კოდებს პოლიტკოვსკაია მოგვიანებით, ანუ წერის პროცესისას, ვერბალურად გადმოსცემს: შეგრძნებას, რომ მოთმინება ამოეწურა, სიტყვები არ აქვს, აქვს მხოლოდ ცრემლები:

„მოთმინება აღარ დამრჩა. ცრემლები უბრალოდ კი არ მახრჩობდა – უკვე დამახრჩო [მის უკან კი ხარხარებდა შეირადებული ბრბო, მის უკან კადიროვი „შემორიგებულ“, გასაცოდავებულ გარსიევს კისერზე ეკიდებოდა და ვილაცას უყვიროდა: „ერთიც გადაგვიღე!“ – ავტ.], გროზნიმდე ვტიროდი. ზოგიერთს თავდაცვის იარღვრად ავტომატური, ცეცხლსასროლი იარაღი აქვს, ზოგიერთს – ცრემლები. სასოწარკვეთილების ცრემლები იმის გამო, თუ როგორ შეიძლებოდა მსგავსი საერთოდ მომხდარიყო, რომ ისტორიის ამ ტალღას თავის ქიმზე სწორედ რამზან კადიროვი აეწია... იმის გამო, რომ იმ დღეს ვერცერთმა კაცმა [პოლიტკოვსკაია სიტყვათმეთანხმებას „ვერცერთმა კაცმა“ მთავრული ასოებით გამოჰყოფს – ავტ.], რომლებიც იმ ორი დღის განმავლობაში ცენტროეში იმყოფებოდა, მობოგინესა და გავეშებულის შეჩერება ვერ გაბედა; რომ სწორედ რამზანს, და არა ვინმე სხვას, დაურეკა კრემლიდან „ვლადისლავ იურიევიჩმა“ (ჩემი ყურით მოვისმინე) [ვლადისლავ სურკოვი, პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ], და ეს ერთადერთი მომენტი იყო, როცა რამზანმა თავხედობა შეწყვიტა, თავისდაუნებურად, უბრალოდ ინსტინქტით – გრძნობდა, საიდან მოდიოდა მისი ძალა. ძველი ზღაპარია, და ასეთი ისტორიაში მრავალი ყოფილა: კრემლმა პატარა დრაკონი გამოზარდა, და ახლა მუდამ უნდა ჰკვებოს, რომ მან ცეცხლი არ აფრქვიოს“ (<https://www.svoboda.org/a/24351889.html>). კიდევ ერთი კოდი, რომელიც მსხვერპლად ყოფნას გადმოსცემს, უკავშირდება ძალაუფლების მქონეთა მხრიდან ჟურნალისტზე იძულებას, რომ ე.წ. „პროფესიული მოვალეობების ფარგლებში“ აღწეროს რეჟიმის ძალადობა სხვა მსხვერპლებზე, ხოლო პოლიტკოვსკაია ამისი მოწმე და აღმწერელი გახადოს. ეს იმ ტიპის ძალადობაა, რომელიც შერიგებისა და ჰუმანიზმის სახელით ხორციელდება. პოლიტკოვსკაიასთვის დიდი მორალური წნეხი და შეურაცხყოფა იყო კადიროვის მიერ მისი ცენტროეში გამოძახება, როცა პუტინის ჩეჩნურმა რეჟიმმა გადაწყვიტა, რომ სწორედ ეს რუსი ჟურნალისტი უნდა გამხდარიყო მოწმე იმისა, როგორ “ჩაბარდა” და „შეურიგდა“ რამზან კადიროვს ოდესღაც მისი მოწინააღმდეგე, საველე მეთაური იბრაჰიმ გარსიევი, კადიროვების კლანთან დაპირისპირებული საიდულაეების დაცვის წევრი, და როგორ აცხადებდა იგი მზადყოფნას უარყო ყველაფერი, რაც ოდესმე კადიროვების წინააღმდეგ უთქვამს: მათ

შორის ისიც, რომ მას პირადად რამზანი აწამებდა, რომ სწორედ რამზანმა მოატანინა საიდულაევების სახლში ასაფეთქებელი მოწყობილობა და მალიკ საიდულაევის აფეთქების ბრძანება გასცა. უფრო მეტიც, ოდესღაც გარსიევმა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის სახელზე განცხადებაც კი დაწერა მოთხოვნით, სისხლის სამართლის საქმე აღედრათ რამზანის წინააღმდეგ. იმ დღეს კი, 2004 წლის 11 ივნისს, ცენტროიში, გარსიევი აპირებდა სრულიად საპირისპირო განაცხადებინა პოლიტკოვსკაიას წინ, რუსეთის სამთვრობო უწყებების პრესსამსახურების კამერების წინ, რომ რამზანს იგი არასდროს უწამებია. „დაწერ უარყოფას, რომ ბანდიტი არ ვარ?“ - მიყვირის რამზანი, რომელიც აშკარად კამერაზე თამაშობს. კამერა გამოურთველად მუშაობს და „ჩეჩნეთის რესპუბლიკის ფედერაციული ბოქსის პრესსამსახურისაა“. ამ სცენაში კამერა იარაღია, რომელსაც თავისი მსხვერპლები ჰყავს – იგი „დამორჩილებულებს“ იღებს, აფიქსირებს, ინახავს მათ იმწამიერ სისუსტესა და სასოწარკვეთას.

დასკვნა

პოლიტკოვსკაიას ბიოგრაფიისა და ტექსტების შესწავლა, – თუნდაც მხოლოდ მათი, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, – შესაძლოა, პროფესიის შესწავლის სპექტრალურ მაგალითად მივიჩნიოთ. მედიასისტემები და პოლიტიკური სისტემები, ჟურნალისტის პროფესიული იდენტობა და კომუნიკაციური როლები, სოლიდარობა პროფესიული თემის წევრებს შორის – ეს საკითხები პროფესიის არსის საფუძველია, პროფესიის აღქმისა და საკუთარი თავის აღქმისა პროფესიაში. ამბის თხრობა, სტილი, საკუთარ გამოცდილებაზე თუ ხდომილებაზე ორიენტირებული ნარატივი კი ახალი დროის რეპორტაჟის საფუძველებია; ამბის თხრობა, რომელიც იწყება ავტოკომუნიკაციით, როცა ჟურნალისტი ნანახს ჯერ საკუთარ აღქმაში, როგორც ფილტრში, ატარებს, ხოლო შემდეგ უყვება თავის მკითხველს.

ლიტერატურა

ინგლისურენოვანი წყაროები:

Burgoon, J.K., Manusov, V., Guerrero, L.K. (2022). *Nonverbal Communication*. Routledge

Deuze, M. (2005). What Is Journalism? Professional Identity and Ideology of Journalists Reconsidered, *Journalism* 6 (4), 442-464, SAGE Journals

Fiske, J. (2010). *Introduction to Communication Theory*. 3rd ed. Routledge

Hanitzsch, T., & Vos, T. P. (2018). Journalism beyond democracy: A new look into journalistic roles in political and everyday life. *Journalism*, 19(2), 146-164.

<https://doi.org/10.1177/1464884916673386>

Littlejohn, S.W. & Foss, K.A. (2011). Theories of Human Communication. Publisher: Waveland.

Livingstone, S., Lievrouw, L. (2006). The Handbook of New Media: Social Shaping and Social Consequences of ICTs. SAGE Publications.

Moles A. A. (1967). Sociodynamique de la culture. Mouton Paris, La Haye.

Politkovskaya, A. (2002). Standing Alone, Anatomy of Terror: Chechnya, 30 Index on Censorship, 1, ioc.sagepub.com

რუსული წყაროები

Шор-Чудновская, А. (2010) Репортажи о заповедном Зле. Вопрос стиля.

https://polit.ru/article/2010/10/07/anna_politkovskaya/

მედია

На девятый день, газета "Дело", 16.10.2006.

Передача „Анна Политковская – вслух“; ведущая – Елена Рыковцева, Радио Свобода, 20.03.2007; <http://www.svobodanews.ru/content/transcript/383794.html>.

Политковская Анна, Вторая Чеченская, Москва, изд-во ЗАХАРОВ, 2002. Интернет-версия - http://tapirr.narod.ru/polit/politkovskaya/2_chechenskaya1.htm.

Специальный выпуск "Новой газеты", посвященный памяти Анны Политковской, 26.10.2006, стр. 5.

<https://novayagazeta.ru/articles/2006/09/11/27955-kadyrovtsev-budut-bit>

<https://novayagazeta.ru/articles/2006/09/28/27767-karatelnyy-sgovor>

<https://novayagazeta.ru/articles/2006/08/31/28090-sledovatel-kotoromu-ne-siditsya-na-pavodke>

<https://novayagazeta.ru/articles/2006/08/28/28109-iz-sluzhebnoy-militseyskoy-perepiski-cto-delalo-mvd-do-beslana-vo-vremya-i-posle>

<https://novayagazeta.ru/articles/2006/10/09/27670-bolnaya-sobaka-v-bolshom-gorode>

<https://biography.wikireading.ru/187051>

https://rus.ozodi.org/a/politkovskaya_day_of_death_of_journalist_/24355030.html

<https://novayagazeta.ru/articles/2020/10/07/87410-tak-cto-zhe-ya-podlaya-takogo-delala>

<https://www.politics-prose.com/book/9780805082500>

http://www.nord-ost.org/memorial-zhertv-terakta/anna-politkovskaya-za-cto-ya-nevzlyubila-putina_ru.html

Khatuna Maisashvili, Mariam Chichinadze

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: khatuna.maisashvili@tsu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.28>SJIF 2024: **8.268**

**„Then what could I do to such a poor person?“ – Why and how to teach the work of
Anna Politkovskaya to student journalists**

Abstract

The article is a methodological case study on teaching students in journalism the work and activities of Anna Politkovskaya. In their analysis, the authors rely on three types of sources (empirical data): (1) texts created by Anna Politkovskaya herself, which are available in Russian- and English-language databases and directories; (2) academic and journalistic works about Politkovskaya's figure and activities; (3) curricula of media schools in higher education institutions in Georgia. These sources are studied by the authors using different methods, but despite the differences in analytical approaches, the main findings for each type of source lead us to the aspects or methodological points within which the study of Politkovskaya's personality and work will be most appropriate. Some of these findings answer the question: why should we teach students about Politkovskaya's work, while another part corresponds to the question: how should we do it? In which courses of the curriculum would it be relevant to teach the journalist's texts? The article concludes that cumulatively these aspects are as follows: (1) the comparison and contrast of political power and the power of speech, i.e., freedom of expression under an autocratic regime; (2) the essence of professional solidarity, its deficit, or complete absence; (3) the personality of the journalist and the professional role model; (4) war journalism through the eyes of a "deeply civilian" person; (5) meanings of verbal and non-verbal codes created by Politkovskaya in her narratives for portraying the interrelations between the perpetrator and the victim.

Politkovskaya's reports from Chechnya, combined under the title "Second Chechen War," as well as selected essays that are protected in a special directory in the SAGE Index on Censorship 2.0 database, provide sufficient knowledge for students on all five of the above-mentioned points.

The work of Anna Politkovskaya becomes even more relevant in the context of current events: the very low standard of freedom of speech and expression in Russia, the emigration of individual journalists and entire media organizations from Russia who are unable to cover the war against Ukraine according to professional standards, and most notably, the consistent, unrelenting disappearance of Politkovskaya's work from the Russian media space.

Key words: Politkovskaya, journalism, authoritarianism, professional solidarity, curriculum, verbal and non-verbal codes

რეცენზენტი: პროფესორი პეტრე ჟოლნეროვიჩი

ჟურნალისტიკა Journalism

პუნქტუალობა, სიმართლე და გარკვევით წერა

ნათია ჯიქია, ნუნუ ჩარკვიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: natia.jikia@atsu.edu.ge

nunu.charkviani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.29>

SJIF 2024: 8.268

ჟურნალისტიკის მოვალეობაა სიმართლის წერა. სიმართლე თავის მხრივ, ნაწილია მთელი ჭეშმარიტებისა, რომელიც პოტენციურად არსებობს. თუ ჟურნალისტმა ტექსტის მომზადებისას დაუშვა შეცდომა, გამოიყენა ტოპონიმთა არასწორი სახელწოდება, დაამახინჯა რესპონდენტის ვინაობა, არ გადაამოწმა ფაქტი, მაშინ სიმართლე, თავისთავად ცხადია, არ იქნება სრულყოფილი. ამის მიზეზი კი აპუნქტუალობაა. შედეგად, გაზეთი კარგავს თავის მკითხველს, ხელისმომწერს, ეს კი გაზეთს გაკოტრების პირას მიიყვანს. მაშასადამე, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი ჟურნალისტური მოღვაწეობისა არის პუნქტუალობა და სიზუსტით წერა, ხოლო ჟურნალისტიკის მოვალეობაა მაღალი პასუხისმგებლობა მკითხველი საზოგადოებისა, რედაქციისა და კოლეგების წინაშე.

პუბლიცისტური ტექსტი ლაკონური, მოქნილი და ადვილად გასაგები უნდა იყოს არა ცალკეულ მკითხველთა კატეგორიისთვის, არამედ ფართო მასებისთვისაც. რა არის ის ძირითადი სიმპტომები, რომელიც ართულებს მედია ტექსტს, აკნინებს მას. ეს არის: ევფეიზმები, აკრონიზმები, კანცელარული კლიშე, ეკონომიკური ჟარგონი, ვიწროსპეციალური ტერმინოლოგიები (სამედიცინო, ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური და ა. შ), პლენაზმი („სარველა სიტყვები“), ტავტოლოგია, არქაიზმები, დამახინჯებული და სახეშეცვლილი იდიომური გამონათქვამები, უცხოენოვანი

ნასესხები ლექსიკის კალკირება, ჟარგონიზმები, ვულგარიზმები, ბარბარიზმები და სხვა „იზმები“.

საკვანძო სიტყვები: სიმართლე, პუნქტუალობა, სიმართლის წერა.

რამდენადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი ამერიკაში პროფესიული ეთიკის საფუძვლებში ცალკე საგნად პუნქტუალობასაც სწავლობს. აქედან გამომდინარე, სიზუსტე და გარკვევით წერა ამერიკელებისათვის ეთიკური ჟურნალისტიკის განუყოფელ ატრიბუტებად მოიაზრება.

პუნქტუალობის დასაცავად ამერიკელ რედაქტორთა ერთი ნაწილი „ესსეოშიეიტედ პრეს მენეჯინგ ედიტორი“ (APME) თავის ეთიკის კოდექსში ასე მიუთითებს: „გაზეთებმა უნდა განავითარონ და გამოიყენონ ამისათვის დამცავი საშუალებები, რათა თავიდან აიცილონ შეცდომები. ეს მოიცავს ფაქტების სისტემატიურ დამოწმებას, ციტირებას და კრიტიკული, სადაო ინფორმაციის დამტკიცებას, დასაბუთებას“. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული ტექნიკა განვითარების ახალ ფაზაშია (რაც ქმნის ფართო შესაძლებლობას სახელების, სახელწოდებებისა დაა იდენტურობის სწრაფი და მეყსეული გადამოწმებისა), რასაც თან ერთვის ჟურნალისტიკა მცდელობა, წერონ ფაქიზად და გარკვევით, სტილისტურ-კომუნიკაციური შეცდომები მაინც სახეზეა.

საზღვარგარეთ, კერძოდ, ამერიკაში, შემუშავებულია სხვადასხვა ალტერნატიული მეთოდი ამ ტენდენციის აღმოსაფხვრელად, რომელსაც ბევრი მიმდევარი თუ კრიტიკოსი ჰყავს. მაგალითად, შესწორებათა შეტანის მიზნით, ასობით გაზეთი, მათ შორის „**ლეჯერ ოფ ლეკენდის**“ სპეციალური ბიურო ტელეფონით უკავშირდება დღეში ათობით რესპონდენტს და წერილის გამოქვეყნებამდე ამოწმებს მის კორექტულობას. გაზეთი „**კოლამბია მისსურთან**“- მისურის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სასწავლო გაზეთი ტრაფარეტულად ამოწმებს წყაროდან წერილში მოხმობილ ფაქტებს მის დაბეჭდვამდე და იმეორებს წინამორბედი გაზეთების „**ზე ნიუ იორკერისა**“ და „**ტაიმის**“ მიერ წლების წინ ათვისებულ ტრადიციას, ხოლო „**დეილი კურანტი**“ ერთადერთი გაზეთია, რომელიც რელიგიური გულმოდგინებით ამოწმებს თავის გვერდზე დაშვებულ შეცდომებს და მომდევნო ნომერში ბეჭდავს ბოდიშის მოხდით (ხშირად ამ შესწორებათა ციკლი 100 შენიშვნას მოიცავს და მთელი გვერდი უჭირავს).

რა სახის შეცდომები არსებობს? რუსი თეორეტიკოსები განასხვავებენ შეცდომათა სამ ტიპს: სამეტყველო შეცდომები, რომლებიც უკავშირდება ენობრივ ნორმებს,

სტილისტური შეცდომები და კომუნიკაციური შეცდომები, რომლებიც ურთიერთობის სხვადასხვა სფეროს მოიცავენ.

რა შეიძლება იყოს სტილისტური შეცდომების მიზეზი? ესენია: მწერლის დაბალი სამეტყველო კულტურა, უყურადღებობა, სისწრაფე, დაუდევრობა, სამეტყველო მარაგის სიმწირე, ნაკლები პროფესიონალიზმი, უუნარობა და საერთო ჯამში, პასუხისმგებლობის ნაკლები დონე. ამ სიტუაციაში, ჟურნალისტი ვერ ამუშავებს სათანადოდ მიღებულ წერილობით თუ ზეპირ ინფორმაციას და ვერ უძებნის მას განსაზღვრულ ლექსიკურ ერთეულს მედია ტექსტში. ჟურნალისტები ვერ ახერხებენ, აგრეთვე, „უცხო“ სიტყვათა გრამატიკულ დამუშავებას და მას არასწორი მნიშვნელობით გამოიყენებენ. რატომ იზიდავთ ჟურნალისტებს უცხოური სიტყვები და რატომ არ უძებნიან მათ შესაბამის ქართულ შესატყვისებს? არსებობს ერთი ფრიად საინტერესო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც: „გამოსასვლელ სიტყვას, რომელიც შეიცავს უცნობ ლექსიკურ ერთეულებს (ვგულისხმობთ სიტყვებს), ხშირად განიხილავენ, როგორც სოციალურად პრესტიჟულს (1996-147).

„ჟარგონი გრამატიკულად არ ერწყმის კონსტრუქციას, ჟურნალისტები მექანიკურად ურთავენ თხრობისას სამეტყველო პრაქტიკაში პოპულარულ სიტყვას, თუმცა წერილობითი ტექსტი არ ღებულობს მას სპეციალური კორექტივის გარეშე „(С. И. Сметанина 2003;306).

ადვილია ტექსტში დაიტანო ეკონომისტის ან ჩინოვნიკის სიტყვის პერიფრაზი, მაგრამ გაცილებით ძნელია გადაიყვანო თხრობა უბრალო ენაზე, ამას გამჭრიახი გონება და დარგის სპეციალისტი ჟურნალისტის ცოდნა და ალღო სჭირდება.

იგივე ითქმის სხვა, სპეციალური დარგობრივი ტერმინოლოგიით გადატვირთულ სტატიებზე, რომელთა წაკითხვა ქმნის ბუნდოვანების შთაბეჭდილებას (იქნება ეს სამედიცინო, იურიდიული, ეკონომიკური ტერმინოლოგია). გარდა ამისა, აშკარად იგრძნობა ავტორის მიზანი პოპულარიზაცია გაუკეთოს ტექსტს, თუმცა ღებულობს საწინააღმდეგოს; „ჟურნალისტმა ვერ გადაამუშავა „უცხო“ კოდი, ვერ მონახა ნეიტრალური სინონიმური ჩანაცვლება სპეციალური ტერმინებით, ვერ გამოიყენა ევფემისტური ექვივალენტები („მაღალპროფესიული პრესსამსახური“, 25).

განსაკუთრებული ყურადღება სტილისტური ნორმების დაცვისას ესაჭიროებათ ჟურნალისტებს პრეს-რელიზებიდან საგაზეთო მასალების მომზადებისას. პრეს-რელიზი სხვა არაფერია, თუ არა სტანდარტული ზომისა და მოცულობის ტექსტობრივი მასალა, რომელშიც ოპერატიულადაა გადმოცემული ამა თუ იმ პროგრამასა თუ საკითხთან დაკავშირებული ფაქტების კრებული. ეს პრეს-რელიზები, ჩვეულებისამებრ,

გაჯერებულია ოფიციალურ-საქმიანი სიტყვებითა და სპეციალური პოლიტიკური ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელი რთული კონსტრუქციებით. ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევია სტილისტური ნორმების დაცვა, რათა პრეს-რელიზების მომზადების დროს არ დაირღვეს აზრი და ბალანსი ლექსიკურ ერთეულებს შორის, გამოთქმული კონტექსტში შეესატყვისებოდეს საგაზეთო პუბლიცისტური სტილის მოთხოვნებს. მათი დამუშავებისას უნდა გასწორდეს და გასაგები ენით უნდა იქნას დატანილი ტექსტში საკანცელარიო ჟარგონები.

„საკანცელარიო სტილის კლიშეს აქტივიზაცია - შედეგია მზარდი პოლიტიზაციისა. ფრაზები წარმოთქმული ეკრანიდან, სწრაფად ვრცელდება სპონტანურ სამეტყველო პრაქტიკაში და ხვდება გაზეთის გვერდებზე. აქ აქტუალურია საზოგადოებრივი მეტყველების მიახლოება, მიტანა სოციალურ ფენებთან, რომლებიც ვერ ფლობენ ნორმალურ ლიტერატურულ ენას“ (С. И. Сметанина 2003;301).

„უოლ სტრიტ ჯერნელი“ ამკვიდრებს ასეთ ტრადიციას. მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც ხარისხიან პერიოდიკას, შესაბამისი განათლებული წრე ჰყავს, გაზეთის რედაქცია ეკონომიკურ ტერმინებს ხშირად განმარტავს, ფრიად ნაცნობსაც კი.

ეკონომიკური ეფვიზმებისა და რთული კონსტრუქციების იგნორირებისათვის ამერიკელები სთავაზობენ თავიანთ ჟურნალისტებს განმარტებების სიის შედგენას, რომელსაც „საქვების რკინას“ ეძახიან. ამ პრაქტიკას თავისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები აქვს. უპირველეს ყოვლისა, მსგავსი სიის შედგენას კორესპონდენტი ერთ ღამეში ვერ შესძლებს, გარდა ამისა, ტერმინების განსაზღვრება სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის ადექვატურად უნდა მოხდეს“ („ათი პრაქტიკული რჩევა ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებისათვის, 1991;14).

აღფრედ კორზუბსკი- პოლონელი მეცნიერი და მოაზროვნე ამ სიტყვებით გაჯერებულ ტექსტს „ბლემ“-ის ენას ეძახის და ასეთ განსაზღვრებას იძლევა: „ეთიკურმა ჟურნალისტმა ფრთხილად უნდა შეარჩიოს ზმნური პასაჟები, განსაზღვროს და იდენტიფიკაცია გაუკეთოს აბსტრაქტულ სიტყვებსა და ფრაზებს. ინგლისურად მათ „ბლემს“ ეძახიან, რაც აზრობრივ ბლანკს ნიშნავს. იქ, სადაც ჟურნალისტები მაღალხარისხოვნად იყენებენ „ბლემის“ ენას, იქ კომუნიკაცია აუდიტორიასა და ჟურნალისტურ ნააზრევს შორის არ მყარდება“ (J. Merrill ; 1997;129).

მსგავს პრობლემებს რომ ქართულ პრესაშიც ვაწყდებით, ამას მოწმობენ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები, რომელთა დასკვნა ლაიტმოტივად გასდევს „ჟურნალისტის სტილისტური ცნობარის“ წიგნს: „კვლავაც იხმარება სარეველა სიტყვები. ეს სტერეოტიპები დღესდღეობით ერთ-ერთი

საშუალებაა თვითმიზნური (და თვითნებური!) ენობრივი ინოვაციების საკომპენსაციოდ“ („ჟურნალისტის სტილისტური ცნობარი“, 2002;40)

ლიტერატურა:

1. „Русский язык конца стлетия“, (1985-1995), М. 1996, с. 147;
2. С. И. Сметанина, “Медиа Текст в системе культуры”, М. 2003, с. 308;
3. “მაღალპროფესიული პრესამსახური”, საზოგადოების სპეციალისტის მიერ შედგენილი ცნობარი, გვ. 25. <http://www.State.gov/press/>.
4. С. И. Сметанина, “Медиа Текст в системе культуры”, М. 2003, с. 301;
5. “ათი პრაქტიკული რჩევა ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებისათვის, უცხოელ ჟურნალისტთა ცენტრი, 1991, გვ. 14;
6. J. Merril, “Philosophical Foundations to Journalistic Ethics, Plutto Press, Chicago-New-york, 1997, p. 129;
7. „ჟურნალისტის სტილისტური ცნობარი“, ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი, თბ. 2002, გვ. 240;

Natia Jikia, Nunu Charkviani

Akaki Tsereteli State University

e-mail: natia.jikia@atsu.edu.ge

nunu.charkviani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.32.29>

SJIF 2024: 8.268

Punctuality, Thruthfulness and clear writing

Abstract

The journalist's duty is to write the truth. Mystery, on the other hand, is a part of the true whole that potentially exists. If the journalist made a mistake while preparing the text, used short names of toponyms, distorted the identity of the respondent, did not check, then the information will obviously not be effective. The reason for this is punctuality. As a result, the newspaper loses its readers, subscribers, and this brings the newspaper to the brink of bankruptcy. Therefore, one of the most important issues of journalistic work is punctuality and writing with accuracy, and the journalist's duty is a high responsibility to the reading public, editors and colleagues. The journalistic text should be concise, flexible and easy to understand not only for a specific category of readers, but also for the general public. What are the main symptoms that complicate the media text, degrade it. These are: euphemisms, acronyms, clerical cliches, economic jargon, narrowly specialized terminologies (medical, economic, military, political, etc.), pleonasm ("weed words"), tautology, archaisms, distorted and changed idiomatic expressions, calcification of foreign language borrowed vocabulary, jargonisms, vulgarisms, barbarisms and other "isms".

რეცენზენტი: პროფესორი პეტრე ჟოლნეროვიჩი

შინაარსი

ენათმეცნიერება

ფატმან ანთაძე-კაჭარავა, ნანა კაჭარავა თურქულ-აზერბაიჯანული შუამავლობისათვის სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებში.....	9
ანა ახვლედიანი ემოჯების როლი ციფრულ კომუნიკაციაში.....	23
ნარგიზ ახვლედიანი, ლელა ჩოთალიშვილი, ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა ბერძნულ-ქართული უძველესი ენობრივ-კულტურული ურთიერთობის რამდენიმე ასპექტისათვის (აია-კოლხეთი, კუტაია/ქუთაისი და დიდი დედის კულტი ქართულ და მედიტერანულ სამყაროში).....	34
ციური ახვლედიანი ფერთა შემცველი ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურული ტიპები (ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების მასალაზე)	42
რუსუდან გერსამია, ირინა ლობჯანიძე FLEx-ის პროგრამაში მეგრული ტექსტების ანალიზის შედეგები.....	46
თამარ გრიგალაშვილი ორიენტაციული მეტაფორის რეალიზაციის თავისებურებები.....	51
ზეინაბ კონცელიძე ტყუილის გამოხატვის ლინგვისტური და პროსოდიკული თავისებურებები.....	56
Виктория Милько, Виктория Макарова Об эвфемизмах в русскоязычном медиапространстве	62
მანანა მიქაძე, ლეილა აბზიანიძე გამეორება ტექსტის აგების ერთი საინტერესო შესაძლებლობა.....	66
Симонян Нектар Мамиконовна ЭТИМОЛОГИЧЕСКИЕ ЗАМЕТКИ	72
ლელა ჭარელაშვილი ბინარული ოპოზიციის რაობა ლინგვისტიკაში	79
ლელა ჭარელაშვილი ვირჯინია ვულფი და ბინარული ოპოზიციები.....	89

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ნათია არველაძე

ანტიკური სამყაროს ფერადოვანი სიბრძნე და ფერები ჰომეროსის შემოქმედებაში.....99

გურანდა გობიანი

„კადიმა“ - ეთნოკულტურული დიალოგის პლატფორმა.....103

ნინო დონდოლაძე

„ამერიკული ოცნება“ და თრეისი ქ. სმითის პოეზია.....111

ეკა ვარდოშვილი

საქართველო და კავკასია ევროპულ ლიტერატურულ წყაროებში.....118

თამთა კელენჯერიძე

ტოტალიტარული რეჟიმის გავლენა საზოგადოებაზე (ენტონი ბერჯესის რომან „მექანიკური ფორთოხლის“ მიხედვით).....126

პედაგოგია

იაგორ ბალანჩივაძე

დამოუკიდებელი მუშაობის გამოყენებით სწავლის ხარისხის ამაღლება ბუნების გაკვეთილებზე.....132

მაგდა თხილავა

რიტმული აქტივობების როლი სკოლამდელი ასაკის ბავშვებში.....140

ნინო ორჯონიკიძე, მაია ახვლედიანი, ლალი აბდალაძე

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მშობლების თანამშრომლობის შინაარსი და ფორმები.....144

ანა ოქროპირიძე

სქესობრივი განათლების საკითხები ეროვნულ სასწავლო გეგმაში.....151

ნინო ჭოხონელიძე, ნინო ყანჩელი

სწავლება ქეის მეთოდით.....166

ლეილა აბზიანიძე

რიცხვითი სახელის სწავლება სკოლაში171

ლელა ებგვერაძე

წინადადების წევრთა იდენტიფიკაციის სირთულეები სწავლების პროცესში.....176

ნინო მაისურაძე

სტილისტური ანალიზი ინგლისური ენის სწავლებაში: სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა კომპეტენციის ამაღლება.....180

თამარ ღვინიაძე

შედარება - შეპირისპირების როლი მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში.....185

ეთნოგრაფია**რამაზ ხაჭაპურიძე**

ქართულ-თურქული ეთნოკულტურული ურთიერთობანი
(იანეთის მკვიდრ რეპატრიანტთა საოჯახო ურთიერთობების ამსახველი
ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) (ნაწილი II).....188

ფსიქოლოგია**Глазунов Владимир Иванович, Белякова Елена Игоревна**

Влияние наследственности на выбор профессии в контексте теории судьбоанализа и метода м. ахтниха194

ჟურნალისტიკა**ხათუნა მაისაშვილი, მარიამ ჭიჭინაძე**

„მაშინ მე, უნამუსო, ასეთს რას ვაშავებდი?“ – რატომ და როგორ უნდა ვასწავლოთ
სტუდენტ ჟურნალისტებს ანა პოლიტკოვსკაიას შემოქმედება.....202

ნათია ჯიქია, ნუნუ ჩარკვიანი

პუნქტუალობა, სიმართლე და გარკვევით წერა.....219

Contest

Linguistic

Fatman Antadze-Kacharava, Nana Kacharava For Turkish-Azerbaijani Mediation in Persian-Georgian language Relations.....	22
Ana Akhvlediani The Role of Emoji in Digital Communication.....	32
Nargiz Akhvlediani, Lela Chotalishvili, Nino Jorbenadze, Iamze Gagua Towards several aspects of the ancient Greek-Georgian linguistic-cultural relationship (Aya-Kolkheti, Kutaia/Kutaisi and the Cult of the Great Mother in the Georgian and Mediterranean World).....	41
Tsiuri Akhvlediani Towards several aspects of the ancient Greek-Georgian linguistic-cultural relationship.....	45
Rusudan Gersamia, Irina Lobzhanidze Results of the analysis of Megrelian texts in the FLEx program.....	50
Tamar Grigalashvili Peculiarities of realization of orientational metaphor.....	54
Zeinab Kontselidze Linguistic and Prosodic Features of Lying.....	61
V. Milko, V. Makarova The Euphemisms in the Russian Mass Media.....	65
Manana Mikadze Repetition as a one interesting possibility of text Construction.....	71
Simonian Nektar Etymological Notes.....	78

Lela Charelashvili	
The Fundamental Role of Binary Oppositions in Linguistic Theory.....	87
Lela Charelashvili	
Virginia Woolf and Binary Oppositions.....	97

Literature and Literary Theory

Natia Arveladze	
Color Blindness of the Ancient World and Colors in the Works of Homer.....	101
Guranda Gobiani	
"Kadima" – a platform for ethnocultural dialogue	109
Nino Dondoladze	
The American Dream And Tracy K. Smith’s Poetry.....	116
Eka Vardoshvili	
Georgia and the Caucasus in European Literary Sources	124
Tamta Keneljeridze	
The influence of a totalitarian regime on society.....	130

Pedagogic

Iagor Balanchivadze	
Improving the Quality of Learning in Nature Lessons Using Independent Work.....	138
Magda Tkhilava	
Rhythmic activities at an early age	143
Nino Orjonikidze, Maia Akhvlediani, Lali Abdaladze	
Content and forms of cooperation between preschool educational institution and parents.....	150
Ana Okropiridze	
Sex Education in Georgia.....	164
Nino Tchokhonelidze, Nino Kancheli	
Teaching by Means of Case Study.....	170

Leila Abzianidze

Teaching Numeral in School.....175

Lela edzgeradze

Challenges in Identifying Sentence Components in the Teaching Process.....179

Nino Maisuradze

Stylistic Analysis in Teaching English: Enhancing Teaching Quality and Student Competence184

Tamar Gvinianidze

Comparison – the role of contrast in the development of pupil’s creative thinking187

Ethnography**Ramaz Khachapuridze**

Georgian-Turkish ethno-cultural relations (According to the ethnographic materials depicting the family relations of the native repatriates of Yaneti)193

Psychology**Glazunov Vladimir Ivanovich, Belyakova Elena Igorevna**

The Influence of Heredity on Career choice in the Context of the Theory of Fate-Analysis and the m. Achtnich Method201

Journalism**Khatuna Maisashvili, Mariam Chichinadze**

„Then what could I do to such a poor person?“ – Why and how to teach the work of Anna Politkovskaya to student journalists.....218

Natia Jikia, Nunu Charkviani

Punctuality, Thruthfulness and clear writing223